საქართველო ბეჭედია ბაჟაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

# თბილისელები®

www.tbiliselebi.ge

ჟურნალი * №3 (629) * 14–20 იანვარი * ფასი 1,50 ლარი



გვ. 18

**რატომ სთხოვდა დავით საგანელიძეს შვილი ახალ წელს „მწვანე ქალს“ და რა დროს ავიწყდება მას რაჭველი კაცის ბუნება**

გვ. 74

**რატომ გიჟდებიან ზურა შევარდნაძის სახლზე და რატომ დადიან მასთან სტუმრად ჩემოდნებით**



გვ. 15

როგორ შეიცვალა საგადასახადო ჯარიმები და სანქციები მცირე და საშუალო ბიზნესისთვის და როგორ შესრულდა დეკემბრის ბიუჯეტი წარსულის „პრაქტიკის“ გარეშე



გვ. 35

სად შეხვდა ზურა რთველიაშვილი „ფუსი რაიოთის“ წევრებს და როგორ შეასრულა მან პოეტის როლი გერმანულ ფილმში



გვ. 38

როგორ გახდა მარიამ ქინქლაძე თვითმფრინავის პილოტი და ვისთან ერთად უშვებს ის ამერიკაში ენერგეტიკულ სასმელს, რომელსაც მთელ მსოფლიოში არ აქვს ანალოგი



სად ელოდებიან ავთო ხურციძეს ღამის ორი საათივით შავი ქალები და რატომ ჩაშალა მან კინოგადაღება

გვ. 22



რატომ იყო ანი ამაშუკელი საკუთარ ოჯახში თოვლის ბაბუა და რა საჩუქარი გაუკეთეს მას ბიჭის გაჩენისთვის

გვ. 46



გვ. 19

რამდენი ხანი გაატარა დათო თარგამაძემ ბერებთან მონასტერში და რატომ არ ენატრება მას ქართული კერძები


ჟურნალ „თბილისელებთან“ ერთად წიგნის ფასი

წიგნი 7.50 + ჟურნალი 1.50 = 9 ლარი

ჟურნალის გარეშე წიგნის ფასი – 14 ლარი

საბავშვო ენციკლოპედია




მეკობრეები


## გილოცავთ ნათლისღებას!

# ს ა რ ჩ ე ვ ი




რას სთავაზობს რუსული დიპლომატია მოლდოვას საქართველოს გასაგონად და რატომ აღარ სცალია ამერიკის შეერთებულ შტატებს საქართველოსთვის ..................................... 6

რით ჰგვანან ქართველი პოლიტიკოსები განათხოვარ ქალებს და პოლიტიკური ოპონენტების დათრევის რა მეთოდები გამომუშავდა საქართველოში ................. 8

როგორ აძვირებდნენ ქართული ფარმაცევტული კომპანიები წამლის ფასს 900 პროცენტით ადგილზე გადაფუთვის ოპერაციული ხარჯის შედეგად ............. 10



რა საჩუქარი გაუკეთა საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს რომის პაპმა ბენედიქტე მეთექვსმეტემ და ვის დაურეკა მან პირველად კოსმოსში................12



2012 წლის „ფორბსის" მილიარდერების ახალი ტოპ-ათეული ........... 13

რატომ დატოვა მაია სიდამონიძემ ტურიზმის დეპარტამენტი და რა შეუნახა მას საიდუმლოდ ვერა ქობალიამ..............14



როგორ შეიცვალა საგადასახადო ჯარიმები და სანქციები მცირე და საშუალო ბიზნესისთვის და როგორ შესრულდა დეკემბრის ბიუჯეტი წარსულის „პრაქტიკის" გარეშე ........... 15

ინტიმური საუბრები ................................ 16



ადვოკატი გირჩევთ .. 17

რატომ სთხოვდა დავით საგანელიძეს შვილი ახალ წელს „მწვანე ქალს" და რა დროს ავიწყდება მას რაჭველი კაცის ბუნება ................... 18

რამდენი ხანი გაატარა დათო თარგამაძემ ბერებთან მონასტერში და რატომ არ ენატრება მას ქართული კერძები .................................. 19

არის თუ არა დანაშაული ქალისთვის ცოლიანი კაცის სიყვარული ................. 20

როგორ იპოვეს ერთმანეთი დაკარგულმა ჯარის მეგობრებმა და დაუკავშირდებიან თუ არა ისინი ერთმანეთს .................... 21

სად ელოდებიან ავთო ხურციძეს ღამის ორი საათივით შავი ქალები და რატომ ჩაშალა მან კინოგადაღება .................... 22

ვისი ინიციატივით აშენდა თბილისის ფუნიკულიორი და რომელ მოვლენას უძღვნა თავისი ცნობილი ტილო ნიკო ფიროსმანმა ...................................................... 23

რა არის დედამიწაზე ბედნიერება და უბედურება და როგორ შექმნა ღმერთმა ადამიანი სრულ ნეტარებაში ................ 24



მოძღვარი გვირჩევს..............25

2012 წლის ყველაზე ძვირად ღირებული თავდამსხმელების ტოპ-ათეული.....26

ექიმის რჩევები..............29

რას ევედრებოდა გოგლა ლეონიძე ოჯახს და ვისი სურათი ჩამოიკიდა მან გულზე ............................................ 30



რატომ არ ვარგა გზიდან მიბრუნება და როგორ დავიბედოთ უკეთესი მომავალი იანვარში ჩატარებული პატარა ეშმაკობებით ...... 32

რა აკავშირებდა ჰოლივუდის ვარსკვლავ ლიამ ნისონს ლუდსახარშ „გინესთან" და სად გაუტეხეს მას ცხვირი ................ 34

სად შეხვდა ზურა რთველიაშვილი „ფუსი რაიოთის" წევრებს და როგორ შეასრულა მან პოეტის როლი გერმანულ ფილმში ............ 35

როგორ გახდა მარიამ ქინქლაძე თვითმფრინავის პილოტი და ვისთან ერთად უშვებს ის ამერიკაში ენერგეტიკულ სასმელს, რომელსაც ანალოგი არ აქვს მთელ მსოფლიოში ....................................... 38

რატომ იყო ანი ამაშუკელი საკუთარ ოჯახში თოვლის ბაბუა და რა საჩუქარი გაუკეთეს მას ბიჭის გაჩენისთვის ....... 46

კოსმეტოლოგის რჩევები ....................... 47

როგორ ძარცვავდა ციხიდან გაქცეული მარტოხელა ბოროტმოქმედი ელიტას და სად გადაიხვეწა ის ცოლ-შვილთან ერთად..................48



რის გამო გაწირა საპატარძლომ სასიძო ქორწილის წინ..........................50

რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს.............51



ვეტერინარის რჩევები ....... 57

ფლორის სამყაროში ... 57

მე – დაქირა-ვებული მკვლელი ..... 58

რა მიზნით აყალბებდნენ სტალინის ბიოგრაფიას ... 62

როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები ...................... 63

მგლები 5 ................................................ 66

როდის ჰქონდა „გაჭედვები" გიორგი ვარდოსანიძეს და რატომ იყო მის გამო შოკში სალომე ჭაჭუა ............................ 70

შეკითხვა ასტროლოგს ............................ 72

როგორ უნდა მიიღოთ მეტი სარგებელი ნაკლები დანახარჯით და წლის რომელ პერიოდში გაგიმართლებთ ..................... 72

კვირის დღეების ასტროპროგნოზი ...... 73

რატომ გიჟდებიან ზურა შევარდნაძის სახლზე და რატომ დადიან მასთან სტუმრად ჩემოდნებით ........................... 74



ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები"

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი ზაზა ახობაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე ალექსანდრა ნაკაიძე

პასუხისმგებელი რედაქტორი ზაალ ცინაძე

განყოფილებები

პოლიტიკა: ნინო ხაჩიძე, თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე
დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
კორექტორი: ხატია ჟღენტი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: ქეთი კვინიხიძე, თამუნა ჩალაძე
მხატვრები: ზაალ სულაკაური, სოფო ლომიძე, ჯემალ ფხალაძე
ვებ-გვერდის მთავარი მოდერატორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მაია ფირცხალავა
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი



რედაქციის მისამართია:
თბილისი, ასლანიდის (ყოფილი ალმასიანის) ქუჩა №14
სპორტის სასახლის გვერდით („მაკდონალდსის" უკან)

ტელ: 233-42-24;
599 10-15-20
221-31-12

სარეკლამო სამსახური:
593 38-75-61; 221-31-34

დამფუძნებელი:
შპს „თბილისელები პლუსი"
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში"

ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: info@tbiliselebi.ge
tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com

# მსუბუქწონიანი

## ანუ, პავლიკას დაბრუნება

მართალია, **პარლამენტის საიტი, მას შემდეგ, რაც კანონშემოქმედებმა ქუთაისში დაივანეს, განახლდა და გალამაზდა, დაპირებული სიამეებით** (გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის კუთხით) **მაინც ვერ ვსარგებლობთ**. ჯერ ერთი, **საიტიდან გამქრალია ხალხის რჩეულთა შრომითი ბიოგრაფიები**, რაც **ცნობისწადილსაც მოგვიკლავდა** და იმის **საშუალებასაც მოგვცემდა, განგვეჭვრიტა, რა დოზითა და ოდენობით უმოძრავებთ რუხი ნივთიერება**. რაც მთავარია, **იმასაც შევიტყობდით, რას იქმდნენ გადეპუტატებამდე ჩვენი რჩეულები**. მაგრამ, ვაი რომ, ამაოა ჩვენი ზრახვანი: საუკეთესო შემთხვევაში, **მხოლოდ დეპუტატის დაბადების თარიღს თუ აღმოაჩენ**. შესაბამისად, სწორედ მხოლოდ ის ვიცით ხალხის რჩეულ ქ-ნ ბოკუჩავას შესახებ, რომ 1983 წლის მაისში მოევლინა ქვეყანას.



რაკი **მისი ღვწის შესახებ საჯარო ინფორმაცია მიუწვდომელია**, ბუნებრივია, **შეფასებისას ვხელმძღვანელობთ პრინციპით: „საქმემან შენმან გამოგაჩინოს**.“ ჰოდა, რაკი გამოგაჩინოსო, გასულ კვირას ქ-ნი **ბოკუჩავა კიდეც გამოჩნდა** და, **ზედაც, ქ-ნი წულუკიანიც გამოიწვია** (არადა, **წონითი კატეგორიები აშკარად შეუსაბამოა**). როგორც ჩანს, ეს განსხვავება, ანუ, **უპირატესობა, ქ-ნმა წულუკიანმაც იგრძნო**, ამიტომაც, **არა ქ-ნ ბოკუჩავას**, არამედ, უფრო **მსხვილ ნანადირევს – ბ-ნ კუბლაშვილს გამოეპასუხა.**



კერძოდ, ქ-ნმა ბოკუჩავამ, დაუწუნა რა იუსტიციის მინისტრს სიძულვილის ენა, რიტორიკულად ჰკითხა: იღებს თუ არა რჩევებს მამის, „ყველაზე სისხლიანი მოსამართლის“, ავთანდილ წულუკიანისგან.

იმ მარტივი მიზეზით, რომ ქ-ნ ბოკუჩავას უკვე გაეცა ამომწურავი პასუხი, ამ დეტალზე არ შევჩერდები, თუმცა, **თუ კანონშემოქმედი ქალბატონის ასაკს გავითვალისწინებთ, წესით, პავლიკ მოროზოვის ბიოგრაფიას ნაკლებად უნდა იცნობდეს**, თუმცა, **მისი შეკითხვის პათოსი აშკარად პავლიკისეულია:** როგორც ჩანს, ქ-ნი **ბოკუჩავა ელოდება, როდის დაგმობს ქ-ნი წულუკიანი მამას.**

# „დრონი მეფობენ“

## ანუ, უნდა მისცე „ნასოსი“

ორიოდე კვირაა, რაც **ოდესღაც ციხეების, თუმცა, რაღა ციხეების, უფრო პატიმრების რისხვის ადვოკატი** აწ უკვე **პატიმარ ბაჩო ახალაიასთვის ტელევიზორს მოითხოვს**, თუმცა, სხვა მხრივ, **გვაიმედებს, თავს კარგად გრძნობსო**. ადვოკატი თავისი **მოთხოვნის დასტურად კანონს იშველიებს** (საკანში ტელევიზორის ქონის უფლება კანონით აქვსო და, მოდი და შეედავე, როდესაც მართლაც აქვს!).



თავის მხრივ, ახლახან **დიდი სჯა-ბაასის შემდეგ დანიშნული სახალხო დამცველიც მიმართავს რეკომენდაციით სასჯელაღსრულების სამინისტროს**, **მისცეს პატიმარს ტელევიზორი** (აი, იმას კი აღარავინ გვეუბნება, **სრულიად საქართველოს ყველა პატიმარს აქვს ტელევიზორი და ბ-ნი ახალაია გამონაკლისია** თუ ბ-ნი **ახალაია იქნება ტელევიზორიანი გამონაკლისი?!).**

როგორც უნდა იყოს, სახელდობრ, **ყოფილი მაღალჩინოსანი პატიმრებისა და ტელევიზორის ურთიერთობაზე სახალხო დამცველი უფრო დეტალურ ინფორმაციას გვაწვდის**. კერძოდ, ბ-ნი ნანუაშვილის განცხადებაში ვკითხულობთ, რომ **„მეცხრე დაწესებულების დახურული ტიპის ნაწილში პატიმრებს კვლავ არ აქვთ შესაძლებლობა, ტელევიზორი იქონიონ**. პატიმრებს: ბაჩანა **ახალაიას**, ირაკლი **ოქრუაშვილსა და იოსებ გიგუაშვილს** (ეს ორი უკვე აღარ არის პატიმარი) **აქვთ ტელევიზორები, რომლებიც შეერთებულია DVD-ზე** და დაწესებულების **ადმინისტრაცია მათ 12:00 საათიდან 22:00 საათამდე ურთავს ფილმებს** (ფილმების ჟანრი არ ზუსტდება).“




ამაზე უარესი პრობლემა კი მეშვიდე დაწესებულების ბინადრებს ჰქონიათ: **მათ DVD-ც კი არ აქვთ.**

ერთი სიტყვით, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ **ყოვლად დაუშვებელია, პატიმრებს ინფორმაციაზე ხელი არ მიუწვდებოდეთ**. ბუნებრივია, **ჩვენც ვუერთდებით ომბუდსმენის გულისწყრომას,** მაგრამ, რაკი **სხვა გულისწრომებიც გვახსოვს** (თვით გულის წასვლამდეც!), ვითომ, **სამართლიანი არ იქნებოდა, თუკი ნაჩინოვნიკარებიც იმ პირობებში მოიხდიდნენ სასჯელს, როგორშიც მათი ჩინოვნიკობისას ახდევინებდნენ პატიმრებს?!**

# ზვავის დასახმარებლები

## სტიქიის მოიმედენი

გასულ კვირას **უამინდობამ საქართველოს მთელი ტერიტორია მოიცვა,** მათ შორის – **ოკუპირებულიც**, თუმცა, **არაოკუპირებულ ტერიტორიაზე ყველაფერმა შედარებით მშვიდობიანად ჩაიარა**, აი, **ოკუპირებულ** ცხინვალის **რეგიონში კი, როკის გვირაბთან განლაგებული რუსული საოკუპაციო ჯარის ნაწილს ზვავი ჩამოაწვა**. ეს **ვისთვის სამწუხარო**, ხოლო **ვისთვის არცთუ, ინფორმაცია** „იუჟნაია ოსეტიას“ ბეჭდვისა და ინფორმაციის კომიტეტმა გაავრცელა, რის მიხედვითაც, **ზვავს სერიოზული ზიანი მიუყენებია სამხედრო ნაწილის ნაგებობებისთვის, მაგრამ, ერთი ისაა, რომ სტიქიას უმსხვერპლოდ ჩაუვლია.**



ამას გარდა, **ზვავების გამო ჯერჯერობით დაკეტილია ტრანსკავკასიური მაგისტრალი.** ეს მცირე დეტალიც მოწმობს, რომ **ვერანაირი „იუჟნაია ოსეტია“ ბუნებაში ვერ იარსებებდა,** ან, თუ იარსებებდა, **ჩრდილოეთ ოსეთთან ყოველგვარი კავშირის გარეშე**.

ჩვენ არ ვიცით, დააფიქრებს თუ არა თუნდაც სტიქია ჩვენს სეპარატისტებსა და ოკუპანტებს, თუმცა, თუ ზემონახსენებ **კონკრეტულ ზვავს გავიხსენებთ, რაც მართალია, მართალია ჩვენი გასაკეთებელი საქმე თავის თავზე აუღია.**

# „წამოხტა კაკო ლომივით ზეზე“

## ანუ, „ნახეს უცხო მოყმე ვინმე“?!

თუ მისი მინისტრობისას მიღებული თუნდაც იმ **კანონით ვიმსჯელებთ, რის მიხედვითაც ინვესტორს ფულის წინასწარ გადახდის შემთხვევაში, ჩვენი ჰაერის, წყლისა თუ ნიადაგის მოწამვლის უფლება აქვს**, უნდა ვივარაუდოთ, რომ **ნამინისტრალ ხაჩიძეს ბუნება, მაინცდამაინც, არ ნაყვარება**; თუ **ზედაც საკანონმდებლო ორგანოში მის ანგლობას დავამატებთ**, როგორც ჩანს, **გულს ვერც კანონშემოქმედებას აყოლებს,** თუმცა, **თუ მის „ფეისბუქურ“ აქტივობებს გადავხედავთ,** ეჭვია, რომ **ვირტუალური სივრცე მისი სტიქიაა.**



ჰოდა, **რაკი მისთვის სტიქიაა, იქიდანვე გვაცნობა, რომ, თუკი ასლან აბაშიძე დაბრუნდება, თავად ტყეში გავარდება,** ოღონდ, **მთლად შიშველ-ტიტველ-მშიერმწყურვალიც არა**. მეტი სიცხადისთვის მოვიხმობ ციტატას: **„თუ ისე მოხდა, რომ ასლან აბაშიძეც დაბრუნდა საქართველოში, ავიღებ ზურგჩანთას, შიგ ჩავდებ ცოტა საჭმელს, ცოტა სასმელს,** გადავივარცხნი თმებს მარჯვნივ (ან მარცხნივ), **წავალ სადმე ტყეში, ვიპოვი დიდ გაშლილ მინდორს**, დავიკიდებ იმ ადამიანების აზრს, რომლებიც ფიქრობენ, რომ ტყეში გაშლილი მინდორი არაა, **მოვიხსნი ზურგჩანთას, ფეხებს დავდგამ მხრების სიგანეზე, ჩავახველებ, ღრმად ჩავისუნთქავ და რამდენიმე კონკრეტულ ადამიანს ყვირილით ვაგინებ**!“

რადგან **საგინებელი ადრესატების ვინაობა არ დაუზუსტებია**, **ისღა დაგვრჩენია,** ჯერ **ასლან აბაშიძის დაბრუნებას დაველოდოთ**, შემდეგ კი – **კანონშემოქმედის მინდვრად გაჭრას.** თუმცა, რაკი კოჭებშივე ეტყობა, **ნაკლებ სავარაუდოა, მისგან ველოდოთ რეალობას: „კაცი მისგან განატყორცნი ბრუნავს, ვითა ტანაჯორი“,** უფრო კაკო ყაჩაღობას უნდა უმიზნებდეს (**„წამოხტა კაკო ლომივით ზეზე, სველი ტრუსები გაფინა მზეზე“)...**

# საბრუნებელი

## ანუ, ჯიმ-ჯილაგმოსაკითხი

ვიდრე ჩვენ საკუთარი პრობლემებით ვართ გართულნი: **ზოგი თაფლობის ექვსი თვის გასვლას ელოდება**, დანარჩენები კი **სხვის თვალში ბეწვსა და დირეს ხან არჩევს, ხან – არც მაინცდამაინც,** გასული წლის მიწურულს **სომხეთის პრეზიდენტობის ერთ-ერთმა კანდიდატმა, ვარდან სადრაკიანმა, პრესკონფერენცია გამართა** და, რაკი მისი გამოსვლის ნაწილი ჩვენც გვეხებოდა, თქვენს ყურადღებას სწორედ მასზე შევაჩერებ.

კერძოდ, ბ-ნი **სადრაკიანის საპრეზიდენტო გეგმებშია,** რაც მთავარია, **სამცხე-ჯავახეთის სომხეთისთვის შეერთება** და, ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, **აფხაზეთისა და „იუჟნაია ოსეტიას“ აღიარება** (პირი არ დაეწვას ოჯახქორს!).



ამ ჩვენი **სამცხე-ჯავახეთის სომხეთთან მიერთებას ერთი მიზანი ჰქონია – სომხეთ-რუსეთს შორის სახმელეთო საზღვრის გაქრა**; აფხაზეთისა და „იუჟნაია ოსეტიას“ **აღიარებას კი – „სამართლიანობის აღდგენა“.** აფხაზეთის დამოუკიდებლობის **სადრაკიანისეული ლოგიკა შემდეგნაირია**: ჯერ ერთი, **აფხაზეთის სამეფო ყოველთვის დამოუკიდებელი ერთეული ყოფილა** და **მუდმივადაც ებრძოდა ქართულ სამეფოებს**; უფრო მეტიც, **აფხაზეთის ბაგრატიონები სომეხი ბაგრატუნები ყოფილან** და **სულ ბოლოსაც სწორედ სომეხი მოსახლეობის მხარდაჭერით მოუგერიებიათ აფხაზებს ოკუპანტი ქართველების შეტევები**.

იმავე ლოგიკას ავრცელებს ბ-ნი სადრაკიანი „იუჟნაია ოსეტიაზეც“ და ამტკიცებს, რომ, ის **ტერიტორია, სადაც დღეს სამხრეთელი ოსები ცხოვრობენ, უხსოვარი დროიდანვე ეკუთვნით.**

ჩვენ არ ვიცით არათუ ის, განახორციელებს თუ არა ხსენებული ბ-ნი თავის გეგმებს, ისიც კი, გახდება თუ არა სომხეთის პრეზიდენტი, თუმცა, **ზემოთქმული ბუნებრივად ბადებს სურვილს ბ-ნი სადრაკიანის დედაბუდიანად მოკითხვისა, ცხადია, ყველა არსებულ და შესაძლებელ ბრუნვაში.**

# საცთური

## ქურდს რა უნდა და... უნიტაზიო

მართალია, **ქურდს რა უნდა და – ბნელი ღამეო**, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, **არა მხოლოდ ბნელი ღამეა საცთური**. გასულ კვირას ქუთაისის კეთილმოწყობის სამსახურის თანამშრომლებს **ქუთაისის ცენტრალურ მოედანსა და ეგრეთ წოდებულ წითელ ხიდთან აღმართული რამდენიმე საპირფარეშო გაძარცული დახვედრიათ.**

იმის გათვალისწინებით, რომ **საპირფარეშოები ამ ჩვენს ტურისტების მომლოდინე ქვეყანაში დიდი იშვიათობა** და, მე ვიტყოდი, **არანაკლებ დიდი ფუფუნებაა**, ფაქტი სულისშემძვრელია. მით უფრო, რომ **მძარცველებს საპირფარეშოებში დამონტაჟებული ფულის მიმღები აპარატები გაუტეხავთ**,



**თანხაც წაუღიათ** და, რატომღაც, **საპირფარეშოების ინტერიერებიც დაუზიანებიათ.**

სამწუხაროდ, მე არ ვიცნობ **ფასიან საპირფარეშოებში ვიზიტორების სტატისტიკურ მონაცემებს,** მაგრამ, ეჭვი მაქვს, რომ **მათი რაოდენობა დიდი არ უნდა იყოს,** რაც, თავისთავად, ნიშნავს, რომ **ფულის მიმღები აპარატების მძარცველებს დიდი ვერაფერი თანხა შეხვდებოდათ.**

ამის მიუხედავადაც, ბუნებრივია, **პოლიცია დამნაშავეებს ეძებს** და, თუ მისი ბოლოდროინდელი **ოპერატიულობით ვიმსჯელებთ, საპირფარეშოების წამბილწველებსაც მალე მიაგნებს.** რაც შეეხება თავად ფაქტს, ვფიქრობ, ის ნათლად მეტყველებს ქვეყანაში არსებულ სოციალურ ფონზე: **თვით მძარცველსაც რომ ისე გაუხდება საქმე, ტუალეტში ფულის მიმღები აპარატი გატეხოს?!**

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძემ**

ნდობის ტელეფონი
ინფიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

**პაველ ფელგენგაუერი იმ გამორჩეული ექსპერტების რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც რუსეთ-საქართველოს ომს ლამის ყოველი წლის გაზაფხულიდან წინასწარმეტყველებდა. საუბედუროდ, მისი წინასწარმეტყველება 2008 წელს ახდა, თუმცა ის არც მომდევნო წლებში გამორიცხავდა ამ საფრთხის გამეორებას. სავსებით ბუნებრივია, რომ, რაკი ქართულ პოლიტიკურ რეალობაში ძალთა ბალანსი შეიცვალა, რუსეთ-საქართველოს სამომავლო ურთიერთობის მომავლის ფელგენგაუერისეული ვერსიის გაგებას შევეცადეთ.**

# რას სთავაზობს რუსული დიპლომატია მოლდოვას საქართველოს გასაგონად და რატომ აღარ სცალია ამერიკის შეერთებულ შტატებს საქართველოსთვის



**მოსკოვი დაელოდება, რა მოხდება თქვენთან. საქმე მხოლოდ ის არ არის, სტაბილურად იქნება თუ არა „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში, არამედ ისიც, შეუძლია თუ არა „ოცნებას“ იმის მოცემა, რაც გვჭირდება**

**– თითქმის ყოველ წელს თქვენ აკეთებდით რუსეთ-საქართველოს ომის პროგნოზს. ამჯერად როგორი პირი უჩანს საქმეს: კიდევ არის საფრთხე თუ ჩაიარა?**

– ახლა ასეთი საფრთხე არ არის, რადგან წელიწადის აბსოლუტურად შეუსაბამო დროა.

**– მე არ მიგულისხმია, მაინცდამაინც, ახლა, 2013 წელი ვიგულისხმე ზოგადად.**

– შემდეგ რა იქნება, გაუგებარია, რადგან მოსკოვში არავინ მიიჩნევს დღეს საქართველოში არსებულ შიდა პოლიტიკურ ვითარებას მდგრადად. ამაზე ლაპარაკობდა პრეზიდენტი პუტინი, რომლის აზრითაც, ბატონი სააკაშვილი არ აღიარებს თავის დამარცხებას და, თუ საქართველოში სიტუაციის დესტაბილიზაცია მოხდება, რუსული ჩარევის ალბათობა დიდია. ახლა კი არავინ იცის ზუსტად, რა იქნება მომავალი ექვსი თვის განმავლობაში. ამიტომ რუსეთი საქართველოს ახალი რეჟიმისადმი განსაკუთრებულ აქტივობას არ გამოამჟღავნებს და დიდი სიფრთხილით დააკვირდებიან, რა მოხდება, იმიტომ რომ მოვლენების განვითარებაში არანაირი სიცხადე არ არსებობს.

**– მოსკოვი ელის მომენტს, როდესაც სააკაშვილი წავა პრეზიდენტის პოსტიდან?**

– ან დაიშლება მმართველი კოალიცია, ან მათ რაღაცნაირად ჩამოაგდებს სააკაშვილი და ასე შემდეგ. ჩვენი ხელმძღვანელები ასე უბრალოდ ძალაუფლებას არ დათმობდნენ, ამიტომაც კრემლში ფიქრობენ, რომ არც სააკაშვილი დათმობს ძალაუფლებას.

**– რაც უნდა მოხდეს, კოალიცია ხომ მაინც დარჩება ამა თუ იმ ფორმით?**

– დღევანდელ საქართველოსთან დიდად არავინ დაახლოვდება და ფრთხილად იქნებიან.

**– თუ რუსეთი რაღაც ნაბიჯებს გადადგამს და, ვთქვათ, ამასობაში „ნაციონალური მოძრაობა“ ისევ დაბრუნდება, რა შეუშლის ხელს, შეწყვიტოს ეს ნაბიჯები?**

– თუ საქართველოში ახალი სერიოზული დესტაბილიზაცია დაიწყება, განსაკუთრებით იმ მზარდი დესტაბილიზაციის ფონზე, რაც ახლო აღმოსავლეთშია, მაშინ შესაძლებელია რაღაც ძალისმიერი ან არაძალისმიერი მოქმედებები, რომელთა წინასწარმეტყველება შეუძლებელია. თუმცა ამჟამად არანაირი საფრთხე არ არსებობს, რთული სათქმელია, რა იქნება მაისში, ივნისსა და აგვისტოში. უამრავი ვარიანტის წარმოდგენაა შესაძლებელი.

**– და თქვენ რა შესაძლო ვარიანტებს განიხილავთ?**

– მოსკოვში, როგორც მე ვხვდები, ელოდნენ, რომ პირველი ოქტომბრის არჩევნებს დესტაბილიზაცია მოჰყვებოდა, მაგრამ არაფერი მოხდა. არანაირი დესტაბილიზაცია არ არის, ჩვეულებრივი პოლიტიკური პროცესი მიდის. ახალი ხელისუფლება ცდილობს, დაალაგოს ურთიერთობები, თუმცა არც ისე გამოსდის. მე ვიცნობ ბატონ აბაშიძეს, ის კარგი დიპლომატია, მაგრამ, როგორც ხედავთ, რუსეთი ძალიან თავაზიანად იქცევა ჯერჯერობით, იმიტომ რომ მოსკოვში არ არსებობს არანაირი რწმენა იმისა, რომ ბატონი ივანიშვილის ხელისუფლება დიდი ხნითაა. ამდენად, დიდ ავანსებს არ უნდა ელოდოთ, თუმცა „ბორჯომის“ დონეზე შესაძლებელია.

**– რუსეთისთვის არაფერია, მაგრამ ქართული ეკონომიკისთვის „ბორჯომიც“ საქმეა, ციტრუსისა და მწვანილის ექსპორტიც.**

– კი, ბატონო, აქ გამოჩნდება „ბორჯომი“, ის ბევრ ადამიანს უყვარს და დალევენ. რაც შეეხება ქართულ ღვინოს: არ მგონია, რომ მას მოუთმენლად ელოდნენ. ბევრს ის უკვე დაავიწყდა. საერთოდაც, რუსეთში, ტრადიციულად, უყვართ ლუდი არყით, ისევე, როგორც თბილისში, სახინკლეებში. ალბათ, თვითმფრინავები იფრენენ უფრო ხშირად, „ბორჯომსაც“ უფრო ხშირად დალევენ და ღვინოსთან მიმართებაშიც რაღაც მოხდება, მაგრამ არანაირ შემხვედრ სერიოზულ ნაბიჯებს მოსკოვი, ჩემი აზრით, ივანიშვილის მისამართით არ გადადგამს.

**– თეორიულად ვიმსჯელოთ: თუ აღმოჩნდება, რომ ივანიშვილს მყარად უჭირავს ძალაუფლების სადავეები? ეს იქნება მომგებიანი რუსეთისთვის თუ მაინც სააკაშვილია უფრო მოსახერხებელი პარტნიორი, რომელთანაც „ბორჯომის“ დალევის აუცილებლობაც არ იქნება?**

– რუსეთს სერიოზული გეგმები აქვს ამიერკავკასიასთან მიმართებაში. სიტუაცია იქ არ არის მშვიდი და ეს არ უკავშირდება მხოლოდ საქართველოს: ყარაბაღის კონფლიქტი, ირანი, იქვეა თურქეთი და არცთუ შორს – სირია. რუსეთისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია, აღადგინოს დომინირება მთელ რეგიონში და არა მხოლოდ საქართველოში. გეოგრაფიულად, რა თქმა უნდა, საქართველო ძალიან მნიშვნელოვანი ტერიტორიაა, მაგრამ ჩვენ გვაქვს პრობლემა აზერბაიჯანთან, ჩვენი სამხედრო ანკლავი სომხეთი მოწყვეტილია რუსეთისგან. რეგიონში ვითარება შესაძლოა, გამწვავდეს ზაფხულისთვის და, რა თქმა უნდა, მოსკოვისთვის ხელსაყრელი იქნებოდა, დაალაგოს ურთიერთობა საქართველოსთან, თუნდაც, იმ კუთხით, რომ სამხედრო ტრანზიტის გარანტია მაინც ჰქონდეს საქართველოს ტერიტორიის გავლით; მიიღოს გარანტია, რომ იქ არ განლაგდება „ნატოს“ ბაზები. ამაზე, ალბათ, შესაძლებელია, მოლაპარაკების გამართვა საქართველოს ხელისუფლებასთან, თუ, ჯერ ერთი, ცხადი იქნება, რომ საქართველოს ეს ხელისუფლება მზადაა, მიიღოს გადაწყვეტილებები და მათ შორის, არც ისე პოპულარული საქართველოში. მოსკოვში არ იციან, არის თუ არა ამაზე წამსვლელი ივანიშვილი და მისი კოალიცია, ამიტომაც არის ასეთი თავშეკავებული მოსკოვის დამოკიდებულება.

მათ უნდა დაამტკიცონ, რომ შეუძლიათ ხელისუფლებაში დარჩენა, რქების მომსხვრევა სააკაშვილისთვის და ამის შემდეგ შესაძლებელი იქნება მოლაპარაკებები პრინციპულ საკითხებზე. საერთო ჯამში, რუსეთისთვის მთავარი პრინციპული საკითხია რეგიონში დომინირება და ამიერკავკასიიდან კონკურენტი „დერჟავების“ გაძევება.

**– მაგრამ საქართველოს, ასევე, აქვს თავისი პრინციპული ინტერესები.**

– ფორმალურად, ესენია აფხაზეთი და „იუჟნაია ოსეტია“, მაგრამ ესეც შედარებითია. მაგალითისთვის შეიძლება, მოვიტანოთ რუსი დიპლომატების ამასწინანდელი გამონათქვამები, რომ, თუ მოლდოვას უცებ „ნატოში“ შესვლა მოუნდება, რუსეთი აღიარებს დნესტრისპირეთის დამოუკიდებლობას.

**– გამოგვადგება ეს მაგალითი? რუსეთმა უკვე აღიარა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობა. ასე რომ, ასეთი შანტაჟი აღარ გამოვა.**

– ეს არ არის შანტაჟი.

**– დავარქვათ ვაჭრობა.**

– ეს პრინციპული მიდგომაა. თუ გარანტირებულად არ მიდიხარ „ნატოში“, მაშინ ჩვენც გაძლევთ გარანტიას, რომ მოვძებნით ფორმულას, რომელიც ფორმალურად მაინც შეინარჩუნებს მოლდოვას ტერიტორიულ მთლიანობას. ხოლო, თუ მოლდოვა არ მიდის „ნატოში“, არანაირი ტერიტორიული მთლიანობა არ იქნება. რუსეთის პრინციპული დამოკიდებულებაა პოსტსაბჭოთა სივრცისადმი: თუ „ნატოსკენ“ ხარ, ესე იგი, მტერი ხარ, მტერს კი ვექცევით, როგორც მტერს. თუმცა მოლაპარაკება მაინც შეიძლება, მაგრამ ყოველგვარი ხელშესახები კომპრომისების გარეშე. ოღონდ ამას არავინ გეტყვით პირდაპირი ტექსტით, მაგრამ, თუ თქვენ პირდაპირ იტყვით, რომ არ მიდიხართ „ნატოსკენ“, მაშინ შესაძლოა, რაღაც ფორმულები მოიძებნოს აფხაზეთთან და „იუჟნაია ოსეტიასთან“ მიმართებაში. ვიმეორებ, ამას პირდაპირ არ იტყვის არც ერთი რუსი დიპლომატი, მაგრამ მოსკოვის რეალური პოზიცია ასეთია.

**– მეც ვიმეორებ, ჩვენი რეგიონები უკვე აღიარებულია?**

– მოლდოვასთან ლაპარაკია კონფედერაციასა თუ რაღაც სხვა ფორმალურ ფორმაზე. თუმცა მე არ ვარ დარწმუნებული, რომ მოსკოვი მზად არის ასეთი ლაპარაკისთვის. ისინი არაფერს იტყვიან მანამ, სანამ არ დარწმუნდებიან, რომ მეორე მხარე მზადაა ასეთი გადაწყვეტილებებისთვის. მოსკოვი დაელოდება, რა მოხდება თქვენთან. საქმე მხოლოდ ის არ არის, სტაბილურად იქნება თუ არა „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში, არამედ იმაზეცაა დამოკიდებული, შეუძლია თუ არა „ოცნებას“ იმის მოცემა, რაც გვჭირდება. ისევ ვიმეორებ, პირდაპირ ამაზე არავინ ილაპარაკებს, იმიტომ რომ ამას არ წყვეტენ დიპლომატები, ეს უკვე ბატონ პუტინთან სალაპარაკო საკითხებია. მაგრამ ჯერ

ჟურნალ „თბილისელების“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს ზვიად სებისკვერაძეს სიმამრის

**გურამ (გულიკო) ჭელიძის**

გარდაცვალების გამო.

მასთან ლაპარაკიც ადრეა, რადგან მანამდე პუტინის ნდობის მოპოვებაა საჭირო. შეიძლება, ივანიშვილმაც ერთი თქვას და მეორე გააკეთოს. პუტინმა უნდა დაიჯეროს, რომ ივანიშვილი „პრავილნი პაცან“ და მასთან მოლაპარაკება შეიძლება.

**– თქვენი აზრით, რა კომპრომისზეა წამსვლელი მოსკოვი? თუ ტერიტორიებს ვერ დავიბრუნებთ ან ფორმალურად დავიბრუნებთ, რატომ უნდა ვთქვათ უარი „ნატოზე“? გავაბრაზოთ მაინც რუსეთი.**

– მაშინ კონტაქტებს საკმაოდ ფორმალური ხასიათი ექნება: ვილაპარაკებთ, „ბორჯომს“ შემოვუშვებთ, მაგრამ ის, თუ რა მოხდება შემდეგ, უკვე ქართულ მხარეზეა დამოკიდებული. მე კი არ ვფიქრობ ასე, ასეთია მოსკოვის აზრი.

**– თქვენი აზრი როგორია?**

– რადგან დიდად არ მჯერა პუტინის დღევანდელი რეჟიმის გამძლეობის, რომელსაც აქვს მზარდი შინაგანი პრობლემები, არც ისე ნათელია, რა იქნება მომავალში რუსეთში. პუტინი რთულ ვითარებაშია: არასტაბილური ვითარებაა არა მხოლოდ საქართველოში, ამიერკავკასიასა თუ ახლო აღმოსავლეთში, არამედ პოლიტიკური არამდგრადობაა რუსეთის შიგნით, რაც გამორიცხავს დიპლომატიურ გარღვევას.

**– ჩვენ ვილაპარაკეთ რუსეთისა თუ საქართველოს ინტერესებზე, მაგრამ არ გვიხსენებია აშშ, პროცესების ერთ-ერთი მთავარი მონაწილე. ერთია, რომ რუსეთს უნდა თავის წიაღში საქართველოს დაბრუნება, მაგრამ მეორე საქმეა, არის თუ არა აშშ მზად, თავისი წიაღიდან კონკურენტისაში გაუშვას საქართველო, სადაც ამდენი რესურსი დახარჯა?**

– არ მგონია, რომ დღეს საქართველო სერიოზული ფაქტორი იყოს ვაშინგტონის საგარეო პოლიტიკისთვის. მიუხედავად იმისა, რას ფიქრობენ თბილისსა და მოსკოვში, არც თბილისი და არც მოსკოვი ვაშინგტონის პოლიტიკურ პროცესებში ფაქტორი არ არის. მათ ამისთვის არ სცალიათ. მოუწევთ საგარეო ვალის ზედა ზღვრის აწევა, ასევე, სხვა პრიორიტეტები აქვთ საერთაშორისო პოლიტიკაშიც. მათთვის მნიშვნელოვანია დიდი ახლო აღმოსავლეთი, საქართველო და ამიერკავკასიაც, მაგრამ მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ ესაზღვრებიან ახლო აღმოსავლეთს. საქართველოს წვლილს ავღანეთში მიესალმებიან, მაგრამ ავღანეთის ოპერაცია სრულდება და ამიტომაც ეს ფაქტორი ნაკლებად მნიშვნელოვანი ხდება. ამერიკას ჩინეთთან აქვს პრობლემა, ერთი სიტყვით, ბევრი მნიშვნელოვანი საკითხია. არ ვიტყვი, რომ ფეხებზე ჰკიდიათ, მაგრამ საქართველო არც ისე მნიშვნელოვანია მათთვის. ნათლად ითქვა დასავლეთში, რომ ხელისუფლების მოქმედება სააკაშვილისა და მისი გარემოცვის მიმართ უარყოფითად აღიქმება და, თუ ეს პროცესები მომავალშიც ასე განვითარდება, შეიძლება, საქართველო უბრალოდ გადააგდონ.

**– არ მგონია.**

– იქ არის ქვეყნები, გერმანია და სხვები, რომლებსაც არ უნდათ საქართველოს ხილვა „ნატოში“ და, თუ ქართული პოლიტიკა მათ მისცემს მიზეზს, კონსენსუსი გამოიმუშაონ თემაზე, რომ დღევანდელი ხელისუფლება არ ჯდება მათ კრიტერიუმებში, მაშინ ისინი იტყვიან, დავიცდით, სანამ თქვენ გაარკვევთ ქვეყნის შიდა ვითარებასო.

**– აქ ერთი საინტერესო მომენტია: საფრანგეთი და გერმანია იყვნენ საქართველოს „ნატოში“ გაწევრიანების წინააღმდეგნი და მიზეზი იყო საქართველო-რუსეთის დაპირისპირება, რუსეთის სურვილი, რომ „ნატოს“ გაფართოებისთვის ხელი შეეშალა და არა დემოკრატიის ხარისხი საქართველოში, რომელიც მაშინაც ვერ უძლებდა კრიტიკას.**

– დემოკრატიული პრინციპები დასავლეთისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ხდება, თუ ქვეყანა არ არის საკვანძო სტრატეგიული მნიშვნელობის. თუ მომავალში დემოკრატიული წაფორთხილებები იქნება, მაშინ არანაირი „ნატო“ არ იქნება. ანუ ჯერჯერობით თქვენ „ნე პოდხოდიტე“.

**– ფიქრობთ, აქამდე „პოდხოდილი“?!**

– საბაბი ეძლევათ. დასავლურ კლუბებში ეს მნიშვნელოვანი მომენტია. თურქეთი და საბერძნეთი იქ უკვე არიან და მათი გარიცხვა გამორიცხულია, მაგრამ დამატებითი წევრების არმიღება შეიძლება. რაღაც მინიმალურ კრიტერიუმებს უნდა პასუხობდე.

**– „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობისას პასუხობდა საქართველო იმ რაღაც კრიტერიუმებს?**

– მე ვლაპარაკობ იმიჯზე. ახლა საქართველოს არც ისე კარგი იმიჯი აქვს. ასე რომ, როდესაც ლაპარაკობთ, გაგვიშვებს თუ არა აშშ, საქართველოს დიდად არავინ ჩაეჭიდება, თუ ქართველებს წასვლა მოუნდებათ. საქართველო არ არის აშშ-სთვის ისეთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი, რომ მის გამო თავი გაიგიჟონ. უფრო დაბალ დონეზე წყდება ქართული საკითხი.

**– თქვენ როგორ ელით, წინასწარმეტყველებთ არეულობას საქართველოში?**

– მე მოსკოვში ვარ და ჩემთვის არ არის ზუსტად ცნობილი, რა ხდება საქართველოში, მაგრამ გარშემო სიტუაცია სახარბიელო არ არის: ომის სუნი კარგა ხანია ასდის იქაურობას. ყარაბაღში ვითარება დაძაბულია, ამას ემატებიან სირია და ირანი. ძალიან ახლოსაა თქვენგან განლაგებული ამერიკული ბირთვული რაკეტები, თურქეთის ტერიტორიაზე, იქვეა თურქული თვითმფრინავები, რომლებმაც ეს ბომბები უნდა ჩამოყარონ. რა თქმა უნდა, რეგიონის დაძაბულობა საქართველოზეც აისახება და რუსულ-ქართულ ურთიერთობებზეც. ჩვენ არ ვიცით, ეს სად და როდის მოხდება, მაგრამ მომავალი ბუნდოვანი და სახიფათოა.

**ნინო ხაჩიძე**

სენადე

მცენარეული პრეპარატი




შემადგენლობა: თითოეული ტაბლეტი შეიცავს სენას ექსტრაქტს.

ჩვენებები: სენადე ნაჩვენებია მოზრდილებსა და ბავშვებში ყაბზობის დროს.

სიფრთხილის ზომები: სიფრთხილით მიიღეთ ნაწლავის ანთებითი დაავადების დროს. ხანგრძლივი გამოყენება არაა რეკომენდებული.

ორსულობა და ლაქტაციის პერიოდი: ორსულობისა და ლაქტაციის პერიოდში გამოიყენება მხოლოდ სარგებელი რისკის თანაფარდობის შეფასების შემდეგ.

მიღების გზები და დოზირება: ბავშვები: 1-დან 12 წლამდე: 1 ტაბლეტი ძილის წინ, მოზრდილები: 1-3 ტაბლეტი ძილის წინ ან ექიმის რეკომენდაციის მიხედვით.

აფთიაქიდან გაცემის წესი: ურეცეპტოდ

* გამოყენების წინ გაეცანით გამოყენების ინსტრუქციას
* გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

აფთიაქი TITANI ქარხანა ციპლა

თბილისი. ალ.ყაზბეგის ქუჩა №14 ☎ 238-28-40; 238-88-71; 231-11-32

**პოლიტიკური ცხოვრება ბუნებრივად ითვალისწინებს კონკურენციას, ოპონენტების განეიტრალებას და მათ გადაბირებასაც კი. იმ მარტივი მიზეზით, რომ ქართულ პოლიტიკურ სცენაზე, ძირითადად, ერთი და იგივე სახეები ტრიალებენ, არჩევანი, მაინცდამაინც, დიდი არ არის. რა მოტივით ერთიანდებიან ხოლმე საარჩევნოდ ქართველი პოლიტიკოსები, რა პრინციპით იქმნება საქართველოში პოლიტიკური პარტიები თუ ბლოკები და ოპონენტების დათრევის რა მეთოდები გამოიყენება საქართველოში პირველი ხელისუფლებიდან დღემდე მოყოლებული, თემას პოლიტტექნოლოგიების სპეციალისტთან, კახა კახიშვილთან, ერთად განვიხილავთ.**

# რით ჰგვანან ქართველი პოლიტიკოსები განათხოვარ ქალებს და პოლიტიკური ოპონენტების დათრევის რა მეთოდები გამომუშავდა საქართველოში

– გამსახურდიას დროს ცოტა სხვა ვითარება იყო. არსებობდა კომუნისტური რეჟიმი და ის ხალხი, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობას ითხოვდნენ. ამ იდეით გაერთიანდა ერის ძალიან დიდი ნაწილი და გამსახურდიას დაუდგნენ მხარში. რაც შეეხება მომდევნო პერიოდს: ის ადამიანები, რომლებიც გამსახურდიას დროს არ იყვნენ აღჭურვილი იმ დონის ძალაუფლებითა და პრივილეგიით, რაც სურდათ, რასაც დაემატა ხელისუფლების შეცდომები, გადავიდნენ მის ოპოზიციაში. შემდგომ ჩამოყალიბდა პარტიები და ჩვენთან რეგისტრირებული პარტიების რაოდენობა ბევრად აჭარბებს დემოკრატიულ ქვეყნებში პარტიების რაოდენობას. ისე მოხდა, რომ ყველა პოლიტიკოსს საკუთარი პარტია ჰქონდა დარეგისტრირებული, რომელშიც მისი მეგობრები შეუცვლელი თანამებრძოლები იყვნენ. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, იგებდა თუ აგებდა ეს პარტია არჩევნებს, თავმჯდომარე არ იცვლებოდა. დღესაც ასე გრძელდება და რეალურად პარტიების შიგნით დემოკრატია არც ადრე იყო და არც ახლა არის.

რაც შეეხება გადასვლა-გადმოსვლას: სამწუხაროდ, ჩვენთან ძალიან ცოტაა ადამიანი, რომელიც პარტიაში წევრიანდება იდეურად. ძირითადად, პარტიაში წევრიანდებიან იმის გამო, რომ ამ პარტიიდან შესაძლებელია, გახდეს თანამდებობის პირი, პრივილეგიით ისარგებლოს, საპარლამენტო სიაში მოხვდეს ან მაჟორიტარად იყოს წარდგენილი პარტიიდან. იდეები პარტიებსაც ნაკლებად აინტერესებთ, რადგან მათი ძირითადი ორიენტირი ძალაუფლების ხელში ჩაგდებაა. ამიტომ მმართველ პარტიაში გაწევრიანების მსურველი უფრო მეტია, ვიდრე ოპოზიციურ პარტიაში გაწევრიანების მსურველი, ოღონდ იმ პერიოდში, როდესაც მმართველი პარტია ძლიერია. თორემ, როდესაც მმართველი პარტია იშლება, ყველა ეძებს დასაყრდენს ძლიერ ოპოზიციურ პარტიაში. სამწუხაროდ, საქართველოში ასეთი სახით ჩამოყალიბდა პოლიტიკური პარტიები: შეუცვლელი თავმჯდომარეები, შეუცვლელი პარტიის ლიდერები, შუცვლელი სახეები, რომლებიც ცდილობენ, რომ ახალი პოლიტიკური სახე არ გამოჩნდეს.



**როდესაც ისინი ჩათვლიან, რომ ბიძინა ივანიშვილი საჭირო აღარ არის და მათ აქვთ გარანტია, მის გარეშეც გადალახონ ბარიერი, დაიწყებენ ბიძინა ივანიშვილის კრიტიკას**

**– დასავლეთში როგორ არის? როგორც ვაკვირდები, იქაც შეუცვლელი ლიდერები ჰყავთ თითქოს.**

– დასავლეთშიც იგივე სიტუაციაა, მაგრამ იქ მაღალია შიდა დემოკრატიის დონე. ვიცით, რომ პრაიმერები ტარდება, სანამ პარტია კონკრეტულ კანდიდატს დაასახელებს რომელიმე არჩევნებზე. თუ ჩვენს ბოლო საპარლამენტო არჩევნებს გავიხსენებთ, მიუხედავად იმისა, რომ ყველა, ვისაც ყელში ამოუვიდა მიშას მმართველობა, ოპოზიციურ პარტიაში წევრიანდებოდა, შიდა დემოკრატია მაინცდამაინც არც იქ იყო. საპარლამენტო სია თუ მაჟორიტარობის კანდიდატები არ განუხილავთ ყრილობაზე. ანუ კოალიციის ელიტამ გადაწყვიტა, ვინ რომელი უნდა ყოფილიყო სიაში, რომელ პარტიას რამდენი კვოტა უნდა ჰქონოდა და ასე შემდეგ. ამავდროულად, ჩვენს პარტიებში არ არსებობს პარტიული წინსვლის პერსპექტივაც. ამიტომაც ცდილობენ პარტიების წევრები, რომ, როგორც კი პარტია არჩევნებში დამარცხდება, სხვა ძლიერ პარტიაში გადავიდნენ. დღესაც იგივე ხდება: ბევრი ადამიანი, რომელიც იყო „ნაციონალური მოძრაობის“ აქტიური მხარდამჭერი, დღეს ეძებს კავშირებს „ქართულ ოცნებასთან“, რომ რამენაირად გაწევრიანდეს იმ პარტიაში. რატომ? იმიტომ რომ შეინარჩუნოს ის თანამდებობა, პოზიცია, რომელიც აქვს; შეინარჩუნოს ბიზნესი, ან იმიტომ, რომ მომავალში იმ პარტიამ ის წარადგინოს რომელიმე თანამდებობაზე, გახდეს საკრებულოს ან პარლამენტის დეპუტატი.

**– ამომრჩეველი რას აძლევს, აბა, ხმას?**

– მხოლოდ პარტიულ ლიდერს უჭერს მხარს. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები, ჩემი აზრით, იყო არჩევნები: მე მინდა მიშა და მე არ მინდა მიშა.

**– და არა: მე მინდა ბიძინა ან მე არ მინდა ბიძინა? მაინც მიშა იყო მთავარი?**

– მიშა იყო მთავარი, იმიტომ რომ ბოლო 8 წლის მმართველობის შედეგად ხალხმა ძალიან კარგად გაიგო ტექნოლოგიები, რომლებითაც მიშა სარგებლობდა და არ გახლიჩა ხმები ოპოზიციურ პარტიებს შორის. თუმცა ზოგმა ოპოზიციურმა პარტიამ თავადვე განაცხადა უარი არჩევნებში მონაწილეობაზე.

**– ანუ ისევ ვინმესთვის არას თქმაა არჩევნების მოტივი?**

– დიახ, იმიტომ რომ ჩვენთან არ არსებობს კლასიკური პარტიები. პარტიები, ძირითადად, ორიენტირებულნი არიან ისეთ ლოზუნგებზე, რომლებიც მოსახლეობას იმწუთას მოსწონს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, პარტიის ლიდერებმა წინასწარ არ იციან, რომ არ განახორციელებენ იმის 80 პროცენტს, რასაც ჰპირდებიან ამომრჩეველს.

**– მაკიაველიც ასწავლის პოლიტიკოსებს, დაჰპირდით, რაც შეიძლება, ბევრს და იცოდეთ, რომ იმ დაპირებების უმეტეს ნაწილს ვერ შეასრულებთო.**

– მაკიაველის სიტყვას აჰყვნენ ჩვენი პოლიტიკოსები და ძალიან ბევრს გვატყუებენ.

**– შევარდნაძის დროს მომხრეების შენარჩუნების მეთოდი იყო კომპრომატები, ეს მეთოდი ახლაც მუშაობს?**

– ალბათ, თქვენ გულისხმობთ შევარდნაძის მმართველობის პირველ წლებს, რადგან ბოლო წლებში შევარდნაძის გუნდი არ ყოფილა ერთიანი. ჩვენ დღეს, როდესაც „ნაცმოძრაობაზე“ ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ისინი შევარდნაძის დროსაც იყვნენ ხელისუფლებაში და ზუსტადაც მათ მოახერხეს ხალხის მოტყუება იმით, რომ თითქოსდა გაემიჯნენ შევარდნაძეს, მაგრამ რეალურად ჩამოყალიბდნენ ხელისუფლების უზურპატორებად. ადამიანებმა, რომლებიც თითქოსდა ხელისუფლებაში მოვიდნენ ხმების დაცვის მოტივით, ვერ უზრუნველყვეს ვერც ერთი არჩევნების ჩატარება, რომლებიც ახლოს იდგა 2003 წლის არჩევნების შედეგებთან, როდესაც ექვსი პოლიტიკური სუბიექტი შევიდა პარლამენტში და არც ერთს არ ჰქონდა საკონსტიტუციო უმრავლესობა. მეტიც, სამი ძალის გაერთიანებაც კი არ იყო საკმარისი საკონსტიტუციო უმრავლესობის უზრუნველსაყოფად. მაშინ, როდესაც ადამიანები, რომლებიც რევოლუციურ ტალღასა და ხმის დაცვის მოტივით მოვიდნენ ხელისუფლებაში, თავის მიერ ჩატარებული არჩევნების შედეგად ყოველთვის მოიპოვებდნენ საკონსტიტუციო უმრავლესობას. ამდენად, თუ დღეს ვინმე სხვას აკრიტიკებს, სულაც არ ნიშნავს, რომ რამეს იმ სხვაზე უკეთ გააკეთებს, როდესაც ხელისუფლებაში მოვა. ის აკრიტიკებს მხოლოდ იმიტომ, რომ მოვიდეს ხელისუფლებაში და შემდგომ ავიწყდება ყველაფერი. ამის სიმპტომები, სამწუხაროდ, დღესაც არის.

**– მმართველმა ძალამ უკვე თქვა, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობა აღარ არის მათთვის პრობლემა: რა ტიპის ყიდვა-გაყიდვა მოსულა ქართულ პოლიტიკაში?**

– პოლიტიკაში ვაჭრობაც მოსულა, ყიდვა-გაყიდვაც, დაპირებების სანაცვლოდ ხმების მოპოვებაც. ეს არის ის ბინძური პოლიტიკა, რომელიც ჩამოყალიბდა საქართველოში და რომლის გაკეთილშობილებასაც, მიუხედავად დიდი სურვილისა, ვერ ვახერხებთ. მოდი, ვთქვათ, რამდენი დეპუტატი გვყავს დღეს, რომლებიც იდეურად არიან გაერთიანებულნი? „ქართულ ოცნებაში“ შემავალ პარტიებს სულ სხვადასხვა შეხედულებები აქვთ. ისინი გაერთიანდნენ ბიძინა ივანიშვილის გარშემო არა იმიტომ, რომ ძალიან უყვართ ან ენდობიან მას, არამედ იმიტომ, რომ 5-პროცენტიანი ბარიერის გადალახვის სხვა შანსი არ ჰქონდათ. მათ ტაქტიკური სვლა გააკეთეს, რომ პარლამენტში მოხვედრილიყვნენ და შემდეგ გაეძლიერებინათ საკუთარი პარტია თანაპარტიელების დანიშვნით აღმასრულებელ ხელისუფლებაში. მათ შორის, ჩემი აზრით, მიდის შიდა კონკურენცია, ვინ რამდენ ადამიანს გაიყვანს საკუთარი პარტიიდან აღმასრულებელ ხელისუფლებაში. ამით ცდილობენ ბერკეტების ხელში აღებას, რომ გაიმაგრონ ხელისუფლებაში პოზიციები და შემდგომ არჩევნებს მოძლიერებულები შეხვდნენ. ჩვენ ვხედავთ, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის იმ კვოტების სათავისოდ გამოყენებასაც ცდილობენ, სადაც პროფესიული ნიშნით უნდა დაინიშნონ ადამიანები. იქაც საკუთარი პარტიის წარმომადგენლების დანიშვნას ცდილობენ. ეს ყველაფერი მიდის იქამდე, რომ, როდესაც დრო მოვა და ისინი ჩათვლიან, ბიძინა ივანიშვილი საჭირო აღარ არის და მათ აქვთ გარანტია, მის გარეშეც გადალახონ ბარიერი, დაიწყონ ბიძინა ივანიშვილის კრიტიკა. ამის სიმპტომები უკვე ჩანს, მათ შორის, იმ განცხადებაშიც, რომ შესაძლოა, კოალიციას პრეზიდენტობის რამდენიმე კანდიდატი ჰყავდეს.

**– იმდენად აუტანელი იყო მონოლითური უმრავლესობის ყურება ამდენი წლის განმავლობაში, იქნებ უკეთესიც იყოს, თუ კოალიცია ფოლადივით ერთიანი არ იქნება?**

– შეიძლება, ჯობია, მაგრამ ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას. თუ შენ საპირისპირო აზრი გაქვს, ის უნდა გამოთქვა ახლავე და არა ხვალ, როდესაც პოზიციები გამაგრებული გექნება. ის, ვინც ვერ მიიღებს ბიძინა ივანიშვილისგან გარანტიებს საპრეზიდენტო კანდიდატთან დაკავშირებით, კვოტებს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის, წავა და აღარავის გაახსენდება ბიძინა ივანიშვილისთვის მადლობის თქმა იმისთვის, რომ გადალახვინა 5-პროცენტიანი ბარიერი. ამდენად, არ არის გამორიცხული მის კრიტიკოსებად მოგვევლინონ. დღესაც ვუყურებთ იმ პოლიტიკურ სპექტრს, რომლებსაც 15 წელია, ვუყურებთ. ისინი ან ერთმანეთის გვერდით დგანან,

# ალექსიშვილის კლინიკა

## ხერხემლისა და სახსრების დაავადებების მკურნალობა ეფექტური და სწრაფი მეთოდით

**ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის თიაქარი) სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა, სქოლიოზი – აი, იმ დაავადებების არასრული სია, რომლებსაც ექიმი მანანა ალექსიშვილი უსწრაფესი ეფექტით მკურნალობს. მას მკურნალობის საკუთარი, უნიკალური მეთოდი აქვს, რომლითაც მინიმალურ ვადებში იღებს საოცარ შედეგს და უამრავ იმედგადაწურულ ავადმყოფს უბრუნებს სიცოცხლის ხალისს.**

**ცირა გვიშიანი** *(44 წლის, პედაგოგი. თბილისი).*
**დიაგნოზი**: ხერხემლის გავრცელებული ოსტეოქონდროზი.

– პირველ ყოვლისა, თქვენი ჟურნალის ფურცლებიდან მინდა მივულოცო შობა-ახალი წელი მანანა ექიმს, მის ვაჟიშვილს – სოსო ექიმს და მთელ კოლექტივს! ვუსურვო უფლის წყალობა და წარმატება ყველაფერში.

მინდა გითხრათ, რომ 44 წლის ასაკში თავი ინვალიდად ჩავთვალე, გამოჯანმრთელების ყოველგვარი იმედი დავკარგე და თითქმის ლოგინს მივეჯაჭვე. ვერ გეტყვით, კონკრეტულად რა მაწუხებდა, მტკიოდა აბსოლუტურად ყველაფერი: ხერხემალი, სახსრები, კუნთები, ხელები, ფეხები... ტკივილით ვიღვიძებდი და ვიძინებდი, თუ ამას ძილი ერქვა. სამი წელია, დამეწყო და ნელ-ნელა დავმძიმდი, ბოლოს კი... ქვეყნის წამლები ვსვი, ნემსები ვიკეთე, მასაჟები, მალამოები – ვინც რა მასწავლა, ყველაფერს ვაკეთებდი. შედეგი რამდენიმე საათში დგებოდა და მერე ყველაფერი თავიდან იწყებოდა.

ქალბატონ მანანასთან თქვენი ჟურნალის დახმარებით მოვხვდი. პირველივე პროცედურამ გასაოცარი შედეგი მომცა: ღამით მშვიდად მეძინა და, დილით რომ ავდექი, თავი სიზმარში მეგონა – თავისუფლად ჩავიცვი, გავიარე... მერე და მერე კიდევ უკეთესობა დამეტყო. მომიწესრიგდა წნევაც. უკვე 12 დღეა, ვმკურნალობ. ამ ხნის განმავლობაში ტკივილი აღარ განახლებულა, ინვალიდობაზე პანიკური შიში მომეხსნა. ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!



**რეზო ამაშუკელი** *(ინჟინერი, 58 წლის. თბილისი).*
**დიაგნოზი**: პოდაგრული პოლიართრიტი.

– ეს დაავადება დიდი ხანია, მაწუხებს. ხშირად მიმწვავდება ტკივილი, რომელსაც ლამის კედლებზე ავყავარ ხოლმე. ხან კოჭები მტკივა, ხან მუხლები, ბოლოს მაჯები და თითებიც ჩაერთო. ალექსიშვილის კლინიკას მოვაკითხე. ისეთ დღეში ვიყავი, ლამის ვტიროდი ტკივილის გამო. არ დაიჯერებთ, ალბათ, მაგრამ, ასე მოხდა – რამდენიმე საათში შვება ვიგრძენი, ტკივილმა და შესიებამ უკან დაიხია, მეორე დილით კი მინიმუმ 60-70 პროცენტი ალაგებული იყო ყველაფერი. დღეს მეხუთე დღეა, ჩვეულებრივ დავდივარ, მაჯებიც აღარ მტკივა, არც თვალით ემჩნევა შესიება. მოკლედ, ისე ვარ, როგორც ჯანმრთელ კაცს შეეფერება.

გაიხარეთ, მრავალ ახალ წელს დაესწარით, ქალბატონო მანანა, უღრმესი მადლობა დახმარებისთვის!

# ბუასილი მარტივად იკურნება

**მტკივნეული კვანძები, სისხლდენა, წვა, ქავილი – თემის დელიკატურობის გამო პაციენტები ხშირად ერიდებიან ექიმთან დროულად მისვლას, დაავადება კი უფრო მძიმდება და საქმე ქირურგიულ ჩარევამდე მიდის. „ალექსიშვილის კლინიკაში“, სადაც ექიმი დედა-შვილი ქალბატონი მანანა და ბატონი სოსო მოღვაწეობენ, ბუასილს მარტივად, არაქირურგიული გზით მკურნალობენ. მათ მეთოდს საოპერაციო შემთხვევების დიდი უმრავლესობა ექვემდებარება.**

**დათო ვაშალომიძე** *(35 წლის, კერძო ბიზნესი. ბათუმი).*

– ისე გამამწარა ამ ავადმყოფობამ, ბათუმიდან აქ ჩამოვედი. მქონდა საშინელი ტკივილები, სისხლდენა, დიდი ზომის კვანძები, შეკრულობა. პირველივე კურსზე მომიწესრიგდა ეს ყველაფერი, დამრჩა მხოლოდ შემცირებული ზომის კვანძები, რისთვისაც მეორე კურსის მალამოები მიმაქვს. მომიწესრიგდა კუჭ-ნაწლავის პრობლემებიც და ეს ყველაფერი ნატურალური, მცენარეული საშუალებების წყალობით მოხდა.

**თინათინ ალექსიძე** *(32 წლის, დიასახლისი. თბილისი).*

– მოვედი ნაპრალის დიაგნოზით. მქონდა წვა, ტკივილი, ქავილი, ზოგჯერ სისხლდენაც. ყოველი დეფეკაციის შემდეგ ტკივილი 6-7 საათს გრძელდებოდა. მქონდა დისბაქტერიოზიც (შეკრულობა). ძალიან კმაყოფილი ვარ მკურნალობის. პირველი კურსის პირველივე დღეებში მომეხსნა ტკივილები, მერე გაქრა ქავილი და საათივით ამეწყო კუჭ-ნაწლავის მუშაობა. არ ვიცი, რა ვთქვა მადლობის მეტი. მკურნალობას ბოლომდე მივიყვან და მანანა ექიმს არ დავკარგავ.

გილოცავთ შობა-ახალ წელს, მრავალს დაესწარით!

***მისამართი: მეტრო „ნაძალადევთან“, ცოტნე დადიანის ქუჩა №87 (ყოფილი რკინიგზის პოლიკლინიკა); კაბინეტი №18; №19. მიღება 12-დან 16 საათამდე, წინასწარი ჩაწერით. ტელეფონები: 599-10-06-36; 599-57-16-99.***

**თამუნა ნიჟარაძე**


ან ერთმანეთის კრიტიკოსებად გვევლინებიან და მთელი პოლიტიკური სპექტრი გაღიზიანებით ხვდება ახალ სახეს.

**– ერთ დროს იყო ასეთ გამონათქვამი, თბილისში ერთი და იგივე ქალები თხოვდებიან, მთავარია, წრეში ერთხელ მაინც მოხვდეო, დაახლოებით, იგივე ლოგიკა ვრცელდება პოლიტიკოსებზეც, მთავარია, წრეში მოხვდნენ ერთხელ და ამის შემდეგ ტრიალებენ და ტრიალებენ დაუსრულებლად სხვადასხვა პარტიასთან ერთად?**

– დიახ... მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთის მიმართ დიდი სიმპათიები არ აქვთ, დიდი სიამოვნებით ერთიანდებან, რომ ახალი სახე ბოლომდე ჩაძირონ, რომ კონკურენტი არ ჰყავდეთ. ძირითადად, რატომ იშლება ხოლმე ნებისმიერი ბლოკი? იმიტომ რომ ვერ იყოფენ კვოტებს. როგორც წესი, ჩვენთან ფინანსებისა და კვოტის გამო იღებენ პოლიტიკოსები გადაწყვეტილებებს.

**– მაინც რამ დაარღვია „ნაცმოძრაობის“ მონოლითურობა?**

– „ნაცმოძრაობა“ იყო ძლიერი, სანამ ხელისუფლება იყო. ეს არ ნიშნავდა, რომ მათ შორის არ არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა, იმიტომ რომ იქ ყოველთვის მოქმედებდა რამდენიმე ფრთა: ლიბერალები ბოკერიას თამადობით; მერაბიშვილის გუნდი და სადღაც შუაში – ადეიშვილი, რომელიც არც ერთთან არ იფუჭებდა ურთიერთობას და, იმავდროულად, ორივე მხარის აქტივისტებს აკონტროლებდა, მაგრამ მათ აერთიანებდა მიშა სააკაშვილი. ის პროფესიულად ართმედა თავს იმას, რომ „ნაცმოძრაობა“ არ დაშლილიყო, მიუხედავად ამ ორ გუნდს შორის არსებული დაპირისპირებისა. მიშა სააკაშვილი სახელისუფლო ბერკეტების მეშვეობით, პროკურატურისადმი შიშის მეშვეობით, მათთვის ბიზნესის წართმევის შიშით კრავდა იმ წრეს. მაგრამ მას შემდეგ, რაც „ნაცმოძრაობა“ ხელისუფლებას ჩამოშორდა, ძალიან ბევრი ზრუნავს იმისთვის, რომ კავშირი მოძებნოს „ქართულ ოცნებასთან“.

**– როგორც მივხვდი, მოტივაცია სხვადასხვანაირია: ბიზნესის წილების დაკარგვის შიში, საკუთარი უსაფრთხოება, კიდევ?**

– თანამდებობები. ჩვენ ვნახეთ, რომ არჩევნების დასრულებისთანავე, პირველივე სხდომაზე ადამიანებმა, რომლებიც „ნაცმოძრაობის“ შეუცვლელი მხარდამჭერები იყვნენ, უფრო ადრე კი – შევარდნაძის მხარდამჭერები, მაჟორიტარებს ვგულისხმობ, განაცხადეს, რომ „ქართულ ოცნებას“ დაუჭერდნენ მხარს. რაც დრო გავა და „ოცნება“ გაძლიერდება, ეს წრე გაფართოვდება. იგივე ხდება აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც: ის ხალხი, რომლებიც სიამოვნებით ასრულებდნენ „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკური მმართველების მითითებებს, დღესაც სიამოვნებით ასრულებენ უკვე ახალი ხელისუფლების მითითებებს.

**– ეს, რბილად რომ ვთქვა, არაპროფესიონალების ჩვევაა, თუ უხეშად ვიტყვით – მონის. ვინ მოიაზრება „ნაცმოძრაობის“ ყველაზე მყარ ბირთვად, რომლებიც გადაბირებას არ ექვემდებარებიან?**

– ის, ვინც ყველასთვის მიუღებელია, რომლებსაც, მიუხედავად მათი სურვილისა, არ მიიღებენ მმართველ პარტიაში. მაგალითად, ბოკერიამ, მერაბიშვილმა, სააკაშვილმა, მაჭავარიანმა, წერეთელმა რომ თქვან კიდეც, გადავდივართო, მიიღებს მათ მმართველი პარტია?! ანუ მათ წინასწარვე იციან, რომ არ აქვთ დღევანდელ მმართველ რგოლში მოხვედრის არანაირი პერსპექტივა, ამიტომაც ისინი დარჩებიან „ნაციონალურ მოძრაობაში“. ამასთანავე, არ არის გამორიცხული, „ნაცმოძრაობამ“ მოახდინოს რებრენდინგი, თუმცა რთული სათქმელია, რამდენად გამოუვათ ვაჭრობის შედეგად პოლიტიკური ცხოვრების გახანგრძლივება. ეს დამოკიდებულია „ქართულ ოცნებაზე“.

**– იქნება თუ არა იმ ვაჭრობისას მუშტარი?**

– რამდენად მისცემს მათ საშუალებას „ქართული ოცნება“, რომ გამოიყენონ ის ბერკეტი, რაც აქვთ. თუ „ნაცმოძრაობას“ ბერკეტს წაართმევ, სავაჭროც აღარაფერი ექნებათ, ამიტომ ისინი შეეცდებიან, ამოატივტივონ ის ხალხი, რომლებიც პირდაპირ არ იყვნენ ასოცირებული „ნაციონალებთან“, მაგრამ იდეოლოგიურად მათთან კავშირში არიან. ისინი მოგვევლინებიან, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. და თქვენ ხედავთ ტენდენციას, რომ ყოფილი თანამდებობის პირები, რომლებიც გადაწყვეტილებას იღებდნენ, მინისტრის მოადგილეები თუ დეპარტამენტის უფროსები, აფუძნებენ არასამთავრობოებს. რადგან მათ არ იცნობს საზოგადოების ფართო წრე, ისინი დღეს გვარიგებენ ჭკუას და არ არის გამორიცხული, რომ 5-6 წლის შემდეგ დააფუძნონ რომელიმე პარტია, რომელიც თითქოსდა არანაირ კავშირში არ იქნება „ნაცმოძრაობასთან“, რომ მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში და გადალახონ ბარიერი. თუ „ქართული ოცნება“ დაუშვებს შეცდომებს, ერთმანეთს დაუპირისპირდებიან კვოტებისა და თანამდებობების გამო, არჩევნებში გამარჯვების უფრო მეტ საშუალებას მისცემენ რებრენდინგებულ პარტიას.

**ნინო ხაჩიძე**


ნდობის ტელეფონი
0902200200
SMS – 93094

ზარი ფასიანია

**ჯანდაცვის ახალი სადაზღვევო პაკეტის შესახებ ჯერჯერობით მხოლოდ ის ვიცით, რომ ის 1-ლი ივლისიდან ამოქმედდება და მშობიარობა, თავისი გამოკვლევებიანად, უფასო გახდება, რაც, უდავოდ, შეღავათია გაეროს პროგნოზის გათვალისწინებით (ჯერ ერთი, მომაკვდავი ერების კატეგორიას განვეკუთვნებით და 50 წელიწადში, თუ დღევანდელი ტემპებით განვაგრძეთ გამრავლება, უბრალოდ გავნახევრდებით). თუმცა ჯანდაცვის სექტორში არსებული არეულობისა და მძიმე სოციალური ფონის გამო ჯანმრთელობაც გვარიანად გვაქვს შერყეული და ჯანდაცვის დანახარჯიც საქართველოს მოქალაქეების გაღარიბების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. განსაკუთრებით, მძიმეა ვითარება მედიკამენტებთან მიმართებაში, რომელთა ხარისხიც ბევრ კითხვის ნიშანს ბადებს და ფასიც, ხშირ შემთხვევაში, არაადეკვატურად მაღალია. ამჟამად მოქმედი ჯანდაცვის სადაზღვევო პაკეტით, რომელიც 2012 წლის სექტემბრიდან ამოქმედდა, წამლების ნაწილში თანადაფინანსება 50-პროცენტიანია, ისიც 100 ლარამდე ღირებულების წამლებზე, ოღონდ არა ყველაზე, მათ შორის, არც ანტიბიოტიკებზე. ჯანდაცვის სამინისტრო გვპირდება, რომ საქართველოს მოსახლეობის, განურჩევლად შემოსავლების ოდენობისა, ჯანმრთელობა დაიზღვევა, თუმცა დეტალების გამჟღავნებისგან თავს იკავებს, მოტივით, რომ პაკეტი დახვეწის პროცესშია. ჯანდაცვის როგორი პაკეტის შეთავაზების პოტენციალი აქვს ჩვენნაირი ეკონომიკის მქონე ქვეყანას? – თემას თინა ტურძილაძესთან ერთად განვიხილავთ.**

# როგორ აძვირებდნენ ქართული ფარმაცევტული კომპანიები წამლის ფასს 900 პროცენტით ადგილზე გადაფუთვის ოპერაციული ხარჯის შედეგად

**– ხელისუფლება მუშაობს ახალ სადაზღვევო პოლიტიკაზე, რომლის საბოლოო მიზანია თითოეული მოქალაქის უზრუნველყოფა ჯანდაცვის ელემენტარული სადაზღვევო პაკეტით. თუ არსებობს მსგავსი გამოცდილება განვითარებულ ქვეყნებში და ჩვენი ეკონომიკური შეძლების მქონე ქვეყანას რა დოზით შეუძლია ყველა მოქალაქის ჯანდაცვის უზრუნველყოფა?**

– ჯანდაცვის სერვისების უნივერსალური და საყოველთაო მოცვისთვის საკმარისი თანხა არც ერთ სახელმწიფოს არა აქვს, მათ შორის, არც ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელიც გლობალური ჯანდაცვის ბიუჯეტის დაახლოებით 82-85 პროცენტს ხარჯავს. მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან შედარებით ევროპა ყველაზე მაღალი დონის სამედიცინო სერვისებს სთავაზობს თავის მოსახლეობას სოციალური დაზღვევის და ნაციონალური ჯანდაცვის სახით.

გასაგებია, რომ საქართველოს შესაძლებლობები, ამ თვალსაზრისით, უაღრესად შეზღუდულია, თუმცა გვაქვს ტაილანდის წარმატებული მაგალითიც, მთავარია, არარაციონალურად არ მოვიქცეთ, რომ ფინანსების მწვავე დეფიციტის ფონზე, წარმატების ნაცვლად, უფრო არ დავშორდეთ მიზანს.

დღეს დისკუსია უსაგნოა, ვინაიდან ჯერ არ გაცხადებულა მაგალითად, წამლის შერჩევის რა მეთოდოლოგია და ანაზღაურების როგორი სქემები იქნება შემოღებული. სათაური – საყოველთაო დაზღვევა, სრულიად არასაკმარისია შინაარსის შესაფასებლად.

**– ოფიციალური სტატისტიკითაც, მოსახლეობის მიერ საკუთარი ჯიბიდან წამლებზე დახარჯული თანხა საკმაოდ შთამბეჭდავია, ჯანდაცვის საყოველთაო დაზღვევის პოლიტიკას რა დოზით შეუძლია ამ პრობლემის მოგვარება? შედარებისთვის, როგორ არის მოგვარებული ეს პრობლემა განვითარებულ ქვეყნებში?**

– სადაზღვევო მოდელის აქილევსის ქუსლი წამლის კომპონენტია, არასწორად შედგენილი ანაზღაურების სიები და სრული, თუ წილობრივი დაფინანსების სტატუსები სუბიექტური დათვლის საგანი არ შეიძლება გახდეს, როგორც ეს დღემდე ხდებოდა...

რთულია ამ დავალების შესრულება, ვინაიდან სახელმწიფო არათუ ვერ აკონტროლებს წამლის უსაფრთხოებას, ეფექტიანობას და სტანდარტულობას, ანუ ზოგადად ხარისხს, არამედ, ძალიან ხშირად სისტემური ხელმისაწვდომობაც არა აქვს ამ ობიექტურ ინფორმაციაზე. შესაბამისად, გართულებულია ფარმაცევტული სარგებლის გამოთვლის შესაძლებლობა. თუნდაც ის, რაზეც თქვენ საუბრობთ, რომ კატასტროფულად მაღალია ჯანდაცვის დანახარჯებში წამლის წილი, დიახ, 48 პროცენტია თანხის ის რაოდენობაა, რომელსაც წამალი შთანთქავს და არა მარტო ფასის, არამედ მოჭარბებული გამოყენების გამო. ამიტომ ხარჯების შეკავების გარეშე სახელმწიფო ვერ შეძლებს და არც უნდა გააკეთოს ეს, რომ ამხელა თანხა გაუშვას წამალში.

2008 წლის მონაცემებით ამერიკაში RX წამლების დანახარჯი ჯანდაცვის დანახარჯის მხოლოდ 12 პროცენტია, ანუ არის მთლიანი შიდა პროდუქტის 2 პროცენტი. თანაც, ეს ხდება ერთ-ერთ ყველაზე ძვირ და ადეკვატური ხარისხის ფარმაცევტული პროდუქციის ბაზარზე! რადგან განვითარებულ ბაზრებზე მეკითხებით – ამერიკული FDA-ს რეგულაციები უზრუნველყოფენ ბრენდების და გენერიკების მაქსიმალურ ბიოექვივალენტობას და ურთიერთჩანაცვლების იდეალურ შესაძლებლობას.



**რეფორმის ვექტორი წამლის გაიაფება კი არ უნდა იყოს, არამედ ის, რომ წამლის ხარისხი და ფასი იყოს ადეკვატური**

ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე ფასები მონოპოლისტურია და არ არის ხარისხთან კორელაციაში, ასეთი გაურკვეველი ხარისხის პროდუქციაზე მოდის ჯანდაცვის დანახარჯის დაახლოებით 48 პროცენტი! ანუ არ ვიცით, რაში იყრება ჩვენი ფული.

იმისათვის, რომ სადაზღვევო სისტემამ რაციონალურობა შეიძინოს, ერთ-ერთი კრიტიკული ამოცანაა წამლის შერჩევის და ანაზღაურების სათანადო სქემების შექმნა, რომელიც ქართულ მოცემულობაზე იქნება მოდიფიცირებული. წამლის კომპონენტი რაც დღემდე იყო, არის ცუდი, ძალიან ცუდი... მოკლედ, ძირითადი შეცდომები ფარმაცევტული სარგებლის დათვლის ნაწილშია მოსალოდნელი; წარმატებისთვის უალტერნატივოა პრეპარატები, რომლებიც ეკონომიკურად ეფექტიანია, ამის შესაფასებლად ქართულ ბაზარზე წამლის ფასი არ გამოდგება!

მეორე პრობლემა ის არის, რომ ქართულ ბაზარზე ფარმაცევტული დანახარჯების შეკავების არანაირი სისტემა არ არსებობს, მაშინ, როდესაც მთელი მსოფლიო ისწრაფვის ფარმაცევტული დანახარჯების შემცირებისკენ. ეს პრობლემა პრიორიტეტულადაა მიჩნეული მდიდარი სახელმწიფოებისთვისაც კი, არათუ ისეთი რესურსების მქონე ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა. ხარჯების შეკავება ყველა სახელმწიფოს პრობლემაა, ხარჯების შეკავება ითვალისწინებს შეკავებას როგორც მოთხოვნის, ისე მიწოდების ნაწილში; როგორც პირდაპირი, ისე ირიბი რეგულაციებით, მაშინ, როდესაც ჯანდაცვის ბაზარზე მიწოდებას და მოთხოვნას, ანუ ორივეს ფარმაცევტული კომპანია აკონტროლებს, ხელისუფლება მძევალი ხდება, ხოლო საზოგადოება – მსხვერპლი. ასანაზღაურებელი ფასების შერჩევისთვის სხვადასხვა მეთოდოლოგიები და ინსტრუმენტები გამოიყენება. ძირითადად ეს მწარმოებლებთან შეთანხმებული ფასებია, მაშინ, როდესაც წამლების შესყიდვა დისტრიბუტორებისგან ხდება, მაგალითად, ხორვატიაში მაქსიმალური საბითუმო მარჟა 8,5 პროცენტს არ აღემატება. ევროპაში ანაზღაურების საფასო პოლიტიკა ორიენტირებულია გენერიკების შეძენაზე, ვინაიდან მათი ფასი, როგორც წესი, ორიგინალი გენერიკის ფასის მესამედია; თუმცა საქართველოში ეს ხშირად პირიქითაა!

**– რა ფაქტორების არსებობაა აუცილებელი იმისთვის, რომ მედიკამენტების ფასი იყოს ადეკვატური და ხელმისაწვდომი?**

– ფარმაცევტული სექტორი სერიოზულ რეფორმირებას საჭიროებს, მაგრამ რეფორმის ვექტორი წამლის გაიაფება კი არ უნდა იყოს, არამედ ის, რომ წამლის ხარისხი და ფასი იყოს ადეკვატური. ამ თვალსაზრისით, ქართულ ბაზარზე ფასები სერიოზულად დეფორმირებულია. მაშინ, როდესაც ფასი ხარისხთან კორელაციაში მოვა, პარალელურად ამუშავდება ხარჯების შეკავების სისტემური პოლიტიკა – იაფი გენერიკები, თანადაფინანსება, ხარჯ-ეფექტიანობა, თვითმკურნალობა და ასე შემდეგ – როგორც მიწოდების, ისე მოთხოვნის ნაწილში, უკვე ეფექტიანია წამლის ანაზღაურების სტატუსის დადგენა. აი ეს არის გზა ხელმისაწვდომობისკენ.

**– ტელეეთერში გაჩნდა მედიკამენტების ახალი სატელევიზიო რეკლამა – ევროპული და ამერიკული გენერიკები იაფად. ავუხსნათ მკითხველს, რას ნიშნავს ეს და რაზეა სარეკლამო კამპანია გათვლილი: პაციენტმა თავისი ინიციატივით უნდა შეიძინოს ამ ტიპის მედიკამენტები თუ ექიმებს აქვთ მითითება, გამოწერონ ისინი?**

– როგორც ჩანს, რეკლამამ შეასრულა თავისი შენიღბული მისია და თქვენც დაგრჩათ შთაბეჭდილება, რომ საუბარია ევროპასა და ამერიკაში წარმოებულ წამლებზე, სინამდვილეში, ეს ინდოეთსა და ჩინეთში წარმოებული წამლებია, თუმცა აკმაყოფილებენ რა ამერიკულ სტანდარტებს, მათ შორის USP სტანდარტს, და რამდენადაც რეგისტრაციით (ბაზარზე დაშვებით) მარეგულირებელმა ეს დაუდასტურა, გამოდის რომ ეს წამლები ხარისხიანია. აქ საინტერესო ის არის, რომ წამლები დიდი შეფუთვებითაა 500 ტაბლეტი, 1 000 ტაბლეტი და ასე შემდეგ, ანუ ეგრეთ წოდებულ ეკონომიურ შეფუთვებშია დაფასოებული. ამის მიზანი წამლის გაიაფებაა, ვინაიდან ასეთი ტიპის შეფუთვის წამლის ღირებულებიდან გამორიცხულია ამბულატორიული დაფასოების საოპერაციო ხარჯები, რაც ქართულ მოცემულობაში ზოგჯერ წამალს 900 პროცენტით აძვირებდა. ჩვენ ამაზე კვლევები 2008 წელსაც გვქონდა. გარდა ამისა, ეკონომიური შეფუ-

# პოლიტიკური კალეიდოსკოპი

## დიდი ბრიტანეთის მომავალი პრინცესა

დიდი ბრიტანეთის დედოფალმა ელიზაბეთ მეორემ გამოსცა სპეციალური ბრძანება, რომლის თანახმად, მისი შვილიშვილის, პრინცი უილიამისა და ქეით მიდლტონის შვილს, თუკი ის გოგონა იქნება, პრინცესას ტიტული მიეკუთვნება და მას, როგორც სამეფო ოჯახის წარმომადგენელს, „მისი უდიდებულესობით” მიმართავენ. აღნიშნულ ბრძანებას დედოფალმა 2012 წლის 31 დეკემბერს მოაწერა ხელი. ბრძანების თანახმად, უილიამისა და ქეითის შვილს სამეფო ტახტის დაკავების უფლება ექნება რიგითობის დაცვით. ცნობა იმის შესახებ, რომ ქეით მიდლტონი ფეხმძიმედ არის, 2012 წლის დეკემბრის დასაწყისში გავრცელდა. ჯერჯერობით უცნობია ბავშვის სქესი.



## ჰიმნი ობამასთვის

ამერიკელი მომღერალი ბიონსე ნოულზი 21 იანვარს, ბარაკ ობამას ინაუგურაციის დღეს, ამერიკის შეერთებული შტატების ჰიმნს შეასრულებს. საზეიმო ინაუგურაცია ვაშინგტონში, კაპიტოლიუმის წინ გაიმართება და ბარაკ ობამა მეორე ვადით ოფიციალურად შეუდგება პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას. აღსანიშნავია, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ბიონსე ნოულზი ობამასთვის იმღერებს – პირველად პოპ-ვარსკვლავმა 2009 წელს იმღერა ობამას პირველი საპრეზიდენტო ვადის დაწყებისთვის ორგანიზებულ გალა-საღამოზე. ბიონსე ნოულზი ობამას ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ მხარდამჭერად ითვლება მეუღლესთან, რეპერ ჯეი-ზისთან ერთად. საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში ვარსკვლავურმა წყვილმა ობამას საარჩევნო შტაბის დასახმარებლად 4 მილიონამდე დოლარის შეგროვება მოახერხა.

## ესტონეთის პრეზიდენტის დასკოჩილი ვებ-კამერა

ესტონეთის პრეზიდენტმა, ტომას ჰენდრიკ ილვესმა, თავისი პერსონალური კომპიუტერის ვებ-კამერას სკოჩი გადააკრა. ამის შესახებ პრეზიდენტმა პირადი მონაცემების დაცვის კონფერენციაზე განაცხადა. ილვესმა კამერაზე სკოჩის დაკვრა იმით ახსნა, რომ სურდა, თავი დაეცვა მავანი ჰაკერებისგან, რომლებსაც შეუძლიათ თვალთვალი და უნებართვოდ კომპიუტერის საშუალებით მანიპულირება. ილვესის აზრით, აუცილებელია, შემუშავდეს როგორც ჰაკერებთან ბრძოლის ახალი კონცეფცია, ისე „ნატოს“ წევრი ქვეყნებისთვის ერთიანი კიბერუსაფრთხოების სტრატეგია, რომელიც მოქალაქეებს კიბერ-დანაშაულისგან დაიცავს.

## კიმ ჩენ ინის საჩუქარი ბავშვებს

კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ლიდერმა კიმ ჩენ ინმა თავისი დაბადების დღის აღსანიშნავად ქვეყანაში მცხოვრებ ყველა ბავშვს თითო კილოგრამი კანფეტი აჩუქა. ეს ტრადიცია ჩრდილოეთ კორეაში კიმ ჩენ ინის ბაბუამ, კიმ ირ სენმა დანერგა 1980 წელს, რასაც მისი სიკვდილის შემდგომ კიმ ჩენ ირი და კიმ ჩენ ინი აგრძელებენ. საჩუქრების დასარიგებლად ჩრდილოეთ კორეის სამხედრო ავიაციის ჩართვა გახდა საჭირო, რადგან, ზოგიერთ მიუვალ სოფელში კანფეტებით სავსე ტომრების ჰაერიდან ჩამოგდება მოუწიათ. კიმ ჩენ ინის დაბადების დღე, 8 იანვარი, ჩრდილოეთ კორეაში ნაციონალური ზეიმის დღეა. საგულისხმოა, რომ ჯერჯერობით ოფიციალურად უცნობია, თუ რომელ წელს არის დაბადებული ქვეყნის ახალი ლიდერი – სახელდება რამდენიმე ვერსია: 1982, 1983 და 1984 წლები.



**უშანგი რუხაძე**

---

თვების გენერიკებს არ ახლავს ის „საფირმო აქსესუარები“ და პრომოუშენი, რაც ინვესტორის მხრიდან სოლიდურ კაპიტალდაბანდებას საჭიროებს და საბოლოოდ, უძვირებს წამალს მომხმარებელს.

„გენერიკები – ეკონომიური შეფუთვებით“ – ეს არის ხარჯების შეკავების წარმატებული პროექტი, რომელიც სჭირდება სახელმწიფოს, ამ პროექტს წარმატებით ახორციელებენ ამერიკაში. ერთადერთი, ვის ინტერესებშიც არ შედის ეს პროექტი, როგორც წესი, ის ფარმაცევტული კომპანიებია, რომლებიც გადაფუთვის ოპერაციებით არიან დაკავებულნი და რის საფასურადაც ზოგჯერ წამალს რამდენიმე ასეული პროცენტით გვიძვირებენ; ამიტომაც გასაგებია, რატომ არ აწყობთ ქართველ მწარმოებელ-გადამფუთავებს ეს პროექტი. მაგრამ გაუგებარი იყო სახელმწიფოს პოზიცია. ამ პროექტისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულებამ დაადასტურა, რომ ხელისუფლება ფარმაცევტულ სექტორში დეზორიენტირებულია.

**– ადამიანს ხშირად სჭირდება მედიკამენტები, რომელთა მიღებისთვის, მაინცდამაინც, ექიმის კონსულტაცია არ არის აუცილებელი. თუმცა არც ერთი სადაზღვევო პაკეტი არ ანაზღაურებს იმ მედიკამენტის ღირებულებას, რომელიც არ არის გამოწერილი ექიმის მიერ. არადა, წამალი ნამდვილად სჭირდება, მაგრამ მისი ანაზღაურებისთვის უნდა წარადგინოს ექიმის მიერ გამოწერილი რეცეპტი. ეს ნიშნავს, რომ კონსულტაციის თანხაც უნდა გადაიხადოს, რის გამოც, თუნდაც, სადაზღვევოს უფრო მეტი თანხის გადახდა უწევს. შეუძლებელია ამ პრობლემის მოგვარება?**

– მარტივად რომ ვთქვათ, შესაძლებელია თუ არა თვითმკურნალობის ანაზღაურება? რა თქმა უნდა, არა, ამის მოლოდინი არ უნდა გვქონდეს და ეს სწორიც არ იქნებოდა. უფრო მეტიც, რიგი ევროპული სახელმწიფოები ცდილობენ გარკვეულ ჩარჩოებში, OTC წამლებით თვითმკურნალობის წახალისებით, ჯანდაცვის სახელმწიფო დანახარჯების შემცირებას. აქ მთავარი OTC პრეპარატების სწორი შერჩევა და გამოყენებაა, საამისოდ ორიენტირება ხდება ელექტრონულ სერვისებზე და ზოგადად პერსონალური ელექტრონული ჯანდაცვა მომავლის პროდუქტი გახდება.

ჩვენთან სიტუაციას ის ართულებს, რომ თვითმკურნალობის საზღვრები არ არის დადგენილი, სახელმწიფოს სერიოზული პრობლემა აქვს, თუ ამ საზღვრებს მკაცრად გაავლებს, ისე, როგორც ეს ევროპაშია და თუკი ადამიანები RX წამლებს ვერ იყიდიან თვითნებურად, ისინი შეიძლება საერთოდ უწამლოდ დარჩნენ, ეს დაუშვებელია; ამიტომ დაზღვევა ერთადერთი გამოსავალია ამ რთული სიტუაციიდან.

**– თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს ჩვენს პირობებში ჯანდაცვის დაზღვევის იდეალური სქემა?**

– იდეალური მოდელები არ არსებობს. უფრო მეტიც, ყველა არსებული მოდელი და სქემა მწვავე დისკუსიის საგანია და ეს სწორია. მოდელები მუდმივად საჭიროებს კორექციას მოცემულობის შესაბამისად. მე შემიძლია გითხრათ წამლის კომპონენტზე, რომ ანაზღაურების სიები და თანადაფინანსების სტატუსები უნდა შეიქმნას არა ფარმაცევტული კომპანიების ლობირებით, არამედ სამი კრიტერიუმით: თერაპიული ღირებულება, დანახარჯის ეფექტიანობა და დაავადების სიმძიმე.

ყველა ქვეყანას ხარჯების ანაზღაურების სისტემის შემუშავებისას თავისი მიდგომები აქვს, სისტემა უნდა რეაგირებდეს იმ პრობლემებზე, რაც ქვეყანას უდგას და უნდა ეფუძნებოდეს მის კულტურულ და მენტალურ ტრადიციებს. მაგალითად, ევროპის 19 სახელმწიფოში – ბელგია, ჩეხეთის რესპუბლიკა, საბერძნეთი, ფინეთი, იტალია, ნიდერლანდები, პოლონეთი, გაერთიანებული სამეფო – ასეთი სქემა მუშაობს: ფარმაცევტულ კომპანიას მხოლოდ რეგისტრირებულ პროდუქციაზე შეუძლია, წარადგინოს განაცხადი ანაზღაურებაზე. შესაბამისი კომიტეტი, როგორც საკონსულტაციო ორგანო წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით შეფასების საფუძველზე გასცემს დასაბუთებულ რეკომენდაციას ანაზღაურების სტატუსის მინიჭების ან უარის თაობაზე. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურა. ანაზღაურების სტატუსს ეს იქნება 100- 75-50-40- 20 პროცენტი ისე, როგორც ბელგიაშია, ან 69- 37-15 პროცენტი, ისე, როგორც პორტუგალიაშია გამომდინარეა ხარჯეფექტიანობიდან და არა რომელიმე თანამდებობის პირის სუბიექტური მოსაზრებიდან.

ანაზღაურების მოდელები მრავალნაირია: წამლის ანაზღაურება შეიძლება დაკავშირებული იყოს წამლის სამედიცინო ჩვენებასთან, მაგალითად, ასე ხდება ბალტიისპირეთის სახელმწიფოებში; ან მოსახლეობის ჯგუფებთან, რომლებიც საჭიროებენ ასეთ უზრუნველყოფას (კვიპროსი, ირლანდია, მალტა), დანიასა და შვეციაში კი ანაზღაურება იზრდება წამლის წლიური მოხმარების ზრდის მიხედვით.

ევროკავშირის ქვეყნებში ამ სქემების პარალელურად არის კიდევ ანაზღაურების სქემა უმწეო მოსახლეობისთვის, სადაც კიდევ უფრო მაღალი ანაზღაურებაა.

გარდა ამისა, არსებობს პოზიტიური და ნეგატიური სიები – 23 სახელმწიფოს აქვს პოზიტიური სიები, სადაც ის წამლებია შეტანილი რომლებიც ანაზღაურდება. 4 სახელმწიფოს, უნგრეთს, გერმანიას, ესპანეთსა და დიდ ბრიტანეთს, აქვს ნეგატიური სიები, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად არ ანაზღაურდება, ამ ტიპის სიაზე შექმნაზე მუშაობს საბერძნეთიც. პოზიტიურ სიაში შეტანა ავტომატურად მის სრულ ანაზღაურებას არ გულისხმობს, ეს შეიძლება იყოს, სხვადასხვა პროცენტული თანადაფინანსება, ევროკავშირის მხოლოდ 7 სახელმწიფოში ხდება სრული ანაზღაურება. ანუ არჩევანი დიდია!

**ნინო ხაჩიძე**


## მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ

**ნინო ჯანელიძე**

**ტელეფონები: 252-79-57; 555-33-91-66.**

# რა საჩუქარი გაუკეთა საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს რომის პაპამ ბენედიქტე მეთექვსმეტემ და ვის დაურეკა მან პირველად კოსმოსში



*ის პლანეტის მოსახლეობის დიდი ნაწილის სულიერ მამად ითვლება და მისი სტუმრობა რომელიმე ქვეყანაში ეროვნულ ზეიმად იქცევა ხოლმე. საუბარია მის უწმინდესობა რომის ეპისკოპოს ბენედიქტე მეთექვსმეტეზე, 265-ე რომის პაპზე, ერისკაცობაში იოზეფ რატცინგერზე, ადამიანზე, რომელმაც ყველასათვის საყვარელი რომის პაპის, იოანე პავლე მეორის შემდეგ კათოლიკური ეკლესიის წინამძღოლობის მძიმე მისია იტვირთა და, ასევე, ვატიკანის – ჯუჯა-სახელმწიფოს მმართველი გახლავთ. გთავაზობთ რამდენიმე საინტერესო ფაქტს რომის პაპ ბენედიქტე მეთექვსმეტის ცხოვრებიდან.*

* იოზეფ ალოიზ რატცინგერი 1927 წელს გერმანიაში, ბავარიის მხარის ქალაქ მარკტლ-ამინში დაიბადა. რატცინგერები ძველი დროიდან ფერმერობას ეწეოდნენ, მაგრამ, მომავალი პონტიფიკის მამა, იოზეფ რატცინგერ-უფროსი, პოლიციაში მსახურობდა და ანტიფაშისტი იყო. იოზეფის მშობლებმა ერთმანეთი ადგილობრივ გაზეთში, რუბრიკა „გაცნობის ბიუროს“ საშუალებით 1920 წელს გაიცნეს. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში იოზეფი ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ბატალიონში მსახურობდა, რომელიც მიუნჰენში „ბეემვეს“ ქარხნის დაცვას უზრუნველყოფდა, მოგვიანებით კი უნგრეთის ტერიტორიაზე ტანკსაწინააღმდეგო ჯებირების დაყენებით იყო დაკავებული. რატცინგერი ირწმუნება, რომ ომის პერიოდში მას არც ერთი გასროლა არ განუხორციელებია. 1944 წელს იგი ტყვედ ჩაბარდა მოკავშირე ჯარებს და რამდენიმე თვე ტყვეთა ბანაკში გაატარა.

* რამდენიმე წლის წინ ებრაულმა პრესამ ბრალი დასდო რომის პაპ ბენედიქტე მეთექვსმეტეს, რომ ახალგაზრდობაში ის გაწევრიანებული იყო ახალგაზრდულ ნაცისტურ ორგანიზაცია „ჰიტლერიუგენდში“ და, ასევე, იმაში, რომ ის ცდილობდა რომის პაპ პიუ მეთორმეტის კანონიზებას, რომელსაც მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანა ნაცისტური დანაშაულების დაფარვის ხელშეწყობაში ადანაშაულებს. რომის პაპის პრესსამსახურის უფროსმა, პადრე ფედერიკო ლომბარდიმ, ამ ბრალდებასთან დაკავშირებით ვატიკანის ოფიციალური პასუხი დააფიქსირა: „იოზეფ რატცინგერი მართლაც იყო გაწევრიანებული „ჰიტლერიუგენდის“ ახალგაზრდულ ორგანიზაციაში, მაგრამ, ის არც ერთ შეკრებას არ დასწრებია და არ მიუღია მონაწილეობა მათ მიერ განხორციელებულ პროექტებში“. საინტერესოა, რომ, ბრალდებასთან ერთად, გაზეთებში განთავსებული იყო ფოტოსურათი, რომელზეც „ჰიტლერიუგენდის“ ფორმაში გამოწყობილი ახალგაზრდა იოზეფ რატცინგერი ორგანიზაციის სხვა წევრებთან ერთად იყო აღბეჭდილი.

* რომის პაპმა ბენედიქტე მეთექვსმეტემ არ იცის ავტომობილის მართვა, სამაგიეროდ, მას აქვს ვერტმფრენის პილოტის ლიცენზია. მიუხედავად იმისა, რომ პაპი პროფესიულ დონეზე ფლობს ვერტმფრენის მართვას, ბოლო პერიოდია, მას პირადი პილოტი, იტალიის საჰაერო ძალების პოლკოვნიკი ანტონიო ბერარდო ემსახურება. პაპის ვერტმფრენი „S-61 Sea King“ 9,3 ტონას იწონის და 270 კილომეტრ-საათ სიჩქარეს ავითარებს, ხოლო ფრენის სიშორე 1 000 კილომეტრს შეადგენს. პონტიფიკის საჰაერო ტრანსპორტი ტექნიკის ბოლო ნოვაციებით არის აღჭურვილი და მასში განთავსებულია ორი მოსასვენებელი ოთახი, მინი-სააბაზანო და სამზარეულო. მიუხედავად იმისა, რომ პაპს არ ეშინია ფრენის, მას ყოველთვის თან ახლავს პირადი ექიმი – რენატო ბუციონეტი, მდივანი – დონ გეორგი და პირადი ფოტოგრაფი – არტურო მარი.

* კომპანია „მერსედეს-ბენცმა“ სპეციალურად რომის პაპ ბენედიქტე მეთექვსმეტისთვის M კლასის „მერსედესის“ მოდელი გამოუშვა. ამ ავტომობილით რომის პაპი ვატიკანსა და მის ფარგლებს გარეთ მორწმუნე კათოლიკეებთან შეხვედრების დროს გადაადგილდება. „მერსედესის“ ინჟინრების მიერ შემუშავდა ავტომობილის სპეციალური ძარა, სადაც კლასიკური უკანა სავარძლების ნაცვლად ჩაიდგა ტყვიაგაუმტარი შუშისგან დამზადებული კაფსულა, რომელშიც პონტიფიკოსის ტახტი განთავსდა. შუშის კაფსულა „პაპ-მობილი“, როგორც ამ ავტომობილს უწოდებენ, უკვე ემსახურება კათოლიკური ეკლესიის წინამძღვარს.

* ვატიკანმა ოფიციალურად დაადასტურა, რომ რომის პაპი ბენედიქტე მეთექვსმეტე მიკრობლოგების სერვისის – „ტვიტერის“ მომხმარებელი გახდა. პირველი „ტვიტი“ რომის პაპმა 12 დეკემბერს ჩაწერა თავის ბლოგზე – მან მადლობა გადაუხადა მკითხველებს და დალოცა. მას შემდეგ მისი მკითხველების რაოდენობა ყოველდღიურად რამდენიმე ათასი ადამიანით იზრდება. რომის პაპის ბლოგი მსოფლიოს რვა ენაზე: ინგლისურად, იტალიურად, ესპანურად, პორტუგალიურად, გერმანულად, პოლონურად, ფრანგულად და არაბულად იქნება წარმოდგენილი, მომავალში კი კათოლიკური ეკლესია გეგმავს სხვა ენების დამატებასაც. ცნობისთვის, უკვე რამდენიმე წელია, რაც რომის პაპს გახსნილი აქვს გვერდი სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“. თავის გვერდზე იგი ყოველდღიურად ათავსებს საინტერესო ინფორმაციას მორწმუნე კათოლიკეებისთვის. „ფეისბუქის“ პარალელურად, სპეციალურად ახალგაზრდებისთვის, ვატიკანმა შექმნა ინტერნეტ პორტალი Pope2you.com. აქვე დავამატებთ, რომ, დიდი ხანია, რაც ინტერნეტში ფუნქციონირებს ბენედიქტე მეთექვსმეტის პირადი საფოსტო ყუთი, BenedettoXVI@vatican.va, რომლის მისამართზე ნებისმიერ მსურველს შეუძლია, გაგზავნოს წერილი პაპისთვის და მას აუცილებლად უპასუხებენ.

* რომის პაპ ბენედიქტე მეთექვსმეტის ცხოვრების შესახებ წიგნი აქვს „დაწერილი“ პაპის საყვარელ კატას, სიამის ჯიშის წითურ შინაურ ცხოველს, მეტსახელად – „ჩიკოს“. წიგნის სახელწოდებაა „იოზეფი და ჩიკო“ და მასში დეტალურად არის აღწერილი რომის პაპის ცხოვრება, დაწყებული ბავარიიდან დასრულებული 2005 წელს პონტიფიკოსად არჩევისას. კატის სახელით წიგნის ავტორია იტალიელი მწერალი ჯანი პერიგო.

* რომის პაპმა საშობაოდ შეიწყალა თავისი ყოფილი კამერდინერი პაოლო გაბრიელე, რომელსაც ბრალად ედებოდა პონტიფიკოსის პირადი დოკუმენტაციის მოპარვა და გასხვისება. ყოფილმა კამერდინერმა საიდუმლო ინფორმაცია გადასცა ჟურნალისტ ჯანლუიჯი ნუცის, რომელმაც ეს ინფორმაცია გამოაქვეყნა თავის წიგნში – „მისი უწმიდესობის, რომის პაპ ბენედიქტე მეთექვსმეტის საიდუმლო წერილები.“ კამერდინერს ვატიკანის სასამართლომ ნახევარწლინი სასჯელი შეუფარდა, თუმცა, რომის პაპმა საშობაოდ პირადად მოინახულა გაბრიელე, აპატია მას და შეიწყალა.

* რომის პაპ ბენედიქტე მეთექვსმეტეს საკუთარი სუნამო აქვს. პონტიფიკოსის სუნამოს სურნელზე მუშაობდა ცნობილი იტალიელი პარფიუმერი სილვანა კაზოლი. დაზუსტებით არ არის ცნობილი, თუ რისგან შედგება რომის პაპის სუნამო, თუმცა, ცნობილია, რომ პარფიუმერმა არომატისთვის გამოიყენა ლაიმის ხის, ტირიფისა და რამდენიმე ბალახის ნაზავი. სილვანა კაზოლი ცნობილი პარფიუმერია, მისი შექმნილია ესპანეთის მეფის, ხუან კარლოსისა და მადონას პერსონალური სუნამოები.

* რომის პაპი ბენედიქტე მეთექვსმეტე პირველი პონტიფიკოსია, რომელმაც კოსმოსში დარეკა. რომის პაპი საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე მყოფ კოსმონავტებს გაესაუბრა, დალოცა ისინი და ჰკითხა, თუ როგორ შთაბეჭდილებებს ტოვებს კოსმოსიდან დანახული დედამიწა.

* „პაპი არ ატარებს „პრადას“ – ასეთი სათაურებით აჭრელდა რამდენიმე ხნის წინ იტალიური პრესა. ცნობა იმის შესახებ, რომ რომის პაპი ბენედიქტე მეთექვსმეტე ატარებს წითელ მოკასინებს, რომელიც მას ცნობილმა სამოდელო სახლმა „პრადამ“ შეუკერა, ტყუილი გამოდგა. ამის შესახებ ოფიციალურად განაცხადა ვატიკანმა. განცხადებაში ნათქვამია, რომ რომის პაპის წითელი მოკასინები იტალიელი ოსტატის, ადრიანო სტეფანელის მიერ არის შეკერილი და პონტიფიკოსს არანაირი კავშირი არ აქვს სამოდელო სახლ „პრადასთან“.

* საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ვატიკანში ვიზიტის დროს რომის პაპ ბენედიქტე მეთექვსმეტეს შეხვდა. შეხვედრის დასრულების შემდეგ, რომელიც 35 წუთს გაგრძელდა, სააკაშვილმა და რომის პაპმა საჩუქრები გაცვალეს: საქართველოს პრეზიდენტმა პონტიფიკოსს ორი მართლმადიდებლური ხატი მიართვა, ხოლო რომის პაპმა მიხეილ სააკაშვილს აჩუქა სასუვენირო საწერი კალამი, რომელსაც ცნობილი იტალიელი არქიტექტორის ჯოვანი ლორენცო ბერნინის სვეტის ფორმა აქვს – საუბარია ვატიკანში მდებარე წმიდა პეტრეს ტაძრის სვეტებზე.

**უშანგი რუხაძე**

გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები“
შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს
ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში
„მაცნე“ – 214-39-06;
„პლანეტა“ – 251-75-21;
„ელვასერვისი“ – 238-80-02;
„ინფოსერვისი“ – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია“ – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია“ – 294-32-32

# 2012 წლის „ფორბსის" მილიარდერების ახალი ტოპ-ათეული

*2012 წელი საიუბილეო გამოდგა მსოფლიო მილიარდერების რეიტინგისთვის: ზუსტად 25 წლის წინათ, 1987 წელს, „ფორბსმა" პირველად მილიარდერების სია შეადგინა. 2012 წელი სარეკორდო წლად ჩაითვალა თავად რეიტინგისთვის, რადგან მასში 1 226 მილიარდერი მოხვდა, რომელთა საერთო კაპიტალმა 4,6 ტრილიონი დოლარი შეადგინა. რეიტინგში მსოფლიოს 58 ქვეყნის მილიარდერი მოხვდა, მათ შორის საქართველოდან, პერუდან და მაროკოდან. მილიარდერების რაოდენობით ლიდერობა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეინარჩუნა – 425 ადამიანი, შემდგომ მოდის რუსეთი – 96 და ჩინეთი – 95. გთავაზობთ წლის შემაჯამებელ რეიტინგს, რომელიც „ფორბსის" მონაცემების მიხედვით არის შედგენილი.*

### კარლოს სლიმ ელუ (მექსიკა) – 67 მილიარდი დოლარი

მექსიკელმა კარლოს სლიმმა ზედიზედ მესამედ შეინარჩუნა პლანეტის ყველაზე მდიდარი ადამიანის ტიტული, მიუხედავად იმისა, რომ მისი კაპიტალი წლის განმავლობაში 2 მილიარდი დოლარით შემცირდა. ამის მიზეზად სლიმ ელუს წარუმატებელი ინვესტიციები დასახელდა ევროპის სატელეკომუნიკაციო ბაზარზე, კერძოდ, ავსტრიასა და ჰოლანდიაში. გასულ წელთან შედარებით, მექსიკელმა მაგნატმა უფრო მეტი დრო დაუთმო ქველმოქმედებას, თავის ფონდებს: კარლოს სლიმს და „ტელმექსს". სლიმ ელუს მიზანია: ქველმოქმედება ადამიანური შესაძლებლობების განვითარებისთვის და არა მოთხოვნილებების უზრუნველსაყოფად.

### ბილ გეითსი (ამერიკის შეერთებული შტატები) – 66 მილიარდი დოლარი

ბილ გეითსის პირველი მისია შესრულებულია, ის გახდა პლანეტის ყველაზე გულუხვი ადამიანი (საერთო ჯამში, ქველმოქმედებაზე დახარჯულია 28 მილიარდი დოლარი), რომელმაც პოლიომიელიტი დაამარცხა ინდოეთში. 2012 წელს ინდოეთმა გამოაცხადა, რომ პოლიომიელიტის გარეშე განვლო წელი. ყოველწლიურად გეითსი 200 მილიონ დოლარს ხარჯავს ამ დაავადების საბოლოო დამარცხებისთვის, რიგში დგას: პაკისტანი, ავღანეთი და ნიგერია. წლის განმავლობაში გეითსმა „მაიკროსოფტის" 80 მილიონი აქცია გაყიდა, რაც მისი წილის 15 პროცენტს შეადგენს. ამასთან ერთად, ბილ გეითსი 2012 წლის მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი ადამიანების რეიტინგში მეოთხე ადგილზე გავიდა.



### უორენ ბაფეტი (ამერიკის შეერთებული შტატები) – 46 მილიარდი დოლარი

ამერიკის სენატის 2012 წლის ერთ-ერთი პირველი დადგენილება, რომელიც მდიდრებს გადასახადების გადახდას მთლიანი შემოსავლიდან არანაკლებ 30 პროცენტის ოდენობით ავალდებულებს, „ბაფეტის კანონად" არის ცნობილი. სწორედ მისი ინიციატივაა, რომ მდიდრებმა უფრო მეტი გადაიხადონ, ვიდრე ჩვეულებრივმა მოქალაქეებმა. ბაფეტი ბარაკ ობამას მხარდამჭერად მოგვევლინა და საარჩევნო კამპანიის დაფინანსებაშიც შეიტანა მცირე წვლილი. ივლისში მან 1,5 მილიარდი დოლარი გადასცა ბილ გეითსის საქველმოქმედო ფონდს და საერთო ჯამში, მის მიერ ქველმოქმედებაზე დახარჯულმა თანხამ 17,3 მილიარდი ამერიკული დოლარი შეადგინა.

### ლარი ელისონი (ამერიკის შეერთებული შტატები) – 41 მილიარდი დოლარი

2012 წელი წარმატებული გამოდგა „ორაკლისთვის". მთელი წლის განმავლობაში აქციების ფასი თამაშობდა და მხოლოდ წლის ბოლოსთვის გამოსწორდა სიტუაცია. ამ ყველაფერმა ელისონის კაპიტალზეც იქონია გავლენა, რომელიც 8 მილიარდით გაიზარდა მარტის მონაცემებთან შედარებით. მილიარდერის სპორტული გატაცება კვლავ იახტებია და 2013 წელს მისი ორგანიზებით სან-ფრანცისკოს ყურეში ჩატარდება ამერიკის თასის 34-ე ფინალი, რაც ბოლო 18 წლის განმავლობაში პირველად მოხდა. გარდა ამისა, წელს ლარი ელისონმა 500 მილიონ დოლარად ჰავაის კუნძულების სიდიდით მეექვსე კუნძული, ლანუი შეიძინა, რომლის ფართობი 364 კვადრატული კილომეტრია.



### ამანსიო ორტეგა (ესპანეთი) – 39,5 მილიარდი დოლარი

ამანსიო ორტეგა 2012 წელს ევროპის უმდიდრეს ადამიანად იქცა. იმის მიუხედავად, რომ მან „ინდიტექსის" მმართველის თანამდებობა დატოვა, ამ ფაქტს კომპანიაზე გავლენა არ მოუხდენია. ის პირველად მოხვდა პლანეტის ხუთ უმდიდრეს ადამიანს შორის. ამანსიო ორტეგამ მილიარდერ ესტერ კოპლოვიცისგან, 536 მილიონ დოლარად „ტორე პიკასო" – მადრიდში მდებარე 43-სართულიანი ცათამბჯენი იყიდა. მას ეკუთვნის ასევე „ეპიკ რეზიდენს და ოტელი" მაიამის სანაპიროზე.

### ბერნარ არნო (საფრანგეთი) – 32,7 მილიარდი დოლარი

გემოვნების საკითხში ავტორიტეტად მიჩნეული ბერნარ არნო ევროპის უმდიდრესი ადამიანი იყო, თუმცა 2012 წელს მას გაუთვალისწინებელი პრობლემები შეუქმნა საფრანგეთის ახალი პრეზიდენტის, ფრანსუა ოლანდის კანონმა მდიდრებისთვის სპეციალური გადასახადის შესახებ. არნომ ბელგიის მთავრობას მოსთხოვა თავშესაფრის უფლება, თუმცა უარი მიიღო. ამიტომ, მისთვის 2012 წელი წარუმატებლად შეიძლება ჩაითვალოს. ცნობისთვის, არნოს საკუთრებაა სუპერმარკეტების ქსელი „კარფური", რომელმაც ქართული ბაზრის ათვისება დაიწყო.

### ჩარლზ და დევიდ კოხები (ამერიკის შეერთებული შტატები) – 31 მილიარდი დოლარი

ძმები – ჩარლზ და დევიდ კოხები ამერიკაში ერთ-ერთ ყველაზე შეძლებულ ბიზნესმენებად ითვლებიან, მათ მეოთხე პოზიცია უკავიათ უმდიდრესი ამერიკელების ტოპ-ოთხასეულში და მათი საერთო კაპიტალი 31 მილიარდ დოლარს აღემატება. ძმები ფლობენ მრავალპროფილიან ჰოლდინგს „კოხ ინდასტრისი", რომელიც ნავთობის გადამუშავებაზე, პოლიმერზე, ტრეიდინგსა და ნავთობსადენების ბიზნესშია ჩართული. ცნობისთვის, ძმები მით რომნის საპრეზიდენტო კამპანიის უმსხვილესი დამფინანსებლები იყვნენ.

### ეიკე ბატისტა (ბრაზილია) – 30 მილიარდი დოლარი

პლანეტის უმდიდრესი ბრაზილიელი ნავთობის ხარჯზე მდიდრდება. ის ფლობს ნავთობმომპოვებელ კომპანია „OGX პეტროლეოს", რომლის აქციათა ფასი 19,8 მილიარდი დოლარია და ეს ბატისტას კაპიტალის ორ მესამედს უდრის. ბატისტა არც ოქროს მოპოვებაზე ამბობს უარს, ბოლო წლებში მან 1,5 მილიარდი დოლარი დახარჯა და მის საკუთრებაშია ოქროს მოპოვებისთვის პერსპექტიული მაღარო კოლუმბიაში.

### სტეფან პერსონი (შვედეთი) – 26 მილიარდი დოლარი

სტეფან პერსონის საკუთრებაში არსებულ H&M-ის მაღაზიათა ქსელს დაემატა „ვერსაჩე" და „მარნი" – პირველი მაღაზიები გაიხსნა ხორვატიაში, სინგაპურსა და რუმინეთში. ამჟამად მსოფლიოს 43 ქვეყანაში H&M-ის 2 500 მაღაზიაა. სტეფან პერსონმა, რომელსაც კომპანიის მმართველის თანამდებობა უკავია, დამატებით 5 მილიონი აქცია შეიძინა. ამ ხუთიდან კი ოთხი მილიონი, რომელთა ფასი 150 მილიონი დოლარია, თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლებას მოახმარა. გოლფის, თხილამურებისა და ჩოგბურთის მოყვარული სტეფან პერსონი უმდიდრესი ადამიანია შვედეთში.

### ლი კა-შინი (ჰონკონგი) – 25,5 მილიარდი დოლარი

მიუხედავად იმისა, რომ ლი კა-შინის კაპიტალმა წინა წლებთან შედარებით დანაკარგი განიცადა, პირველად, 2007 წლის შემდეგ, მან დაიბრუნა ადგილი პლანეტის ყველაზე მდიდარი ადამიანების პირველ ათეულში და ასევე, აღიდგინა 2004 წლის შემდეგ აზიის უმდიდრესი ადამიანის ტიტული. ლი კა-შინის ბიზნესიმპერიაში მსოფლიოს 53 ქვეყანაა ჩართული და 270 ათასი ადამიანი მუშაობს. მისი კომპანიის აშენებულია ყოველი მეშვიდე ბინა ჰონკონგში, ხოლო სულ ახლახან შეძენილი „ბორთამბრიან უოთერი" 4,5 მილიონ ადამიანს ინგლისში სასმელ წყალს მიაწვდის და 2,7 მილიონისთვის კი – კანალიზაციის მუშაობას უზრუნველყოფს.

**უშანგი რუხაძე**


## პრაქტიკული განათლების ცენტრი

გთავაზობთ მოსამზადებელ კურსს ეროვნული გამოცდებისთვის XII-კლასელებს ყველა საგანში და ოქტომბრის სასკოლო გამოცდებისთვის XI-კლასელებს (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია და გეოგრაფია).

სასწავლო ჯგუფები შედგება 8-12 მსმენელისგან. სასწავლო პროცესი დაიწყება სკოლის გაკვეთილების შემდეგ. გაკვეთილის ხანგრძლივობა – 1 საათი და 30 წუთი.

სწავლა დაიწყება თებერვალში.

ეროვნული გამოცდებისთვის მომზადება – თვეში 30 ლარი.

სასკოლო გამოცდებისთვის მომზადება – თვეში 20 ლარი.

საატესტატო გამოცდებისთვის მომზადება შეწყდება ივნისის ბოლოს და სექტემბერში ჩატარდება სავარჯიშო ტესტირება 4-ჯერ, ტესტების გარჩევით.

***გაკვეთილები ჩატარდება მეტრო „მარჯანიშვილთან", უზნაძის ქუჩა №23-ში, სკოლაში.***

**Email: praqtikuliganatleba@yahoo.com**
**ტელ: 2 308-728, 599 74-94-25, 591 31-32-40.**

**გასულ კვირას ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელის პოსტი დატოვა მაია სიდამონიძემ, რომელიც ქართულ ტურიზმს თითქმის სამი წელი შეფობდა. მაშინ, როდესაც ინგლისში კარიერას შეელია და თბილისში დაბრუნდა, სახელმწიფო სამსახური მისთვის დიდი დებიუტი იყო. „ჩინოვნიკურ გამოცდებს," როგორც თავად ამბობს, ბევრს გაუძლო, მაგრამ დღეს, როცა ცხოვრების ახალი ეტაპის დაწყებას ფიქრობს, არჩევანს მაინც კერძო სექტორზე აკეთებს.**

# რატომ დატოვა მაია სიდამონიძემ ტურიზმის დეპარტამენტი და რა შეუნახა მას საიდუმლოდ ვერა ქობალიამ

**– მაია, რატომ დატოვეთ ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელის პოსტი?**

– ეს იყო ჩემი საკუთარი გადაწყვეტილება, რაზეც ხელისუფლების შეცვლას ნამდვილად არ მოუხდენია გავლენა. ეკონომიკის სამინისტროში მინისტრის მოადგილეებიც კი დარჩნენ თანამდებობებზე და, უსამართლობა იქნება, ვთქვა, რომ რაიმე სახის მინიშნება ვიგრძენი ახალი ხელისუფლებისგან სამსახურის დატოვებასთან დაკავშირებით. მაშინ როდესაც საქართველოში ჩამოვედი და ამ თანამდებობაზე დავინიშნე, ვიცოდი, რომ ეს სამსახური არ იყო სამუდამო და, ადრე თუ გვიან, სხვაგან მომიწევდა გადასვლა. ახლა ჩავთვალე, შესაფერისი დრო დადგა იმისთვის, რომ დამესრულებინა ჩემი ვალდებულებები და მეფიქრა კერძო სექტორში გადასვლაზე. ჩემი აზრით, კერძო სექტორის როლი ქვეყნის ცხოვრებაში ასევე ძალიან მნიშვნელოვანია.

**– თითქმის სამი წელიწადი ხელმძღვანელობდით ტურიზმის სამსახურს. ამ პოსტზე პრეზიდენტის მოწვევით დაინიშნეთ და შეელიეთ კარიერას ინგლისში. ახლა ხომ არ ნანობთ იმ გადაწყვეტილებას?**



**ბავშვივით ატირებულმა დავურეკე ვერა ქობალიას**

– არა, ნამდვილად არ ვნანობ ამას, პირიქით, ვფიქრობ, რომ ძალიან საინტერესო პერიოდში მომიწია, მემუშავა იმ სფეროში, რომელიც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. იმ პროცესებში მონაწილეობა, რომელიც ტურიზმის მიმართულებით ხორციელდებოდა საქართველოში, იყო ძალიან საინტერესო და გარკვეული პატივიც ჩემთვის. შესაძლოა, ცოტა რამ გავაკეთე, მაგრამ, იმის განცდა, რომ პატარა წვლილი მაინც მაქვს შეტანილი კარგ საქმეში, ჩემთვის ბევრს ნიშნავს. ინგლისში რომ დავრჩენილიყავი, ალბათ, სხვანაირად წარიმართებოდა ჩემი ცხოვრება, რადგან იქ აბსოლუტურად განსხვავებული ცხოვრების წესი და კომფორტი მქონდა. მაგრამ, ყოველთვის ვიცოდი, რომ აუცილებლად უნდა დავბრუნებულიყავი ჩემს ქვეყანაში. ჩემი ჩამოსვლიდან ძალიან მალე „გადმოვიბირე" ჩემი მეუღლეც, რომელიც დღეს „თიბისი ბანკში" მუშაობს. ჩვენი გადაწყვეტილება, ცხოვრება გაგვეგრძელებინა თბილისში, იყო სწორი. სინანულს არასდროს არ აქვს აზრი, რადგან, ყველაფერი, რაც ხდება ჩვენ ირგვლივ, ალბათ, მაინც უკეთესობისკენ არის.

**– თქვენ პრეზიდენტ სააკაშვილის ფავორიტ „ჩინოსან ქალბატონთა" შორის იყავით. მას თუ შეუთანხმეთ თქვენი გადაწყვეტილება პოსტიდან წასვლის შესახებ?**

– არ ვიცოდი, პრეზიდენტის რჩეულთა შორის თუ ვიყავი, ამასაც ამბობდნენ? *(იცინის)* ჩემს წამოსვლაზე პრეზიდენტთან საუბარი არ მქონია, მაგრამ, მან, ალბათ, იცოდა ამის შესახებ ვერა ქობალიასგან. როცა თბილისში ჩამოვედი პრეზიდენტს საერთოდ არ ვიცნობდი, მანამდე არც ვერა ქობალიასთან მქონია კავშირი – ის წლების განმავლობაში კანადაში ცხოვრობდა, მე კი ინგლისში. პრეზიდენტთან არასდროს მქონია ახლო ურთიერთობა. ეს, ალბათ, იმიტომ ითქვა, რომ ძალიან ხშირად მხედავდნენ მის გვერდით. მიხეილ სააკაშვილისთვის ტურიზმი ქვეყნის განვითარების მნიშვნელოვანი პრიორიტეტი იყო და, ავტომატურად, მასთან გვქონდა ახლო სამუშაო გრაფიკი როგორც მე, ასევე ეკონომიკის მინისტრს. მე მგონი, ყველა მინისტრი ამა თუ იმ ფორმით იყო ჩართული ამ მნიშვნელოვან მიმართულებაში, ასე რომ, შეუძლებელი იყო, გუნდის წევრებს ერთმანეთთან ახლო ურთიერთობები არ ჰქონოდათ. ამ წლებმა ძალიან დიდი გამოცდილება მომცა არა მხოლოდ პროფესიული, არამედ, ადამიანური ურთიერთობების თვალსაზრისითაც. ასეთ გამოცდილებას, ალბათ, სხვაგან ვერსად მივიღებდი. ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ პროფესიული თვალსაზრისით ძალიან მაღალი პოზიცია მეკავა. სახელმწიფო სექტორში მუშაობა სულ სხვა სპეციფიკაა, დიდ ცხოვრებისეულ გამოცდილებას გაძლევს. ახლა უფრო უკეთ ვერკვევი ადამიანებში, ვიდრე ადრე, ვისწავლე ურთიერთობის „ოქროს წესები" *(იცინის).* ამ წლებმა დამანახვა, რომ არიან ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ ერთს, ამბობენ მეორეს და აკეთებენ მესამეს. ვფიქრობ, რომ მე არ ვარ ის ადამიანი, ვინც სახელმწიფო სამსახურში უნდა იყოს. საკმაოდ ემოციური, პირდაპირი ხასიათი მაქვს, პირში ვეუბნები ხოლმე ყველას ჩემს სათქმელს და, ამიტომ, თავიდან ცოტა არ მესმოდა სხვათა „დიპლომატია", მერე ნელ-ნელა გავერკვიე, რაც, ვფიქრობ, მომავალში გამომადგება.

**– როგორც ვიცი, ძალიან ახლომეგობრული ურთიერთობები გაქვთ ვერა ქობალიასთან. როგორ დაიწყო თქვენი მეგობრობა?**

– როდესაც ჩვენ ერთად ვმუშაობდით, იმის მიუხედავად, რომ ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა გვქონდა, მე მაქსიმალურად ვიცავდი სუბორდინაციას. ვიცოდი, რომ ის იყო ჩემი უფროსი და ვცდილობდი, არ გავცდენილიყავი საქმიანი ურთიერთობის ფორმატს. ახლა, როცა ვერა ჩემი უფროსი აღარაა, ჩვენ ერთმანეთთან კარგი, გულწრფელი მეგობრობა გვაკავშირებს, რომელსაც ნამდვილად იმ წლებში ჩაეყარა საფუძველი. ჩვენ უკვე ხშირად ვნახულობთ ერთმანეთს.

**– ახლა როგორ ზრუნავთ ორსულ მეგობარზე?**

– ხანდახან ვცდილობ, ჩემი გამოცდილება გავუზიარო, კონსულტაციებს ვაძლევ ხოლმე ორსულობასთან დაკავშირებით. ბავშვი უკვე ორი თვის რომ ეყოლება, ჩემი კონსულტაციები, ალბათ, აღარ გამოადგება, რადგან, ჩემი შვილი ორი თვის იყო, როცა მუშაობა დავიწყე და, სამწუხაროდ, შვილისთვის ველარ ვიცლიდი. ვერასთან დაკავშირებით ერთი შემთხვევა მახსენდება: მესტიაში ეწყობოდა ღონისძიებები, რომელთა შორის იყო ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის ოფისის პრეზენტაციაც. პრეზიდენტი უკვე ჩამოსული იყო მესტიაში, წუთი-წუთზე ცენტრში უნდა მოსულიყო და შენობაში წყალი ჩამოვიდა. ეს ჩემთვის შოკი იყო, მახსოვს, პატარა ბავშვივით ატირებულმა დავურეკე ვერას, რომელმაც დამამშვიდა და, ეს ამბავი, რა თქმა უნდა, საიდუმლოდ შეინახა *(იცინის).* მუშებთან ერთად ძალიან ბევრჯერ მიმიღია მონაწილეობა ტექნიკური საკითხების მოგვარებაში, მაგიდებიც მიწმენდია და კედლებზე ფოტოებიც დამიკიდებია, როცა ამის აუცილებლობა იყო. რაც არ უნდა ორგანიზებულად დაგეგმო ღონისძიება, ყველა დეტალი შეიძლება ბოლომდე ვერ გათვალო.

**– ძალიან საინტერესო ცხოვრება გქონდათ, მუდმივად უცხოეთში გიწევდათ ყოფნა. ახლა ეგუებით ცხოვრების პასიურ რეჟიმს?**

– ჯერჯერობით ვისვენებ და ცხოვრების პასიური რეჟიმი არ მაწუხებს, პირიქით, მსიამოვნებს კიდეც. დავგეგმე, რომ ამ თვეში კარგად გამოვიძინო, დავუბრუნდე ოჯახს და, ალბათ, თებერვლის დასაწყისიდან დაიწყება ჩემი ცხოვრების ახალი ეტაპი. ამ წლებმა დამაკარგვინა თავისუფლება, პირადი ცხოვრება; დამაკარგვინა ურთიერთობები ახლო მეგობრებთან, ოჯახის წევრებთან, ჩემს შვილთან, რასაც ახლა ვინაზღაურებ. ერთადერთი „კარგი," რაც ამ წლებში დავკარგე, ჭარბი წონაა *(იცინის).* როცა მეკითხებიან, როგორ დაიკელი წონაშიო, ყველას ვახსენებ, იმდენი ვიარე მთასა და ბარში, რომ არ დამეკლო წონაში, გასაკვირი ის იქნებოდა-მეთქი. საქართველოში თითქმის ყველგან მომიწია წასვლა, სადაც, კი შეიძლებოდა. მოვიარე თუშეთი, სადაც, გეგონება, რომ წინა საუკუნეებში მოხვდი. საოცარი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე მაღალმთიანმა აჭარამ – არ მოველოდი, ასეთი ლამაზი თუ იქნებოდა ეს მხარე. ფაქტობრივად, ყოველთვე მიწევდა წასვლა უცხოეთში, ერთხელ დღე-ნახევარი ვიყავი ჩინეთში, დღე-ნახევარი კი – ნიუ-იორკში. წარმოგიდგენიათ, რამდენი ვიფრინე იმ დღენახევრიანი ვიზიტისთვის?! თავიდან ეს არის ხიბლი, მაგრამ, მერე უკვე ისეთი დამღლელი იყო ასეთი რეჟიმი, ერთმანეთს გადავაბარებდით ხოლმე სადმე წასვლას, მოტივით: მე ხომ უკვე ვიყავი იქ, ახლა შენ წადიო *(იცინის).* ეს რეჟიმი ჩემს ჯანმრთელობაზეც აისახა, მაგრამ, ახლა ყველაფერი კარგად მახსენდება და, დარწმუნებული ვარ, მომავალში უფრო კარგად გამახსენდება ის დრო, რომელიც ტურიზმის დეპარტამენტში გავატარე.

**– ცხოვრებას კერძო სექტორს ვუკავშირებო, თქვით. რა სახის საქმეში გიხილავთ მომავალში?**

– აუცილებლად დავრჩები ტურიზმში – ეს არის ჩემი საყვარელი საქმე, რომელსაც ვერასოდეს ვერ მივატოვებ. ჯერჯერობით ზუსტად ვერ გეტყვით, რა იქნება მომავალში, თუმცა, ძალიან ბევრი გეგმა მაქვს, რომელიც ხელს შეუწყობს ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებას. ტურიზმის დეპარტამენტში მუშაობისას დავინახე ბევრი რამ, რაც შეიძლება გაკეთდეს კერძო სექტორში – კერძო სექტორში მაინცდამაინც ტურისტულ სააგენტოს არ ვგულისხმობ. მაქვს რამდენიმე საინტერესო შემოთავაზება, თუმცა, ჯერ გადაწყვეტილება არ მიმიღია. მქონდა შემოთავაზებები უცხოეთიდანაც, მაგრამ, მათზე ბევრი არც მიფიქრია – ახლა ისევ სხვაგან ვერ წავალ, მირჩევნია, აქ ავაწყო ჩემი ცხოვრება. ჩემი მეუღლეც ძალიან კმაყოფილია თავისი სამსახურით და, ალბათ, არასოდეს დამაყვედრის, რომ ჩემ გამო ინგლისიდან აქეთ წამოვიდა *(იცინის).*

**თამუნა სამადაშვილი**

**1 იანვრიდან ძალაში შევიდა საგადასახადო ადმინისტრირების ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ჯარიმებისა და სანქციების ლიბერალიზაციისკენაა მიმართული, რაც მძიმე ტვირთად აწვა მცირე და საშუალო ბიზნესს. მკითხველის ინტერესის გათვალისწინებით, საგადასახადო ცვლილებების შესახებ შემოსავლების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, ხატია მოისწრაფიშვილს გავესაუბრეთ.**

# როგორ შეიცვალა საგადასახადო ჯარიმები და სანქციები მცირე და საშუალო ბიზნესისთვის და როგორ შესრულდა დეკემბრის ბიუჯეტი წარსულის „პრაქტიკის” გარეშე

**ხატია მოისწრაფიშვილი:** ცვლილებები, რაც საგადასახადო კანონმდებლობაში გატარდა, იყო იმ დაპირების შესრულება, რომელიც მიეცათ გადასახადის გადამხდელებს ახალი ხელისუფლების მხრიდან, რომ განხორციელდებოდა ჯარიმებისა და სანქციების ლიბერალიცაზია. პირობა შესრულებულია, ფინანსთა სამინისტროსა და შემოსავლების სამსახურის ერთობლივი რეკომენდაციების შედეგად, საკანონმდებლო ცვლილებები შეეხო გადამხდელთათვის მნიშვნელოვან სეგმენტებს. რაც მთავარია, ეს ყველაფერი გაკეთდა სამართლიანი და ეფექტური ადმინისტრირებისთვის. დღეს არ არსებობს არც ერთი სფერო და მიმართულება, რომელიც არ ექვემდებარება საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ ქმედებებს. კანონის მოთხოვნის გათვალისწინება ყველას ერთნაირად შეეხება და აღარ იქნება ის, რაც იყო ადრე – ვიღაც ზედმეტად მოხვდეს ადმინისტრირების ქვეშ, ვიღაც კი იყოს თავისუფალი და ხელშეუხებელი.

**– ეს იყო მონოპოლისტებისთვის „სასათბურე პირობების” შექმნის საშუალება. როგორი იქნება ცვლილებების შემდეგ იმ სფეროების ბედი, რომლებიც საგადასახადო ადმინისტრირებაში არ ყვებოდნენ?**

– ახალი ხელისუფლება ბევრს საუბრობდა სამართლიანობის აღდგენაზე, რაც მხოლოდ სისხლისსამართლებრივ სამართლიანობას არ გულისხმობდა. სამართლიანობა უნდა აღდგენილიყო ისეთ სფეროში, როგორიცაა საგადასახადო ადმინისტრირება, რაც პრაქტიკულად არ არსებობდა. ამაზე შეფასებების გაკეთება პოლიტიკოსების საქმეა, თუმცა, ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, როგორ იყვნენ სხვა რეჟიმში ჩაყენებული სხვადასხვა ბიზნესის წარმომადგენლები. ჩვენ, როგორც გადამხდელებს დავპირდით, მოვახდინეთ გადასახადების ლიბერალიზაცია, რადგან, იმ მკაცრი პირობების, იმ კანონმდებლობის ქვეშ, რომელშიც მცირე ბიზნესი იყო ჩაყენებული, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო მათი მუშაობა. უკვე გატარებული ცვლილებები იმას არ ნიშნავს, რომ გადასახადების ლიბერალიზაციის პროცესი აქ დასრულდება. ფინანსთა სამინისტრო და შემოსავლების სამსახური კვლავ განაგრძობს მუშაობას ამ მიმართულებით და, შესაბამისად, ცვლილებები კვლავ იქნება.

**საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების ერთწლიანი ვადა გაიზარდა და გახდა სამი წელი**

**– მცირე ბიზნესის გადამხდელებისთვის საგადასახადო კოდექსში განხორციელებულ ცვლილებათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია სალარო აპარატების გამოყენებასთან დაკავშირებული ცვლილებები.**

– თავისთავად იყო საუბრები ცვლილებებამდე, რომ ჯარიმები მართლაც საკმაოდ მაღალი იყო და, შესაბამისად, ეს სანქციები შეიცვალა. 1 იანვრიდან საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დარღვევისთვის დადგენილი ჯარიმის ოდენობა 500 ლარიდან შემცირდა 200 ლარამდე. შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილებით, გადამხდელები სალარო აპარატების მომსახურებისთვის წელიწადში ორჯერ გადაიხდიან 30 ლარს, წინასწარ 60 ლარის გადახდის ნაცვლად. ეს კარგი შეღავათია მცირე ბიზნესის წარმომადგენლებისთვის. სალარო აპარატების გამოყენების წესის დარღვევის პირველად გამოვლენისას შესაძლებელია სანქციის სახით გაფრთხილების გამოყენება. დეკლარაციის დაგვიანებით წარდგენისთვის დაწესებული სანქციის მინიმალური ოდენობა: 200 ლარის ნაცვლად განისაზღვრა 50 ლარით; სასაქონლო ზედნადების გარეშე საქმიანობის პირველად გამოვლენისას, პირი, ნაცვლად 1 000 ლარისა, დაჯარიმდება 500 ლარით; საურავის ოდენობა 0, 07 პროცენტიდან შემცირდა 0, 06 პროცენტამდე, ერთი შეხედვით ეს ცვლილება თითქოს არაფერს ნიშნავს, მაგრამ, ყოველდღიური საურავისთვის ეს არაა ცუდი ცვლილება. საქონლის წარდგენის (დეკლარირების) ვადა ან სატრანსპორტო საშუალების გამოცხადების ვადის დარღვევისთვის მაქსიმალური ზღვრის – 1 500 ლარის ნაცვლად, ჯარიმა განისაზღვრა 1 000 ლარის ოდენობით, ხოლო, ყოველ დაგვიანებულ დღეზე 100 ლარის ნაცვლად – 50 ლარი. კეთილსინდისიერი გადამხდელის ჯარიმისგან გათავისუფლების უფლება საგადასახადო ორგანოსა და დავის განმხილველ ორგანოსთან ერთად, მიენიჭა სასამართლოსაც. ბიუჯეტისთვის ზიანის მიყენების გამო, კეთილსინდისიერად გადამხდელის ჯარიმისგან გათავისუფლების უფლების გამოყენება არ იზღუდება. დადგინდა და დამატებით დაზუსტდა ხანდაზმულობის ვადები საგადასახადო შემოწმებასა და საგადასახადო ვალდებულების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე. საგადასახადო დავალიანების იძულებითი გადახდევინება იწყება საგადასახადო



**იანვრიდან კერძო საგადასახადო ინსპექტორების ნაცვლად მუშაობენ ჩვენი სამსახურის თანამშრომლები, რომლებსაც აქვთ ხელფასი და არ აქვთ ზედმეტი მოტივაცია ეგრეთ წოდებული „გეგმის” შესასრულებლად**

დავის დასრულების შემდეგ. საგადასახადო შეთანხმების გაფორმების შესახებ გადაწყვეტილებას საქართველოს პრემიერ-მინისტრის ნაცვლად მიიღებს საქართველოს მთავრობა. საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების ერთწლიანი ვადა გაიზარდა და გახდა სამი წელი. მიწაზე ქონების გადასახადის წლიური საბაზისო ოდენობა, მთავრობის დადგენილების ნაცვლად, განისაზღვრა კანონით. საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების უზრუნველსაყოფად, შესაძლებელი გახდა გადასახადის გადამხდელის ქონების გირავნობა (იპოთეკით დატვირთვა). 2012 წლის ბოლოს ანაზღაურებულად ჩაითვალა და გადასახადის წყაროსთან დაიბეგრა 2006 და 2007 წლების საგადასახადო პერიოდებში გამოქვითული და აუნაზღაურებელი პროცენტები, ხოლო, რაც შეეხება 2008-2010 წლებში გამოქვითულ პროცენტებს, გადანაწილდა და ანაზღაურებულად ჩაითვალა 2013-2015 წლებში.

**– როგორია სტატისტიკა კანონში შესული ცვლილებების შემდეგ?**

– ჯერ ასეთი სტატისტიკა არ არსებობს, რადგან, სულ რამდენიმე დღეა, რაც ცვლილებები ძალაში შევიდა. გარდა ამისა, საახალწლო დღეებში ნამდვილად არ არსებობდა იმის სურვილი, რომ მკაცრი შემოწმებებით გაგვეფუჭებინა ადამიანებისთვის სადღესასწაულო განწყობა. მე შემიძლია გითხრათ ჩვენი საქმიანობის პირველი შედეგები: 2012 წლის დეკემბრის ბიუჯეტი, 680,4 მილიონი ლარი, შესრულებულია 102 პროცენტით, გადაჭარბებამ შეადგინა 11, 1 მილიონი ლარი – 2011 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელი შეადგენდა 670, 9 მილიონ ლარს. აქვე გეტყვით, რომ 2012 წლის დეკემბრის ბიუჯეტი შესრულებულია საგადასახადო ადმინისტრირების ხარჯზე, ძირითადად მცირე და საშუალო ბიზნესიდან შემოსული თანხებით, რაც ნიშნავს იმას, რომ მცირე და საშუალო ბიზნესს შექმნილი აქვს მიმზიდველი სამუშაო გარემო და მთელი დატვირთვით ფუნქციონირებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ბიუჯეტის შევსებასთან დაკავშირებით პირველად არ გამოყენებულა გასულ წლებში არსებული, სამთავრობო უწყებებიდან და კერძო სექტორიდან ერთჯერადი ჩარიცხვებისა და ზედმეტად გადახდილი თანხების უკანონო პრაქტიკა. გაძლიერდა კონტრაბანდასთან ბრძოლა, თითქმის გაორმაგდა საბაჟო საზღვარზე გამოვლენილ სამართალდარღვევათა რაოდენობა: თუ სექტემბერ-ოქტომბერში დაფიქსირებული იყო 298 სამართალდარღვევა, ნოემბერ-დეკემბერში ეს რიცხვი 518-მდე არის გაზრდილი.

**– გადასახადების გადამხდელები ჩიოდნენ, რომ ხშირად სამართალდარღვევა ინსპირირებული იყო თავად საგადასახადო სამსახურის ინსპექტორების მიერ. რა ბერკეტი დაიცავს ამისგან გადასახადის გადამხდელს ცვლილებების შემდეგ?**

– ჩვენ გვაქვს მკაცრი მონიტორინგი ჩვენი სამსახურის ქმედებებზე, შესაბამისად, განვიხილავთ თითოეულ საჩივარს და გამოვრიცხავთ გადასახადის გადამხდელის მიმართ რაიმე სახის მართლსაწინააღმდეგო ღონისძიებას. ამ ბერკეტით გამოირიცხება ნებისმიერი უსამართლობა გადასახადის გადამხდელის მიმართ. იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც გადასახადის გადამხდელები ჩიოდნენ, რომ საგადასახადო სამსახურის წარმომადგენელმა ხელოვნურად, ინსპირირებით მოახდინა გადამხდელის მიერ სამართალდარღვევის ჩადენა. ჩვენ ამას გამოვრიცხავთ ჩვენი თანამშრომლების მხრიდან, თუმცა, ადამიანური ფაქტორიდან გამომდინარე, მაინც ყველაფერი გასათვალისწინებელია. ვცდილობთ, შევქმნათ გარემო, რომ გადასახადის გადამხდელი მაქსიმალურად იყოს დაცული: დავხვეწეთ მექანიზმი, გავამარტივეთ „დავების საბჭოში” საჩივრის შესვლისა და მსვლელობის პროცედურა და მაქსიმალურად სწრაფად და ეფექტურად განიხილება გადასახადის გადამხდელის საჩივარი. ამას გარდა, დეკემბრის ბოლოს გაუქმდა ხელშეკრულებები დაქირავებულ საგადასახადო ინსპექტორებთან, რომლებიც, მოდი, პირდაპირ ვთქვათ, მოტივირებულები იყვნენ, გამოევლინათ რაც შეიძლება მეტი სამართალდარღვევა. მათ ჰქონდათ გეგმა, უნდა მიეღოთ ჰონორარი თითოეული სამართალდარღვევის ფაქტზე. იანვრის თვიდან ამ საქმეს აკეთებენ ჩვენი სამსახურის თანამშრომლები, რომლებიც მუშაობენ ხელფასზე და არ აქვთ ზედმეტი მოტივაცია ეგრეთ წოდებული „გეგმის” შესასრულებლად. გადასახადის გადამხდელსა და ამკრეფს შორის უნდა მოხდეს თანამშრომლობა. ჩვენ მედიასაშუალების მეშვეობით, მუდმივად ვატყობინებთ გადასახადების გადამხდელებს, თუ რა ღონისძიების გატარებას იწყებს შემოსავლების სამსახური, რომელიც ნამდვილად არაა ჩასაფრებულ მდგომარეობაში. ფინანსთა სამინისტროს არანაირი მოტივაცია არ აქვს, რომ გამოავლინოს მეტი სამართალდაღვევა; ჩვენი მოტივაციაა, მოვახდინოთ სამართალდარღვევათა პრევენცია, ხელი შევუწყოთ გადასახადის გადამხდელებს, იმუშაონ და გადაიხადონ გადასახადები. ბიუჯეტი არ ივსება ჯარიმებით, ბიუჯეტი ივსება გადასახადებით – ეს ბოლო თვემ უფრო მეტად დაადასტურა.

**თამუნა სამადაშვილი**

# ინტიმური საუბრები



## ახლა ისეთი ოჯახი გვაქვს, როგორზეც ვოცნებობდი

ისეთი ბედნიერი ვარ, ამ გრძნობას გულში ვერ ვიტევ და გადავწყვიტე, თქვენთვისაც გამეზიარებინა ჩემი სიხარული.

შარშან, ძველით ახალი წლის ღამეს მამაჩემი დაბრუნდა. რამდენიმე წლის წინ მიგვატოვა და მთელი ამ წლების განმავლობაში ერთხელაც კი არ მოუკითხავს თავისი ოჯახი. მე ეს საშინლად მწყინდა და გული მტკიოდა. ხშირად მიფიქრია, რომ არასდროს ვაპატიებდი ასეთ საქციელს და რომც დაბრუნებულიყო, არ მივიღებდი, მაგრამ, სახლში შემოსული რომ დავინახე, ყველა წყენა და ტკივილი დამავიწყდა, მაშინვე შევახტი და კოცნა დავუწყე. ეტყობა, ამას არ მოელოდა, რადგან, ჯერ დაბნეული და გაოგნებული იდგა, მერე კი თვითონაც დამიწყო კოცნა და თან ტიროდა. დედას უფრო გაუჭირდა პატიება, მაგრამ, რომ შემხედა, რა დღეში ჩავვარდი, ჩემ გამო გადაყლაპა წყენა და მანაც აპატია. მთელი ეს ერთი წელიწადი, შარშანდელს აქეთ, ძალიან ბედნიერი ვიყავი, მაგრამ, ამ ამბავმა, რაც ამ რამდენიმე დღის წინ გავიგე, ჩემი ბედნიერება გააათმაგა. საქმე ისაა, რომ რამდენიმე თვეში ტყუპი ძმები მეყოლება. იცით, ყველაზე მეტად რა მიხარია? თითქმის მთელი ბავშვობა ისე გავატარე, მე და დედა მარტო ვცხოვრობდით, სულ მალე კი ძალიან ბევრნი ვიქნებით ოჯახში. სულ ვოცნებობდი, და-ძმა მყოლოდა, ახლა კი ორი ძმა ერთად მეყოლება. მე მათზე საკმაოდ ბევრით ვიქნები უფროსი და ისე მოვუვლი, როგორც მე მიმაჩნია საჭიროდ. ყველაფერს ვასწავლი, ვიზრუნებ მათზე, რომ მაგარ ბიჭებად გაიზარდონ. კიდევ ის მიხარია, რომ დედას და მამას ძალიან უყვართ ერთმანეთი და წარსულს არც ერთი არ ახსენებს, რისთვისაც მე ორივეს ვუხდი მადლობას. მიხარია, რომ ახლა სწორედ ისეთი ოჯახი გვაქვს, როგორზეც ყოველთვის ვოცნებობდი.

**საბა, 13 წლის.**

## შობის ღამის სასწაული

ბავშვობიდან მჯეროდა და მთელი ცხოვრება ველოდი, რომ შობის ღამეს აუცილებლად მოხდებოდა სასწაული – ყველასგან განსხვავებული და განსაკუთრებული. მართალია, წლები ისე გადიოდა, რომ არაფერი განსაკუთრებული არ ხდებოდა, მაგრამ, არასდროს დამიკარგავს იმედი, რომ ეს ბედნიერი ღამე ჩემთვისაც დადგებოდა. ნათქვამია, კაცი იმედით ცოცხლობსო და მეც ასე ვიყავი. მიუხედავად ჩემი ასაკისა (წელს 30 წლის ვხდები), ისევ ისეთი რომანტიკოსი და მეოცნებე ვარ, როგორიც ბავშვობაში ვიყავი. არც მატერიალურად მილხინდა და ოჯახის შექმნაშიც სულ რაღაც გაუთვალისწინებელი მიზეზები მიშლიდა ხოლმე ხელს, მაგრამ, შინაგანად მუდამ ვგრძნობდი, რომ ყოველთვის ასე არ გაგრძელდებოდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ჩემს ცხოვრებაშიც შეიცვლებოდა ყველაფერი სასიკეთოდ.

წელს, 6 იანვრის საღამოს, მეგობარმა დამირეკა და თავისთან მიმიწვია შობის შესახვედრად. მარტო ვცხოვრობდი და ამიტომ წასვლის პრობლემა არ მქონდა, მაგრამ, უარი ვუთხარი, რადგან საფულეში მხოლოდ ორ ლარამდე ხურდები მეყარა და გზის ფულადაც არ მეყოფოდა, რომ არაფერი ვთქვა საჩუქარზე. ჩემი მეგობარი მაშინვე მიხვდა უარის მიზეზს და დამაფიცა, მივსულიყავი. ისევ უარი რომ ვუთხარი, მითხრა, ტაქსით მოდი, ქვემოთ დაგხვდები და მე გადავიხდი და უკან დასაბრუნებელ ფულსაც მოგცემო. კი შემრცხვა, მაგრამ, სხვა გზა აღარ მქონდა და დავთანხმდი.

ძალიან კარგი დრო გავატარეთ, მხიარულად შევხვდით შობას. რომ ინათა, ყველანი დავიშალეთ. რადგან ტრანსპორტი ჯერ არ იყო (დილის 7 საათი სრულდებოდა), ტაქსის ფული კი არ მქონდა (ჩემს მეგობარს დაავიწყდა მოეცა, მე კი ველარ შევახსენე), ფეხით გავუყევი გზას. ჩემი სახლი საკმაოდ შორს იყო, თან არსად არ მეჩქარებოდა და ნელა მივუყვებოდი გზას. ხომ იცით, ასეთ დროს ფიქრებმა იცის მოძალება და მეც რა არ გავიხსენე, ბოლოს კი მაინც ცრემლი მომერია, რადგან, ისევ ჩემს გამოცარიელებულ სახლში უნდა მივსულიყავი, ისევ მარტოს უნდა გამეტარებინა შობის დღე, მეორე დღიდან კი ისევ ჩვეულებრივ, მოსაწყენ ცხოვრებას უნდა შევდგომოდი. ამ ფიქრებში ვარ, რომ ფეხი რაღაცას დავადგი და ქუსლი გადამიბრუნდა. კოჭთან ისე ამეწვა, დავიხარე, რომ ხელით დამეზილა, მაგრამ, უცებ დავინახე, რომ ჩემ წინ საკმაოდ მოზრდილი და გაბერილი საფულე ეგდო. ტკივილი მაშინვე დამავიწყდა, დავავლე ხელი, გავხსენი და კინაღამ გული წამივიდა – საფულე დოლარებითა და ევროებით იყო გაძეძგილი. ოდნავ რომ დავწყნარდი, გადავწყვიტე, ცოტა ხანს იქვე ვმდგარიყავი – იქნებ პატრონმა მოაკითხოს-მეთქი. კარგა ხანს ვიარე წინ და უკან, მაგრამ არავინ მოსულა. ქუჩაში კაცის ჭაჭანება არ იყო, მანქანებიც კი არ დადიოდნენ. ძალიან რომ გავიყინე, გადავწყვიტე, სახლში წავსულიყავი და იქ მომეფიქრებინა, როგორ მოვქცეულიყავი.

სახლში რომ მივედი, მაშინვე გავჩხრიკე საფულე, რომ პირადობის მოწმობა ან რაიმე საბუთი მეპოვა. დაზღვევის ბარათის მეტი ვერაფერი ვნახე, ისიც ინგლისურად იყო შევსებული, მაგრამ, პატრონი ქართველი გამოდგა – ქართული სახელი და გვარი ეწერა. მერე ამოვალაგე დოლარები და ევროები და დავთვალე. ათი ათასი ევრო და შვიდი ათასი დოლარი აღმოჩნდა. ყველაფერი ისევ საფულეში ჩავალაგე და კომპიუტერს მივუჯექი – მხოლოდ ასე თუ ვიპოვიდი ამ საფულის პატრონს. მიუხედავად იმისა, რომ სურათი არ მქონდა, სადაზღვევო ბარათის მონაცემებით მაინც ვიპოვე ის, ვისაც ვეძებდი. როგორ შემეტყობინებინა მისთვის, რაც მინდოდა, არ ვიცოდი, ამიტომ მივწერე, თქვენი გაცნობა მინდა და თუ შეიძლება, მისამართი მომწერეთ-მეთქი, თან ჩემი მობილურის ნომერიც მივუთითე. დაახლოებით შუადღისთვის მივიღე მესიჯი, რომელშიც მისამართი ეწერა. ვუპასუხე, ნახევარ საათში თქვენთან ვიქნები-მეთქი, ჩავიცვი და წავედი (ავტობუსით ვიმგზავრე).

გჯერათ ერთი ნახვით შეყვარების? მეც არ მჯეროდა, მაგრამ, სიმართლე ყოფილა, რადგან, ასე დაგვემართა ორივეს. გიორგი მარტო არ დამხვდა, მასთან ორი მეგობარი მამაკაცი იყო სტუმრად. ჩემი მასპინძელი აშკარად ცუდ ხასიათზე იყო, მაგრამ მისთვის უცნობ ქალს მაინც თავაზიანად შეხვდა. ჩვენი გაცნობა რომ შედგა, ტკბილეული დააწყო მაგიდაზე, პატარა სირჩებში კონიაკი ჩამოასხა და ოდნავ „გატეხილი“ ქართულით შობა მოგვილოცა ყველას. თან, ვგრძნობდი, რომ აღფრთოვანებულ მზერას არ მაშორებდა. მე ძალიან ვღელავდი, რადგან, ხომ უნდა მეთქვა, ბოლოს და ბოლოს, რისთვის მივედი, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ვიგრძენი, ეს უცხო მამაკაცი დანახვისთანავე შემიყვარდა, თუმცა, არ ვიცოდი, ცოლიანი იყო თუ უცოლო. როგორც იქნა, მოვიკრიბე ძალა, ამოვიღე ჩემი ჩანთიდან ნაპოვნი საფულე და ვკითხე, ხომ არ გეცნობათ-მეთქი. იქ ამბავი ატყდა?! – ენა ვერ აღწერს. ცოტა რომ დამშვიდდნენ, გიორგიმ (ჩემს დასარწმუნებლად, რომ საფულე ნამდვილად მისი იყო) ჩამომითვალა, რა ედო საფულეში, რამდენი იყო თანხა და ასე შემდეგ. იქიდან ზარ-ზეიმით გამომაცილეს. სხვათა შორის, გიორგიმ თავისი მანქანით მიმიყვანა სახლამდე და გზაში მიამბო, რომ უკვე თხუთმეტი წელია, ამერიკაში ცხოვრობს და ერთი თვით არის საქართველოში საქმეებზე ჩამოსული. თან, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ოჯახი ჯერ არ შეუქმნია და აუცილებლად ქართველი ქალი უნდა ცოლად. მერე ჩემ შესახებ გამომკითხა რაღაცეები და ასე დავშორდით. ორი დღის შემდეგ კი ულამაზესი თაიგულით მომადგა სახლში, თან ის ორი მეგობარიც ახლდა, რომლებმაც შამპანურები და ტორტი მომართვეს. ძალიან ხანმოკლე საუბრის შემდეგ კი გიორგიმ ხელი მთხოვა. გაოცებისგან ისე დავიბენი, ვერაფერი ვუპასუხე, მხოლოდ ის ვუთხარი, შენ ხომ საერთოდ არ მიცნობ-მეთქი (ვითომ მე ვიცნობდი). მან გაიცინა და მითხრა, ვერც კი წარმოიდგენ, ისე კარგად გიცნობ. სანამ აქ ვიქნები, ყოველდღე შეგხვდები და ჩემს თავსაც გაგაცნობ. შენ ვერ დაგკარგავ, რადგან ღმერთმა შენი თავი შობა დღეს გამომიგზავნა, თან, დაგინახე თუ არა, მაშინვე შემიყვარდიო.

ბედნიერებისგან კინაღამ კივილი დავიწყე. რა თქმა უნდა, დავთანხმდი. ჯერ მხოლოდ ერთი კვირაა, ერთმანეთს ვიცნობთ და ვხვდებით. მაგრამ, არ მგონია, ჩვენზე ბედნიერი წყვილი სადმე თუ დადის დედამიწაზე. იანვრის ბოლოს ჯვარს ვიწერთ და ხელს ვაწერთ, მერე კი ამერიკაში მივყავარ. მიჭირს ყველაფრის ასე ხელაღებით მიტოვება, მაგრამ, გიორგი მპირდება, რომ ხშირად ჩამოვალთ ხოლმე საქართველოში, რამდენიმე წლის შემდეგ კი სულ დავბრუნდებით.

აი, ასე გამაბედნიერა შობის ღამის (თუ დღის – რა მნიშვნელობა აქვს) სასწაულმა. ამიტომ, ყველას მივმართავ: იმედი არ დაკარგოთ, სასწაულები ნამდვილად ხდება!

**თამუნა, 30 წლის.**


**შეცვალეთ თქვენი ცხოვრება უკეთესობისკენ!**
**შეხვდით ახალ წელს გაწმენდილი აურით, პრობლემების გარეშე!**

ბიოკორექტორი ნანა მამაგულაშვილი თქვენს სამსახურშია.

**დარეკეთ: 577 75-54-18.**

*მოიზიდეთ ფინანსები და გაიუმჯობესეთ პირადული ურთიერთობები პირველივე ვიზიტზე!*




**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ SMS-ები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 595 40-76-78.**

**ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@yahoo.com**

**ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

# ადვოკატი გირჩევთ

**კითხვა: მაინტერესებს იმ ნაკლებად მძიმე დანაშაულთა ჩამონათვალი, რომლებსაც არ ეხება ამნისტიის შესახებ კანონი, ანუ, სრულად არ თავისუფლდებიან სასჯელისაგან.**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ ამნისტიის კანონის მოქმედება სრულად არ ვრცელდება იმ ნაკლებად მძიმე დანაშაულებზე, რომელსაც მოჰყვა სიცოცხლის მოსპობა, კერძოდ: სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე, 111-ე, 112-ე, 113-ე, 114-ე, 115-ე, 116-ე მუხლები; 118-ე მუხლის მე-2 ნაწილი; 130-ე მუხლის მე-2 ნაწილი; 133-ე მუხლის მე-3 ნაწილი; 161-ე მუხლის მე-2 ნაწილი; 170-ე მუხლის მე-2 ნაწილი; 188-ე მუხლის მე-3 ნაწილი; $220^1$ მუხლის მე-2 ნაწილი; $229^1$ მუხლის მე-3 ნაწილი; 238-ე მუხლი; 240-ე მუხლის მე-2 ნაწილი; 281-ე მუხლის მე-2 ნაწილი; 283-ე მუხლის მე-2 ნაწილი; 289-ე მუხლის მე-2 ნაწილი; 292-ე მუხლის მე-3 ნაწილი; 293-ე მუხლის მე-4 ნაწილი; 295-ე მუხლის მე-3 ნაწილი; 297-ე მუხლის მე-3 ნაწილი; 342-ე მუხლის მე-2 ნაწილი; $342^1$ მუხლის მე-2 ნაწილი; 397-ე მუხლის მე-2 ნაწილი; ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება – 117-ე მუხლის პირველი ნაწილი; დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ – 139-ე, 140-ე, 141-ე მუხლები; დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების წინააღმდეგ – 142-ე მუხლი; $142^1$ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები; $143^3$ მუხლის პირველი ნაწილი; $144^2$ მუხლი; $144^3$ მუხლის პირველი ნაწილი; 146-ე მუხლის პირველი ნაწილი; 153-ე მუხლი; 154-ე მუხლი; 155-ე მუხლი; 156-ე მუხლი; 159-ე მუხლის მე-2 ნაწილი; 160-ე მუხლის მე-3 ნაწილი; 161-ე მუხლის პირველი ნაწილი; 162-ე მუხლი; 163-ე მუხლი; 164-ე მუხლი; $164^1$ მუხლი; $164^2$ მუხლი; $164^3$ მუხლი; 166-ე მუხლი; არასრულწლოვნის ჩაბმა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში – 171-ე მუხლის მე-3 ნაწილი; ბავშვის შეცვლა – 174-ე მუხლი; პროსტიტუციაში ჩაბმა – 253-ე მუხლის პირველი ნაწილი; დანაშაული სახელმწიფოს წინააღმდეგ – 320-ე მუხლის პირველი ნაწილი; 321-ე მუხლის პირველი ნაწილი; სამოხელეო დანაშაული – 332-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები; 333-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები; 334-ე მუხლი; 335-ე მუხლის პირველი ნაწილი; 337-ე მუხლი; 339-ე მუხლის პირველი ნაწილი; 340-ე მუხლი; 341-ე მუხლი, 342-ე მუხლი; სამართალწარმოების განხორციელებისთვის ან გამოძიებისთვის ხელის შეშლა – 364-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილები; დანაშაული მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ – $369^1$ მუხლის მე-2 ნაწილი; დანაშაულის დაფარვა – 375-ე მუხლი; დანაშაულის შეუტყობინებლობა – 376-ე მუხლი; დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ – 378-ე მუხლის მე-2 ნაწილი; 381-ე მუხლის მე-2 ნაწილი; მოწოდება აგრესიული ომის გაჩაღებისკენ – 405-ე მუხლი.



**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, როგორ გადაწყდება იმ მსჯავრდებულ ქალთა საკითხი, რომლებსაც ბრალად ედებათ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენა?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ, გამოცემული ამნისტიის შესახებ კანონით, ერთი მესამედით შეუმცირდებათ სასჯელი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენ ქალებს, გარდა დანაშაულისა, რომელსაც მოჰყვა სიცოცხლის მოსპობა.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რა ბედი ელით ახალი ამნისტიის შესახებ კანონით იმ პირებს, რომლებსაც ბრალი ედებათ ჩადენილი თაღლითობისთვის?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ გამოცემული ამნისტიის შესახებ კანონით, სრულად გათავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩამდენი პირი იმ შემთხვევაში, თუ ყველა დაზარალებული ან მათი უფლებამონაცვლე, ამნისტიის კანონის გამოყენების პროცესში გამოძიების ან სასამართლოს წინაშე თანხმობას გამოთქვამს ამ პირის მიმართ ამნისტიის აქტის გამოყენებაზე. იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებულის უფლებამონაცვლე გარდაცვლილია ან ვერ იძებნება, ამნისტია გამოყენებულ იქნება, თუ აღნიშნულის შესახებ, კანონით გათვალისწინებული წესით, თანხმობას გამოთქვამს დაზარალებულის ოჯახის ერთი წევრი: დედა, მამა, მეუღლე ან შვილი.

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, ამნისტიის შესახებ კანონით ვის და რა დანაშაულით მსჯავრდებულ პირებს შეიძლება გაუნახევრდეთ შეფარდებული სასჯელი?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ ამნისტიით გაუნახევრდებათ სასჯელი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩამდენ პირებს: 182-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები; მე-200 მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილები; 202-ე მუხლის მე-2 ნაწილი; 203-ე მუხლის მე-3 ნაწილი; $205^1$ მუხლის მე-2 ნაწილი; 208-ე მუხლის მე-2 ნაწილი; 210-ე მუხლის მე-2 ნაწილი; 214-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილები; 218-ე მუხლის მე-2 ნაწილი; 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილები; 237-ე მუხლის პირველი ნაწილი; 276-ე მუხლის მე-4 ნაწილი; 239-ე მუხლის მე-3 ნაწილი; $240^1$ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები; 353-ე მუხლის მე-2 ნაწილი; 370-ე მუხლის მე-2 ნაწილი; 384-ე მუხლის მე-2 ნაწილი და 389-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები.



**რუბრიკას უძღვება ადვოკატი ირაკლი გაბრიჭიძე**

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
**ანატოლ ფრანსი**

**კითხვა: მაინტერესებს, შეიძლება თუ არა გათავისუფლდეს, ან, რა შემთხვევაში თავისუფლდება ამნისტიით სრულად სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩამდენი პირი?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ ამნისტია სრულად ათავისუფლებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის პირს, თუ ამ პირის ქმედება იმავდროულად დაკვალიფიცირებულია იმავე კოდექსის 262-ე მუხლით, ანუ, საქართველოში ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა სრულად ამნისტირებულია.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, ეხება თუ არა ამნისტიის კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს, ანუ – ქურდობას?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ ამნისტიის კანონი მხოლოდ იმ შემთხვევაში ეხება და ათავისუფლებს სრულად სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის პირს, თუ მისი ქმედება იმავდროულად დაკვალიფიცირებულია იმავე კოდექსის 303-ე მუხლით, ანუ, თუ პირი ბრალდებულია იმავდროულად ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვისთვის.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, ეხებათ თუ არა ამნისტია იმ პირებს, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან ზეგავლენით ვაჭრობისათვის?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ ამნისტია სრულად ათავისუფლებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის $339^1$ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩამდენ პირებს, ანუ, იმ პირებს, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან ზეგავლენით ვაჭრობისთვის.

# რატომ სთხოვდა დავით საგანელიძეს შვილი ახალ წელს „მწვანე ქალს“ და რა დროს ავიწყდება მას რაჭველი კაცის ბუნება

**დათო საგანელიძის ოჯახში მისვლისას, მაშინვე მიხვდებით, რომ სახლში სრული იდილია და სიმშვიდე სუფევს. კარის გაღებისთანავე შემოგეგებებათ ორი პატარა ანგელოზი – ნოდარიკო და ელენე. როგორც ოჯახის უფროსი, ბატონი დავითი ამბობს, მის ცხოვრებაში გასული წელი ყველაზე მნიშვნელოვანი და სასიამოვნო სიახლეების მომტანი აღმოჩნდა. რას ელოდება ის მომავალი წლისგან, რა საჩუქრები მიუტანა თოვლის ბაბუამ და როგორ იტანს ის თბილისიდან შორს, ქუთაისში, საყვარელი ცოლ-შვილის გარეშე ყოფნას, ამაზე თავად გვესაუბრება.**

**– ზოგადად როგორ შეაფასებთ გასულ 2012 წელს და როგორი იყო ის თქვენთვის?**

– 2012 წელი მართლაც განსაკუთრებით გამორჩეული იყო ჩემთვის, რადგან, 8 მარტს ქალიშვილის მამა გავხდი, 30 დეკემბერს კი, ახალი წლის დადგომამდე ერთი დღით ადრე, პირველად გაიარა. მას რაჭველობის არაფერი ემჩნევა ***(იცინის),*** რადგან ჩემმა ელენიკომ გასულ წელს მოასწრო დაბადებაც, გავლაც და მამიკოსთან თამაშიც. გვერდზე რომ ჩავუვლი და ხელში არ ავიყვან, მეტირება. ჯერ ორი კიჭი აქვს და ძალიან სასაცილო ვინმეა. მამიკოს სიხარულია. ნოდარიკო კი 2 წლისაა, უთბილესი და უსაყვარლესი ბავშვია. ერთი წამით არ ჩერდებიან, სულ გადატრიალებული აქვთ სახლი. ასე რომ, როცა ოჯახში მატებაა, ის წელი შენთვის წარმატებულია; მეორე მხრივ კი პოლიტიკურადაც წარმატებული წელი აღმოჩნდა გასული წელიწადი. 1999 წლიდან პოლიტიკაში ვარ, სულ ოპოზიციაში და ბრძოლაში. 2012 წელს კი ქართულ პოლიტიკაში მოვიდა ის ძალა, რომელსაც ვენდობი, რომლის იმედიც მაქვს და რომლისაც მჯერა. ჩემთვის კარგი წელი იმიტომაც იყო, რომ ამ პოლიტიკური ძალის წარმატებაში პატარა წვლილი მეც მიმიძღვის, რადგან, საარჩევნოდ კოალიციის შტაბის ხელმძღვანელი ვიყავი და დიდი პასუხისმგებლობაც მქონდა საკუთარ თავზე აღებული.

**– გამოკითხვის საფუძველზე გასული წლის საუკეთესო პოლიტიკურ მენეჯერადაც ხომ დაგასახელეს?**

– დიახ, ჟურნალისტური გამოკითხვის საფუძველზე, 2012 წლის საუკეთესო პოლიტიკურ მენეჯერად დამასახელეს. ეს ჩემთვის დიდი პატივია. ძალიან გამიხარდა, რომ შრომა დამიფასდა.

**– ესე იგი, 2013 წელს ახალი სტატუსით შეხვდით?**

– ჩემთვის ყველაზე დიდი სტატუსი სახელი და გვარია. მას უნდა უფრთხილდებოდე კაცი და შენი სახელითა და გვარით ამაყობდე. სანამ ნაბიჯს გადადგამ, უნდა დაფიქრდე, რომ შვილები გყავს და მათთვის შენი საქციელი მაგალითია. ეს ახალი სტატუსი – „წლის პოლიტიკური მენეჯერი” – კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია. როცა შვილები გაიზრდებიან, უნდა იცოდნენ, მამიკო რას საქმიანობდა და რა წარმატება მოუტანა ამით მან მის ქვეყანას.

**– ახალ წელს ოჯახთან ერთად შეხვდით?**

– ჩემს ცხოვრებაში არ ყოფილა შემთხვევა, ახალ წელს სხვაგან შევხვედროდი. მიყვარს ახალი წლის ტრადიციულად, ოჯახურ გარემოში შეხვედრა. წელს დედასთან, მეუღლესთან, შვილებთან და ძმის ოჯახთან ერთად შევხვდი ახალ წელს. ნაძვის ხე სოფომ, ჩემმა მეუღლემ მორთო. ნოდარიკომ კი წელს აღიქვა ახალი წლის დღესასწაული და გაოცებული უყურებდა მორთულ ნაძვის ხეს. ავუხსენი, ახალ წელს თოვლის ბაბუა მოვა და ბუხრის საკვამურიდან საჩუქრებს ჩამოგიყრის, ოღონდ, რაც გინდა, წინასწარ უნდა უთხრა-მეთქი. გაკვირვებულმა შემომხედა და მითხრა: მე მინდა, მომიტანოს „აჩეჩეო”. ვერაფრით მივხვდი, რას ითხოვდა. სოფოს სიცილი აუტყდა – რას გთხოვს და, „აცეცეს” რეკლამა რომ გადის ტელევიზიით, იქ რომ მწვანე ქალი დარბის, ყველაფერს ამტვრევს და ლეწავს, იმ ქალს ითხოვსო ***(იცინის).***

**– მერე, მოუყვანა თოვლის ბაბუამ „აცეცეს” მწვანე ქალი?**

– მწვანე ქალი ვერა, მაგრამ, მოუტანა რკინიგზის ვაგონები დიდი რელსებითა და თავისი ატრიბუტიკით. მატარებელი რომ დადის, ხმას გამოსცემს, ამაზე გიჟდება და თავადაც დაჰყვება წრეზე. ძალიან გაერთო „მატანინით” – როგორც მას ეძახის თავის ენაზე. ელენიკოს კი ბევრი სათამაშო მოუტანა, ისეთები, რომლებიც შეიძლება, დაღეჭო და არ მოიწამლო ***(იცინის).*** ყველაფერს პირში იდებს და თოვლის ბაბუამ ეს გაითვალისწინა.

**– თქვენ და სოფოს რა მოგიტანათ, თუ საიდუმლო არ არის?**

– მე მომიტანა სვიტერი, სოფოს კი ლამაზი, გულის ფორმის ლარნაკი, ჩაიდანი და პარფიუ-



**ცოლ-შვილთან ყოველწამიერი შეხება მინდა**

მერია. ჯერ კი დავიჯერეთ, რომ თოვლის ბაბუამ მოგვიტანა საჩუქრები, მაგრამ, მერე გავარკვიეთ, რომ ჩვენ ერთმანეთის თოვლის ბაბუები ვართ ***(იცინის).*** რომ ვაკვირდები, ნოდარიკო უფრო დედიკოს ემსგავსება, ელენე კი სულ მე მგავს. ჩემი ბავშვობის სურათებს რომ ვუყურებ და მერე ელენიკოს შევხედავ, ძალიან დიდ მსგავსებას ვპოულობ. რომ იტყვიან, „გამოხოხებული” მამაა ***(იცინის).*** მამობა ძალიან მაგარი გრძნობაა. ნოდარიკოც და ელენიკოც ერთნაირად მიყვარს და ორივე ერთნაირად ჩემია.

**– პირველ შვილს მამის პატივსაცემად დაარქვით ნოდარი, გოგონას ვინ შეურჩია სახელი?**

– მართალია, ნოდარიკოს მამაჩემის პატივსაცემად დავარქვით მე და სოფომ ეს სახელი, გოგონას სახელზე კი ბევრი ვიფიქრეთ და მივხვდით, რომ ორივეს „ელენე“ მოგვწონდა.

**– ძირითადად ქუთაისში გიწევთ ყოფნა, ოჯახიდან შორს. ოჯახის წევრებთან სიშორეს როგორ იტანთ?**

– ეს ყველაზე მეტად მიჭირს. ყველაზე მეტად შვილებთან სიშორის გამო არ მინდა, ქუთაისში რომ არის პარლამენტი. ყველაფერი მაქვს გადატანილი ცხოვრებაში და ის არ მიქმნის პრობლემას, ნებისმიერ ამინდსა და პირობებში გავეკრა გზას და ვიარო წინ და უკან, მაგრამ, მე მათთან ყოველწამიერი შეხება მინდა. თან, საქმე ისე ითხოვს, რომ ხშირად ვერ ვახერხებ ბავშვების ნახვას და, რომ ჩამოვდივარ, მერე აღარ მეკარებიან. ნოდარიკო მებუტება, აღარ მეხუტება, ელენიკო კი, რომ დამინახავს ტირის.

**– ერთი პერიოდი საერთოდ ჩამოშორდით პოლიტიკას და ამბობდით, ახლა ყველაზე ბედნიერი კაცი ვარ, ოჯახში მეტ დროს ვატარებ, ცოლ-შვილისთვისაც მოვიცალე და ეს ჩემი მთავარი სამსახურიაო.**

– პოლიტიკიდან გარკვეული პერიოდი შორს ვიყავი და მართლაც მქონდა საშუალება, ჩემს თბილ ოჯახში გამეტარებინა დრო, ჩემს ყველაზე საყვარელ ადამიანებთან. ახლა კი, რა ვქნა, საქმე ასე მოითხოვს. იმედია, ყველაფერი დალაგდება და მეც მეტი დრო გამიჩნდება, შვილებთან ვითამაშო.

**– რაჭველი კაცები დინჯები და დამთმობები არიან, თუმცა, ამ ბოლო დროს საკმაოდ მკაცრი ტონით გამოირჩევით.**

– გეთანხმებით, რაჭველი კაცები დამთმობი ხასიათით გამოვირჩევით, მაგრამ, გვიყვარს სამართლიანობა. შემწყნარებელი ადამიანი ვარ და არც წყენის გულში ჩადება ვიცი, მაგრამ ზღვარს თუ გადავა ადამიანი და უსამართლოდ მოიქცევა, მეც ადეკვატური რეაქცია მიჩნდება და ამ დროს ტონს ნამდვილად ვერ გავაკონტროლებ. თვალს ვერ დავხუჭავ უსამართლობაზე, ტყუილსა და უტიფრობაზე. ის, რაც ქვეყანაში ხდებოდა, ყველამ კარგად ვიცით და პირადად მე ვიბრძოლებ, რომ ეს შურისძიებაში, ერთმანეთის დაპირისპირებასა და პოლიტიკურ ანგარიშსწორებაში არ გადაიზარდოს. კაცს რომ დასაკითხად დაუძახებენ და კითხვას დაუსვამენ და ამაზე ერთ ამბავს ატეხ – ეს პოლიტიკური ანგარიშსწორებააო, ცოტა სასაცილოა. ნოდარიკო რომ დააშავებს რამეს, მასაც ვაძლევ შენიშვნას და ვუყვირი კიდეც – უნდა იცოდეს, რომ მტყუანია. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ არ მიყვარს. მერე ვეხუტები და ვესიყვარულები. ახლავე ვასწავლი, როგორ უნდა მოიქცეს და იყოს სამართლიანი. არ დავუშვებ იმას, თავად დააშავოს რამე და მერე დაიკოს დააბრალოს – ეს არა, ამან ჩაიდინაო. თუ დააშავე, იმის ვაჟკაცობაც უნდა გეყოს, რომ აღიარო. კაცს ბოდიშის მოხდისაც არ უნდა შეგრცხვეს – ესეც დიდი ვაჟკაცობაა. „არ მესმის, ვერ ვიგებ და არაფერი გამეგება“, – ამ პოზიციაზე ვერ დავდგები, ვერ გაპატიებ და არ გავჩუმდები.

**– თქვენს ოჯახში როგორი პოლიტიკაა და როგორ გადაანაწილეთ მოვალეობები, ისევ „მემარჯვენეები“ ხართ?**

– მე ბუნებით მართლაც მემარჯვენე ვარ

**(გაგრძელება 75-ე გვერდზე)**

**2012 წელი ᲓᲐᲕᲘᲗ ᲗᲐᲠᲒᲐᲛᲐᲫᲘᲡ კარიერისთვის ნაყოფიერი გამოდგა – მან ახალი კლუბის მაისური მოირგო და უკრაინის ჩემპიონატში ჩვეული დამაჯერებელი თამაშით თავისი ქომაგების რაოდენობა გაზარდა; ამასთან, საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის ის შეუცვლელ ფეხბურთელად იქცა, რომელსაც ნებისმიერ დროს შეუძლია თამაშის გამწვავება და მეტოქის კართან სახიფათო მომენტის შექმნა. ამ და სხვა საინტერესო საკითხების შესახებ დათო თარგამაძის ინტერვიუდან შეიტყობთ, რომელიც მისი მონასტრიდან დაბრუნების მერე ჩავწერეთ. დათომ უკრაინიდან ჩამოსვლის შემდეგ რამდენიმე დღე ბერებთან გაატარა და ინტერვიუ სწორედ ამ თემით დავიწყეთ.**

# ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲮᲐᲜᲘ ᲒᲐᲐᲢᲐᲠᲐ ᲓᲐᲗᲝ ᲗᲐᲠᲒᲐᲛᲐᲫᲔᲛ ᲑᲔᲠᲔᲑᲗᲐᲜ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲨᲘ ᲓᲐ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲔᲜᲐᲢᲠᲔᲑᲐ ᲛᲐᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲔᲠᲫᲔᲑᲘ

**– დათო, რამდენიმე დღეა, რაც მონასტრიდან დაბრუნდი. რა მორალური დატვირთვა ჰქონდა შენთვის ბერებთან ცხოვრებას, რას გრძნობდი, როდესაც იქ იყავი?**

– სანამ უკრაინიდან ჩამოვიდოდი, გადაწყვეტილი მქონდა, მონასტერში წავსულიყავი. მამკოდის მამათა მონასტერში ვიყავი და ერთი კვირა გავატარე ბერებთან ერთად. თავიდან არ მეგონა თუ ამდენ ხანს გავჩერდებოდი, მით უმეტეს პირველად ვიყავი. მამა სვიმონს ჯერ კიდევ უკრაინიდან შევუთანხმდი, რომ მონასტერში მინდოდა წასვლა, ჩამოვედი უკრაინიდან და ორ დღეში წავედი. ისეთი დადებითი შეგრძნებაა იქ ყოფნა, სულიერად დავისვენე. მაინტერესებდა, როგორი იყო მონასტრული ცხოვრება, ბერებთან ურთიერთობა. ამის დიდი სურვილი მქონდა და ავისრულე კიდეც.

**– შენს ძმაზე მინდა გკითხო: ვიცი, რომ განსაკუთრებული ძმობა გაქვთ, სულ გვერდში გიდგას და წარსულში ისიც ფეხბურთელი იყო.**

– ამბობენ, რომ ჩემი ძმა ***(ირაკლი თარგამაძე, – ავტორი)*** ჩემზე ბევრად ნიჭიერი და მაგარი ფეხბურთელი იყო და, მიხარია, რომ ასეთ რამეს მეუბნებიან. მაგრამ, ტრავმებმა შეუშალა ხელი და ადრე მოუწია კარიერის დასრულება. ბათუმის „დინამოში" თამაშობდა, მაშინ იტალიელი მწვრთნელი ჰყავდა ბათუმურ კლუბს და, ტრავმები რომ არა, ალბათ, ახლა ევროპის რომელიმე გრანდში ითამაშებდა. ჩემზე უფროსია 14 წლით და სულ ჩემზეა გადმორთული – რაც თვითონ დააკლდა, უნდა, რომ მე მივაღწიო და, შეიძლება ითქვას, ჩემით ცხოვრობს, ჩემი ყველაზე დიდი ქომაგია და გასვლით თამაშებზეც კი ჩემ გვერდით არის.

**– შენს კლუბზე – „ილიჩევეცზე" და ქალაქ მარიუპოლზე რას იტყვი?**

– პატარა ქალაქია – ნახევარ მილიონზე ოდნავ მეტი ადამიანი ცხოვრობს, ძალიან ბევრი ქარხანაა და გამონაბოლქვი ძალიან ხელს უშლის იქაურ მცხოვრებლებს. კლუბს რაც შეეხება, იქაურებს ძალიან უყვართ ფეხბურთი, აქტიურად დადიან სტადიონზე. ახლა ახალი მწვრთნელი მოვიდა გუნდში და შეიცვალა მიდგომა გუნდისადმი, მოიმატა ხალხის რაოდენობამ სტადიონზე და თვითონ ფეხბურთელების მიმართაც სულ დადებითი განწყობა აქვთ.

**– გართობის საკითხში როგორ არის საქმე?**

– გართობა აკრძალული გვაქვს. მწვრთნელმა გვითხრა, თუ გაიგო, რომ ღამის 11 საათის შემდეგ ვიყავით სადმე, კლუბში ან რესტორანში, ფულადი ჯარიმით დავისჯებით. ისე, დონეცკია ახლოს, 40 წუთის სავალზე და თავისუფალ დროს იქ ჩავდივართ ხოლმე გუნდელები. როდესაც ქართველების გუნდები ვეთამაშებით ერთმანეთს, თამაშის შემდეგ ვნახულობთ ბიჭებს, მაგალითად, კიევის „არსენალთან" თამაშის შემდეგ მე და თორნიკე კიევში დავრჩით სანდრო კობახიძესთან.

**– სპორტული თვალსაზრისით, საკლუბო და სანაკრებო დონეზე, როგორ შეაფასებდი 2012 წელს?**

– ვერ ვიტყვი, რომ ცუდი წელი იყო, თუმცა, უკეთესიც შეიძლებოდა, ყოფილიყო. ახალ გუნდში გადავედი და ახალი გარემო იყო, ადაპტაციის გავლაა საჭირო, ახალ კოლექტივთან, ახალ მწვრთნელთან შეჩვევა... თორნიკე ოქრიაშვილი დამხვდა გუნდში და ამან ძალიან გამიიოლა ადაპტაციის პერიოდის გავლა – სხვანაირი შეგრძნებაა, როდესაც შენიანი არის გუნდში. საერთო ჯამში კმაყოფილი ვარ. რაც შეეხება ნაკრებს, აქაც ვერ ვიტყვი, რომ ცუდი წელი იყო. ფეხბურთელებმა და მწვრთნელებმა ყველაფერი გავაკეთეთ, რომ ნაკრებს კარგი პირობები ჰქონოდა. ვფიქრობ, ნაკრებში არის პროგრესი – მინიმალური, მაგრამ, მაინც პროგრესია. ფაქტობრივად, ახალი გუნდია, ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელია და, მჯერა, რომ წარმატებაც მალე იქნება. ესპანეთის ნაკრებთან თამაში ამ წელს, ალბათ, ყველაზე განსაკუთრებული მატჩი იყო ნაკრებისთვის. ძალიან ველოდებოდი ამ თამაშს – მსოფლიოს ნომერ პირველ გუნდთან თამაში საოცარი შეგრძნებაა. წარმოიდგინეთ, „ბარსელონისა" და „რეალის" საერთო ნაკრებს ეთამაშები. ცალკე თემაა სავსე ტრიბუნები, რამაც დამატებითი სტიმული მოგვცა, არადა, თამაშის დაწყებამდე ჩვენამდე მოდიოდა ინფორმაცია, რომ ძალიან ბევრი გულშემატკივარი ესპანეთის გამო მოდიოდა სტადიონზე. ესპანეთისა და „ბარსელონის" ფორმიანებიც ბევრი დავინახეთ, რომ ისხდნენ ტრიბუნებზე, მაგრამ, პირველი ტაიმი რომ დამთავრდა, სხვა მუხტი წამოვიდა ხალხისგან – თანადგომა ვიგრძენით და, სამწუხაროა, რომ ბოლო წუთებში გოლი გავუშვით.

**– კლუბში №99 ნომრიანი მაისურით თამაშობ. რაიმე დატვირთვა აქვს ამ ციფრს?**

– არანაირი დატვირთვა, 9 ნომერი მომწონს, მაგრამ, კლუბში ეგ ნომერი დაკავებული იყო, და ამის გამო, №99 მაისურით ვთამაშობ ***(იცინის).***

**– „ფეისბუქზე" ფოტო გიდევს – ბუცი გიჭირავს, რომელზეც შენი გვარია დაწერილი, სახელობითი ბუცია?**

– კონტრაქტი მაქვს ფირმასთან, მიგზავნიან ბუცებს და, რასაც ვეტყვი, ზედ იმის დაწერა შეუძლიათ. ამ შემთხვევაში ჩემი გვარი დავაწერინე ***(იცინის).***

**– მარიუპოლში ცხოვრების პერიოდში კვების ამბავში როგორ ხარ, თუ გენატრება ქართული კერძები?**

– ჭამის ამბავში ძალიან მაგრად ვარ, რადგან, დედა მყავდა წაყვანილი მარიუპოლში, ორი თვე ჩემთან ცხოვრობდა და მაგ მხრივ პრობლემა არ მქონდა, ანუ, რაც მომენატრებოდა, ყველაფერი სახლში მხვდებოდა. ისეც, უკრაინაში ძალიან ბევრი ქართული რესტორანია და, თუკი ხინკალი ან ხაჭაპური მოენატრება ადამიანს, უპრობლემოდ შეუძლია ჭამოს.

**– შენ ტატუებზე რას გვეტყვი, რა გაქვს დახატული?**

– სამი ტატუ მაქვს: ლომი მახატია მხარზე – ზოდიაქოთი „ლომი" ვარ; ხელზე მამაჩემის სახელი მაქვს დაწერილი – მამა გარდაცვლილი მყავს, მესამე – ნახატია, უბრალოდ, მომეწონა და დავიხატე.



**ერთგვარი ტრადიცია მაქვს – თვითონ ვრთავ ნაძვის ხეს, თოვლის ბაბუისაც კი მჯერა; სულ ველოდები, რომ ჩამეძინება და ბალიშთან საჩუქარს დამიდებს**

**– დათო თარგამაძის აზრით, ვინ არის დღეს მსოფლიოს ნომერ პირველი ფეხბურთელი და კლუბი?**

– ფეხბურთელი – ლიონელ მესი და კლუბი – „ბარსელონა". დიდი ხანია, „ბარსელონის" გულშემატკივარი ვარ და სიამოვნებით ვითამაშებდი ამ გუნდში ***(იცინის).***

**– უკრაინის ჩემპიონატში ძალიან აქებენ გენრიხ მხითარიანს „შახტარიდან". მართლა ასეთი მაგარია, რომ ევროპული სუპერკლუბებიც კი ნადირობენ მასზე?**

– გენრიხი ჩემი ახლო მეგობარია და, ჩემი აზრით, უკრაინის ჩემპიონატში დღესდღეობით საუკეთესო ფეხბურთელია. „შახტარში" რამდენიმე მაღალი დონის ბრაზილიელი თამაშობს და მათ არაფრით არ ჩამოუვარდება, ძალიან მაგარი ფეხბურთელია.

**– „შახტარის" ფეხბურთელი ხარ და ეს წელი განათხოვრებით გაატარე „ილიჩევეცში". როგორც ვიცი, თორნიკე ოქრიაშვილის დაბრუნება უნდა „შახტარს", შენთან რა სიტუაციაა?**

– ბოლო ინფორმაციით ვიცი, რომ თორნიკეს აბრუნებენ გუნდში, მე კი ჯერ დაზუსტებით ვერ გეტყვით, რადგან, ჯერჯერობით მიდის საუბარი. ამის გარდა, ევროპიდანაც მაქვს წინადადებები, მაგრამ, „შახტარი" ის გუნდი არ არის, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელი ასე უცებ გაუშვას სხვაგან. ოთხწლიანი კონტრაქტი მაქვს დონეცკურ გუნდთან და ახალი წლის შემდეგ მარიუპოლში უნდა დავბრუნდე – შეკრება იწყება და მერე გაირკვევა, რა იქნება და როგორ, ისევ გამანათხოვრებენ თუ „შახტარში" დამაბრუნებენ.

**– და, ბოლო შეკითხვა: ახალი წლის დღეებია და, ალბათ ჩვენს მკითხველს აინტერესებს, რასთან ასოცირდება შენთვის ახალი წელი, განსაკუთრებული ტრადიცია, საახალწლო კერძები?**

– ახალი წელი ბავშვობიდან ძალიან მიყვარს, სულ ველოდები. ერთგვარი ტრადიცია მაქვს – სახლში 24 დეკემბერს მე თვითონ ვრთავ ნაძვის ხეს. თოვლის ბაბუისაც კი მჯერა, სულ ველოდები, რომ ჩამეძინება და ბალიშთან საჩუქარს დამიდებს ***(იცინის).***

**ᲣᲨᲐᲜᲒᲘ ᲠᲣᲮᲐᲫᲔ**

# არის თუ არა დანაშაული ქალისთვის ცოლიანი კაცის სიყვარული

**ფსიქოლოგები ერთხმად ამტკიცებენ, რომ ცოლიანი კაცის სიყვარული და მასთან ურთიერთობა, უმრავლეს შემთხვევაში, უპერსპექტივოა და, რაც მალე მიხვდება და გაიგებს ამას ქალი, მით ნაკლებ პრობლემას შეუქმნის ის საკუთარ თავს. დიახ, სასიყვარულო სამკუთხედი მხოლოდ მოტყუებული ცოლისთვის არ არის პრობლემა. საყვარელიც ბეწვის ხიდზე გადის. სისულელეა, დაიჯერო იმ კაცის სიყვარული, რომელიც ტყუილს ტყუილზე იგონებს (ცოლს რომ ხელიდან დაუძვრეს), ნელ-ნელა შედის ეშხში, იწაფება და ოსტატდება ამ საქმეში. როგორ უნდა გქონდეს მოღალატე ადამიანის ნდობა და საკუთარი თავი დააჯერო, რომ შენ არ გიღალატებს?! იმ მამაკაცების 90 პროცენტი, რომლებიც ცოლის ღალატზე უკან არ იხევს, კატეგორიულად წინააღმდეგია ოფიციალური ოჯახის დანგრევისა და ეს უბრალო სტატისტიკა არ გეგონოთ. იმ ქალების მდგომარეობა, რომლებმაც არჩევანი დაოჯახებულ მამაკაცებზე გააკეთეს სულაც არ არის სახარბიელო.**



**ირინა** *(31 წლის):* ნეტავი, ვინმემ მასწავლოს, როგორ უნდა განვიკურნო სიყვარულისგან. არავის სჯერა, რომ შეყვარებული ვარ. ჩემზე ყველა ფიქრობს, თითქოს სიტუაციით სარგებლობა მინდოდა, ანუ, იმ ადამიანის გამოყენება, რომელიც ჩემზე ასაკითაც უფროსია და მატერიალური მდგომარეობაც ბევრად კარგი აქვს. ზოგადად, ჩვენნაირ წყვილზე საზოგადოება ამრეზით აკეთებს კომენტარს. ეს მე ვარ უწესო, რომელმაც გაბედა და უცხო ოჯახის სივრცეში შეიჭრა, მაგრამ, რატომღაც, მამაკაცის ბრალეულობას არ ხედავენ ხოლმე.

**– „ჩვენნაირ წყვილზეო"?! როგორ შეიძლება, დაოჯახებულ კაცთან წყვილი იყოთ?**

– არ დამიჯერებთ, მაგრამ, მე ის ძალიან მიყვარს. ვერ ვიტყვი, რომ თავიდანვე შემიყვარდა. ურთიერთობა უბრალო გართობით დავიწყეთ – მესიჯების გაცვლა-გამოცვლით, ისე, რომ „ცოცხლად" ნანახი არ მყავდა.

**– თავიდანვე იცოდით, რომ ცოლი ჰყავდა?**

– კი. მითხრა, ცოლიანი ვარო... მაგრამ, მე სერიოზულ ურთიერთობას არანაირად არ ვგეგმავდი და, ამიტომ, ყურადღება არ მიმიქცევია.

**– ცოლიან კაცთან არასერიოზული ურთიერთობა დასაშვებია? ამის თქმა გინდათ?**

– ვხვდები, საითკენაც მიგყავთ საუბარი. ეტყობა, მე დავაშავე. რაღაც მომენტში გეთანხმებით. მაგრამ, მხოლოდ მე მეკისრება პასუხისმგებლობა? იმ ცოლიან კაცს რატომ მოუნდა ჩემთან ფლირტი? ის რამ აიძულა ამაზე წასულიყო? რატომ ხდება ისე, რომ მარტო ჩემნაირებს ეკისრებათ ხოლმე პასუხისმგებლობა და იმათ არა?

**– ყველას თავისი წილი პასუხისმგებლობა აქვს და ყველა თავად აგებს პასუხს საკუთარ საქციელზე.**

– ალბათ. მაგრამ, ვფიქრობ, ქვეყნის დამაქცევრად ჩემი გამოყვანა და ჩემგან უზნეობის ნიმუშის შექმნა უსამართლობაა. რა თქმა უნდა, მე ვარ დამნაშავე და ვისჯები კიდეც ამისთვის, მაგრამ, სიყვარული შეთანხმებით არ მოდის, ეს თავისთავად, ბუნებრივად ხდება. მე თავს ვიკავებდი შეხვედრისგან. თითქოს გული მიგრძნობდა, რომ ამას კარგი არაფერი მოჰყვებოდა. ბევრი სხვა ასეთი „უცნობი-ნაცნობი" თაყვანისმცემელი მანამდეც მყავდა. ამით იმის თქმა მინდა, რომ გულწრფელად არ ვაპირებდი, შორს შემეტოპა. არ ვიმართლებ თავს და არც არავის შებრალება არ მჭირდება. ვლაპარაკობ იმაზე, რაც მაწუხებს; ვლაპარაკობ იმაზე, რაზეც დუმილს ამჯობინებენ და რისთვისაც მამაკაცებს არ სჯიან.

**– თქვენ ვინმემ დაგსაჯათ?**

– დასჯაზე უარესი არ არის ჩემი მდგომარეობა? სამი წელი ფუჭად დავკარგე ლოდინში, ნერვიულობაში, ტირილში... იმდენი დამცირება და შეურაცხყოფა ავიტანე... ცოლებს ნუ ჰგონიათ, რომ საყვარლები უფრო მაგარ „პონტში" ვართ, ვიდრე თვითონ არიან. ჩვენც გვატყუებენ.

**– ცოლია დამნაშავე, ქმარი რომ საყვარელს იჩენს და იმასაც ატყუებს?**

– გარკვეულწილად, ასეა. მამაკაცებს თითქმის ყოველთვის შერჩებათ ხოლმე საკუთარი უსაქციელობა, ანუ, მუდმივად პატიების რეჟიმში არიან. რატომ უნდა თქვან უარი იმ სიამოვნებაზე, რაც არაფერი უჯდებათ?! გასდით და აკეთებენ.

**– თქვენ გგონიათ, მამაკაცებისთვის ადვილია ახალ-ახალი ტყუილების მოფიქრება? მეეჭვება, რომ მათაც არ უღირთ ეს ნერვების ფასად.**

– მაშინ, რას ერჩიან საკუთარ თავს, ან ჩვენ რას გვერჩიან?! დაკმაყოფილდნენ საკუთარ ცოლებთან ურთიერთობით და იმათთან შეასხან ფრთები თავიანთ ინტიმურ-სექსუალურ ოცნებებს. თუ არ გამოსდით, გაშორდნენ და მერე ეძებონ ახალი სიყვარული.

**– ამაზე იმასთან უნდა გელაპარაკათ.**

– ვინ გითხრათ, რომ არ ვლაპარაკობდი?! მეუბნებოდა, დრო მჭირდება, ყველაფერი რომ დავალაგო, მერე სულ ერთად ვიქნებითო. ოჯახი მარტო ჩემი ცოლი არ არის. ბავშვებზეც უნდა ვიფიქრო და ისე გავაკეთო, მათ ნაკლები სტრესი მიიღონო. მესმის, რომ კარგი მამაა და ეს დასაფასებელი თვისებაა, მაგრამ, ჩემთან რატომ იყო ასეთი თამამი, თუკი მოუშორებელი კუდი მოჰყვებოდა თან?

**– თქვენც ხომ გინდოდათ ეს ურთიერთობა?**

– მე სიყვარული და საყვარელი ადამიანის გვერდით ყოფნა მინდოდა. ის დავინახე მასში, რაც რეალურად არ ჰქონდა. ეტყობა, იმ მომენტში ჩემი გული სიყვარულისთვის გახსნილი აღმოჩნდა. პირველი შეხვედრა კი მისი ინიციატივით მოხდა. ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე მომადგა პირდაპირ სამსახურში. რომ გამოვედი, მანქანით დამხვდა. ასე რომ არ ექნა, მე მას არავითარ შემთხვევაში არ შევხვდებოდი. სულელი არ ვარ და არც ისე მიჭირდა, რომ ცოლიან კაცს ავკიდებოდი. ფაქტის წინაშე დავდექი და მერე შემიყვარდა. შემომთავაზა, გავისეირნოთო. მე ძალიან ვიუარე – არ ვგეგმავდი შენთან შეხვედრას-მეთქი. გამიღიმა, როგორი სერიოზული ყოფილხარ, ყველაფრის დაგეგმვა როგორ შეიძლება. მეც არ დამიგეგმავს შენი გაცნობა, მოულოდნელად შემოიჭერი ჩემს ცხოვრებაში და, დარწმუნებული ვარ, ეს შემთხვევით არ მომხდარაო. თურმე, იმ დღეს სამი ჩემნაირი „მოულოდნელობა" უნახავს. ეტყობა, მისი გემოვნება მე დავაკმაყოფილე, რაღაცით დანარჩენებზე უკეთესი აღმოვჩნდი და ამიტომაც მე ამომირჩია. მეც მომეწონა: დახვეწილი იყო, სერიოზული, განათლებული, ერთი სულელური კომპლიმენტიც კი არ უთქვამს.

> **ცოლებს ნუ ჰგონიათ, რომ საყვარლები უფრო „მაგარ პონტში" ვართ, ვიდრე თვითონ არიან**

**– სერიოზული მამაკაცები შემთხვევით ნაცნობებს არ ეძებენ. მით უმეტეს, რომ თქვენთან ერთად სამი კიდევ ჰყოლია „რეზერვში".**

– სამწუხაროდ, სიმართლე ძალიან გვიან გავიგე – როცა ჩემმა „გმირმა" თავისი რეალური სახე გამოაჩინა.

**– ეს როდის მოხდა?**

– როცა ჩემი მხრიდან სულ პატარა პრობლემა შეექმნა. პრობლემაში, – მისი სიტყვებით გეუბნებით, – ჩემი უაზრო და ზღვარსგადასული პრეტენზიები იგულისხმება.

**– რა პრეტენზია გქონდათ?**

– იცით, რაშია საქმე? მე მაწუხებდა ის, რომ სიცრუეში ვცხოვრობდი. „ნაპარავი სიყვარულისგან" დისკომფორტი მქონდა. მინდოდა, თავისი დაპირება შეესრულებინა. ცოლისთვის სიმართლე ეთქვა და ერთად დაგვეწყო ახალი ცხოვრება – ის მე ამას დამპირდა. დიდი ხანია, ცოლი აღარ მიყვარს, მასთან შვილების გამო ვარ. არც მას ვუყვარვარ. ყველა წვრილმანზე ვჩხუბობთ, ჩვენი ურთიერთობა წუთებსაც აღარ ითვლის. უკვე ყველაფერი დამთავრებულია და ის ამას შეგუებულიც არის. შენ მხოლოდ ცოტა მოთმინება გამოიჩინე და მალე ყველაფერი ისე იქნება, როგორც ორივეს გვინდა. ძალიან, ძალიან ბედნიერები ვიქნებითო.

**– არ ჯობდა, ჯერ ცოლთან დაემთავრებინა ურთიერთობა, პატიოსნად წამოსულიყო მისგან და მერე გამხდარიყავით მისი?**

– ჩემი სისუსტის ბრალია, რომ ასე არ მოხდა. თუმცა, აღმოჩნდა, რომ ის არც გეგმავდა ცოლისგან წამოსვლას; უფრო მეტიც, სიყვარულსაც ეფიცებოდა. როცა მივედი მასთან და მოვუყევი, გაგიჟდა – ეს ყველაფერი ჩემმა ქმარმა გითხრაო?

**– მის ცოლთან იყავით? თამამად მოქცეულხართ.**

– თუ, თავხედურად? – თქვენ ხომ ეს იფიქრეთ? შეიძლება, ვიღაცას მართლა ასე მოეჩვენოს, მაგრამ, მე ჩიხში შევედი. დეპრესიამდე მიმიყვანა ჩემმა სიყვარულმა. გამოსავალს ვერ ვპოულობდი. ერთ დღეს რომ მეტყოდა, მიყვარხარ და მარტო შენთან მინდა ყოფნაო, მეორე დღეს საშინელ სცენებს მიწყობდა: ჩემს თავის ტკივილად იქეციო; სულს მიხუთავ და ამოსუნთქვის საშუალებას არ მაძლევო... ლამის გავგიჟდი. რა უნდა მექნა?!

**– პირდაპირ მიადექით?**

– დავურეკე და შეხვედრა ვთხოვე. წინასწარ არ მითქვამს, ვინ ვიყავი. ისეთ ადგილას მუშაობს ის ქალი, არ გაოცებულა. თავიდან ძალიან გამიჭირდა ლაპარაკის დაწყება. ისე ვნერვიულობდი, რომ ცრემლები მომდიოდა. ჩემი დამშვიდებაც დასჭირდა. მერე კი... გახსენებაც არ მინდა..

**– გეჩხუბათ?**

– მერჩივნა, ეჩხუბა და ისტერიკა მოეწყო. ისე შემომხედა, როგორც არარაობას, როგორც უსახურ არსებას, როგორც უსარგებლო ნივთს, რომელიც ყველას პრობლემებს უქმნის და არავის არაფერში სჭირდება. მითხრა, ილუზიას ნუ შეიქმნი, ჩემი ქმარი არასოდეს მიმატოვებს. ოცდახუთი წელია, ერთად ვართ და შენნაირი „სატრფოები" ბევრი ჰყოლია. ყველაზე რომ მენერვიულა, ასეთ ფორმაში კი არ ვიქნებოდი, ნაადრევად დავბერდებოდიო. გაოგნებული ვუსმენდი. ასეთი უთავმოყვარეობა არ გამიგია.

**– თქვენ ფიქრობთ, რომ, რადგან თმაში არ**

# როგორ იპოვეს ერთმანეთი დაკარგულმა ჯარის მეგობრებმა და დაუკავშირდებიან თუ არა ისინი ერთმანეთს

*47 წლის ნურგაზ ბეკტურის ძე სიდიგალიევი ეძებდა 45 წლის რევაზ სულაქველიძეს.*

**ისტორია:** ვეძებ ჩემს ჯარის მეგობარს, რევაზ სულაქველიძეს, რომელიც დაბადებულია 1967 წელს. 1985-1986 წლებში მე და რეზო ერთად ვმსახურობდით ქალაქ სამარყანდში, №52922 სამხედრო ნაწილში. 1986 წლის შემდეგ რეზოსთან კავშირი არ მქონია – ჯარის დასრულების მერე ჩვენ ერთმანეთი აღარ გვინახავს. ძალიან მინდა ჩემი მეგობრის პოვნა. თავად მე სამარყანდში ვცხოვრობ. რეზო იმ დროს თბილისში ცხოვრობდა. მაქვს რეზოს ჯარის ფოტო, რომელსაც გიგზავნით. ფოტო გადაღებულია 1986 წელს.



**ჟურნალისტის შენიშვნა:** ეს ისტორია დაბეჭდილი იყო ჩვენს რუბრიკაში, ჟურნალ „თბილისელების“ 51-ე (17.12.12-23.12.12) ნომერში. საბედნიეროდ, მეგობრებმა ერთმანეთი იპოვეს. რევაზ სულაქველიძე ნაპოვნია და ამჟამად რევაზი და ნურგაზი ერთმანეთთან დაკავშირებას ელიან. იმედია, საახალწლოდ მეგობრები ერთმანეთის ხმას ტელეფონით გაიგებენ.

*ინტერვიუ ჩაწერილია 24.12.12-ში.*

**– გეგონათ თუ არა, რომ მეგობარს ასე მოკლე დროში იპოვიდით?**

– ნამდვილად არ ველოდი, რომ ჩემს ჯარის მეგობარს ასე მალე ვიპოვიდი. თუკი გავითვალისწინებ, რომ მე უზბეკეთში ვცხოვრობ, რევაზი კი საქართველოში, ეს სასწაულიცაა! თან, სიმართლეს გეტყვით, არ მეგონა, რომ თქვენი რუბრიკის საშუალებით მოვძებნიდი. ანუ, მე განვვათავსე ჩემი განაცხადი „ჟდი მენიას“ სამძებრო საიტზე და, უბრალოდ, ველოდი რაიმე პასუხს. საბედნიეროდ, ეს ისტორია თქვენს ხელთ მოხვდა და გამიმართლა. ამჟამად სულმოუთქმელად ველი, როდის დამაკავშირებენ მეგობართან.

**– თქვენი დაკავშირება „ჟდი მენიათი“ უნდა მოხდეს, ხომ?**



– დიახ. ასეთი პირობა აქვთ მათ, სწორედ მათ უნდა დაგვაკავშირონ ერთმანეთთან. ახლა კი წინასაახალწლო პერიოდია და, ალბათ, ჯერ ვერ მოიცალეს. დიდი მადლობელი ვარ თქვენი და თქვენი რედაქციის. ასეთ კეთილ საქმეს რომ აკეთებთ. დიდი ბედნიერებაა, როდესაც წლების წინ დაკარგულ მეგობართან დაკავშირებას ელი.

**– როგორ ფიქრობთ, შეხვდებით ერთმანეთს თუ მხოლოდ სატელეფონო ურთიერთობა გექნებათ?**

– არ ვიცი, როგორ აეწყობა ჩვენი ცხოვრება. რევაზის ნახვა კი მინდა, მაგრამ, წინასწარ ვერაფერს ვიტყვი, ეს მატერიალურ მხარეზეა დამოკიდებული. მთავარია, ვიპოვე ჩემი მეგობარი და აღარასოდეს დავკარგავ მას.

**– რევაზსაც გაუხარდა, როდესაც ტელეფონით ვესაუბრე. ისიც მოუთმენლად ელის თქვენთან დაკავშირებას. ისღა დამრჩენია, ორივეს მოგილოცოთ ახალი წელი და წარმატებები გისურვოთ!**

– დიდი მადლობა! მე და რევაზს ერთმანეთი ხომ 1986 წლიდან არ გვინახავს. ჩვენთვის, ორივესთვის, დიდი ბედნიერებაა ეს ამბავი. მეც ვულოცავ მთელ თქვენს კოლექტივს ახალ წელს და ბედნიერებას გისურვებთ! მინდა, ასევე, ყველა მკითხველს მივულოცო და ვუსურვო, რომ ისინიც ისეთი გახარებულები იყვნენ, როგორიც ახლა მე ვარ.

*თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 233-42-24; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.*

**ნატალია მახარაშვილი**

---

**გწვდათ და ქმარი ბარგშეკრული არ გამოაგდო სახლიდან, უთავმოყვარეოა?**

– აბა, რა არის? ნუთუ ქმარი ისეთი მნიშვნელოვანია, რომ სტატუსის გამო ყველანაირი დამცირება აიტანო? ღალატზე უარესი ხომ არაფერია? მას კი წარბიც არ შეუხრია. მსგავსი არაფერი მინახავს. გამანადგურა თავისი ყალბი ამპარტავნობით.

**– რატომ – ყალბი?**

– იმიტომ, რომ, დარწმუნებული ვარ, შინაგანად აუცილებლად განიცდიდა ამ ამბავს. შეუძლებელია, არ სტკენოდა. არ მჯერა მე ამის. ეს ნიღაბი იყო, რომელსაც ამოეფარა. ასეთი „ნიღბებით“ ეძლევა კაცს მოქმედების სრული თავისუფლება, ასეთი „მშვიდი“ ცოლები აქეზებენ მათ ღალატისკენ.

## იმ დღეს სამი ჩემნაირი „მოულოდნელობა“ შნახავს. მტყობა, მისი გემოვნება მე დავაკმაყოფილე

**– თქვენ ხომ ცალმხრივად მსჯელობთ. თქვენ ხომ არ იცით მისი ღირებულებები. იქნებ, ისიც სიყვარულის გამო პატიობს ქმარს ღალატს – ამაზე არ გიფიქრიათ?**

– ფიქრის მეტს რას ვაკეთებ, მაგრამ, ამ ქალის არ მესმის. თავისი გასაკეთებელი ქმარს გააკეთებინა – „დაგრუზა“ და ჩემთან საომრად გამოუშვა.

**– ისევ ცალმხრივად მსჯელობთ. იქნებ, ურთიერთობა გაარკვიეს და თქვენ თვითონ ქმარმა დაგადანაშაულათ ოჯახის არევაში?**

– რა უსამართლობაა! რომანი ჩემთან თავად გააბა და ოჯახის ამრევი კიდევ მე ვარ? წარმოუდგენელ ტყუილებს იგონებდა და გულისამრევ ვერსიებს თხზავდა... ცოლმა ეს ყველაფერი აპატია და მაინც ტკბილად შეირგო ღალატი, დაზარალებული კი მარტო მე გამოვედი. სამი წელი სამი დღე ხომ არ არის?

**– ეს მამაკაცი მატერიალურადაც გეხმარებოდათ?**

– მატერიალურ დახმარებაში რას გულისხმობთ? საჩუქრებს რომ მჩუქნიდა და ზოგჯერ რესტორანში მივყავდი? მანქანა და ბინა არ უყიდია, თანაც, პირველ წელიწადს გაცილებით უფრო გულუხვი იყო და ხელგაშლილი. მერე დაიწყო: უჰ, შენთვის რაღაცის ყიდვა მინდოდა და დამავიწყდა; ბავშვებმა მთელი ფული დამცინცლეს და შენ მერე გიყიდი მაგარ რამეს... მე მისთვის არაფერი მითხოვია. შემიძლია, ყველა საჩუქარი უკან დავუბრუნო, არ მჭირდება, მაგრამ, იმან ის სამი წელი და სიხარული დამიბრუნოს, რომელიც წამართვა და, კიდევ, ამ ჩემს ტკივილებსაც მოუძებნოს წამალი.

**– ისევ გინდათ მისი დაბრუნება?**

– არა. არავითარ შემთხვევაში. მე ეს არ მითქვამს! იმ სიტყვების შემდეგ, რაც მაკადრა და როგორც მომექცა, მასში მამაკაცს საერთოდ ვეღარ ვხედავ.

**– გძულთ?**

– არა, უფრო მეცოდება... ეგეც და მისი ცოლიც. ეგენი ვერასოდეს გაიგებენ, რა არის ნამდვილი ბედნიერება. ქმარი ისევ უღალატებს და ცოლიც ისევ აპატიებს... მე კი ჭკუა ვისწავლე. ახლა უკვე ვიცი, რომ მამაკაცის ერთი სიტყვის არ უნდა გჯეროდეს. თითს არ გაანძრევს არც ერთი, თუ იქიდან სარგებელს არ გამოელის. ჩვენ კი, ქალები, ვეფერებით და ვანებივრებთ. ვიყვარებთ და უფლებას ვაძლევთ, ფეხქვეშ გათელონ ჩვენი გრძნობა.

**დალი მიქელაძე**

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**ვილაცეებს ჰგონიათ, რომ მარტო ქალებს აქვთ პრობლემები. უბრალოდ, მამაკაცები ვცდილობთ, არ ვილაპარაკოთ ამაზე, მაგრამ, ახლა გამოუვალ მდგომარეობაში ვარ. ცოლის ღალატის შესახებ გავიგე, არადა, სიგიჟემდე მიყვარს. სამი შვილი გვყავს და ვერასდროს წარმოვიდგენდი, თუ ჩემი იდეალური ცოლი ამას გამიკეთებდა. ლამის ჭკუიდან გადავიდე და არ ვიცი, როგორ მოვიქცე. ვერ წარმომიდგენია, ოჯახი როგორ უნდა დავანგრიო არადა, ასეთი რამის პატიებაც შოკში მაგდებს. მირჩიეთ რამე.**

**გამოხმაურება:** თქვენ არ გვწერთ, ელაპარაკეთ თუ არა ცოლს და როგორია მისი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით. თუმცა, გეთანხმებით, ნებისმიერ შემთხვევაში, ასეთი საქციელის პატიება ძალიან ძნელია. მიუხედავად ამისა, თუ გიყვართ და თუ ხვდებით, რომ მის გარეშე ცხოვრება გაგიჭირდებათ, მით უმეტეს, როცა შვილები გყავთ, თავს უნდა მოერიოთ და აპატიოთ. მაგრამ, ცოლს აუცილებლად უნდა დაელაპარაკოთ! ორივემ ბოლომდე უნდა თქვათ სათქმელი და გაარკვიოთ, რამ მიგიყვანათ ამ კრიზისამდე. ამის გაკეთება მნიშვნელოვანია.

**ფსიქოლოგი მაგდა რობაქიძე**

**ქართველი მოკრივე ავთანდილ ხურციძე, რომელსაც „ტორნადოს" ზედმეტი სახელით იცნობენ, მცირე ხნით საქართველოში დაბრუნდა და კარიერის გაგრძელებას შეერთებულ შტატებში, კერძოდ, ლოს-ანჯელესში გეგმავს. თუმცა, მას უკვე პროფესიონალური კრივისთვის თავის დანებება ჰქონდა გადაწყვეტილი.**

# სად ელოდებიან ავთო ხურციძეს ღამის ორი საათივით შავი ქალები და რატომ ჩაშალა მან კინოგადაღება

**ავთო ხურციძე**: მალე ამერიკაში მივდივარ. უკრაინული კლუბიდან დიდი ხანია, წამოვედი, იყო რაღაც მიზეზები. რაზეც მოვილაპარაკეთ და შევთანხმდით, კონტრაქტი იმ პირობებით არ შედგა, დარღვევები იყო და გადავწყვიტე, შემეწყვიტა. არ მინდა, კონკრეტულად, დეტალებზე ვისაუბრო. უკონფლიქტოდ წამოვედი, მაგრამ იურიდიულად კონტრაქტი მაინც ძალაში დარჩა. ერთი წელი დასჭირდა, რომ ყველაფერი მომეგვარებინა. მივდივარ ამერიკაში, სადაც კრივი პრესტიჟული სახეობაა.

**– უკრაინული თუ ისწავლე?**

– ვერა, კიევში 6 წელი ვიცხოვრე და მაინც ვერ ვისწავლე. რომ წავედი, თითქმის რუსულიც არ ვიცოდი – ხელებით და ფეხებით ვაგებინებდი მათ სათქმელს ***(იცინის).*** დამტვრეული რუსულით ტელევიზიაშიც გამოვდიოდი. რა მოხდა მერე, მთავარია, ესმოდათ. მე ხომ ბიზნესმენი და პოლიტიკოსი არ ვარ? ენის კომპლექსი არ მქონდა. არც ისინი დამცინოდნენ, პირიქით, ძალიან უყვართ ქართული აქცენტი ***(იცინის).*** უკრაინელ ქალებსაც მოსწონთ ქართველი მამაკაცები. თუმცა, ჩვენ, კავკასიელები ნაკლებად ყურადღებიანები ვართ. იქ ყოველდღე სჩუქნიან ვარდებს ქალბატონებს.



**სამგზის ევროპის, სამგზის მსოფლიოს და ხუთგზის ინტერკონტინენტალის ჩემპიონი ვარ. 31 ბრძოლა მაქვს ჩატარებული, ერთი სიტყვით, წასვლა მინდოდა, მაგრამ ვერ შევძელი**

**– როგორც ვიცი, მერე საფრანგეთში იყავი, იქ რატომ არ დარჩი?**

– კი, ვიყავი, იქაც ბრძოლა მქონდა, ძალიან მძიმე და დაძაბული, სხვათა შორის, ქართული არხებით პირდაპირი ტრანსლირება იყო. შერკინება მქონდა არაბული წარმოშობის ფრანგ მოკრივესთან – ჰასან ჯიკამთან. საფრანგეთში იქაური პრომოუტერის მიწვევით წავედი. ამ ბრძოლის შემდეგ დაინტერესდნენ ჩემით. რომ გაიგეს უკრაინული „ელიტ ბოქსიდან" წამოვედი, საფრანგეთში მიმიწვიეს. მაგრამ, იქაც არ დავრჩი. პრომოუტერებს შორის დიდი სხვაობა არ არის – მათთვის ეს სუფთა ბიზნესია, შემოსავალი და დიდი შოუ. ყველაფერი ფულს უკავშირდება – მე კიდევ ნებისმიერი გზით ნაშოვნი ფული არ მჭირდება. ჩემთვის წარმატებაა უფრო მნიშვნელოვანი. თუმცა, ფულიც მნიშვნელოვანია, უფულოდ მეტროშიც ვერ ჩახვალ. შიდა სამზარეულოს ერთ პატარა საიდუმლოს გაგიმხელთ, – პრომოუტერს, რა თქმა უნდა, ჰყავს თავისი მოკრივეები და გთავაზობს რომელიმე მათგანთან ბრძოლას, მაგრამ გზღუდავს დროში. თუ სრულყოფილ ფორმაში ყოფნისთვის სამთვიანი ვარჯიში გჭირდება, გაძლევს თვე-ნახევარს, ან შემდეგ, როცა ფორმაში შედიხარ, შეიძლება, ბრძოლა გადაგიდოს. ხდება ასეთი რაღაცეებიც, ყველაფერი მაფიაა. უკრაინაშიც ცდილობდნენ ჩემს დაბლოკვას, რა თქმა უნდა, ჩემი წარმატება არ სიამოვნებდათ იქაურ მოკრივეებს. ჩემს წონაში ჰყავთ ცნობილი მოკრივე, მაქს ბურსაკი. უნდოდათ, მას შევხვედროდი, მაგრამ მერე დაეჭვდნენ, იფიქრეს, რომ ვერ გამიმკლავდებოდა. ისე, ყოველ წელს მოჰყავდათ და აყენებდნენ ჩემთან სპარინგზე. რინგზე ერთმანეთს არ შევხვედრივართ. არადა, ორივე ერთ წონაში გამოვდიოდით და დღემდე არ გვიბრძოლია ერთმანეთთან, ისე მოახერხეს, რომ ის ინტერკონტინენტალის სხვა კატეგორიაში გახადეს ჩემპიონი, მე კიდევ – სხვაში.

**– პარიზში რა მოგეწონა ყველაზე მეტად?**

– რა ვიცი, ეიფელის კოშკი ***(იცინის).*** ცოდვა გამხელილი ჯობია და მანდილოსნები მიყვარს ძალიან ***(იცინის).*** ახლა ამერიკაში მივდივარ, ლოს-ანჯელესში ვივარჯიშებ და ღამის 2 საათივით შავი ქალები რომ არიან იქ, ისინიც საინტერესოა ჩემთვის. მიყვარს ეგზოტიკა. სხვათა შორის, პარიზში ძალიან ლამაზი ქალბატონები არიან. მაშინ კარგ საბრძოლო ფორმაში ვიყავი და გამიყვანეს, შემახედეს, ნახე რამდენი ლამაზი ქალიაო. მაგრამ ჩემს ქუთაისს და ქუთაისელ ქალბატონებს არაფერი არ ჯობია მსოფლიოში.

**– ქუჩაში თუ მოგსვლია ჩხუბი პროფესიონალ მოკრივეს?**

– ჩხუბი არა, მაგრამ კიევში ერთი კურიოზი შემემთხვა. ერთხელ მე და ჩემი მეგობარი დნეპრის სანაპიროზე მივსეირნობდით, კარგი ამინდი იყო. იქ მზე ისეთი იშვიათია, რომ გამოდის, ხალხი ლოცულობს და სადღეგრძელოებს სვამს ***(იცინის).*** ჰოდა, მივდივართ და რას ვხედავ? მოდის გამომწვევი, ულამაზესი ქალი მოკლე კაბით, გაშლილი თმით. უცებ შავი „ჯიპი" გაჩერდა, გადმოვიდა ვიღაც ბლანჟეიანი, კიკინიანი ტიპი და არ სთხლიშა გოგოს სილა სახეში? გადამეკეტა – ვუყვირე, გაჩერდი-მეთქი. მივვარდი გიჟივით, არადა ერთი სიტყვაც არ ვიცი რუსული, ახალჩასული ვარ. დავარტყი მუშტი, დავაგდე ძირს. მომცვივდა ხალხი წივილ-კივილით – რას შვრები, კაცო, აქ კინოგადაღება გვაქვს ჩვენო ***(იცინის).*** თურმე ფილმს იღებდნენ. მერე ჩემი მენეჯერები ჩაერივნენ, არიქა პრესაში არ გავიდესო, გული უსკდებოდათ. სხვა მხრივ, არაფერი შემმთხვევია. ძალიან უკონფლიქტო ხალხია უკრაინელები. იქაური კაცები ზოგჯერ მაოცებდნენ კიდეც. ერთხელ რაღაც კამპანიაში ვიყავი. ვიღაც ტიპი მოვიდა და ბოდიშის მოხდით შემეხვეწა, ჩემს მეუღლეს თქვენთან ცეკვა უნდა და ეცეკვეო. უხერხულში ჩავვარდი, მაგრამ რა მექნა, ვეცეკვე ***(იცინის).***

**– რამე განსაკუთრებული კვების რეჟიმი გაქვს, როგორც სპორტსმენს?**

– კი, მაქვს. თვითონ გამოვიმუშავე, რომ არ დავლიო. კრივში ვარჯიში ცოტა გვიან დავიწყე – ვსვამდი, ვეწეოდი და მადლობა ღმერთს, დავანებე თავი, კიდევ კარგი, შემრჩა ჯანმრთელობა. ერთი პერიოდი, კრივს თავიც დავანებე. მერე მეგობართან, შემთხვევით, მაიკ ტაისონის ბრძოლები ვნახე – კასეტები. მაშინ ვიდეო თუ გქონდა, მაგარი იყავი, იშვიათი იყო. იმდენად აღმაფრთოვანა ნანახმა, მეორე დღიდან დავუბრუნდი კრივს. ისე კი ძალიან მიყვარს ქართული სამზარეულო და გემრიელი სმა-ჭამა.

**– კიევში ქუჩაში გცნობდნენ?**

– კი და ავტოგრაფებსაც მთხოვდნენ. ჩემი ძმა იყო სტუმრად და სულ ეშლებოდათ, ყველას მე ვეგონე, ავტოგრაფებს სთხოვდნენ. როგორც ჩვენთვის არიან იაპონელები და ჩინელები ყველა ერთმანეთს რომ ჰგავს, ისე ვართ, ალბათ, მათთვის. არ ვგავართ მე და ჩემი ძმა ერთმანეთს, იერით თუ მიგვამსგავსებენ.

**– ყველაზე რთული ემოციურად და ფიზიკურად რომელი ბრძოლა იყო შენთვის?**

– ყველა ბრძოლა რთულია, მარტო პროფესიონალებთან მიწევს ჩხუბი. ერთი წლის წინ მსოფლიო ჩემპიონატის WBC-ს ქამარზე დურანის წინაალმდეგ გამოვედი ზაპოროჟიეში. მას მერე ბრძოლა აღარ მქონია, მერე რაღაც კონფლიქტები მოიხდა. ცუდი ამბები მოხდა ჩემს ცხოვრებაში – ბრძოლამდე ცოტა ხნით ადრე, მთლიანად დამეწვა სახლი. ყველა ჩემი საყვარელი ნივთი განადგურდა, დავრჩი ერთი ხელი ტანსაცმლით, რაც ზედ მეცვა და მანქანის გასაღებით. საუნა მქონდა მოწყობილი, ვერაფრის გადარჩენა ვერ მოხერხდა. სამ დღეში ბრძოლა მქონდა, წარმოიდგინე. ღმერთის წყალობით ყველაფერი კარგად წავიდა – 1 ქულით მოვიგე. არადა მოკრივე სპორტსმენებიდან ყველაზე ადვილი დასაჩაგრია. საფრანგეთში იყო საშინლად არაობიექტური მსაჯობა, მსაჯებს ორგანიზატორები იწვევენ. ასევე, მსოფლიო ქამარზე არ იყო დოპინგ-კონტროლი, რაც აუცილებელია. საერთოდ, დაიკარგა ჩემი მოწინააღმდეგე და მისი გუნდი, შემოწმებაზე არ გამოცხადდა. მერე კი გავიგეთ, რომ ტესტი დოპინგზე არ იქნებოდა. ჩემი მენეჯერები კი ბობოქრობდნენ, ამას ასე არ დავტოვებთო, მაგრამ მერე ყველაფერი მიჩუმათდა. ბრძოლა არ წამიგია, მაგრამ ქამარი საფრანგეთში დარჩა. თუმცა რინგსგარეთ მოწინააღმდეგესთან კონფლიქტი არასდროს მომსვლია. ძალიან მეგობრული ურთიერთობა მაქვს ყველასთან. არ ვარ მოჩხუბარი, თუმცა სულ სხვის გამო ვჩხუბობდი ქუთაისში, თბილისში... აქ რომ ჩამოვედი, კრივისთვის თავის დანებება მქონდა გადაწყვეტილი, ასაკით პატარა აღარ ვარ. თან, საკმაო წარმატებასაც მივაღწიე, ბევრი ტიტული მაქვს – სამგზის ევროპის, სამგზის მსოფლიოს და ხუთგზის ინტერკონტინენტალის ჩემპიონი ვარ. 31 ბრძოლა მაქვს ჩატარებული. ერთი სიტყვით, წასვლა მინდოდა, მაგრამ ვერ შევძელი.

**– ამერიკის ამბავი როგორ გადაწყდა?**

– ჩემი მენეჯერი, ედი, თბილისელია, რომელიც დიდი ხანია, – ლოს-ანჯელესში ცხოვრობს. თვითონ დამიკავშირდა „ფეისბუქით", მერე ამერიკაში კრივის ძალიან ცნობილ პრომოუტერს, ლუდიბელას დამაკავშირა. ის ნიუ-იორკში ცხოვრობს და ამერიკის უცნობილესი პრომოუტერების სამეულში შედის. მე ვიცხოვრებ და ვივარჯიშებ ლოს-ანჯელესში. ადრე ფილადელფიაში ვცხოვრობდი, დებიუტი ატლანტიკ-სითიში მქონდა.

**– წელან, საუბრის დაწყებამდე მითხარი, შავმა პრინცმა სიმღერა მომიძღვნაო.**

– კი, ძირძველი ქუთაისელია. დიდი ხანია, ერთმანეთს ვიცნობთ. სხვათა შორის, კლიპიც უნდა გადაგველო ამ სიმღერაზე და მერე რაღაცნაირად დავეკარგეთ ერთმანეთს. „ტორნადო", ჩვენია... მერე აღარ მახსოვს ტექსტი. სხვათა შორის, ლოს-ანჯელესში რინგზე რომ გამოვალ, ამ სიმღერით დავიწყებ ბრძოლას. ეს ჩემი ჰიმნია ***(იცინის).***

**– სხვა სახეობებს უყურებ, გულშემატკივრობ?**

– კი, ჭიდაობა მიყვარს ძალიან. ადრე ჭიდაობაზეც დავდიოდი. ფეხბურთს ვერ ვიტან, მირჩევნია, დავჯდე და მთელი საათი „სვარკას" ვუყურო.

**ქეთი დიდებულიძე**

# ვისი ინიციატივით აშენდა თბილისის ფუნიკულიორი და რომელ მოვლენას უძღვნა თავისი ცნობილი ტილო ნიკო ფიროსმანმა

*თითქმის ოცწლიანი პაუზის შემდეგ, თბილისში ფუნიკულიორი „დაბრუნდა“. სამთო-საბაგირო რკინიგზა – ფუნიკულიორი წლების განმავლობაში ითვლებოდა თბილისის ღირსშესანიშნაობად და ტურისტებთან ერთად ადგილობრივებსაც იზიდავდა. ბელგიელების მიერ აგებული ფუნიკულიორი, რომელიც ძალიან დიდხანს ემსახურებოდა ქალაქს, 90-იანი წლების შემდგომ პერიოდში სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა. საგულისხმოა, რომ რკინიგზის აღდგენაზე დღესაც იმავე ფირმამ იმუშავა, რომელმაც პირველად გაუშვა მგზავრებით დატვირთული ვაგონი მთაწმინდის ციცაბო ფერდობზე.*


თბილისის ფუნიკულიორი (1900-იანი წლები)

**ფუნიკულიორი**

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს აუცილებელი გახდა მთაწმინდის სატრანსპორტო გზით დაახლოება ქალაქთან და, ქალაქის სათათბიროში სამწლიანი მოლაპარაკებების შემდგომ, თბილისის „კონკის“ დირექტორს, ბელგიელ ინჟინერს, ალფონს რობის, რომელიც ბელგიის ტრამვაის ანონიმურ საზოგადოებას წარმოადგენდა თბილისში, ფუნიკულიორის გაყვანის ნებართვა მისცეს. ბრიუსელში, ნაპლეს ქუჩის №48-ში მდებარე საზოგადოების თბილისური წარმომადგენლობა მიხეილის პროსპექტზე (ამჟამინდელ აღმაშენებლის გამზირზე), მუშტაიდის ბაღის ტრამვაის დეპოში იყო გახსნილი. ქალაქის თავი იმ პერიოდში ვასილ ჩერქეზიშვილი გახლდათ და, მისი განკარგულებით საქალაქო თვითმმართველობამ 1900 წლის 24 იანვარს ალფონს რობის ფუნიკულიორის მშენებლობის ნება დართო. აგების სანაცვლოდ რობი ქალაქისგან ფუნუკულიორის მართვის ორმოცდახუთწლიან კონცესიას ითხოვდა, თავად კი იღებდა ვალდებულებას, რომ მთაწმინდაზე აეყვანა წყალი, მოეწყო ბაღი, აეშენებინა საზაფხულო თეატრი, ფანჩატურები და სხვა კულტურული გართობის ობიექტები, მგზავრობის ღირებულებად კი 20 კაპიკს განსაზღვრავდა. ფუნიკულიორის მშენებლობა 1903 წლის სექტემბერში დაიწყო და ჩქარი ტემპით წარიმართა. მშენებლობაში მრავალი უცხოელი სპეციალისტი მონაწილეობდა: პროექტი შეადგინა ფრანგმა ინჟინერმა ბლაშმა; არქიტექტურულად დაამუშავა არქიტექტორმა შიმკევიჩმა (თბილისელებისთვის კარგად ცნობილმა არქიტექტორმა, რომლის პროექტით აშენდა თბილისში რუსთაველის სახელობის თეატრი და კონსერვატორიის შენობა); გზის მშენებლობას ხელმძღვანელობდა ბელგიელი ინჟინერი რაგოლერი, რომელსაც ეხმარებოდა იტალიელი ინჟინერი ანტონიო ფონტანა-როსი ეს უკანასკნელი ფუნიკულიორის მშენებლობის დამთავრების შემდეგ, 1905 წელს გარდაიცვალა და დაკრძალულია კუკიის ძველ სასაფლაოზე (ფონტანა-როსის მეუღლე ქმრის გარდაცვალების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულა, ხოლო 1979 წლის ივნისში მამის საფლავი მოინახულა ანტონიოს უმცროსმა ქალიშვილმა – დელფინამ, რომელიც თბილისში ყოფილა დაბადებული). უცხოელების გარდა, ფუნიკულიორის მშენებლობაში უაღრესად დიდი წვლილი შეიტანა ცნობილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ ნიკო ნიკოლაძემ, რომლის ინიციატივითა და აქტიური მხარდაჭერით მოკლე დროში შესრულდა რკინა-ბეტონის სამუშაოები ფუნიკულიორის ესტაკადისთვის.


თბილისის ფუნიკულიორის ქვედა სადგური და სალარო (1900-იანი წლები)


თბილისის ფუნიკულიორის ქვედა სადგურის შიდა ინტერიერის თანამედროვე ხედი


თბილისის ფუნიკულიორის ქვედა სადგური საბჭოთა დროს


თბილისის ფუნიკულიორის თანამედროვე ვაგონი

თბილისის ფუნიკულიორი 1905 წლის 27 მარტს, დილის 10 საათზე, საზეიმო ვითარებაში გაიხსნა. გაზეთი „კავკაზი" წერდა, რომ ფუნიკულიორის სადგურები, მთელი ტრასა, ვარდ-ყვავილებითა და რუსეთის იმპერიის ეროვნული დროშებით იყო მორთული. ქვედა სადგურზე თავი მოეყარათ ქალაქის თავს, გამგეობის წევრებს, სხვადასხვა საზოგადო დაწესებულების წარმომადგენლებსა და ჟურნალისტებს. საზეიმო ცერემონიალზე სიტყვა წარმოთქვა მამა დავითის ეკლესიის ზედამხედველმა, მღვდელმა მაჭარაშვილმა. მან მადლობა გადაუხადა ფუნიკულიორის თაოსნებს და მშენებლებს; წირვა-კურთხევის დასრულების შემდგომ კი, ქალაქის თავმა ცისფერი ლენტი გაჭრა და გზა გახსნილად გამოაცხადა. საპატიო სტუმრები ვაგონში შევიდნენ, მათ შორის იყვნენ: ქალაქის თავი ვასილ ჩერქეზიშვილი, ფუნიკულიორის მშენებელი ბლაში, ბელგიის ვიცე-კონსული აივაზოვი და სხვები. როდესაც ვაგონის წინ გაჭიმული ლენტი გაიჭრა, ვასილ ჩერქეზიშვილმა თქვა: „ქალაქ ტფილისის მოსახლეობის სახელით მივესალმები ამ ბრწყინვალე წარმოებას და ვაცხადებ ტფილისის ფუნიკულიორს გახსნილად!" აღსანიშნავია, რომ ფუნიკულიორის გახსნას დიდი ფერწერული ტილო უძღვნა ნიკო ფიროსმანმა. ფუნიკულიორის პირველი მმართველი გახლდათ ბელგიელი შეიგარდტი. თბილისის ფუნიკულიორი მსოფლიოში



თბილისის ფუნიკულიორის ვაგონი საბჭოთა დროს

(გაგრძელება 31-ე გვერდზე)

**„როცა ადამიანი არ არის უფალთან, ადგილი ცარიელი არ რჩება, მას ბოროტი იკავებს. ის აბრიყვებს ადამიანს. ყველაფერს მოგცემს, ოღონდ სული წაიღოს შენგან. შენ უყურებ სხვა ადამიანს, ვითომ ბედნიერს, ჰბაძავ მას, მაგრამ, ისიც უბედურია, შენც და ასე გრძელდება მთელი ცხოვრება. ამიტომაც გვიჭირს ადამიანებს ბედნიერებისა და უბედურების გარჩევა”... ამ საკითხის შესახებ გვესაუბრება ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა გიორგი (თევდორაშვილი):**

# რა არის დედამიწაზე ბედნიერება და უბედურება და როგორ შექმნა ღმერთმა ადამიანი სრულ ნეტარებაში



არ არის საკმარისი, რომ დადიხარ წირვა-ლოცვაზე, აკეთებ შესაწირს, დროს ატარებ. როცა ადამიანი უმოქმედობაშია – აი, ეს არის ცოდვა

– მდიდრისა და ღარიბის იგავის თანახმად, იყო კაცი, რომელიც მდიდრულად იმოსებოდა, ყოველდღე ქეიფობდა, ჭამდა, სვამდა. ასეთი პიროვნების დანახვა ჩვენთვის არ არის რთული, ასეთი ადამიანი აღწერილი ჰყავს ილია მართალს ცნობილ ნაწარმოებში – „კაცია-ადამიანი?!“, რომლის მთავარი გმირი – ლუარსაბი ამბობს: კაცი უძირო ქვევრია და რაც შეიძლება მეტი ჭამა-სმა სჭირდება, რომ ის ქვევრი ამოივსოსო. უძირო ქვევრი კი, ბუნებრივია, ვერ ამოივსება, რადგან გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუმაძღარი. მეორე მდგომარეობა – ეს არის ის მდგომარეობა, რომელშიც ღარიბი ადამიანი, ლაზარე იმყოფება. აქვე უნდა დავუკვირდეთ, რომ მდიდარს არ აქვს სახელი, რადგან, სახელი არ არის საჭირო, მას ღმერთი და ადამიანი იცნობს, როგორც მდიდარს. სანამ ადამიანები, ვინც ამ ინტერვიუს კითხულობენ, ჩავარდებიან განკითხვაში, გადახედავენ მეგობრების სიას და იტყვიან: ის ლუარსაბი მდიდარია, ამიტომ, ის გაუმაძღარიაო, მანამდე მინდა აღვნიშნო, რომ სიმდიდრე ბოროტება არ არის. აბრაამი, მოსე და ბევრი დიდი პატრიარქი მდიდრები იყვნენ, მაგრამ, ეს სიმდიდრე მათ მიეცათ ბედნიერებისთვის, რომ გაეცათ და ბევრი ეჩუქებინათ სიმდიდრე და სიკეთე. მეორე ადამიანის, ანუ, ლაზარეს სახელი მომდინარეობს ებრაული სახელიდან „ელიაზარ“, რაც ნიშნავს „წყალობა ღვთისაგან“. ეს ადამიანი ვერ გადაადგილდებოდა, დახოხავდა, იწვა მდიდრის კართან და ელოდებოდა, როდის გადმოაგდებდა ის ლუკმას, ნამცეცს, რომ საკვები მიეღო. ძველად აღმოსავლეთში ასეთი წესი არსებობდა: მოგეხსენებათ, რომ იქ ძალიან ცხელი კლიმატია და პროდუქტის შენახვის საშუალება არ იყო, ამიტომ, როგორც კი ნადიმი დასრულდებოდა, მაშინვე გაჭირვებულებს აძლევდნენ იმის საშუალებას, რომ ნარჩენებით დაპურებულიყვნენ. მაგრამ, ეს მდიდარი იმდენად ძუნწი იყო, არ სურდა თავისი ნარჩენები ლაზარესთვის გაენაწილებინა, სანაგვეში ყრიდა და ძაღლები ჭამდნენ. მაგრამ, მალევე დასრულდა ლაზარეს წვალება, ხოლო მდიდრის – „ნეტარება“, ჯერ კვდება შეჭირვებაში მყოფი ლაზარე, რადგან, ღმერთს სურს, მალე დასრულდეს მისი წამება, შეჭირვება. ზოგჯერ ადამიანებს გვიკვირს, რატომ კვდება კეთილი, კარგი ადამიანი და რატომ ცხოვრობს დიდხანს ცუდი და ბოროტი.

**– ეს ის კითხვაა, რომელზეც პასუხი ადამიანებს მთელი ცხოვრება აინტერესებთ.**

– ღმერთს სურს, მდიდარი გამოსწორდეს, ის კი, ვინც მადლიერებით იტანს თავის ჯვარს, მალე გავიდეს ამ სოფლიდან, რომ უფალთან აახილოს თვალი. ამიტომაც, ერთმა ნეტარებაში აახილა თვალი, მეორემ – მწუხარებაში. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ, რადგან ადამიანი მდიდარია, ის აუცილებლად ჯოჯოხეთში მოხვდება. ლაზარე არაფერს აკეთებდა, ის მდუმარედ გამოხატავდა თავის მდგომარეობას, ძაღლები ულოკავდნენ წყლულებს, ანუგეშებდნენ და მას არც ერთხელ არ წამოსცდენია საყვედური: უფალო, სად ხარ, არ დასრულდა ჩემი წამება, ჩემი ჯოჯოხეთური წვალება ამქვეყნადო. ღმერთმა ყველაფერი იცის, ამიტომაც, მალე გაიყვანა ლაზარე ამქვეყნიდან და მან უკვე სამოთხეში აახილა თვალი. ეს არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ადამიანი ცხონდეს. თუ შენ მთელი ცხოვრება სნეულებაში ხარ, მიტოვებული ხარ, ნამცეცებით იკვებები, არაფერს აკეთებ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ აუცილებლად სამოთხეში მოხვდები, ან, რადგან მდიდარია ადამიანი, ამიტომ ის აუცილებლად ჯოჯოხეთში მოხვდება. ასე მარტივი არ არის არც სამოთხეში და არც ჯოჯოხეთში მოხვედრა.

**– მაშ, რა არის საჭირო ცხონებისთვის, სამოთხეში მოსახვედრად?**

– იგავში არ წერია, რომ მდიდარმა ქონება მოიპოვა უშრომელი შემოსავლით, რომ უსამართლო ადამიანი იყო. წერია მხოლოდ, რომ მდიდარი იყო და ყოველდღე ქეიფობდა ლუარსაბივით. მინდა შეგახსენოთ წმიდა ილია მართლის დიალოგი ლუარსაბთან: როგორ გგონია, შენი ცხოვრებით არ განარისხებ ღმერთსო? ლუარსაბს კითხვაზე საოცარი პასუხი აქვს: მე, ვეჟო? მე განვარისხებ ღმერთს? არ მომიპარავს, არ მიმრუშია, ერთი წირვა არ გამიცდენია, ვამბობ აღსარებას, ვეზიარები, სანთელს ვანთებ, ცხვარს ვწირავო და ასე შემდეგ. პრინციპში, რატომ იყო ლუარსაბი ცუდი კაცი? ქეიფობდა, გვერდით თავისნაირი ცოლი ჰყავდა, იყვნენ თავისთვის და ყოველ დილით იმაზე ფიქრობდნენ, რა ვჭამოთ, რა გავაკეთოთ, როგორ გავერთოთო. ამაში ბოროტება არაფერია, მაგრამ, კარგად დაუკვირდით, წმიდა ილია მართალი რას ეუბნება ლუარსაბს, ანუ ჩვენ რას გვეუბნება: შენი უმოქმედობით არ განარისხებ ღმერთს? არ არის საკმარისი, რომ დადიხარ წირვა-ლოცვაზე, აკეთებ შესაწირს, დროს ატარებ... როცა ადამიანი უმოქმედობაშია, აი, ეს არის ცოდვა. ანუ, ლუარსაბი უძირო ქვევრის ამავსებელი კაცია, რომლის მდგომარეობაში ხშირად იყო ქართველი. უმოქმედობის, ურწმუნობის გამო ისჯება მდიდარი და აღმოჩნდება ჯოჯოხეთში; როცა ადამიანი ჩუმად არის, ხედავს, როგორ იღუპება მისი ქვეყანა და ხმას არ იღებს, როცა გაიძახის: მე ხომ კარგად ვარ, ჩემი მეუღლე ხომ კარგად არის, საჭმელი გვაქვსო, ხოლო, როდესაც ხედავს გაჭირვებულ მეზობელს, ამბობს: ხელი გაატოკოს, იშოვოს, მე ხომ ყველაფერი შრომით მაქვს მოპოვებულიო. ანუ უმოქმედობისა და ურწმუნობის გამო, იმის გამო, რომ მას არ უყვარდა მოყვასი, ის აღმოჩნდა ჯოჯოხეთში. ძალიან საინტერესოა ის მომენტიც, როცა ჯოჯოხეთში მყოფი მდიდარი ფიქრობს იქიდან გამოსვლაზე და აბრაამს სთხოვს: ჩემს სახლში დარჩნენ ჩემი ძმები, იქნებ მათთან გაგზავნო ლაზარე, რომ გამოსწორდნენ, კარგად მოიქცნენო. აქ, ერთი შეხედვით, ცუდი არაფერია, ის ფიქრობს თავის მოყვასზე, მაგრამ, თუ კარგად დავუკვირდებით, ის ცდილობს, თავი ეშმაკურად დაიძვრინოს, შეიმსუბუქოს მდგომარეობა. მაგრამ აბრაამი პასუხობს: მათ ჰყავთ მოსე და წინასწარმეტყველები, ანუ აქვთ საღვთო სჯული, ჯობია, წაიკითხონ, არ არის საჭირო, აქედან გავგზავნოთ მოციქულებიო. მაგრამ მდიდარი ეუბნება: ლაზარეს თუ გააგზავნით, მკვდრეთით აღმდგარს, იქნებ მაშინ მაინც იწამონ მისი. ჩვენც ხშირად ვამბობთ ხოლმე: არავინ გვინახავს იქიდან მოსული; როცა ვნახოთ, მერე ვიწამებთ იმქვეყნის არსებობასო. ეს ცრუმეტყველება, არასწორი სწავლებაა, იქიდან მაშინ აღდგება ხალხი, როდესაც მაცხოვარი მეორედ მოვა. მანამდე კი ნუ დაელოდებით ვინმეს მოსვლას და ნუ გგონიათ, რომ სიზმარში ვინმე თუ გამოგეცხადათ, ეს კარგია და ყველაფერი კარგად იქნება. ბოლოს მდიდარი ითხოვს ნუგეშს, რომ, იქნებ, ერთი წვეთი წყალი მიიღოს, რათა გაგრილდეს მისი მხურვალება. აუტანელი მხურვალება და ტანჯვაა ჯოჯოხეთში. ისე არ წარმოიდგინოთ, რომ იქ გაზი ანთია ან კუპრი დუღს, უმადლობაა იქ, ღვთის მადლი არ არის, სიბნელე, მიტოვებულობაა და იქ არავინ ახსენებს უფლის სახელს. ნურავის ჰგონია, რომ ჯოჯოხეთში აღიარებს ღმერთს. დავით მეფსალმუნე პირდაპირ ამბობს: „ჯოჯოხეთსა შინა ვინ აღგიაროს შენ“. სანამ ცოცხალი ხარ, დედამიწაზე ხარ, აქვე უნდა აღიარო მაცხოვარი. თუ ჯოჯოხეთში ვინმე აახელს თვალებს, რამდენიც არ უნდა იყვიროს ღმერთის სახელი, შველა, იქ უკვე აღარ არსებობს შველა, თუ შენი ახლობელი არ დადის ეკლესიაში, არ ლოცულობს, არ იხდის პანაშვიდებს, შეკვეთილ წირვებს და არ გასცემს მოწყალებას. დღეს მოძღვრისგან გამიგია ქადაგებაში, რომ ჯოჯოხეთშიც იქადაგება მაცხოვარი. ასე რომ იყოს, მაშინ ჯოჯოხეთი ცარიელი იქნებოდა, ყველა დასჯილი ადამიანი მოითხოვდა იქიდან გამოსვლას. მე არ ვარ წინააღმდეგი, რომ ჯოჯოხეთი ცარიელი იყოს, მაგრამ, ეს უკვე იქნებოდა ორიგენიზმი. ორიგენე ქადაგებდა: „დასრულდება ჯოჯოხეთური დასჯა და ყველა სამოთხეში გადავა“. მეც თანახმა ვარ ამაზე, მაგრამ, ასე არ არის, რადგან, როგორც წერია: იქნება საუკუნო ნეტარება და საუკუნო ტანჯვა. ამ იგავიდან გამომდინარე, მინდა, გამოვიტანო დასკვნა: რა არის ბედნიერება და უბედურება. ღმერთმა ადამიანი შექმნა ნეტარ მდგომარეობაში და მისცა კურთხევა – განღმრთობილიყო, ბედნიერი ყოფილიყო. მაგრამ ადამიანმა ცნება დაარღვია და ღმერთმა ის გამოაძევა სამოთხიდან, თუმცა, მას დაუტოვა ბედნიერების შანსი და აღუთქვა მესიის მოსვლა, რომელიც მოვიდა, ჯვარს ეცვა. დღეს ძალიან ძნელია, ნახო ბედნიერი ადამიანები. შეიძლება, ვინმე არის ბედნიერი, მაგრამ მე ამას ვერ ვხედავ. ვის როგორც ესმის ბედნიერება, ისეთი ბედნიერიც არის. თუ შენ გარშემო ბევრი მშიერი, სნეული, დაწყლულებული ადამიანია, როგორ შეიძლება, შენ იყო ბედნიერი?! ადამიანის სამშობლო სასუფეველია და, ამიტომ, ის დედამიწაზე ბოლომდე ვერ იქნება ბედნიერი. ბოლომდე ბედნიერება – ეს არის ბედნიერების წყაროსთან, ანუ, ღმერთთან მისვლა. ადამიანის ბედნიერებასა და უბედურებაზე ნუ იმსჯელებ, სანამ არ ნახავ მის აღსასრულს. ბედნიერება არის ცხონება, სამოთხეში ყოფნა, ხოლო უბედურება არის ჯოჯოხეთი, მაგრამ, საგზური აქვე უნდა აიღო. შენ თუ გაჭირვებაში ხარ, ყვედრი ღმერთს, განიკითხავ მოძღვარს, არაფერი გესმის, ნუ გგონია, რომ ნეტარებაში გადახვალ. შეიძლება, მდიდარი იყო, ყოველდღე ქეიფობდე, მაგრამ, გაჭირვებულებს, სნეულებს ეხმარებოდე და სამოთხეში მოხვდე. დიდი ქართველი მღვდელმთავრის, გაბრიელ ქიქოძის სიტყვები მინდა მოვიყვანო, რომელიც რამდენიმე თვეში დაკარგავს ოთხ შვილსა და მეუღლეს. ის ამბობს: „შენი ბედნიერება იყოს აღსრულება შენი მოვალეობისა“. შენი მოვალეობის შესრულების შემდეგ, თუ „შენს გულს მიაჩვევ კეთილ საქმეს, სათნოებას, ლოცვას, მოთმინებას, სიყვარულს, მაშინ ამქვეყნადვე მიიღებ უმტკიცესსა და დაუსრულებელსა ბედნიერებას“.

**ნათია უტიაშვილი**

# ღვთისმშობლის ხატის შესახებ

### წინასწარმეტყველება ათონის მთისა და იქიდან ივერიის ღვთისმშობლის ხატის წაბრძანების შესახებ

**წმიდა ნილოს მირონმდინარე:** „წმიდა მამებო, ხსნის დაცილება იქნება ასეთი: პირველი – მცირეოდენი ხნით ადრე შეიძვრება მონასტერი, სადაც სუფევს ხსნის დედოფლის ხატი. ეს ნიშნავს, რომ უგრძნობი მიწა შეიგრძნობს, რომ გაღარიბდება თავისი მფარველისგან, რომელიც იფარავდა ამ დღემდე, ძვრის შემდეგ ძლიერ რყევაში იქნება ყოველი დანერგილი ხე და დახრიან დანერგულს, ვამბობთ ყველა ფესვგადგმულს დედოფლისთვის ტყვეობაში (ანუ მთაზე მართლმადიდებელი ბერების მოწამეობრივი განადგურება იქნება). ათონზე საშინელი ხმაური ატყდება, გამოვა წვრილი ხმა, როდესაც ჩვენი დედოფლის, ღმრთისმშობლის ხატი წაბრძანდება უცნაური და მთრთოლვარე. ნიშანი გამოჩნდება. ნიშანი იქნება ასეთი: ყველა ეკლესია დაიხრება მხსნელის წაბრძანების გამო, მხსნელის გაცილებისა და თავისმოდრეკის აღსანიშნავად (ანუ მათ დაანგრევენ ულმრთოები ან მიწისძვრა). ამის გამო გეუბნებით, უგრძნობი იგრძნობს, ხოლო გრძნობა დაივსება და ვერ შეიგნებს, რომ ცილდება ხსნა. გეუბნებით, წმიდა მამებო, ვიდრე ჩვენი დედოფლის, ღმრთისმშობლის ხატი მთაზე ბრძანდება, ნურავინ დააპირებს აქედან წასვლას, რადგან ამის განზრახვისთანავე მეყსეულად სულიერ და ხორციელ სასჯელს (მიმნებებლობას) მიიღებს. როდესაც იხილავთ, რომ წაბრძანდა ყოვლადწმიდას ხატი ამ წმიდა მთიდან, წადით თქვენც, სადაც გენებოთ, ოღონდ ბერული ცხოვრების აღთქმა შეინახეთ დაურღვევლად და წმინდად“.

ათონის წმინდა მთაზე ყოფნისას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ, ივერონის მონასტრის მოლოცვის შემდგომ, ასეთი რამ განაცხადა: „ივერიის ღვთისმშობლის ხატს უკვე ველოდებით საქართველოში“.

### ღვთისმშობელმა პირი იბრუნა მარხვის დამრღვევისგან

არქიმანდრიტმა რონიდმა თავისი ცხოვრებიდან ასეთი შემთხვევა გაიხსენა: „ერთხელ მოსკოვიდან სამშობლოში ვბრუნდებოდი. გზად ჩემს ბიძასთან შევიარე და ცოტა ხანი მის სახლში ვცხოვრობდი. ბიძაჩემი ნიკოლაევის სადგურის უფროსის მოადგილე იყო, იგი მაღალ საზოგადოებაში მიღებული წეს-ჩვეულებების მიხედვით ცხოვრობდა. მის ოჯახში ოთხშაბათსა და პარასკევს არ მარხულობდნენ. ბიძასთან სადილობისას მეც არ ვამბობდი უარს კვერცხსა და რძეზე მარხვის დღეებში და ჩემს ასეთ საქციელს შემდეგი მოსაზრებით ვამართლებდი: „ჩემი მხრიდან სწორი არ იქნება, რომ ვაიძულო ეს ადამიანები სპეციალურად ჩემთვის განსხვავებული კერძები მოამზადონ, ამიტომ ყველაფერს ვჭამდი, რასაც მთავაზობდნენ. ბერად აღკვეცამდე ერთი წლით ადრე საოცარი სიზმარი ვიხილე: თითქოს ენით უთქმელი, ზეციური სილამაზის ტაძარში ვიმყოფები და ღვთისმშობლის ხატის წინაშე ვდგავარ. ხატზე დედაღვთისა მთელი სიმაღლითაა გამოსახული, ხელში ღვთაებრივი ყრმა უჭირავს, თავზე გვირგვინი ადგას. მისი ნაკვთები ჩერნიოვის ღვთისმშობლის ხატს მაგონებდა. მე ცოდვილმა მუხლი მოვიდრიკე ხატის წინაშე და შევთხოვე მეოხება წინაშე უფლისა ჩვენისა. მაგრამ, ჰოი, საშინელებავ, დედაღვთისამ თავისი ნათელი პირი იბრუნა ჩემგან, შიშით და ძრწოლვით შევღაღადე: „დედაო ღვთისავ, რა ცოდვით შეურაცხგყავი მე უღირსმა, რომ არ გსურს შენი ღვთაებრივი სახე ვიხილო?“ და მესმის პასუხი: „მარხვის დაუცველობით შენ პატივს არ სცემ ჩემი ძის ტანჯვას და ოთხშაბათისა და პარასკევის სახსნილო საკვებს იღებ, ამით ორივეს შეურაცხგვყოფ“. ამით ხილვა დასრულდა, მაგრამ ჩემი სულისთვის ძალიან საგულისხმო ამ გაკვეთილმა მთელ ჩემს მომავალ ცხოვრებაზე იქონია გავლენა.

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: რის საფუძველზე არქმევენ მართლმადიდებელ ტაძრებს სახელებს?**

**პასუხი:** როგორც წესი, მართლმადიდებლური ეკლესიები ეძღვნება მაცხოვრისა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიწიერი ცხოვრების სხვადასხვა მოვლენას, ან აგებულია წმიდანების სახელზე.

**კითხვა: წირვიდან მომავალს, გზაში სურვილი გამიჩნდა დამეწერა ლოცვა. ასეთი სურვილი ხშირად მებადება. ცოდვას ხომ არ ჩავიდენ, თუკი ჩემს შეთხზულ ლოცვას გამოვიყენებ?**

**პასუხი:** ამით ცოდვას ნამდვილად არ ჩაიდენთ. შეიძლება გამოიყენოთ თქვენი შეთხზული ლოცვა, ოღონდ მას შემდეგ, რაც დაამთავრებთ ლოცვით კანონს, ანუ იმ ლოცვებს წაიკითხავთ, რომლებიც წმიდა მამების მიერ არის დაწერილი. ერთ-ერთი ღირსი მამის თქმით: ასეთი ლოცვა, როგორც ბავშვის ტიტინი, ისე სიამოვნებს უფალს.

**კითხვა: ზოგიერთ მორწმუნეს მთელი სახლი საეკლესიო ნივთებით – ხატებით, სანთლებით, სასულიერო ლიტერატურით აქვს სავსე. ზოგი კი გადაჭარბებულ საქციელად მიიჩნევს ამას. გთხოვთ, აგვიხსნათ, რომელი მიდგომაა სწორი?**

**პასუხი:** ყოფით ცხოვრებაში ნებისმიერი ნივთი და საგანი აღძრავს ადამიანში ამა თუ იმ გრძნობას, აზრსა და სურვილს. ამიტომ, სულის ხსნისთვის უმჯობესია, ისეთი საგნების გარემოცვაში ვიმყოფებოდეთ, რომელიც ღმერთთან დაახლოების განცდას შეგვძენს და არა პირიქით – ბილწი ვნებებით აგვავსებს. თუმცა, ყველაფერში ზომიერების დაცვა სჯობს.



**კითხვა: მაქვს ნათლობის რამდენიმე ჯვარი. შეიძლება თუ არა მათი გადადნობა და ერთ ჯვრად ტარება?**

**პასუხი:** ნათლობის ჯვრების გადადნობით ერთი ჯვრის მიღება დაუშვებელია. ატარეთ ერთი რომელიმე ჯვარი, დანარჩენი კი სათუთად შეინახეთ.

# მამათა შეგონებანი

**ილია მეორე:** როდესაც ვლაპარაკობთ სასწავლო პროგრამების რეორგანიზაციაზე, აუცილებლად უნდა ვიფიქროთ შრომის სწავლებაზეც, რათა აღვზარდოთ ისეთი პიროვნებები, რომელთათვისაც შრომა იქნება ბუნებრივი, სასიცოცხლო მოთხოვნილება. სამწუხაროდ, არც ოჯახში, არც სკოლასა და უმაღლეს სასწავლებლებში ამ მიმართულებით დღესდღეობით არაფერი კეთდება.

**დიმიტრი როსტოველი:** ყრმა შეიძლება, შევადაროთ დაფას, რომელიც სურათის დასახატადაა გამზადებული: რასაც მხატვარი აღბეჭდავს მასზე – ცუდს თუ კარგს, სიწმიდეს თუ ცოდვას, ანგელოზს თუ ეშმაკს – ის დარჩება. ასევეა, ბავშვიც: როგორ ზნეობასაც მისცემენ მას მშობლები აღზრდის დასაწყისში – ღვთისთვის სათნოს თუ ღვთისთვის საძაგელს, ანგელოზებრივს ასწავლიან თუ ეშმაკეულს – სწორედ იმ ზნეობით იცხოვრებს იგი.

**პაისი მთაწმინდელი:** პირჯვარი გადაიწერე, ჩემო კეთილო შვილო და აკეთე ის, რასაც გეუბნებიან. თუკი იტყვი: „ლოცვითა წმიდათა მამათა ჩვენთა“... ნუთუ ამდენი წმიდანიდან ერთიც არ დაგეხმარება? უფლის ნდობა არასოდეს დაკარგო. თავს ადამიანური ლოგიკით ნუ შეიზღუდავ: ასე თავადაც იტანჯები და საღვთო შემწეობასაც ხელს უშლი. თუკი შენი კეთილგონიერი ადამიანური ქმედების შემდეგ ყველაფერს, რასაც იქმ და საკუთარ თავსაც უფალს მიანდობ, ეს მეტად დაგეხმარება არა მხოლოდ შენ, არამედ – სხვებსაც. ღვთისადმი მინდობა – დიდებული საქმეა.

**იოანე ოქროპირი:** ნურასოდეს მიიღებ შენს გულში ცილისწამებასა შენი ძმის მიმართ. არამედ გააჩერე განმკითხველი და უთხარი: „დამეხსენ, ძმაო, თავად ყოველდღე უფრო მძიმედ ვსცოდავ, როგორღა უნდა განვიკითხო სხვები?!“

**ეფრემ ასური:** გეშინოდეს იმავე ცოდვებით დაცემისა, რომლებიც უკვე მიუტევებია შენთვის ღმრთის მოწყალებას სინანულის საიდუმლოში, მაგრამ თუკი შენი უძლურების გამო კვლავაც დაეცემი უწინდელი შეცოდებით, მაინც ნუ წარიკვეთ სასოს! ღმრთის მოწყალება უსაზღვროა, წრფელი სინანულის ძალა კი ადამიანში – განუზომელი.

**ნიკოდიმოს ათონელი:** ჯოჯოხეთის არანაირი ტანჯვა თავისი სიმძიმით არ შეედრება ერთ მომაკვდინებელ ცოდვას. სულიწმიდა ზირაქის პირით გვამცნობს, რომ „ჯოჯოხეთი ერთ მომაკვდინებელ ცოდვაზე უფრო მსუბუქია“. ასეთი დიდია ღვთის ნების თუნდაც ერთი მძიმე დარღვევა! მას, ვინც ასე კადნიერდება, ქვის გული აქვს. იგი მიემსგავსება პირუტყვსა და უგრძნობ ხეს. იგი ისე ადვილად და უშიშრად სცოდავს, თითქოს სურს, ზიანი მიაყენოს არა ჭეშმარიტ და ცოცხალ ღმერთს, არამედ ცრუსა და დახატულს. ქრისტიანი, რომელიც სცოდავს და ასეთი კადნიერებით განარისხებს უფალს, აკეთებს იმას, რაზეც ვერ კადნიერდებოდნენ წარმართები თავიანთი ქვისა და ხის ცრუ ღმერთებით.

**ისაკ ასური:** დაუახლოვდი მართალთ და მათი საშუალებით ღმერთს მიუახლოვდები.

# 2012 წლის ყველაზე ძვირად ღირებული თავდამსხმელების ტოპ-ათეული

*ისინი მსოფლიოს ნომერ პირველი თავდამსხმელები არიან და ნებისმიერი მწვრთნელი ისურვებდა მათ ყოფნას საკუთარი კლუბის შემადგენლობაში. 2012 წლის შემაჯამებელი რეიტინგის თანახმად, გამოვლინდა ფორვარდთა ის ტოპ-ათეული, რომელთა სატრანსფერო ფასი რამდენიმე ათეულ მილიონ ევროს აღემატება და, შესაბამისად, ისინი თანამედროვე ფეხბურთის ყველაზე ძვირად ღირებულ მოთამაშეებად ითვლებიან.*

### ლიონელ მესი – 120 მილიონი ევრო

ამ გვართან ასოცირებული ნებისმიერი თანხა მხოლოდ სავარაუდო დონეზე შეიძლება განისაზღვროს. დღეს არგენტინელი ლიონელ მესი ისევე შეუფასებელია, როგორც ლეონარდო და ვინჩის „მონა ლიზა". წლიდან წლამდე დასტურდება, რომ „ბარსელონის" მოედანზე ფეხბურთს კი არ თამაშობს, არამედ, თავად ქმნის ფეხბურთისგან ხელოვნების ნიმუშს. 2012 წელი მის კარიერაში განსაკუთრებულია – მესიმ ლეგენდარული გერმანელის, გერდ მიულერის თითქმის 40-წლიანი რეკორდი მოხსნა და ერთ კალენდარულ წელიწადში 91 გოლის გატანა მოახერხა (მიულერის ანგარიშზე 85 გოლი იყო). ამბობენ, რომ ჩია არგენტინელი კარიერას „ბარსელონაში" დაასრულებს – კონტრაქტი 2018 წლამდე არის გათვლილი და, სავარაუდოდ, მანამ გაგრძელდება, სანამ ახალ საფეხბურთო „ღმერთს" მეტოქე გუნდების კარის დალაშქვრა არ მობეზრდება.



### კრიშტიანუ რონალდუ – 100 მილიონი ევრო

2003 წელს კრიშტიანუ რონალდუ „მანჩესტერ იუნაიტედმა" პორტუგალიური „სპორტინგისგან" 17,5 მილიონ ევროდ შეიძინა, მადრიდულ გრანდში კი თითქმის ხუთჯერ მეტ თანხად გაყიდა. დღეს რონალდუს ტრანსფერი 100 მილიონად არის შეფასებული და, მესის მსგავსად, ეს თანხაც სავარაუდო ხასიათს ატარებს. რონალდუს თქმით, ის თავს მშვენივრად გრძნობს მადრიდში და კლუბის გამოცვლას არ გეგმავს; თუმცა, „მანჩესტერ სიტის" არაბ მფლობელებს სულ სხვა გეგმები აქვთ რონალდუსთან დაკავშირებით და, არ არის გამორიცხული, რომ სულ მალე პორტუგალიელი მანჩესტერში დაბრუნდეს.



### უეინ რუნი – 65 მილიონი ევრო

ეს თანხა რეკორდულია უეინ რუნისთვის. ჯერჯერობით პირველად, მისმა ფასმა 50 მილიონ ევროს გადააბიჯა. რუნიზე ვერ იტყვით, რომ სუფთა ფორვარდია – მას რამდენიმე პოზიციაზე შეუძლია თამაში და, ალექს ფერგიუსონის ხელმძღვანელობით, ის როგორც შემოქმედი ფეხბურთელი გაიხსნა. უნივერსალური რუნი „მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარი დამრტყმელი ძალაა და, სანამ მას 30 წელი არ შეუსრულდება მისი სატრანსფერო ფასი ზრდას განაგრძობს.



### სერხიო აგუერო – 51 მილიონი ევრო

კიდევ ერთი არგენტინელი თავდამსხმელი, რომელიც მსოფლიოს უძვირესი ფორვარდების „კვარტეტის" წევრი გახდა. „მანჩესტერ სიტის" ვარსკვლავი და დიეგო მარადონას სიძე, სერხიო აგუერო, კლუბს 45 მილიონი დოლარი დაუჯდა და, შესაძლოა, მისი ფასი მეტადაც გაზრდილიყო, რომ არა „სიტის" წარუმატებლობა ჩემპიონთა ლიგაში. მადრიდის „ატლეტიკოს" ყოფილი ფეხბურთელი 24 წლისაა და მას მთელი კარიერა წინ აქვს, რომ მისმა სატრანსფერო ფასმა კიდევ უფრო მოიმატოს.



### რადამელ ფალკაო – 50 მილიონი ევრო

ის ევროპული სუპერკლუბების ნომერ პირველი სამიზნეა ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის პერიოდში. კოლუმბიელი სუპერთავდამსხმელის ფასი, შესაძლოა, გაცილებით მეტი იყოს და, ამბობენ, რომ ლონდონის „ჩელსი" მზად არის, მადრიდის „ატლეტიკოს" 60 მილიონი ევრო გადაუხადოს, თუმცა, მადრიდული კლუბის მესვეურები არ ჩქარობენ ფალკაოს გასხვისებას. ამას გარდა, აქტიურობს „რეალი", რომელსაც ფალკაოს ნახვა საკუთარ რიგებში სურს. ცნობისთვის, ფალკაოს გადაბირება „ატლეტიკოს" 47 მილიონი ევრო დაუჯდა.



### ჰალკი – 45 მილიონი ევრო

ამ მომენტისთვის ჰალკი ყველაზე ძვირად ღირებული ბრაზილიელი თავდამსხმელია მსოფლიოში. „ზენიტის" მიერ ჰალკში გადახდილი თანხა დღემდე ითვლება განსჯის საგნად. სხვადასხვა ცნობით, ეს ციფრი 40-55 მილიონ ევროს შორის მერყეობს. ამბობენ, რომ აღნიშნულმა თანხამ უარყოფითი გავლენა მოახდინა ფეხბურთელზე და ამას არც სანქტპეტერბურგული კლუბის მესვეურები უარყოფენ, რომელთა თქმით, ჰალკი ჯერჯერობით არ ამართლებს მასში გადახდილ თანხას, თუმცა, ისინი ფეხბურთელის გახსნას 2013 წლიდან ელიან. მსგავსი შემთხვევა 2011 წელს დაფიქსირდა, როდესაც ფერნანდო ტორესი ლონდონის „ჩელსიმ" 58 მილიონად იყიდა და ფეხბურთელმა აშკარად არ გაუმართლა აბრამოვიჩს.

### რობინ ვან პერსი – 43 მილიონი ევრო

რამდენიმე წლის წინ რობინ ვან პერსი დღევანდელი გადმოსახედიდან სასაცილო თანხის – 4,5 მილიონი ევროს სანაცვლოდ გადავიდა „ფეიენოორდიდან" „არსენალში", 2012 წლის ზაფხულში კი ლონდონურმა კლუბმა ის ათჯერ უფრო ძვირად გაასხვისა „მანჩესტერ იუნაიტედში", სადაც ჰოლანდიელი ძველებურად ათამაშდა და კვლავ ითვლება პრემიერლიგის ბომბარდირობის ნომერ პირველ პრეტენდენტად. ვან პერსი ამ ათეულის ყველაზე ასაკოვანი წევრია – 2013 წელს მას 30 წელი უსრულდება და, სავარაუდოდ, ეს სატრანსფერო ფასი მისთვის მაქსიმუმია.

### მარიო გომესი – 42 მილიონი ევრო

გასული ერთი წლის განმავლობაში გერმანელი მარიო გომესის სატრანსფერო ფასმა 20 მილიონი ევროთი მოიმატა. „ბაიერნისა" და გერმანიის ნაკრების თავდამსხმელი ამ ტოპ-ათეულის ყველაზე უიღბლო ფორვარდად შეიძლება ჩაითვალოს – მასზე მეტი მომენტის გამნიავებელი ძნელად მოიძებნება თანამედროვე ფეხბურთში, არადა, იმის მესამედის გატანა რომ დაიწყოს, რა მომენტებსაც უქმნიან პარტნიორები, მისი ფასი გაცილებით მეტი იქნება. მიდის მსჯელობა, რომ ზაფხულში გომესი სხვა კლუბს და, სავარაუდოდ სხვა ქვეყნის ჩემპიონატს მიაშურებს, რაც სავსებით სავარაუდოა, რადგან, მის პოზიციაზე შეძენილმა ხორვატმა მარიო მანჯუკიჩმა გაცილებით ეფექტურად ჩაატარა ბუნდესლიგის პირველი ეტაპი, ვიდრე სახელოვანმა გომესმა.

### ნეიმარი – 40 მილიონი ევრო

ნეიმარი ერთადერთი ფეხბურთელია, რომელიც ამ რეიტინგში არაევროპულ კლუბს წარმოადგენს. დიდი ხანია, ბრაზილიელ ნეიმარზე ევროპული სუპერკლუბები ნადირობენ და, სავარაუდოდ, ზაფხულში ის რომელიმე ტოპ-კლუბს მიაშურებს. წინასწარი გათვლებით, ნეიმარის ევროპული კლუბი ესპანური იქნება, თუმცა, „ბარსელონა" თუ „რეალი", ამაზე ჯერ კიდევ კამათობენ. ამბობენ, რომ „ბარსელონაში" ნეიმარი მძლავრ დუეტს შექმნის ლეო მესისთან, ამის წინაპირობა კი ის გახლავს, რომ, როგორც გაირკვა, კატალონიური კლუბის დატოვებას აპირებს დავიდ ვილია. ნეიმარის სატრანსფერო ფასის მატებას 2014 წელსაც ვარაუდობენ – მას შემდეგ, რაც ბრაზილიაში მსოფლიო ჩემპიონატი დასრულდება.

### ქარიმ ბენზემა – 40 მილიონი ევრო

მას შემდეგ, რაც საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელი ქარიმ ბენზემა „ლიონიდან" „რეალში" გადავიდა, მისმა სატრანსფერო ფასმა დაიწია, რადგან, თავდაპირველად, ბენზემა ვერ ამართლებდა მასზე დაკისრებულ იმედებს, რონალდუს ჩრდილში მოექცა და ერთი პერიოდი სულაც განაცხადს მილმა რჩებოდა, თუმცა, 2011-2012 წლების სეზონის პერიოდში ბენზემამ ფუნდამენტური ცვლილება მოახდინა საკუთარ თამაშში და სამეფო კლუბის შეტევის ხაზის ლიდერად იქცა. 2012-2013 წლების სეზონის პირველ ნახევარში მან წინა სეზონში აკრეფილ ბომბარდირულ სიჩქარეს ოდნავ მოუკლო, თუმცა, ხარისხობრივად ამას არ უმოქმედია მის თამაშზე და იგი კვლავ ითვლება „რეალის" შეტევის ლიდერად რონალდუსთან ერთად.



## მესი – წლის ფეხბურთელი ესპანეთში

„ბარსელონის" არგენტინელი ფორვარდი, ლიონელ მესი, ესპანეთის 2012 წლის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა. გამოკითხვის ორგანიზატორი ესპანეთის ნომერ პირველი სპორტული გაზეთი „მარკა" იყო. მესიმ 115 ათასი ხმა მიიღო – გამოკითხულთა საერთო რაოდენობის 60 პროცენტი. 2012 წელს მესიმ გერმანელი გერდ მიულერის უნიკალური რეკორდი დაამხო – მან ერთ კალენდარულ წელს 91 გოლის გატანა მოახერხა, როდესაც მიულერის ანგარიშზე კი 85 გოლი იყო. მესის გარდა გამოკითხვაში მონაწილეობას იღებდნენ: კრიშტიანუ რონალდუ, რადამელ ფალკაო, ჩავი, ანდრეს ინიესტა, იკერ კასილასი და სერხიო რამოსი. 2012 წლის საუკეთესო მწვრთნელად, იგივე „მარკას" ვერსიით, მადრიდის „ატლეტიკოს" მესაჭე დიეგო სომეონე დასახელდა.

## „ზლატანერა" – ახალი შვედური სიტყვა

სიტყვა „ზლატანერა", რომელიც შვედეთის ნაკრების ვარსკვლავის ზლატან იბრაჰიმოვიჩის სახელიდან წარმოიშვა, შვედური ენის საბჭომ ახალ სიტყვად დაარეგისტრირა. „ზლატანერა" ამიერიდან დომინირებას, ძალის გამოყენებას ნიშნავს. ლექსიკონში აღნიშნული იქნება, რომ ეს სიტყვა შვედურ ენაში ფრანგულიდან შემოვიდა და ზლატან იბრაჰიმოვიჩის დამსახურებით გაჩნდა, რომელიც ფრანგულ საფეხბურთო მოედნებზე დომინირებს და ძალას აჩვენებს. საგულისხმოა, რომ სიტყვა „ზლატანერა" პირველად ფრანგულ ტელეარხ „კანალ პლუსზე" გაჩნდა სატირულ გადაცემაში. ცნობისთვის, „პარი სენ-ჟერმენის" რიგებში მოასპარეზე ზლატან იბრაჰიმოვიჩი საფრანგეთის საუკეთესო ბომბარდირია 18 გატანილი ბურთით.



## მიტოვებული ბოლტი

პლანეტის უსწრაფესი ადამიანი, იამაიკელი მორბენალი უსაინ ბოლტი შეყვარებულმა მიატოვა. 22 წლის მეგან ედვარდსმა, ჩვეულებრივმა ბუღალტერმა ლონდონიდან, სამსახური პირად ურთიერთობაზე მაღლა დააყენა და ოლიმპიური ჩემპიონი ბოლტი გულგატეხილი დატოვა. „ჩვენ ერთად ვიყავით იამაიკაზე და მშვენიერი დრო გავატარეთ. უსეინს სურვილი ჰქონდა, რომ მე კვირაში ერთხელ მასთან ლონდონიდან მეფრინა, მაგრამ, მე ასე არ შემიძლია – სამსახური მაქვს და ჩვეულებრივი ადამიანივით ცხოვრება მირჩევნია ვარსკვლავურ ცხოვრებას", – განუცხადა ჟურნალისტებს მეგანმა, რომელიც ბუღალტრად მუშაობამდე მოდელობდა და ლონდონის ოლიმპიადის დაწყებამდე გაიცნო უსეინ ბოლტმა.

## ვოზნიაცკი თხოვდება

ავსტრალიურ ბრისბენში, წლის პირველ ტურნირზე ჩასულ დანიელ ჩოგბურთელს კაროლინ ვოზნიაცკის ჟურნალისტებმა ნიშნობის ბეჭედი დაუნახეს და ამჟამად მთელი მსოფლიო იმის მოლოდინშია, თუ როდის გააკეთებს ოფიციალურ განცხადებას ამ თემასთან დაკავშირებით მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელი ქალი. ცნობილია, რომ კაროლინა დიდი ხანია მეგოლფე რორი მაკილროის ხვდება და, მათთან დაახლოებული პირების ცნობით, წყვილი ახლო მომავალში დაქორწინებას აპირებს, თუმცა, ოფიციალური განცხადება ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერ არ გაკეთებულა, მანამდე კი კაროლინ ვოზნიაცკი გოლფის მოედნიდან, ხოლო რორი კორტიდან გულშემატკივრობენ ერთმანეთს.

## ძანეტის მომავალი „ნერაძურაში"

არგენტინელი ფეხბურთელი, მილანის „ინტერის" კაპიტანი და ცოცხალი ლეგენდა ხავიერ ძანეტი, რომელსაც 2013 წლის აგვისტოში 40 წელი შეუსრულდება, დიდი ფეხბურთიდან წასვლას არ ჩქარობს და მინიმუმ ერთი სეზონით აპირებს კონტრაქტის გახანგრძლივებას „ნერაძურისთან". „ვფიქრობ, მშვენიერ ფორმაში ვარ და შემიძლია სარგებლის მოტანა კლუბისთვის. 40 წლის ვხდები და მგონია, რომ ასეთ კარგ ფორმაში ჯერ არ ვყოფილვარ", – აცხადებს ფეხბურთელი, რომელიც „ინტერის" ღირსებას 1995 წლიდან იცავს და მილანური კლუბის სიმბოლოდ ითვლება.

## შარაპოვას მტვერსასრუტი-რობოტი



რუსი ჩოგბურთელი მარია შარაპოვა დიდ დროს ატარებს კორტებზე, ვარჯიშებში, ერთი კონტინენტიდან მეორეზე გადაფრენებში და, აქედან გამომდინარე, სახლის დალაგებას ვერ ასწრებს. ალბათ, ამ მიზეზით, შარაპოვა მტვერსასრუტი-რობოტის მწარმოებელი კომპანიის სარეკლამო სახე გახდა და რეკლამირებას უკეთებს ყველა დიასახლისისთვის სასურველ „მეგობარს – მტვერსასრუტს, რომელიც ავტომატურად ანადგურებს მტვერს. შარაპოვამ უკვე მიიღო მონაწილეობა მტვერსასრუტი-რობოტის სარეკლამო ფოტოსესიაში და, ამბობენ, რომ თავადაც შეიძინა რობოტის რამდენიმე ეგზემპლარი, საჩუქრებად და საკუთარი სახლისთვის.

## დიეგოს საჩუქარი ფალკაოს

„საუკეთესო საჩუქარი მივიღე – მარადონამ საკუთარი საათი მაჩუქა, ხელიდან მოიხსნა და მაჩუქა, რაზეც ძალიან ვნერვიულობ", – ეს სიტყვები დაწერა „ტვიტერის" საკუთარ გვერდზე თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთმა საუკეთესო თავდამსხმელმა, კოლუმბიელმა რადამელ ფალკაომ. ლეგენდარულმა დიეგო მარადონამ ერთ-ერთ წვეულებაზე გაიცნო ფალკაო, მაშინვე აჩუქა თავისი საათი და უთხრა, რომ სიამოვნებით ადევნებს თვალს მის თამაშს. ფალკაო ამჟამად მადრიდის „ატლეტიკოს" ღირსებას იცავს, თუმცა ახლო მომავალში ვარაუდობენ, რომ ის რომელიმე ევროპული სუპერკლუბის ღირსებას დაიცავს, რადგან, მასზე აქტიურად ნადირობენ „რეალი", „ბარსელონა", „ჩელსი" და „იუვენტუსი".



## არასტანდარტული რუბლები სოჭის ოლიმპიადისთვის

რუსეთის სახელმწიფო ბანკმა არასტანდარტული ზომის მონეტები მოჭრა. ვერცხლის 3 რუბლის ნომინალისა და ოქროს 50 და 100 რუბლის ნომინალის მონეტები 2014 წლის სოჭის ზამთრის ოლიმპიადის აღსანიშნავად მოიჭრა, მონეტების ავერსზე რუსეთის გერბია გამოსახული, ხოლო რევერსზე – ოლიმპიადის ერთ-ერთი სიმბოლო, თეთრი დათვი. მონეტებს არასტანდარტული კვადრატული ფორმა აქვთ და სულ 700 ათასი ცალი მონეტაა გამოშვებული.

გვერდები მოამზადა უშანგი რუხაძემ



## ზამთრის დაავადებებს უმკურნალეთ ხახვით

დაახლოებით, 60-70 გრამი ხახვი მთლიანად აკმაყოფილებს ადამიანის ორგანიზმის მოთხოვნას ასკორბინის მჟავაზე. C ვიტამინის ასეთი წყარო განსაკუთრებით ცივ ამინდშია აუცილებელი.

მინერალური მარილები, რომლებსაც ხახვი შეიცავს, წყალმარილოვანი ციკლის მუშაობას უწყობს ხელს. ის საუკეთესო სამკურნალო საშუალებაა.

თუ სურდო შეგეყარათ, გახეხეთ სამი ცალი საშუალო ზომის ხახვი, ახალმომზადებული ხახვის ფაფის არომატი ათი წუთის განმავლობაში ღრმად შეისუნთქეთ. ეს გამოჯანმრთელებაში შეგიწყობთ ხელს.

ამ დროს ინჰალაციაც დაგეხმარებათ. კერძოდ, ოთხ სუფრის კოვზ გვირილას დაასხით ნახევარი ლიტრი წყალი და ადუღეთ ხუთი წუთის განმავლობაში. შემდეგ გაწურეთ. ცხელ ნაყენში ჩაუმატეთ ორი სუფრის კოვზი ხახვისა და ლიმონის ნარევი. თავზე პირსახოცი გადაიფარეთ და შეისუნთქეთ ჭურჭლიდან ამომავალი ორთქლი. გვირილის ეთეროვანი ზეთი და ხახვის სამკურნალო ფიტოციდები ისუნთქეთ 5-10 წუთის განმავლობაში.

თუ თირკმელები და შარდ-სასქესო ორგანოები გაწუხებთ, ამ პრობლემის გადაჭრაში დაგეხმარებათ ხახვის, ნიახურის ძირებისა და ლიმონის წვენის თანაბარი რაოდენობის ნარევი. 40 მილიგრამი ნარევი ნახევარ ჩაის ჭიქა თბილ წყალში გახსენით და ჭამამდე, 15 წუთით ადრე დალიეთ. სვით სამი კვირის განმავლობაში.

ათეროსკლეროზისა და ჰიპერტონიული დაავადებების მკურნალობისა და პროფილაქტიკისთვის სასურველია, მიიღოთ შემდეგი სახის ნარევი: ას გრამ ხახვის წვენს დაუმატეთ სამი სუფრის კოვზი თაფლი და ერთი სუფრის კოვზი ლიმონის წვენი. მოათავსეთ ეს ნარევი მინის ჭურჭელში და თავზე მჭიდროდ დააფარეთ. შეინახეთ მაცივარში. ერთი ჩაის კოვზი გახსენით ნახევარ ჩაის ჭიქა თბილ წყალში და მიიღეთ დღეში 2-ჯერ, ჭამამდე 20 წუთით ადრე. სასურველია, ეს გააკეთოთ ერთი თვის განმავლობაში.

## როგორ ადამიანებს უვითარდებათ ნევროზი

ნევროზი ის დაავადებაა, რომელსაც საფუძვლად ნერვული სისტემის ფუნქციური აშლილობა უდევს და რომლის სრული გამოსწორებაც შესაძლებელია მხოლოდ სათანადო მკურნალობის ჩატარების შემდეგ. არსებობს რამდენიმე ტიპის ნევროზი, კერძოდ: ნევრასთენია, ისტერია და აკვიატებულ მდგომარეობათა ნევროზებიც.

ნევრასთენიის გამომწვევია ფსიქიკური და ფიზიკური გადაღლა, გადაქანცვა, უსიამოვნო განცდები, შინაგანი ორგანოების ინფექციური და სხვა სომატური დაავადებები. მისი ნიშნებია მომატებული აღგზნებადობა, ემოციურობა, სწრაფი გადაღლა, გაფანტული ყურადღება, შრომის უნარის დაქვეითება, უძილობა, დღისით მოთენთვა, უმადობა, სექსუალური ლტოლვის დაქვეითება, გულის ცემის გახშირება ან პირიქით, შენელება, არტერიული წნევის მერყეობა და ოფლიანობა.

ისტერიული ნევროზი კი, ვითარდება თავისებური ხასიათის მქონე ადამიანებში. ის შეიძლება, გამოვლინდეს თითქმის ყველა დაავადების მსგავსი ნიშნებით.

აკვიატებულ მდგომარეობათა ნევროზის დროს, ზოგად ნევროზის ნიშნებთან ერთად, აღინიშნება სხვადასხვა სახის აკვიატება, კერძოდ, აკვიატებული აზრები, მოქმედებები და შიშები. აკვიატებული იდეების დროს აღინიშნება ყოყმანი, შიში, სხვადასხვა დაავადების აკვიატებული შიში. ზოგს ეშინია ღია ან დახურული სივრცის და ასე შემდეგ.

დეპრესიულ, იპოქონდრიულ და სექსუალურ ნევროზებს ნევრასთენიის ფარგლებში განიხილავენ.

ნევროზი აბსოლუტურად მოსარჩენი დაავადებაა. მისი მკურნალობა აუცილებელია ექიმის მეთვალყურეობისა და მისივე დანიშნული მკურნალობის კურსის ჩატარებით. წამყვან მეთოდად ითვლება ფსიქოთერაპია, ასევე, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება რაციონალურ ფსიქოთერაპიას და ავტოტრენინგს, ისტერიის დროს – შთაგონებას და ჰიპნოზურ ზემოქმედებას.

ნევროზული აშლილობა ბავშვებში მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება. ხშირია ამ დროს ენაბლუობა, ღამის შიშები, შარდის შეუკავებლობა, კრუნჩხვები, უმადობა, ჭირვეულობა, უაზრო მოქმედებები, ყვირილი და ასე შემდეგ.

ბავშვთა ნევროზების სამკურნალოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ფსიქოტრავმული მიზეზების აღმოფხვრას. ბავშვი ადვილად ემორჩილება შთაგონებას. ამიტომ, მის გვერდით, უფროსი ადამიანი მეტად დაკვირვებულად უნდა მოქმედებდეს, შეუქმნას მას საერთო ფსიქოთერაპიული გარემო და არ აჰყვეს მისი თანდასწრებით შიშსა და შფოთვას.

## ფორთოხალი ბევრ დაავადებას ებრძვის

ფორთოხალი შეიცავს კალიუმს, ასევე, A პროვიტამინს, B და C ვიტამინს, ფოლის მჟავას, მაგნიუმს, მანგანუმს, ფოსფორს, რკინას, სპილენძსა და თუთიას.

ფორთოხალი ბევრ დაავადებას ებრძვის, და გვიცავს სავალალო შედეგებისგან. მას ორგანიზმიდან გამოაქვს ნივთიერებათა ცვლის ნარჩენები და ტოქსინები. კარგი იქნება, თუ კვირაში ერთ დღეს მხოლოდ ფორთოხალს მიირთმევთ, დაახლოებით ექვს-შვიდ ცალს, ან, ახალგამოწურულ წვენს დალევთ.

ფორთოხალი აძლიერებს იმუნიტეტს. დადგენილია, რომ ვიტამინები, იმ ნივთიერებებთან ერთად, რომლებსაც ფორთოხლის ქერქი შეიცავს (რომელიც მას ყვითელ ფერს ანიჭებს), სტიმულს აძლევს ორგანიზმს ანტისხეულების გამოსამუშავებლად. ეს კი, თავის მხრივ, აძლიერებს ორგანიზმის გამძლეობას და სხვადასხვა ინფექციისგან დაცვას. ასევე, იცავს ორგანიზმს თავისუფალი რადიკალების ზემოქმედებისგან.

გარდა ამისა, ფორთოხალი ამცირებს კიბოს წარმოქმნის რისკს. კუჭში დალექილი ნიტრატები წარმოქმნის კანცეროგენულ ნივთიერებებს. მასში შემავალი C ვიტამინი კი, მათ წარმოქმნას აფერხებს.

თუ ყოველდღიურად ერთ ცალ ფორთოხალს შეჭამთ, შემცირდება თრომბის წარმოქმნის რისკიც.

ჯანმრთელი ადამიანისთვის უზმოზე ფორთოხლის ჭამა აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მუშაობას. ოღონდ, გაითვალისწინეთ, რომ ფორთოხლის წვენის ინტენსიური სმა და საერთოდ, ციტრუსების მიღება, ალერგიულ რეაქციებს იწვევს.

ფორთოხლის ახალგამოწურული წვენი საუზმეზე ენერგიით აგავსებთ მთელი დღის განმავლობაში. ოღონდ, წვენი მომზადებისთანავე უნდა დალიოთ, რადგან ვიტამინების ნაწილი სწრაფად იშლება. სამხარზე კი მთლიანი ფორთოხალი მიირთვით, რადგან ქერქში არსებული პექტინები აკონტროლებს ორგანიზმში ქოლესტერინის დონეს.

თუ გსურთ, ზედმეტი კილოგრამები დაიკლოთ, მაშინ კვირაში ერთი დღე განტვირთვის დღედ გამოაცხადეთ და საუზმეზე, სადილსა და ვახშამზე მხოლოდ ფორთოხალი მიირთვით. მასში მცირე კალორიებია, სამაგიეროდ, ბევრი უჯრედისია, რაც შიმშილის გრძნობას გარკვეული დროით თრგუნავს.

ახლა სწორედ ფორთოხლის სეზონია. ამიტომ, გაითვალისწინეთ ამ ციტრუსის სასიკეთო თვისებები და გამოიყენეთ ის ორგანიზმის დასაცავად მთელი სეზონის განმავლობაში.

## რა სიმპტომები ახასიათებს შაქრიან დიაბეტს

შაქტრიანი დიაბეტი ენდოკრინული დაავადებაა. მისი მკურნალობა ძნელია, რადგან შეუძლებელია დაავადების მიზეზის განსაზღვრა. დიაბეტის დროს ორგანიზმში ინსულინის გამომუშავება მცირდება. ამის გამო შაქარი ცუდად შეითვისება და სისხლში მისი კონცენტრაცია მატულობს, რამაც, შესაძლოა, გამოიწვიოს ნერვული დარღვევები, მხედველობის დაქვეითება, ინფექციები, სისხლის მიმოქცევის გაუარესება, გულისა და თირკმელების დაავადებები. ორგანიზმში ირღვევა ყველა სახის ნივთიერებათა ცვლა და დროთა განმავლობაში ყალიბდება დაავადებათა მთელი ჯაჭვი.

შაქრიანი დიაბეტისთვის დამახასიათებელია წყურვილის შეგრძნება და პირის სიმშრალე, მომატებული მადა, სისუსტე, წონაში კლება, კანის სიმშრალე და ქავილი, ასევე, შარდის დიდი რაოდენობით გამოყოფა.

შაქრიანი დიაბეტი სერიოზული დაავადებაა, რომელსაც დროული გამოვლენა, ყურადღება და მკურნალობა სჭირდება. ხალხურ მედიცინაში არსებობს სამკურნალო ბალახების ნაყენები, რომელთა სისტემატური სმა აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლას და მეტ-ნაკლებად ებრძვის დაავადებას. რადგან შაქრიანი დიაბეტი ნი-

ვთიერებათა ცვლის დარღვევის გამო ვითარდება, გამოიყენეთ ნაცადი ხალხური მეთოდები: მიირთვით წიწიბურას ფაფა, ოღონდ, რძის გარეშე. კარგია, ასევე, ჭინჭრის ახალი, ქორფა ფოთლების ნაყენი. კერძოდ, 50 გრამ ფოთოლს დაასხით ნახევარი ლიტრი მდუღარე წყალი, გააჩერეთ დაახლოებით ორი საათით და დალიეთ ერთი ჩაის ჭიქა, დღეში 3-4-ჯერ.

დიაბეტის დროს ძალიან სასარგებლოა უმი კუნელის ნაყოფი. ის სისხლში შაქრის დონეს დაბლა სწევს. სასურველია, დღეში 100 გრამი კუნელის მიღება, ოღონდ, აუცილებლად ჭამის შემდეგ. მშიერ კუჭზე მან შესაძლოა, ნაწლავური სპაზმი გამოიწვიოს.

კუჭქვეშა ჯირკვლის მუშაობის დარღვევისა და დათრგუნვის შემთხვევაში, სასარგებლოა დაფნის ფოთლების ნაყენი: 12 ცალი ფოთოლი დააქუცმაცეთ, ჩაყარეთ თერმოსში და დაასხით მდუღარე წყალი. გააჩერეთ ორი დღე. ნაყენი მიიღეთ 3 დღის განმავლობაში, დღეში 50 მილიგრამი.

ასევე, ხალხურ მედიცინაში ცნობილია ლობიოს პარკის სასარგებლო თვისებები: 3 კოვზ დაქუცმაცებულ ლობიოს პარკს დაასხით ნახევარი ლიტრი მდუღარე წყალი და ადუღეთ ერთი საათი. დალიეთ ნახევარი ჭიქა, დღეში 3-ჯერ, ერთი თვის განმავლობაში.

## როგორ მოვახდინოთ გონების კონცენტრირება და დავეხმაროთ ტვინს, ბევრი ინფორმაციის მიღებაში

ყველა ჩვენგანს არა მარტო ბევრი ფიქრი, არამედ ბევრის დამახსოვრებაც სჭირდება. ხანდახან იმდენად ბევრის, რომ თავბრუ გვესხმის. მაგრამ, დამახსოვრების პროცესის შემსუბუქება შესაძლებელია, თუ გონებრივი დატვირთვის დროს სპეციალურად მივიღებთ საჭირო საკვებ პროდუქტს.

სტუდენტებმა უნდა მიიღონ, რაც შეიძლება მეტი კომბოსტო, რადგან ის ხსნის ნევროზს და ამცირებს ფარისებრი ჯირკვლის აქტივობას. იმისთვის, რომ გამოცდების წინ გაუთავებლად არ გქონდეთ შიშის გრძნობა, რეგულარულად უნდა მიირთვათ კომბოსტოს სალათა. სესიებისთვის მზადების დროს კარგია მზესუმზირა ან გოგრის თესლი. მიირთვით ლიმონი და უკეთ იაზროვნებთ, რაშიც მასში შემავალი C ვიტამინი დაგეხმარებათ. ახალ ინფორმაციასაც ადვილად აღიქვამთ.

მოცვი იდეალური პროდუქტია მათთვის, ვისაც ხშირად ეძაბება მეხსიერება, ყურადღება, თვალები. ის ხელს უწყობს ტვინის სისხლით მომარაგებას. კენკრა აძლიერებს თვალის კუნთებს და მხედველობაზეც დადებითად მოქმედებს. მოცვი განსაკუთრებით საჭიროა მათთვის, ვინც კომპიუტერთან მუშაობს.

თუ გონების მაქსიმალური დაძაბვა გიწევთ, ან ავტომანქანას დიდხანს მართავთ, თან იქონიეთ თხილი ან კაკალი. მათი ხშირი მიღება კურნავს დაავადებულ ნერვულ სისტემას და ხელს უწყობს ტვინის უკეთესად მუშაობას.

ფსიქიკური და გონებრივი გადაღლილობის დროს, დაგეხმარებათ ხახვი. ის ათხელებს სისხლს, რითაც ხელს უწყობს ტვინის ჟანგბადით მომარაგებას. ყოველდღიური მინიმალური დოზა საშუალო სიდიდის ხახვის ნახევარია.

შემოქმედებითი პროფესიის ადამიანებისთვის აუცილებელია ლელვი. ის შეიცავს ნივთიერებას, რომელიც შემადგენლობით ასპირინს წააგავს და ტვინს ჟანგბადით მომარაგებაში ეხმარება. ეთერზეთები, რომელთაც მისი თესლი შეიცავს, ხელს უწყობს ნერვული სისტემის მოწესრიგებას. ვისაც შემოქმედებითი აქტიურობა სჭირდება, მისთვის ძალიან სასარგებლოა ქინძის ჩაი, კერძოდ, 2 ჩაის კოვზი 1 ჩაის ჭიქა წყალზე.



# ექიმის რჩევები

**კითხვა: შეიძლება თუ არა, გამოიწვიოს სერიოზული გართულებები აორტოკორონაროგრაფიამ?**

**პასუხი:** ეს გამოკვლევა განეკუთვნება ინვაზიურ, კარდიოქირურგიულ გამოკვლევათა რიცხვს. ახლა ის რუტინული გახდა, დაგროვილია დიდი გამოცდილება, გამომუშავებულია მეთოდოლოგია, მაგრამ, გართულებების საშიშროება ყოველთვის რჩება. ავადმყოფს აფრთხილებენ ამის შესახებ.

**კითხვა: შეიძლება თუ არა ვარჯიში პოდაგრის დროს?**

**პასუხი:** პოდაგრა ანუ ნიკრისის ქარი, თუ სწორად არის დასმული დიაგნოზი, არის ნივთიერებათა ცვლის დარღვევა (კერძოდ – შარდმჟავას). პირველი და მთავარი პირობაა კვების სწორი რეჟიმი, გამწვავების დროს კი – მკაცრი დიეტა. ართრიტის გამწვავების დროს მიიღება ეფექტური ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატები, რემისიის დროს მოძრაობითი აქტივობა და ვარჯიში სასურველია.

**კითხვა: სასარგებლოა თუ არა მანდარინი?**

**პასუხი:** კანადელი მეცნიერები დარწმუნებულები არიან, რომ მანდარინი ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა სიმსუქნის, შაქრიანი დიაბეტისა და ათეროსკლეროზის წინააღმდეგ. გამოკვლევების პროცესში მათ მანდარინში აღმოაჩინეს ნივთიერება ნობილეტინი, რომელიც ხელს უშლის ზემოთ ჩამოთვლილი დაავადებების განვითარებას.

**კითხვა: შეიძლება თუ არა ორსულობის დაგეგმვა საშვილოსნოს ყელის ეროზიის დროს თუ, ჯერ მკურნალობაა საჭირო?**

**პასუხი:** სანამ ორსულობას დაგეგმავთ, საჭიროა „ფარული“ ინფექციების გამორიცხვა, ნაცხის ჩაბარება ციტოლოგიაზე, შესაძლოა საშვილოსნოს ყელის ბიოფსიაც. გამოკვლევების შემდეგ გადაწყდება, ორსულობამდეა ეროზია სამკურნალო თუ მშობიარობიდან ორ თვეში. საშვილოსნოს ყელის ინფექცია, შესაძლოა, აღმავალი ინფექციის წყარო აღმოჩნდეს.

**კითხვა: ჩემი 43 წლის მეუღლე შაქრიანი დიაბეტით დაავადებული მამაკაცია. გვაქვს თუ არა შანსი, ვიყოლიოთ ჯანმრთელი ბავშვი?**

**პასუხი:** ნაყოფის ფორმირებისთვის ძირითადი მნიშვნელობა აქვს ქალის ჯანმრთელობასა და ასაკს. ალბათობა, რომ ბავშვს ექნება შაქრიანი დიაბეტისადმი მიდრეკილება, დაახლოებით 10 პროცენტია, ასეთი რისკი კი საშუალოდ ითვლება და ამის გამო ბავშვის ყოლაზე უარს არ ამბობენ.

**კითხვა: რა სიახლე არსებობს ბრონქული ასთმის მკურნალობაში?**

**პასუხი:** ხშირად ბრონქულ ასთმას ფილტვების ქრონიკული ინფექციის კერები იწვევს (ქლამიდიები, მიკოპლაზმა, პნევმოცისტები). შეგიძლიათ, ჩააბაროთ სისხლი ამ ინფექციების მიმართ ანტისხეულებზე. მათი აღმოჩენის შემთხვევაში, ანტიბიოტიკოთერაპია და იმუნოკორექცია საგრძნობლად აუმჯობესებს ავადმყოფის მდგომარეობას ან განკურნავს კიდეც.

**კითხვა: ვარ 21 წლის. სამი კვირაა, დამეწყო თმის ცვენა, თმა ვიზუალურად ჯანსაღია. რას მირჩევთ?**

**პასუხი:** ალოპეციის (თმის ცვენის) მიზეზი მრავალნაირია: გენეტიკური მიდრეკილება, ჰორმონული დარღვევა, თავის კანის მიკრობული დაზიანება, სეზონური ავიტამინოზი, სტრესი და სხვა. თქვენს შემთხვევაში, რადგან თმა და თავის კანი ჯანსაღია, ალბათ, საქმე ავიტამინოზთან გვაქვს. დერმატოლოგის კონსულტაცია ზედმეტი არ იქნებოდა.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი
მაია ნუცუბიძე**

# რას ევედრებოდა გოგლა ლეონიძე ოჯახს და ვისი სურათი ჩამოიკიდა მან გულზე

პატარძეულის ლამაზი სახელწოდების შესახებ მრავალი ლეგენდა არსებობს: ზოგნი ამბობენ, სოფელი პატარძლის მზითევი ყოფილაო, ზოგნი პატარა ძის კუთვნილება იყოო, ზოგნი – ლამაზ სოფელს მუდამ ლამაზი პატარძლები ჰყავდაო, ზოგის ღრმა რწმენით კი, ამ პატარა სოფელს დიდი მტერი დაუძლევია და რომელიღაც მეფეს „პატარა მძლეველი" უწოდებიაო, მაგრამ, ვინ იცის, რომელია მართალი... სწორედ ამ ლამაზ სოფელში დაიბადა ჩვენი პოეტი გოგლა ლეონიძე.


გიორგი ლეონიძე

„არავინ იცის, როდის და საიდან მოვიდნენ ლეონიძეები პატარძეულში, – წერს თავის ჩანაწერებში პატარძეულის მკვიდრი, გოგლა ლეონიძის ხელში გამოზრდილი ქალბატონი, აწ გარდაცლილი თამარ ხუროშვილი. ცნობილია, რომ ნიკო ლეონიძე ვაჟა-ფშაველასთან ერთად სწავლობდა გორში. სასწავლებლის დამთავრებისთანავე იგი ემსახურებოდა სოფელს, იყო მღვდელი და მასწავლებელი. სოფლის ცენტრშია აღმართული მათი ორსართულიანი ქვითკირის სახლი. ამ სახლს სოფელში „ჯიშიან ოჯახს" ეძახიან – ხუთი შვილის აღმზრდელია ეს ოჯახი... გოგლა მეხუთე შვილი იყო. მეუღლე ადრე გარდაეცვალა და დაქვრივებულ სოფიო გულისაშვილს დააწვა ოჯახის სიმძიმე. თვითონვე შეასწავლა შვილებს წერა-კითხვა, მანვე ჩაუნერგა შრომის, კითხვის სიყვარული. მას მთელი სოფელი „ნათლიას" ეძახდა. 4-5 წლისამ, თურმე, უკვე იცოდა წერა-კითხვა. 6-7 წლისა კი, თვითონ „მასწავლებლობდა..." ცნობილი ფილოლოგის, ვარა ფიცხელაურის გადმოცემით, გოგლა კეთილი, სხვისთვის მუდამ კეთილმოსურნე ბავშვი იყო. მამის დანატოვარი მდიდარი ბიბლიოთეკიდან ათიოდე წიგნს ამოირჩევდა, უბნის ბავშვებს გვირიგებდა და გვეტყოდა – შინაარსი მიამბეთო. მან, პატარა ბავშვმა შემაყვარა წიგნი. თუ რამ კარგი წამიკითხავს ბავშვობაში, სულ გოგლას ჩაგონებითო. მისი მეზობელი, ვასო ფიცხელაური კი იხსენებდა: „გოგლა დიდგულა იყო, მაგრამ ტირილი მალე იცოდა. მე და ჩემმა ძმამ, გიგომ, ჩიტის ბუდე ჩამოვიღეთ და ბარტყები ამოვსხით – ჩვენი პატარა დებისთვის უნდა წამოგვეყვანა და გაგვეხარებინა. გოგლამ ტირილი დაიწყო: ეგ ბარტყები თუ დაიხოცებიან, მეც თავს მოვიკლავო. შეგვეშინდა და უკანვე ჩავსვით ბუდეში".


გიორგი ლეონიძის ქალიშვილი – ნესტანი ვაჟთან – გიორგი ქავთარაძესთან ერთად


გიორგი ლეონიძის ქალიშვილი – ნესტანი


ქალიშვილთან – ნესტანთან ერთად

ლეონიძეების გვერდით ცხოვრობდა გოგლას საყვარელი დეიდა მაიკო, დიდი ოჯახის დიასახლისი. ახლაც დგას მათი სახლი პატარძეულში. „ერთხელ, – იგონებენ მოხუცები, – დიდი გვალვა იყო, უფროსების გაუთავებელი თხოვნით, ბავშვები ელიაზე წავიდნენ. დაათრევდნენ საკუთარი ხელით გაკეთებულ დიდ თოჯინას. ზოგს ჯვარი ჩამოეკიდა კისერზე, ზოგს – ხატი. მათ აედევნა პატარა გოგლაც, მაგრამ, მას არც ხატი ჰქონდა და არც ჯვარი. დეიდა მაიკოს სახლთან შეაჩერა ბავშვები, შეირბინა ოთახში, დეიდა მაიკოს სურათი დაიმაგრა გულზე და გამოვიდა. ბავშვებმა სიცილი დააყარეს. რას იცინით, დეიდა მაიკო კეთილი და სათნო ქალია, მე ის ხატად მიმაჩნიაო... პატარა გოგლა ფოლკლორის დიდი თაყვანისმცემელი იყო. დედას, დებს ევედრებოდა, მომეხმარეთ, პატარძეულში გავრცელებული ზეპირსიტყვიერების ნიმუშები ჩავიწეროთო. ბავშვი დილიდან საღამომდე იკარგებოდა, სახლში არ შემოდიოდა. ერთ დღეს ვუსაყვედურე, – გვიამბო მისმა დამ, ნინომ, – სადა ხარ ბიჭო, ჩაი უკვე დავლიეთო. ძმას უპასუხნია: ბაგრატას ლექსები თქვენს ჩაიზე ტკბილია, მისი ზღაპრები კი თქვენს საუზმეზე გემრიელიო. უყვარდა სიტყვების სხვანაირად გადაკეთ-გადმოკეთება, სიტყვების გამოჩარხვა. გოგლა მაშინ 16-17 წლისა იქნებოდა, ლეონიძეების სახლი რომ გაქურდეს. იმ ქურდბაცაცას ქვაბები და გოზინაყის სპილენძის სინებიც კი წაეღო. ქურდი დაიჭირეს – როგორ აკადრე ნიკო ლეონიძის ოჯახსო. აღარ მინდა მისი ხსენება. გოგლას უფროსი და-ძმები ჰყავდა, ერთმანეთზე კეთილები იყვნენ. დედას ეთქვა შვილებისთვის: შვილებო, იმ სირცხვილნაჭამს საჭმელს ვერ ჩამოაწვდიან, გავამზადებ საჭმელს და წაუღეთ ციხეშიო. თქვენი ასეთი ყურადღება უფრო ჩაახედებს თავის ცუდკაცობაში და არასოდეს აღარ იქურდებსო. თურმე, გოგლას, სიკოსა და ლევანს ყოველკვირა მიჰქონდათ საჭმელი ციხეში თავიანთი ქურდისთვის...


გიორგი ლეონიძე (პირველ რიგში მარცხნივ) გიმნაზიის წლებში


გიორგი ლეონიძის ქალიშვილები – ნესტანი და თინათინი

გარე კახეთში პირველი ბიბლიოთეკა პატარძეულელებს ჰქონიათ. ბიბლიოთეკა საკუთარი სახსრებით აუშენებია დიდი რეჟისორის, ვასო ყუშიტაშვილის მამას – პავლეს, რომელსაც მეტსახელად „ძეუა" რქმევია. მაშინდელი გაზეთი „ივერია" აღნიშნავდა, რომ ბიბლიოთეკა თავისი შენობით, წიგნებითა და დგამავეჯით 50 მანეთზე მეტი დაჯდომია ყუშიტაშვილს. როცა გოგლა წამოიზარდა, მისი საყვარელი ადგილი სოფლის ბიბლიოთეკა იყო. ბიბლიოთეკას იატაკი არ ჰქონია. გოგლას მეზობელ ვანტო ჯიღაურისგან უთხოვია ხარურემი, დედულეთში, ნინოწმინდაში უყიდია აგური და თავისი ხელით დაუგია იატაკი ბიბლიოთეკაში. მისი თანატოლი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი ელისო ინქოშვილი იხსენებდა: ეხვეწებოდნენ თანატოლები, ჩვენც მოგეხმარებითო, მაგრამ, ახლოს არავინ გაიკარა, მე თვითონ კარგად უნდა გავაკეთოო. თექვსმეტი წლისაც ძლივს იქნებოდა მაშინო.


გიორგი ლეონიძე

ყველაფერს ასწრებდა დიდ საქმეებში ჩაფლული! უკვე თბილისში ცხოვრობდა. სოფელში რომ ვინმე გარდაიცვლებოდა ან დაქორწინდებოდა, აუცილებლად ჩამობრძანდებოდა. თუ ვერ გაიგებდა ან არ შეატყობინებდნენ – არ შევაწუხოთო, საყვედურს იტყოდა: სირცხვილია, ხალხის ყბაში არ ჩამაგდოთ, იტყვიან, არ გვიკადრაო. უკარება როდი იყო, სოფელში ყველას მოინახულებდა. მოხუცებთან ერთად პურსა და ნიორს, მაწონსა და კუტპურს გატეხდა. თუ ვინმე მოებოდიშებოდა – ლობიო მაქვს ამოქინძული, როგორ გაკადროო, იქნებ არც შიოდა, იქნებ არც უყვარდა, მაგრამ, ძალიან მოიწონებდა: უჰ, უჰ, სწორედ ახლა ვნატრობდი ლობიოსო, – იტყოდა... პატარძეულელი მოხუცი დედაკაცები იკვეხნიდნენ – პატარა გოგლას ძუძუს მე ვაწოვებდიო. ჩემი მოხუცი მამა, მამიდა და მეზობლები ხშირად მთხოვდნენ ხოლმე, გოგლასი რამე წაგვიკითხეო. ერთი ჩემი მეზობელი, ოთარაანთ ქვრივის მსგავსი დედაკაცი, ანა ბებო (ფანოზიშვილი-ზუკაკიშვილი), მეტად გაცხარდა: ერთი უყურე, ჩემზე არაფერი დაუწერია, ძუძუს ხომ მეც ვაწოვებდი, ის ჩემი ვანოს ტოლი და ძუძუმტეაო. ეს ამბავი მალე ვუთხარი ძია გოგლას. გაუკვირდა და გაუხარდა, აუცილებლად გამაცანი, მე მას არ ვიცნობო. ანა ბებომ იუარა – ასე ჩაცმული ვერ ვეჩვენები, აი, ჩემი ვანო ჩამოვა, მიყიდის ტანსაცმელს და მერე წამიყვანეო. ეს ვუთხარი პოეტს. შეწუხდა, გაიარ-გამოიარა თუთის ხის ქვეშ, აწრიალდა... ორი კვირაც არ იყო გასული და მისმა მძღოლმა მომიტანა ანა ბებოსთვის კაბა, თავშალი, ფეხსაცმელი და ლექსი „დედობილი." ამაღელვებ-


გიორგი ლეონიძე მეუღლესთან, ქალიშვილთან – ნესტანთან და შვილიშვილთან – გიორგი ქავთარაძესთან ერთად

ელი იყო პოეტის შეხვედრა დედობილთან. პოეტს ვუთხარი: სხვაც ბევრი იკვეხნის თქვენს დედობილობას-მეთქი. ესიამოვნა, ეგ რა კარგად თქვი – „იკვეხნის", რომ დამამადლონ, ისაა ცუდიო...

განსაკუთრებით უყვარდა „ნატვრის ხე", „ვაზელვარასა" და „შუქელვარა დილას" ეძახდა. ერთხელ მკითხა, რას ამბობს ხალხი ჩემს „ნატვრის ხეზეო". მე ვუპასუხე, ჩემმა ლექტორმა გვითხრა, ლეონიძის „ნატვრის ხე" მოვლენააო. ესიამოვნა, მაგრამ, მაინც მითხრა: შენ უნდა გეთქვა, რის მოვლენა, რა მოვლენა, ყველა პატარძეულელი ასე ვლაპარაკობთო. ჩანს, შენ არ ხარ კარგი სტუდენტიო... გოგლას ასეთი ჩვევა ჰქონდა: დაკრეფდა ხილს, ყურძენს, ჩააწყობდა ყუთებში და მეგობრებს უწილადებდა. ერთ ყუთს დააწერა „კ. გამსახურდია". მე კ-ს ნაცვლად ქ ამოვიკითხე და გოგლას ვკითხე: სად არის ქალაქი გამსახურდია, ასეთი ქალაქი არ გამიგონია-მეთქი. ეს გოგლას ეთქვა გამსახურდიასთვის და, როცა სოფელში სტუმრად ჩამოიყვანა ბატონი კონსტანტინე, გოგლამ ჩემი თავი წარუდგინა – ეს არის გვიტია, ამას ჰგონიხარ ქალაქიო. ყოჩაღ ბიჭო, მე ქალაქი კი არა, დედაქალაქი ვარო – მითხრა ბატონმა კონსტანტინემ – იგონებდა მამა.

პოეტურად მოგვიკვდა გოგლა წყნეთში. გულიაანთ წყალი მოითხოვა მომაკვდავმა, თავისი ყმაწვილკაცობის ემბაზი – გულიაანთ წყაროს წყალი. დიდი და პატარა პატარძეულში გარბოდა პატარა ლიტრებით წყლის ჩამოსატანად... მომაკვდავი მეზობლის თანატოლმა ქალმა, ოლა ზუკაკიშვილმა მოინახულა, პატარძეულის ხილი მიართვა, გოგლა ხილს მისწვდა, სურდა, უკანასკნელად ეგრძნო გამზრდელი პატარძეულის სურნელი, ვერ შეძლო ჭამა, სიმწრისგან ლეღვი ხელებში მოწურა, თვალზე ცრემლი მოადგა... საოცარია, სად მოძებნა აგვისტოში იები ქალბატონმა მარია მეიფარიანმა? მომაკვდავს იები მიართვა, პოეტმა გაიღიმა, დაყნოსა და გულზე დაიყარა!.. პატარძეულელებმა მოითხოვეს – ჩვენ დავკრძალავთ, სოფელიო. დატრიალდნენ სოფლის თავკაცები: თვითონ ამოთხარეს საფლავი მთაწმინდაზე, პატარძეულიდან ტომრებით წაღებული მიწა ჩააფხვიერეს საფლავში გოგლას, ხელით ატარეს კუბო სამარემდე და თვითონვე ჩაასვენეს. ქელეხი გადაუხადა სოფელმა არნახული და არგაგონილი. შემთხვევით შემხვედრმა ტაქსის მძღოლმა მკითხა: მართლა ათი ძროხა დაკალით და ასი თონე პური გამოაცხეთ პატარძეულელებმა ლეონიძის ქელეხშიო? მე ვუპასუხე: მაგის რაოდენობა არ ვიცი, ის კი ვიცი, რომ საგზლად ზღვა ცრემლი, დიდი სიყვარული და არდავიწყება გავატანეთ-მეთქი."

**ეკა პატარაია**



მშობლები – ნიკოლოზი და სოფიო



გიორგი ლეონიძე მეგობართან ერთად



გიორგი ლეონიძე და მისი მეუღლე – ეფემია



გიორგი ლეონიძე და მისი მეუღლე – ეფემია



გიორგი ლეონიძე, ირაკლი აბაშიძე და თამაზ ჭილაძე



გიორგი ლეონიძე, მისი მეუღლე – ეფემია, ნიკოლოზ ზაბოლოცკი, ნინა ტაბიძე

# ვისი ინიციატივით აშენდა თბილისის ფუნიკულიორი და რომელ მოვლენას უძღვნა თავისი ცნობილი ტილო ნიკო ფიროსმანმა

**(ოცდამესამე გვერდიდან)**

დღემდე ერთ-ერთ ყველაზე გრძელ და ციცაბო რკინიგზად ითვლება. პეტერბურგში გამომავალი ჟურნალი „ნივა" 1905 წლის მარტში წერდა: „ეს შესანიშნავი ნაგებობა მოწყობილია ცნობილი უცხოური ფუნიკულიორების მსგავსად, დაახლოებით ასეთი რამ არსებობს ნიჟნი ნოვგოროდში, მაგრამ, იქაური ფუნიკულიორი ვერც კი შეედრება მთაწმინდაზე აგებულ გზას. ამჟამად ტფილისის ფუნიკულიორი დიდი წარმატებით სარგებლობს მცხოვრებთა შორის და წარმოადგენს ქალაქის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობას, რომლითაც ესოდენ მდიდარია ტფილისი".

საბჭოთა დროს ფუნიკულიორს რამდენიმე რეკონსტრუქცია ჩაუტარდა: 1936-1938 წლებში დაძველებული ზედა სადგურის ადგილას აშენდა ახალი სადგურის შენობა, რომლის ავტორები არქიტექტორები ზ. და ნ. ქურდიანები იყვნენ, ხოლო 1968 წელს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მიზანშეწონილად ჩათვალა ფუნიკულიორზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების ახალი ეტაპი დაეწყო, რადგან, სადგურის ქვედა შენობა ვერ იტევდა მოზღვავებულ დამსვენებლებს. ამიტომ, გადაწყდა, ქვედა სადგურის ამორტიზებული შენობის ნაცვლად, ახალი, თანამედროვე შენობის აგება. საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებლობის პირველ წლებში თბილისში განვითარებულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა გავლენა იქონია ფუნიკულიორზე და ორი ათეული წლის განმავლობაში სამთო-საბაგირო გზა პრაქტიკულად განადგურებული იყო. 2007 წელს ფუნიკულიორის რეაბილიტაცია ბადრი პატარკაციშვილმა წამოიწყო, თუმცა, ცნობილი მოვლენების გამო, ეს პროცესი კიდევ რამდენიმე წლით გაიწელა და, საბოლოოდ, 2012 წლის ბოლოს რეაბილიტაცია დასრულდა. განახლებული ფუნიკულიორი, რომლის ქვედა სადგურს ისტორიული, პირვანდელი სახე დაუბრუნდა, საზეიმოდ გახსნეს თბილისის მერმა გიგი უგულავამ და ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის წევრებმა. იმედია, ამიერიდან თბილისის ფუნიკულიორი კვლავ დაიბრუნებს ქალაქის სავიზიტო ბარათის ფუნქციას.

**უშანგი რუხაძე**

**მასალაში გამოყენებულია ნაწყვეტები მამია ჩორგოლაშვილის წიგნიდან „მთაწმინდა" (გამომცემლობა „ხელოვნება", თბილისი, 1991 წელი).**



თბილისის ფუნიკულიორის ქვედა სადგური (1900-იანი წლები)



თბილისის ფუნიკულიორის განახლებული ქვედა სადგური გახსნის დღეს

**უფროსი ასაკის ადამიანებისგან ზოგი ისეთი რჩევა გამიგია, რომელიც, მათივე თქმით, ბედნიერი ცხოვრების გარანტია. ტყუილად როდი ამბობენ, ძველი ხალხი ბრძენიაო. ჰოდა, თუ მათ რჩევა-დარიგებებს ყურად ვიღებთ და გავითვალისწინებთ, ვფიქრობ, ამ წელს მაინც დავიბედებთ სიმშვიდესა და ჰარმონიას. ქალბატონი ლეილა, რომელიც ეზოთერიკოსი გახლავთ, ბავშვობიდან მსგავსი საკითხებით ინტერესდებოდა. საბოლოო დასკვნამდე კი, სწორედ მაშინ მივიდა, როცა ეს, ეგრეთ წოდებული წესები, საკუთარ თავზე გამოსცადა, შემდეგ სხვებსაც ურჩია და, საბოლოო ჯამში, შედეგს მიაღწია.**

# რატომ არ ვარგა გზიდან მიბრუნება და როგორ დავიბედოთ უკეთესი მომავალი იანვარში ჩატარებული პატარა ეშმაკობებით



**ლეილა**: ადამიანები თავად ვიქმნით წარმატების კოდს. განსაკუთრებით კი, ქორწინების დღეს უნდა გაითვალისწინოთ ის, რაც მომავალში ბედნიერ თანაცხოვრებას გიქადით. ახლად დაქორწინებულებმა ბედნიერად რომ იცხოვრონ, ქორწილის წინა ღამეს ფეხსაცმელში დაფნის სამი ფოთოლი უნდა ჩადონ. ფოთოლი თავად უნდა მოგეწონოთ და შეარჩიოთ, რომ სამომავლოდ, ოჯახურ თანაცხოვრებაში ბედნიერება მოგიტანოთ. სხვისმა არჩეულმა დაფნის ფოთოლმა, შესაძლოა, პირიქით, უბედურება მოგიტანოთ. გული მიკვდება, ირგვლივ ამდენი ოჯახი რომ ინგრევა. არადა, სიყვარულით ულლდებიან და ცოტა ხანში ისეთი სკანდალებით შორდებიან, ხანდახან ვამბობ, რა ხდება ამ ქვეყანაზე, ნუთუ სულ გადაგვარდნენ ადამიანები და სიყვარულის გრძნობა აღარ შერჩათ-მეთქი? კიდევ ვამბობ: ძალიან კარგია გრძნობების აყოლა, მაგრამ, თუ ცოტა გონებასაც მოუხმობთ და წინაპრების გამოცდილ წესებსაც გამოიყენებთ, მაშინ ვერც ავი თვალი და ვერც შური დაანგრევს თქვენს ბედნიერებას.

**– ამბობენ, გზიდან დაბრუნება და საკუთარ თავზე მინიშნება არ ვარგაო. ასეთ შემთხვევაში საფრთხე მართლა გველის?**

– დიახ, არ ვარგა გზიდან დაბრუნება. ამბობენ, ამ დროს კეთილი გზა არ გექნებაო. თუ მაინც მოგიწიათ შინ მიბრუნება, ცოტა ხანს ჩამოჯექით – ასე, სახლის ენერგიას აიღებთ, თან სარკეშიც ჩაიხედეთ. სარკეში თქვენი გამოსახულების არეკვლისას, ენერგია ორმაგდება. რაც შეეხება საკუთარ თავზე მინიშნებას – თითით ჩვენებისას ვგზავნით ენერგეტიკულ მუხტს. თუ სხვის დაავადებაზე ლაპარაკობთ, საკუთარ სხეულზე ნუ მიანიშნებთ იმ დაავადების ლოკალიზების ადგილს. ამით იმ ადამიანის დაავადების მუხტს თქვენკენ მიმართავთ. ასევე, სახლის კუთხე ყველაზე წარუმატებელი ადგილია ბინაში. კუთხე ადამიანისგან ენერგიას ისრუტავს, ანუ, ის სახლის ერთგვარი ვამპირია. სხვათა შორის, არ ვარგა, თუ ვინმე თქვენ უკან დგას და დაჟინებულად გაკვირდებათ. საქმე მხოლოდ იმის შეგრძნებაში როდია, რომ თითქოს უკნიდან ვიღაც მოგეპარებათ. საშიში ის არის, რომ დაუცველი ზურგი ყველაზე სუსტი ენერგეტიკული არეა. ასევე, საშიშია დანაწევრებული, გატეხილი და ნახატებიანი სარკეები. თუ სარკე მთელი და დაუნაწევრებელი არ არის, ის არღვევს ადამიანის ენერგეტიკას, ეს კი ჯანმრთელობისთვის ძალიან საშიშია. მაგრამ, თუ, ჩვეულებრივ, სარკეს ჯიბით ატარებთ, ეს კარგია, რადგან მტრისგან გიცავთ. ჩვენს წინაპრებს მიაჩნდათ, რომ, თუ სარკეს ჯიბით ატარებდნენ, ის სხვა ადამიანებთან ურთიერთობებისას, კერძოდ, შემხვედრის უარყოფითი ენერგიისგან დაიცავდა. სარკე ჯიბეში ამრეკლავი ზედაპირით პატრონის სხეულისკენ უნდა იყოს მიმართული, რადგან უარყოფით ფიქრებს, აზრებსა და ჩანაფიქრს აირეკლავს. არის შემთხვევები, როცა რაღაც მოვლენა მიგვანიშნებს შესაძლო მოსალოდნელ საფრთხესა თუ სასიამოვნო ფაქტზე. მაგალითად, როცა ადამიანი ფორიაქობს, ეწყება უნებლიე მოუსვენრობა, უნდება ტირილი, ჯანმრთელობასთან დაკავშირებით უჩნდება უეცარი პრობლემები, უნდა მიხვდეს, რომ რაღაცაშია საქმე. უეცრად გულის აჩქარებაც კი მოსალოდნელი საფრთხის მიმანიშნებელია. ამ დროს ქვეცნობიერი რაღაცაზე მიგანიშნებთ, მაგრამ ადამიანი ამას ვერ ხვდება. ამიტომ, კარგად უნდა დააკვირდეთ საკუთარ თავში ცვლილებებს და სათანადო ყურადღება გამოიჩინოთ.

**– ის, რომ იანვარი ყველაზე მეტად ხელსაყრელია მომავლის გასაგებად, ამაში თუ დევს სიმართლის მარცვალი?**

– ეს კი ნამდვილად ასეა და სიმართლის მარცვალი კი არა, უდიდესი სიბრძნე დევს მასში. აქვე, გაგანდობთ ბრინჯით მკითხაობის მეთოდსაც, რომელიც ბევრმა სცადა და, თქვენ წარმოიდგინეთ, გაამართლა. ის სწორედ იანვარში კეთდება, ნებისმიერ დღეს, როცა ახალმთვარეობა ემთხვევა და ეს მომავალზე გაძლევთ მინიშნებას, უტყუარ ინფორმაციას. მოკლედ, აიღეთ გამჭვირვალე ჭიქა განიერი პირით და ჩაასხით მასში ახალ მთვარეზე აღებული ონკანის წყალი. მაგიდას თეთრი ქსოვილი გადააფარეთ, დადგით მასზე წყლით სავსე ჭიქა. აიღეთ ერთი მუჭა ბრინჯი, დადექით მაგიდასთან, დახუჭეთ თვალები და იფიქრეთ იმაზე, რისი გაგებაც გსურთ. ეს უნდა გააკეთოთ საღამოს საათებში, ოთახში, სადაც მარტო იქნებით და არავინ შეგაწუხებთ. მოკლედ, ჩაიფიქრეთ, მაგალითად, მოგემართებათ თუ არა ხელი ამა თუ იმ საქმეში, ან, უყვარხართ თუ არა ამა თუ იმ პიროვნებას, ან, მოგიტანთ თუ არა დადებით შედეგს სადმე წასვლა და ასე შემდეგ. ამ დროს, როცა ამ კითხვაზე ფიქრობთ, მუჭში ბრინჯი კარგად გაათბეთ, შეიგრძენით ხელში და შემდეგ თვალი გაახილეთ. ბრინჯი ჩაყარეთ წყლიან ჭიქაში და კარგად დააკვირდით, როგორ მიმოიფანტება ბრინჯი ჭიქის ძირზე. თუ ის აქეთ-იქით მთელ ფსკერზე მიმოიფანტა, ესე იგი, თქვენს კითხვაზე უარყოფითი პასუხია, თუ ერთად მოგროვდა ჭიქის ფსკერზე – მაშინ დადებითი. ზოგადად, იანვარი, ანუ წლის პირველი თვე, ძალიან საყურადღებოა, რადგან ადამიანს საშუალება აქვს, ამ დროს საკუთარი მომავლის შესახებ ინფორმაცია მიიღოს. ეს სარკის მეშვეობითაც ხდება.

**სარკე ჯიბეში ამრეკლავი ზედაპირით პატრონის სხეულისკენ უნდა იყოს მიმართული, რადგან ის მის უარყოფით ფიქრებს, აზრებსა და ჩანაფიქრს აირეკლავს**

**– ეს როგორღა მოვახერხოთ?**

– აიღეთ ჭიქით წყალი იმ ონკანიდან, საიდანაც წყალი დალეული არ გაქვთ. ჭიქაც ახალი უნდა იყოს, რომლიდანაც წყალი არავის დაულევია. დადგით ის ერთი ღამე თქვენი საწოლის სასთუმალთან ახლოს. იანვრის ბოლო კვირა დღეს, ღამის 12 საათზე, დადეთ ოვალურ მაგიდაზე უხმარი სარკე, რომელშიც არ ჩაგიხედავთ და წინა დღით ავსებული ჭიქა წყალი მიუდგით გვერდით. მასზე დაამაგრეთ ორი ცალი სანთელი. ოთახში შუქი არ უნდა ენთოს და ფარდებიც ჩამოაფარეთ, რომ მთვარის შუქი არ შემოდიოდეს. აანთეთ სანთლები და კარგად დააკვირდით სარკეში რას დაინახავთ. შესაძლოა, თქვენი მომავალი საბედოც კი იხილოთ, არც ესაა გამორიცხული. თავიდან ფიგურები აირევა, მაგრამ შეძელით და დააკავშირეთ ისინი ერთმანეთს. შემდეგ, სანთლები ერთმანეთზე გადაგრიხეთ და დაიდეთ ბალიშის ქვეშ. დააკვირდით სიზმარი რას გიწინასწარმეტყველებთ და კარგად დაიმახსოვრეთ. ასე, ადამიანებს ის სიზმრები ესიზმრებათ, რომელიც მომავალში აუცილებლად ახდება.

**– თუ საიდუმლო არ არის, იქნებ გვითხრათ, თავად თუ გაქვთ მსგავსი რიტუალი ჩატარებული და რა შედეგი მიიღეთ?**

– ***(იცინის).*** საიდუმლო ნამდვილად არ არის. თვრამეტი წლის ვიყავი და ჩემმა დამ წამიყვანა მის დაქალთან. იმ გოგოს ძმას მოვწონდი. ეს ვიცოდი და ჩუმად, გულში მეც მიყვარდა. თავად, ეს ბიჭი სიყვარულში მაშინ გამომიტყდა, როცა თხუთმეტი წლის ვიყავი. მოკლედ, გოგოებმა გაამზადეს სარკე, წყალი, სანთლები და მეც ჩამახედეს. სწორედ ის ბიჭი დავინახე, ოღონდ სხვა გოგონასთან. ვერ მივხვდი იმწუთას რა ხდებოდა. გავიდა ექვსი თვე და ჩემი დის დაქალის ძმამ ცოლობა შემომთავაზა, მე უარი ვუთხარი, არადა, გამოგიტყდებით, მეც მიყვარდა. უარი რომ მიიღო გამებუტა და დამემუქრა, იცოდე, ინანებო. სულ რაღაც ორ თვეში, ცოლი მოიყვანა, თანაც ის გოგო სულ ორჯერ ჰყავდა ნანახი და წესიერად არც კი იცნობდა. ვამბობ ხოლმე, ეტყობა, ჩემი ბედი არ იყო და სარკეშიც ამიტომ დავინახე სხვა გოგონასთან ერთად-მეთქი. ასე იყო თუ ისე, ზუსტად ამიხდა ის, რაც იმ დღეს სარკეში დავინახე.

**– ბევრს ეს ყველაფერი უბრალო დამთხვევა და ზღაპარი ჰგონია. არ მეთანხმებით?**

– მართალია, ბევრი ასე ფიქრობს, მაგრამ ეს რიტუალები ხომ მე არ მომიგონია? გადახედეთ უძველეს ეზოთერულ ლიტერატურას ან წინაპრების მიერ დატოვებულ ჩანაწერებს და მერე მიხვდებით, რომ არაფერს ვიტყუები. ეს რიტუალებიც უძველესი დროიდან იღებს სათავეს. მართლაც არსებობს წელიწადში ისეთი დღეები, რომელთაც მაგიური დატვირთვა აქვს. ამ დღეებში ადამიანს შეუძლია თავისი მომავლის განჭვრეტა. ყველას ჩვენ-ჩვენი ბედი გვაქვს და რაც დაბადების მომენტში დაგვეწერა შუბლზე, მას ვერც შევცვლით და ვერც ავცდებით. ამიტომ, ახლა ის პერიოდია, როცა შეგიძლია დასცადო, დააკვირდე და მიიღო ინფორმაცია მომავალზე. გირჩევთ ეს შანსი არ გაუშვათ ხელიდან. ცდაც ხომ ბედის მონახევრეა ***(იცინის).***

**ნონა დათეშიძე**

## სიტყვების გარეშე

სასწაულები ნამდვილად ხდება... ყოველთვის ხდებოდა და კიდევ მოხდება... მოხდება ის თქვენთვისაც და ბედნიერებაც კარგზე დაგიკაკუნებთ... მექანიზმი მარტივია, თუკი, უბრალოდ, დაიჯერებთ. შეიძლება, რთულია მთელი წლის „ნეგატივებით" დაღლილმა უცებ სასწაული იწამოთ, მაგრამ შობის დღეებში ეს ნამდვილად შესაძლებელია...

ბევრი ლაპარაკი საჭირო არ არის. ჩაიფიქრეთ ყველაზე სანუკვარი სურვილი. ის, რაც ძალიან, ძალიან გინდათ, რომ ასრულდეს. რა თქმა უნდა, ჯადოსნურ ჯოხს ხელში არავინ შეგაჩეჩებთ და ძალისხმევაც საჭირო იქნება. ქმედება, თანაც მიზანმიმართული – აი, რას მივყავართ სასწაულებამდე და სასურველ შედეგებამდე.

ტვინი ძალიან აქტიურად რეაგირებს სიმბოლოებსა და ქმედებებზე – ოღონდ, კონკრეტულ სიმბოლოებზე და კონკრეტულ ქმედებებზე... ანუ, რა უნდა გააკეთოთ: ერთბაშად რამდენიმე კონკრეტული ოცნება საბოლოო მიზანს ძალიან დაგაშორებთ. ამიტომ გამოყავით იქიდან მთავარი, პრიორიტეტული და შეუდექით საქმეს. არანაირი წუწუნი და წინასწარ იმის თქმა, რომ მაინც არაფერი გამოვა. მით უმეტეს, დღესასწაულის დღეებში. ოცნება მაშინ იქცევა რეალობად, როცა მას თქვენ თვითონ შეასხამთ ხორცს საკუთარ ფანტაზიებში, უყურეთ ფილმებს თქვენი ოცნების შესახებ. წაიკითხეთ ამის შესახებ შესაფერისი ლიტერატურა. ეს უბრალო სიტყვები არ არის. შობა ღამეს მხოლოდ ის უთხარით საკუთარ თავს – მინდა და მე ამას გავაკეთებ! აუცილებლად... ხელს ვერაფერი შემიშლის!

საკუთარი თავის სწორი მიმართულებით წაყვანა, დღესასწაულის დღეებშიც აუცილებელია. იყავით ზოგჯერ ეგოისტიც. ნუ აღიქვამთ ამას დიდ დანაშაულად... სიტყვების გარეშე მოსმენა და გაგება ისწავლეთ... ერთი სიტყვით, ყველაფერი გააკეთეთ, რომ დღესასწაული თქვენს ცხოვრებაში დიდხანს გაგრძელდეს.

## სულით რომანტიკოსი!

ვიყოთ გულახდილები – ძლიერი სქესის ძალიან ბევრი წარმომადგენელი სულის სიღრმეში რომანტიკოსია, თუმცა ისინი ყველა საშუალებით მალავენ და ნიღბავენ ამას. რატომ? – იმიტომ, რომ ჰგონიათ, – ეს სისუსტეში ჩაეთვლებათ. სამაგიეროდ, ისინი ძალიან აფასებენ რომანტიკულ ბუნებას საპირისპირო სქესში. როცა ქალი მეოცნებე არსების შთაბეჭდილებას ტოვებს, მამაკაცებში ეს სერიოზულ ინტერესს აღვივებს. მაგრამ, ძნელი მოსაძებნი იქნება ისეთი მამაკაცი, რომელიც გულხელდაკრეფილი დიდხანს დაელოდება თუნდაც ყველაზე საინტერესო ქალის გააქტიურებას. ნუ დაგავიწყდებათ, რომ მამაკაცები ბუნებით ზარმაცები არიან. მათ სერიოზული სტიმული ან პროვოკაცია სჭირდებათ, თავისი „ნიჟარიდან" რომ გამოძვრნენ. ერთხელ მაინც მოიქეცით ისე, რომ თქვენი საქციელი მისთვის სრულიად მოულოდნელი და შოკის მომგვრელი აღმოჩნდეს – დავარქვათ ამას „შეჯანჯღარება", რაც აბსოლუტურად ყველა მამრს სჭირდება.

კარგად შეაფასეთ ისინი, ვინც გვერდით გყავთ. ზოგჯერ მათი ღირსებები მიმალულია და, ამიტომ, ჯეროვნად დაუფასებელიც. შეჩვევა, ერთი მხრივ, კარგია – სტაბილურობის ერთ-ერთი ყველაზე აუცილებელი კომპონენტი სწორედ რომ შეჩვევაა, მაგრამ, არსებობს მედლის მეორე მხარეც – აბსოლუტურად უარყოფითი: შეჩვევის დროს ადამიანს პარტნიორად ველარ მოიაზრებენ, რაც ზოგჯერ რეალურ ბედნიერებას გვაკარგვინებს...

## ისევ უცოლოდ?!

რატომ არ მოჰყავს ცოლი? რატომ არ უნდა ოჯახი და რატომ დადის ისევ მარტო, როცა ნებისმიერი ქალი ბედნიერი იქნებოდა მასზე გათხოვებით? „რა პრობლემაა ცოლის მოყვანა!" – გაიგონებთ ხშირად... მაგრამ, პრობლემა არის, თანაც, არცთუ მარტივი.

* პირველი პრობლემა, რომლის გამოც მამაკაცს ცოლი არ მოჰყავს, პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღების შიშია. ანუ, ეშინია, რომ კარგად ვერ მოუვლის მეუღლესა და შვილებს; ვერ უზრუნველყოფს მათ მატერიალურად. სხვათა შორის, ამ ტიპის შიში ძალიან ძლიერ მამაკაცებსაც აქვთ ხოლმე.

* თავისუფლების დაკარგვის შიში – ლამის მანიაკური აკვიატება. კაცს ეშინია, რომ ცოლი შეზღუდავს და „შეავიწროვებს" მის ინტერესებს; ხელს შეუშლის მეგობრებთან მის ურთიერთობას; გააღიზიანებს მისი ჰობი და სუსტი სქესისადმი ყურადღება. მამაკაცებს საკუთარი, სუბიექტური მოსაზრებები აქვთ კონკრეტულ საკითხებზე. ძლიერი სქესის წარმომადგენლებს აუცილებლად სჭირდებათ ბალანსი, შესაძლებლობა, ჰქონდეს გარკვეული დისტანცია თუნდაც ყველაზე ახლობელ ადამიანთან – მეუღლესთან.

თუ ქალი ამას გაგებით მოეკიდება ან მოაჩვენებს თავს, რომ ესმის მისი, ყველაფერი კარგად იქნება – მამაკაცს შიში ნელ-ნელა გაუქრება, ქალის შეგნებულობას კი აუცილებლად დააფასებს.

* მამაკაცს ოჯახის შექმნით უჩნდება განცდა, რომ მისი სურვილები უკანა პლანზე გადაიწევს; რომ, შეიძლება, ქორწინება არ აღმოჩნდეს წარმატებული, განქორწინების კი მამაკაცებს ძალიან ეშინიათ. უამრავი ცუდი მაგალითი მათ აკომპლექსებთ. ერთი სიტყვით, ისინი სულაც არ არიან ძლიერები და, თუკი სიყვარულით ვერ დააკარგვინებთ თავს, ეცადეთ, მიხვდეთ, რისი შიში აქვთ თქვენს რჩეულს და „გაანეიტრალეთ".

## ქითხვის ნიშნები

რაზე ლაპარაკობენ მამაკაცები, როცა მარტონი რჩებიან? – ფეხბურთზე, საკუთარ შეფებზე, საქმეზე და, შესაძლოა, გრძელფეხება „ნაშებზეც" კი. ერთადერთი, რაც მათი საუბრის თემებში არ ხვდება – ცოლებია. მამაკაცებს არ სიამოვნებთ და არ მოსწონთ საუბარი საკუთარ ცოლებზე, მაშინ, როცა ქალები ერთმანეთში ძირითადად ქმრებზე ჭორაობით არიან დაკავებული. რა ხდება, რატომ არის ასეთი განსხვავება? მამაკაცებს აქვთ პირად საკითხებზე კომპლექსები თუ, პირიქით, ქალებს? ფაქტია, რომ საკუთარ ოჯახურ ცხოვრებაზე მამაკაცები მკაცრად ინარჩუნებენ დუმილის უფლებას. ფსიქოლოგების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ მამაკაცებს აკლიათ ოჯახურ საკითხებში ინფორმაციულობა, განათლება და ლოგიკა, თუმცა, მეტ-ნაკლებად კომპლექსებიც „მუშაობს".

ოჯახური „ლაბორატორია" სერიოზული საკითხია და აჯობებდა მამაკაცებს გაცილებით მეტი სცოდნოდათ მის შესახებ. ისინი კი, რატომღაც, არც ცდილობენ, წინ წაიწიონ ამ მიმართულებით, მაგრამ, სულ ტყუილად – რაც მეტს გაიგებენ ოჯახური ურთიერთობების შესახებ, მით ჰარმონიულად იქნება მეუღლეებთან მათი თანაცხოვრება. მამაკაცები, როგორც წესი, ფიქრობენ, რომ ქორწინება ხუმრობა არ არის; რომ ის მათ თავისუფლებას ზღუდავს, თუნდაც გაგონილი არ ჰქონდეთ საქორწინო კონტრაქტების შესახებ. ამას ნაკლებად აქვს მნიშვნელობა. თუმცა, მთავარი სხვაა – კაცებს ყველაზე მეტ პრობლემას პასუხგაუცემელი კითხვები უქმნით. გამოიჩინონ მეტი სითამამე და მოითხოვონ მათზე პასუხები, ან, უბრალოდ, იპოვონ ისინი – მაშინ ყველაფერი გაცილებით უკეთ იქნებოდა.



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

# რა აკავშირებდა ჰოლივუდის ვარსკვლავ ლიამ ნისონს ლუდსახარშ „გინესთან" და სად გაუტეხეს მას ცხვირი

***ირლანდიური წარმოშობის ამერიკელი მსახიობი, ბრიტანეთის იმპერიის ოფიცრის ორდენის მფლობელი და ყველაზე ცნობილი „შინდლერი" პლანეტაზე... საუბარია ლიამ ნისონზე – „შინდლერის სიისა" და „ვარსკვლავური ომების" ვარსკვლავზე.***

* ლიამ ნისონი (სრული სახელი და გვარი უილიამ ჯონ ნისონი) 1952 წლის 7 ივნისს დაიბადა ჩრდილოეთ ირლანდიაში, პროტესტანტულ ქალაქ ბელიმენში, კათოლიკეების ოჯახში. მისი მამა დაცვის თანამშრომელი იყო, დედა კი – მზარეული. ოჯახი ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა. ლიამის დედა წარმოშობით ბელფასტიდან იყო და ხმაურიანი წვეულებებისა და მუსიკის მოყვარული გახლდათ, მამას კი სრულიად საპირისპირო ხასიათი ჰქონდა – ვერ იტანდა ხმაურს და სიჩუმეში ყოფნა უყვარდა. ბავშვობაში ლიამი გოგონებთან უფრო მეგობრობდა, ვიდრე ბიჭებთან და ამის გამო დედამ მისი კრივზე შეყვანა გადაწყვიტა. ლიამს კარგი რეაქცია აღმოაჩნდა და ის ირლანდიის ჩემპიონი გახდა იუნიორებს შორის, მაგრამ, ერთ-ერთი შეხვედრის დროს, მეტოქემ ლიამს ცხვირი გაუტეხა და მომავალმა მსახიობმა რამდენიმე ხნით მხედველობა დაკარგა. ამის გამო მას სპორტის მიტოვება მოუხდა, თუმცა, გატეხილი ცხვირი მომავალში მის „საფირმო ნიშნად" იქცა.



* კრივის შემდეგ ლიამის გატაცება თეატრი იყო და ის სამოყვარულო სცენაზე თამაშობდა სხვადასხვა სპექტაკლში. ბელფასტის სამეფო კოლეჯში სწავლის პერიოდში ლიამმა რამდენიმე ფაკულტეტი გამოიცვალა. მათემატიკურ და პედაგოგიურ ფაკულტეტებზე სწავლა მას არ იზიდავდა და ხშირი გაცდენების შემდეგ იგი ინსტიტუტიდან გარიცხეს, პროფესიის არქონის გამო მას რამდენიმე სამსახურის გამოცვლა მოუხდა, სანამ 1976 წელს ბელფასტის ლირიკულ თეატრში რიგით მსახიობად არ მოეწყო. სხვადასხვა დროს ლიამ ნისონი არქიტექტორის თანაშემწედ, ლუდსახარშ „გინესის" დისტრიბუტორად, ამწეკრანის ოპერატორად მშენებლობაზე და სატვირთო ავტომობილის მძღოლად მუშაობდა. 1978 წელს ლიამ ნისონი დუბლინის „ებბის" თეატრში გადაბარგდა და სცენის წამყვანი მსახიობი გახდა, 1981 წელს კი მან პირველი მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მხატვრულ ფილმში – რეჟისორმა ჯონ ბურმენმა იგი ეპიკურ „ესკალიბურში" მიიწვია და რაინდ გაივენის მთავარი როლი ანდო. ფილმში გადაღებების დროს ლიამმა ჰელენ მირენი გაიცნო, რომელიც მის პირველ სიყვარულად ითვლება. ლიამისა და ჰელენის ვნებიან რომანზე ლეგენდები დადიოდა და მავანნი ამბობდნენ, რომ ლიამის სახით ჰელენმა კარგი სათამაშო ჩაიგდო ხელში.

* 1980-იან წლებში ლიამი განაგრძობდა თეატრალურ კარიერას; გარდა ამისა, მისი მონაწილეობით წელიწადში 3-4 ფილმი გამოდიოდა ეკრანებზე. იგი ნელ-ნელა ყალიბდებოდა ერთ-ერთ ყველაზე იმედის მომცემ და ვარსკვლავურ მსახიობად ბრიტანეთში. მისი იმ დროინდელი ფილმოგრაფიიდან აღნიშვნის ღირსია: „ბაუნტი", „კრული", „მისია", „წესის აგების ლოცვა" და დაბალბიუჯეტიანი დრამა – „დაკმაყოფილება", სადაც ლიამის პარტნიორი მაშინ ჯერ კიდევ ყველასთვის უცნობი ჯულია რობერტსი იყო. მოგვიანებით ნისონი იხსენებდა: „ამ ფილმის ერთადერთი ღირსება ის არის, რომ იქ შევხვდი პირველად ჯულია რობერტსს, სხვა ღირებულება ამ ფილმს არ აქვს". ცნობისთვის, ჯულია შეყვარებული იყო ლიამზე, მაგრამ, მისგან საპასუხო გრძნობების არქონის გამო, მათი რომანი არ შედგა.

* 1990-იანი წლების დასაწყისში ლიამ ნისონი ჰოლივუდურმა სტუდიებმა შეამჩნიეს და სათამაშოდ მიიწვიეს მაღალბიუჯეტიან ფილმებში, მათ შორის ბლოკბასტერებში „რობ როი", „მაიკლ კოლინზი", ვუდი ალენის „ცოლები და ქმრები" და, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სტივენ სპილბერგის „შინდლერის სია" – ფილმი, რომელიც ლიამ ნისონის კარიერის მწვერვალად ითვლება. სპილბერგი მთავარ როლზე გერმანელი მსახიობის აყვანას გეგმავდა, თუმცა, მას შემდეგ, რაც ბროდვეის სცენაზე ქარიზმატული ნისონი დაინახა, ოსკარ შინდლერის როლზე სხვა მსახიობების კანდიდატურების განხილვაზე უარი განაცხადა. ამ როლისთვის ნისონი მსოფლიოს ორ ყველაზე პრესტიჟულ კინოდაჯილდოებაზე „ოსკარისა" და „ოქროს გლობუსის" ნომინაციებზე იყო წარდგენილი, თუმცა, მთავარი ჯილდოს გარეშე დარჩა.

* თავისი მეუღლე, ნატაშა რიჩარდსონი, ლიამ ნისონმა 1984 წელს ბროდვეის სცენაზე გაიცნო. ისინი ათი წლის შემდეგ დაქორწინდნენ და ორი ვაჟი ეყოლათ – მაიკლ ანტონიო და დენიელ ჯეკი. ლიამ ნისონი ქვრივია, მისი მეუღლე 2009 წელს 45 წლის ასაკში ტრაგიკულად დაიღუპა – კვებეკში, სამთო-სათხილამურო კურორტზე, ნატაშა უხერხულად წაიქცა, თავის ქალის ტრავმა მიიღო და ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს. ამჟამად ლიამ ნისონი ნიუ-იორკის შტატში, ქალაქ მილბრუკში ცხოვრობს შვილებთან ერთად.



* ლიამ ნისონი ანტონ ჩეხოვის შემოქმედების დიდი თაყვანისმცემელია. ის და რალფ ფაინსი რამდენიმე წელია, გეგმავენ, თეატრალურ სცენაზე დადგან უკვდავი პიესა „ძია ვანია". ნისონის თქმით, „ძია ვანიას" როლი მისთვის საოცნებოა და, საერთოდ, მიაჩნია, რომ რუსული ტემპერამენტი მისთვის ძალიან ახლობელია. მისი აზრით, ირლანდიელები და რუსები ერთმანეთის ნათესავები არიან.

* თავისუფალ დროს ლიამს თევზაობა უყვარს. წარსულში იგი მოტოციკლებით იყო გატაცებული და ბაიკერობდა კიდეც, მაგრამ, რამდენიმეჯერ მოყვა ავარიაში და მას შემდეგ მოტოციკლებს აღარ ეკარება. ბოლო ავარია ნისონს 2002 წელს მოუვიდა: მარტინ სკორსეზეს ფილმის – „ნიუ-იორკის ბანდების" გადაღებების დროს ის მაღალი სიჩქარით მიმავალი დაეჯახა გზაზე მოულოდნელად გადმოსულ ირემს და სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს.

* ლიამ ნისონი ჯეიმს ბონდის როლის შემსრულებლად განიხილებოდა 1990-იანი წლების დასაწყისში, თუმცა, საბოლოოდ როლი პირს ბროსნანს ერგო.

* რამდენიმე წელია, რაც ლიამ ნისონმა სიგარეტის მოწევას თავი დაანება, მაგრამ, ფილმის „გუნდი „ა"-ს" გადაღებების დროს, მის გმირს სიგარის მოწევა უწევდა და მსახიობმა ხანგრძლივი პაუზის შემდეგ რამდენიმე სიგარა მოწია.

* ლიამ ნისონი საფეხბურთო კლუბ „ლივერპულის" ქომაგია.

* ლიამ ნისონის სიმაღლე 193 სანტიმეტრია.

* 1999 წელს დიდი ბრიტანეთის დედოფალმა, ელიზაბეთ მეორემ, ლიამ ნისონი ბრიტანეთის იმპერიის ორდენით დააჯილდოვა, 2008 წელს კი ირლანდიის ამერიკულმა ფონდმა ირლანდიური კინემატოგრაფისა და თეატრის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის ლიამ ნისონს სახელმწიფო პრემია გადასცა.

* 2011 წლიდან ლიამ ნისონი „იუნისეფის" კეთილი ნების ელჩია, იგი მოშიმშილე, ავადმყოფ და ოჯახური ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს ეხმარება.

* ლიამ ნისონის საუკეთესო მეგობრებად რალფ ფაინსი და კიერან ჰაინდსი ითვლებიან.

* მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო მოკრივედ ლიამ ნისონი ლეგენდარულ მუჰამედ ალის მიიჩნევს.

* ლიამ ნისონი მორწმუნე კათოლიკეების ოჯახში დაიბადა, თუმცა, მას მუდამ აინტერესებდა ისლამი და, დაუდასტურებელი ცნობის თანახმად, ფილმ „გატაცებული 2-ის" გადაღებების დროს, თურქეთში, სტამბულის ერთ-ერთ მეჩეთში, მან ისლამი მიიღო.

* ჰელენ მირენთან რომანის დასრულების შემდეგ ლიამ ნისონს პირობა ჰქონდა დადებული, რომ არავინ შეუყვარდებოდა, მაგრამ, ნატაშა რიჩარდსონის გაცნობის შემდეგ მან ეს პირობა დაარღვია.

**უშანგი რუხაძე**

**დისიდენტი ხელოვანი, პოეტი და არტისტი, ზურა რთველიაშვილი 2009 წლიდან შვედეთში ცხოვრობს. შვედეთის მთავრობა პოლიტიკური ნიშნით დევნილ ხელოვანებს მფარველობს – ზურამაც შეძლო კარვების ქალაქისა და არეულობის ჟამს, აქაურობისთვის თავი დაეღწია. ის ოჯახთან ერთად სტოკჰოლმში წავიდა საცხოვრებლად, სადაც დადაიზმის მეფე-პრეზიდენტს საკმაოდ საინტერესო შემოქმედებითი პერიოდი აქვს.**

# სად შეხვდა ზურა რთველიაშვილი „ფუსი რაიოთის“ წევრებს და როგორ შეასრულა მან პოეტის როლი გერმანულ ფილმში

**ზურა რთველიაშვილი**: ქართულ პრესასთან ინტერვიუ კარგა ხანია, არ მქონია. სამაგიეროდ, ხშირად მიწევს ურთიერთობა უცხოურ გამოცემებთან, მათ შორის შედარებით თავისუფალ რუსულ მედიასთან. „მოსკოვი ნიუსი” დამიკავშირდა და საკმაოდ ვრცელი ინტერვიუ მივეცი.

**– მოდი, ყველაფერი 2009 წლიდან დავიწყოთ, მაშინ, როცა თქვენ წახვედით სტოკჰოლმში.**

– 2009 წელს იძულებული გავხდი, დამეტოვებინა საქართველო. ჩემი მეგობრები, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციები, საერთაშორისო „პენი” აქტიურადაა ჩართული პროექტებში, რომელიც სამშობლოში პოლიტიკური ნიშნით დევნილ მწერლებს, პოეტებს, ხელოვანებს ეხმარება. გახსოვთ, მაშინ რა სიტუაცია იყო – კარვების ქალაქი და მეც აქტიურად ვიყავი ჩართული ამ ამბებში. საინტერესო იცით, რა არის? ამერიკიდან მქონდა მიწვევა რამდენიმე სერიოზული და ძალიან ცნობილი მწერლის ხელმოწერით – საერთაშორისო ფესტივალზე მიწვევდნენ. მათ შორის იყო სალმან რუშტი. ეს ჩემთვის კარგი საშუალება იყო ქვეყნის დასატოვებლად. მათ აინტერესებდათ, რეალურად რა ხდებოდა ჩვენთან. მაგრამ, ამერიკის საელჩომ ეს ხელმოწერილი ბლანკი არ მიიღო და ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, უარი მითხრა. ხომ იცით საქართველო პატარა ქვეყანაა, თბილისი, მით უმეტეს – ბევრს იცნობ და მერე რაღაცეები იკვეთება, მჟღავნდება ხოლმე. ყველამ ვიცით, რა მეთოდებით მოქმედებდა მაშინდელი ხელისუფლება. როცა ამერიკის საელჩოში მოსაწვევს გიგზავნიან, აუცილებლად შინაგან საქმეთა სამინისტრო გამოწმებს, მით უმეტეს, ამერიკაში წასვლის მსურველს. ამერიკის საელჩოს თავისი წესები და გარკვეული შეზღუდვები აქვს. როგორც მეგობრებმა მითხრეს, „შავ სიაში” ვიყავი შეყვანილი. იმედგაცრუება განვიცადე... ალბათ, ევროპაშიც ვერ წავიდოდი. იმ პერიოდს დაემთხვა ჩემი წასვლა, როცა თბილისში ყველა საელჩო დაიკეტა საპროტესტო მოძრაობის გამო, მაგრამ ჩემმა მეგობრებმა მოახერხეს და დაუკავშირდნენ კულტურის ატაშეს – უთხრეს, რომ მე აუცილებლად უნდა წავსულიყავი საერთაშორისო ფესტივალზე. ამ შუალედში გამიმართლა და გავძვერი, მათ, უბრალოდ, ვერ მოასწრეს სიტუაციის გაფილტვრა და შემოწმება, თორემ შვედეთში წასვლაშიც შემიშლიდნენ ხელს. შვედეთმა გამოთქვა სურვილი, მივეღე სტუმარი მწერლის სტატუსით პროექტის ფარგლებში. მას მერე ვცხოვრობ სტოკჰოლმში და მჭიდრო ურთიერთობა მაქვს სხვადასხვა ევროპულ ქალაქთან, საიდანაც ბევრი მიწვევა მაქვს ფესტივალებზე.

რთული იყო საქართველოდან წასვლა ჩემთვის. საერთოდ, ყველაფერი მძიმე და არასასიამოვნო განცდას გიტოვებს, რაც იძულებასთან არის დაკავშირებული. უბრალოდ, აღარ მქონდა საშუალება, როგორც მწერალს, არტისტს, აქტიურად ვყოფილიყავი ჩართული სახელოვნებო ცხოვრებაში და ვფიქრობ, არ არის ცუდი გამოსავალი ევროპაში წასვლა. არა მარტო, იმიტომ, რომ მწერალს სჭირდება როგორც აუდიტორია, ასევე გამოცემაც, ეს მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია – ბოლო დროს კი ჩემი ნაწარმოებების გამოცემა აღარ ხერხდებოდა გარკვეული მიზეზის გამო.

**– ეს პირველი გასვლა იყო შვედეთში?**

– კი, პირველი და არა მარტო შვედეთში, არამედ ევროპაში.

**– საკმაოდ ემოციური ხართ და ფლეგმატურ, ცივ შვედეთში არ გაგიჭირდათ ცხოვრება?**

– ***(იცინის)*** არა, რატომ? რატომღაც ძალიან ემოციური და ჰიპერაქტიური ადამიანის იმიჯი მაქვს. არადა, რეალურ ცხოვრებაში არ ვარ ასეთი. საკმაოდ მშვიდი ვარ. ადამიანებისთვის ეს ხშირად სიურპრიზია. შემიძლია, ასეთი აქტიური ფორმით გამოვიდე სცენაზე, საზოგადოებრივ შეკრებაზე. ამ დროს ხდება ჩემი, როგორც არტისტის პერფორმანსი, რეალიზება... არანაირად არ გამჭირვებია შვედ მწერლებსა და საზოგადოებასთან ურთიერთობა. საკმაოდ თბილი და სტუმართმოყვარე ხალხია შვედები და მათი სიცივე არასწორი იმიჯია. სხვათა შორის, კლიმატური პირობების სიმკაცრეც არ არის მართალი ***(იცინის).*** ორი კვირაა თოვლი დადნა და, ფაქტობრივად, გაზაფხულის ამინდია. თან, აქ გოლფსტრიმი ჩამოდის, შვედეთი ამ კლიმატურ ზონაშია და აქ უფრო ნაკლებად ცივა, ვიდრე სხვა ჩრდილოურ ქვეყნებში.



**პოლიტიკოსებთან მე დიდად არ ვმეგობრობ. უბრალოდ, თავის დროზე რევოლუციას ვუჭერდი მხარს. აქტიური პოზიცია მახასიათებს და მათ ეს კარგად გამოიყენეს**

**– ლიტერატურულ შვედეთზეც მოგვიყევით, რა ხდება, როგორ ხდება?**

– თავიდან პროექტის ფარგლებში ვცხოვრობდი გიოტებორგში, შვედეთის სიდიდით მეორე ქალაქში. იქ ყოველ წელს საკმაოდ პრესტიჟული და მასშტაბური წიგნის ფესტივალი ტარდება, რომელიც ევროპაში მეორეა ფრანკფურტის ფესტივალის შემდეგ. მასში მონაწილეობას იღებენ არა მარტო მწერლები, პოეტები, ნობელიანტები, არამედ გამომცემლები, ადამიანის უფლებათა დამცველები... სამჯერ ვიყავი მიწვეული ამ ფესტივალზე, რაც ისე უბრალოდ არ ხდება. მონაწილეობა მაქვს მიღებული რამდენიმე საერთაშორისო პოეტურ ფესტივალში, საკმაოდ ბევრ ღონისძიებაში – გამოიცა რამდენიმე ანთოლოგია შვედურ ენაზე, საკმაოდ სოლიდური, მაღალი ხარისხის ბეჭდვით შესრულებული. ამ ანთოლოგიაში შესულია სხვადასხვა უცხოელი დისიდენტი პოეტისა და მწერლის ნაწარმოებები, მათ შორის ჩემი ლექსები. ჩემი 6 თუ 7 ლექსი ითარგმნა შვედურ ენაზე. კიდევ ერთ ანთოლოგიაშია შეტანილი ჩემი ლექსები, ოღონდ შვედ მწერლებსა და პოეტებთან ერთად. ახლა მზადდება ჩემი ახალი პოეტური კრებული გამოსაცემად, ვფიქრობ, გაზაფხულის ბოლოს გამოიცემა. მას თან ერთვის აუდიოდისკი ეგრეთ წოდებული „სიდი”, სადაც მე ჩემს ლექსებს ვკითხულობ ასევე, მიდის მოლაპარაკება ჩემს რეჟისორთან, რომ ფილმიდან ნაწყვეტები, რომელშიც მე ვმონაწილეობ, დივიდი ფორმატის სახით დაერთოს კრებულს.

**– რა ფილმში მიიღეთ მონაწილეობა?**

– ეს არის გერმანულენოვანი ფილმი, ჯულიან რადლმაიერის მიერ გადაღებული. ის ახალგაზრდა და ძალიან წარმატებული, ახალი ტალღის რეჟისორთა წარმომადგენელია. ფილმს ჰქვია „აჩრდილი ევროპაში”. გადაღებები ძირითადად ბერლინში მიმდინარეობდა. ვასრულებ პოეტის როლს, რომელიც, შეიძლება ითქვას, მაიაკოვსკის პროტოტიპია – ახალი თაობის რეჟისორებიდან ბევრი გამოირჩევა მემარცხენე იდეოლოგიის მიმართ სიმპათიით. მემარცხენეობა ევროპაში ისევ მოდაშია. კონცეპტი არის ასეთი, რომ ჩიხში შესული ევროპული ხელოვნება გაცოცხლდეს 20-იანი წლების ავანგარდულ მოძრაობასთან, ენერგეტიკასთან დაბრუნებით.

**– გერმანულად ლაპარაკობთ?**

– არა. მიწევდა ტექსტების დაზეპირება, მათ შორის ლექსებისაც, რაც ძალიან რთულია, მაგრამ შემდეგ, უკვე, როცა რეალურად გიწევს თამაში და შედეგს ხედავ, აღარ გახსოვს უსიამოვნო მომენტები. ჯულიანს არ უყვარს მსახიობების წვალება, დიდხანს არ ტრიალებდა ერთ ადგილზე. არაორდინარული ადამიანია.

გარდა ამისა, როგორც მულტიმედია არტისტი, სხვადასხვა გამოფენაში ვიღებდი მონაწილეობას. ქალაქ კალმარში ლადო დარახველიძესთან ერთად გავაკეთე პროექტი „თანამედროვე ქართული ხელოვნების რუკა”. იქ შევხვდი რუსული „ფუსი რაიოთის” წევრს, რომელიც ახლა ციხეშია. ვისაუბრეთ და ცოტა გამაღიზიანებელი მომეჩვენა, შემტევი ტონი ჰქონდა. დელიკატურად ვაგრძნობინე, რომ, რასაც ისინი მაშინ აკეთებდნენ, მე უკვე გაკეთებული მქონდა, თან კონცეპტუალური თვალსაზრისით უფრო დახვეწილად.

**– შვედური ისწავლეთ?**

– მე არა, მეუღლემ ძალიან ადვილად აითვისა. თავდაპირველად, შეიძლებოდა, ქვეყანა შეგვეცვალა – გადავსულიყავი საფრანგეთში, ესპანეთში, განიხილებოდა ამერიკაც და სად წამელო ჩემი შვედური? აქ ინგლისური დიდმა და პატარამ, ყველამ კარგად იცის. ძალიან კეთილგანწყობილი ხალხია. რომ გააჩერებ და ჰკითხავ, რომელიმე ქუჩის შესახებ, შეიძლება იმ ქუჩამდე გამოგყვეს თუ სცალია. ინგლისურის ცოდნის მხრივ შვედეთი პირველ სამეულში შედის.

**– კარგად გიცნობენ შვედეთში?**

– ამას წინათ მალმოს უნივერსიტეტში მომიწყვეს დიდი შეხვედრა. ვხედავ, ჩემი უშველებელი შავ-თეთრი პლაკატია გაკრული და აწერია: ანარქიზმს პლუს დადაიზმი უდრის ზურა რთველიაშვილს ***(იცინის).*** მე ხომ დადაიზმის მეფე-პრეზიდენტი ვიყავი და გადავდექი დაკავებული თანამდებობიდან. პრეზიდენტსაც ვურჩევ, მე მომბაძოს.

**ქეთი დიდებულიძე**

# თეატრები

## შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**რუსთაველის გამზირი №17. ტელ.: 272-68-68**

17-18 იანვარი, **ხუთშაბათი-პარასკევი** 19.45 - **„შობის მეთორმეტე ღამე ანუ როგორც გენებოთ"** - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), რეჟისორი რობერტ სტურუა. ***ხანგრძლივობა 2სთ. 40წთ;***

18 იანვარი, **პარასკევი** 19.45 - **„რა საოცარი დღეა..."** (ჩრდილების თეატრი) - (ბილეთის ფასი - 6, 8 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი გელა კანდელაკი. ***ხანგრძლივობა 1სთ. 20წთ.;***

19 იანვარი, **შაბათი** 19.45 - **„ბიდერმანი და ცეცხლისწამკიდებელნი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი) - (დიდი სცენა), რეჟისორი გურამ ბრეგაძე, ***ხანგრძლივობა 2სთ. 40წთ.;***

20 იანვარი, **კვირა** 19.45 - **„დარისპანის გასაჭირი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორები: რობერტ სტურუა, ზაზა პაპუაშვილი. ***ხანგრძლივობა 1სთ. 30წთ;***

## კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**მარჯანიშვილის ქუჩა №8, ტელ.: 295-59-66.**

15-16-17-18-19-20 იანვარი, **სამშაბათი-ოთხშაბათი-ხუთშაბათი-პარასკევი-შაბათი-კვირა** 12.00 - **„თოვლის დედოფალი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 8 - 14 ლარი), რეჟისორი ციცინო კობიაშვილი; ***ხანგრძლივობა 1სთ. 50წთ.;***

15-16-17-18-19-20 იანვარი, **სამშაბათი-ოთხშაბათი-ხუთშაბათი-პარასკევი-შაბათი-კვირა** 13.00 - **„სევილიელი დალაქი"** - (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 6 ლარი), რეჟისორი ბესო კუპრეიშვილი; ***ხანგრძლივობა 2სთ.;***

15 იანვარი, **სამშაბათი** 20.00 - **„ჟოლო"** - (დიდი სცენა), (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი ლევან წულაძე; ***ხანგრძლივობა 2სთ.;***

15 იანვარი, **სამშაბათი** 20.00 - **„ქალი ძაღლით"** - (თეატრი სხვენში), (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი ლევან წულაძე, ***ხანგრძლივობა 2სთ.;***

16 იანვარი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„ანტიგონე"** - (დიდი სცენა), (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი თემურ ჩხეიძე, ***ხანგრძლივობა 2სთ.;***

16, 20 იანვარი, **ოთხშაბათი, კვირა** 20.00 - **„უფროსი ვაჟი"** - (თეატრი სხვენში), (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი ჯაბა პაპუაშვილი; ***ხანგრძლივობა 2სთ.;***

17 იანვარი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„დეკამერონი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი ლევან წულაძე, ***ხანგრძლივობა 3სთ. 15წთ.;***

17 იანვარი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„გუშინდელნი"** - (თეატრი სხვენში) - სოხუმის დრამატული თეატრის სპექტაკლი - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი გოჩა კაპანაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

18 იანვარი, **პარასკევი** 20.00 - **„როგორც გენებოთ"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), რეჟისორი ლევან წულაძე, ***ხანგრძლივობა 2სთ.;***

18 იანვარი, **პარასკევი** 20.00 - **„კრეპის უკანასკნელი ფირი"** (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), ლევან წულაძის ჯგუფი - რეჟისორი ნიკა ლუარსაბიშვილი; ***ხანგრძლივობა 1სთ. 20წთ.;***

19 იანვარი, **შაბათი** 20.00 - **„პიგმალიონი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი ლევან წულაძე, ***ხანგრძლივობა 2სთ. 20წთ.;***

19 იანვარი, **შაბათი** 20.00 - **„პეიზაჟს აკლია სითბო"** (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი, ***ხანგრძლივობა 2სთ.;***

20 იანვარი, **კვირა** 20.00 - **„ეუხენა ბალბოა"** - (დიდი სცენა), (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), რეჟისორები: დიმიტრი ხვთისიაშვილი, ლევან წულაძე, ***ხანგრძლივობა 3სთ.;***

## თავისუფალი თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2, ტელ.: 298-58-21.**

15 იანვარი, **სამშაბათი** 19.00 - **„ჯინსების თაობა"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 12 ლარი), რეჟისორი დათო დოიაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 45წთ.;***

16 იანვარი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„მგზნებარე შეყვარებული"** - (ბილეთის ფასი - 5, 7, 9 ლარი), რეჟისორი თინათინ ქათამაშვილი. ***ხანგრძლივობა 1სთ. 40წთ.;***

17 იანვარი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„ვალსი ძილის წინ"** პრემიერა - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15 ლარი), რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ;***

18 იანვარი, **პარასკევი** 20.00 - **„ვალსი ძილის წინ"** პრემიერა - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15 ლარი), რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ;***

19 იანვარი, **შაბათი** 19.00 - **„წვიმის გამყიდველი"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15 ლარი), რეჟისორი ნუგზარ ლორთქიფანიძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ;***

20 იანვარი, **კვირა** 19.00 - **„ღმერთო! დაგვიფარე ჩვენ და ადამიანები"** - (ბილეთის ფასი - 5, 10 ლარი), რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი. ***ხანგრძლივობა 2სთ. 30წთ.***

## ახმეტელის თეატრი
**ვეკუას ქუჩა №8. ტელ.: 262-59-73, 262-61-97.**

14-15 იანვარი, **ორშაბათი-სამშაბათი** 14.00 - **„საშობაო სიზმარი"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), სპექტაკლი შექმნილია ცნობილი ზღაპრების მიხედვით. ***ხანგრძლივობა 1სთ. 10 წუთი;***

17 იანვარი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„შავი კეტები"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი. ***ხანგრძლივობა 1სთ. 20წთ.;***

18 იანვარი, **პარასკევი** 19.00 - **„ღია შუშაბანდი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), დამდგმელი რეჟისორი - დიმიტრი ხვთისიაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

19 იანვარი, **შაბათი** 19.00 - **„პანთეონი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი. ***ხანგრძლივობა 1სთ. 20წთ.;***

20 იანვარი, **კვირა** 19.00 - **„მაგიის საოცრებანი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი - გოგა თავაძე. ***ხანგრძლივობა 1სთ. 45 წუთი.***

## ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი
**აღმაშენებლის გამზირი №182. ტელ.: 234-80-90.**

17-18 იანვარი, **ხუთშაბათი-პარასკევი** 19.00 - **„ფსიქოზი 4:48"** - (ბილეთის ფასი - 10, 15 ლარი), რეჟისორი მაკა ნაცვლიშვილი. ***ხანგრძლივობა 2სთ. 10წთ.;***

19-20 იანვარი, **შაბათი-კვირა** 19.00 - **„წერილები ღმერთს"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი მამუკა ტყემალაძე; ***ხანგრძლივობა 1სთ. 30წთ.;***

## ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრი
**ჭავჭავაძის გამზირი №32. ტელ.: 229-47-15.**

18 იანვარი, **პარასკევი** 20.00 - **„ფრანგული გარნირი"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი სანდრო ელოშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45წთ.;***

19 იანვარი, **შაბათი** 20.00 - **„ფსიქოზი 4:48"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორები: გოგა ქაჩიბაია, ბუბა ბასიშვილი; ***ხანგრძლივობა 2სთ.;***

20 იანვარი, **კვირა** 20.00 - **„ჭკუისა მჭირს"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი ოთარ ეგაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30წთ.***

## გრიბოედოვის თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2 ტელ.: 293-11-06.**

16-17-18-19-20 იანვარი, **ოთხშაბათი-ხუთშაბათი-პარასკევი-შაბათი-კვირა** 15.00 - **„მაკნატუნა"** - (ბილეთის ფასი - 5 - 25 ლარი), ქორეოგრაფი - ალექსეი ფადეეჩევი; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 50წთ.;***

18 იანვარი, **პარასკევი** 18.00 - **„ქორწინება"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი) რეჟისორი - ავთანდილ ვარსიმაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;***

19 იანვარი, **შაბათი** 18.00 - **„ქასთინგი"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი) რეჟისორი - ნიკა კვიჟინაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

20 იანვარი, **კვირა** 12.00, 14.00, 16.00 - **„საშობაო ზღაპარი"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი ვახტანგ ნიკოლავა. ***ხანგრძლივობა 1სთ. 10წთ.;***

## პანტომიმის თეატრი
**რუსთაველის გამზირი №37. ტელ.: 299-63-14.**

14-15-16-17-18-19-20 იანვარი, **ორშაბათი-სამშაბათი-ოთხშაბათი-ხუთშაბათი-პარასკევი-შაბათი-კვირა** 13.00 - 19.00 - **საახალწლო ნაძვის ხე** - (ბილეთის ფასი - 5, 7 ლარი); ***ხანგრძლივობა 1სთ. 30წთ.;***

## გაბრიაძის თეატრი
**შავთელის ქუჩა №13,**
**ტელ: 790 98-65-91 (მაგთი ფიქსი), 298-65-90**

18 იანვარი, **პარასკევი** 20.00 - **„რამონა"** პრემიერა - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15 ლარი), ავტორი და რეჟისორი რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

19 იანვარი, **შაბათი** 20.00 - **„სტალინგრადის ბრძოლა"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15 ლარი), ავტორი და რეჟისორი რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; ***ხანგრძლივობა 1სთ. 30წთ.;***

20 იანვარი, **კვირა** 20.00 - **„ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15 ლარი), ავტორი და რეჟისორი რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; ***ხანგრძლივობა 1სთ. 30წთ.;***

# კინოთეატრები

## კინოთეატრი „რუსთაველი"
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**14 – 20 იანვარი**

*დარბაზი 1*

12.00, 14.00 - **„ცელქი ბავშვები"**, *ხანგრძლივობა 1სთ. 30წთ.;*

16.00, 18.00, 20.00, 22.30 - **„ჩემი ცოლის დაქალის ქორწილი"**, *ხანგრძლივობა 1სთ. 30წთ.;*

*დარბაზი 2*

12.15, 20.00, 22.15 - **„კაცების კინო"**, *ხანგრძლივობა 1სთ. 30წთ.;*

14.15, 16.15, 18.15 - **„ცელქი ბავშვები"**, *ხანგრძლივობა 1სთ. 30წთ.;*

*დარბაზი 3*

12.00, 15.15, 18.30 - **„ჰობიტი"** 3D, *ხანგრძლივობა 2სთ. 30წთ.;*

22.15 - **„ცელქი ბავშვები"**, *ხანგრძლივობა 1სთ. 30წთ.;*

*დარბაზი 4*

12.15, 14.15, 16.15 - **„ჩემი ცოლის დაქალის ქორწილი"**, *ხანგრძლივობა 1სთ. 30წთ.;*

18.30, 22.30 - **„ჰობიტი"** 3D, *ხანგრძლივობა 2სთ. 30წთ.;*

*დარბაზი 5*

12.00, 14.00 - **„ჩემი ცოლის დაქალის ქორწილი"**, *ხანგრძლივობა 1სთ. 30წთ.;*

16.00, 18.00, 20.00, 22.00 - **„ცელქი ბავშვები"**, *ხანგრძლივობა 1სთ. 30წთ.;*

(ბილეთის ფასი: 6,50 - 11,50 ლარი).

## კინოთეატრი „ამირანი"
**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.**

*დიდი დარბაზი*

12.30, 14.30, 18.30, 20.30, 22.30 - **„ჩემი ცოლის დაქალის ქორწილი"**, *ხანგრძლივობა 1სთ. 30წთ.;*

16.30 - **„ცელქი ბავშვები"**, *ხანგრძლივობა 1სთ. 30წთ.;*

*მცირე დარბაზი*

12.00, 14.15, 18.15 - **„ცელქი ბავშვები"**, *ხანგრძლივობა 1სთ. 30წთ.;*

16.15 - **„ჩემი ცოლის დაქალის ქორწილი"**, *ხანგრძლივობა 1სთ. 30წთ.;*

20.15 - **„ზღაპრული სამყარო"** 3D, *ხანგრძლივობა 1სთ. 30წთ.;*

22.15 - **„იღბლიანი ჯენტლმენები"**, *ხანგრძლივობა 1სთ. 35წთ.;*

(ბილეთის ფასი: 6,50 - 11,50 ლარი).

## კინოთეატრი „საქართველო"
**გურამიშვილის გამზ. 2/9,**
**ტელ: 230-80-80; 269-66-47.**

12.00, 16.00, 20.00, 22.00 - **„ჩემი ცოლის დაქალის ქორწილი"**, *ხანგრძლივობა 1სთ. 30წთ.;*

14.00, 18.00 - **„იღბლიანი ჯენტლმენები"**, *ხანგრძლივობა 1სთ. 35წთ.;*

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com.
ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.

ინფო-თბილისი
თქვენი გზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

## ორშაბათი 14 იანვარი

**07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **09.00**, **10.00**, **12.00**, **14.00**, **16.00**, **19.00**, **20.00**, **00.30** "მოამბე" **10.30** "დილის საუბარი" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" (პ/ე) **15.00** "პეპეს საახალწლო შოუ" **17.00** "სპიკერი" **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ **"საიდუმლო გამოძიებანი"** **21.00** ტ/სერ **"როსელა"** **22.00** "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" **23.00** "ქართული დოკუმენ-ტალისტიკა" **00.00** "საფარი" **01.00** მხ/ფ **"თმის ლაქი"** (ტიტ.) **03.00** ტ/სერ **"სპირალი"** **04.00** მხ/ფ **"ბანზაი"**.

**07.30**, **09.10** იმედის დილა **09.00**, **11.00**, **14.00**, **17.00**, **19.00**, **20.00**, **00.00** ქრონიკა **10.00** სერ.**"იღბლიანი მოახლე"** **11.30** სერ. **"უკვდავი ამბავი"** **12.30** ფორტ ბოიარი **13.00** სერ. **"გაქცევა – 3"** **8** სერ. **14.45** სერ. **"24 – 4"** **6** სერ. **15.45** სერ. **"დამალული სიმართლე"** **8** სერ. **17.40** სერ. **"თილისმა"** **10** სერ. **18.50** სერ. **"სახიფათო ვნება"** **21.00** სერ. **"მარტოსული"** **22.00** ქ.სერ. **"შუა ქალაქში"** **23.00** სერ. **"ღვინის გზა"** **6** სერ. **00.15** მხ/ფ. **"ორფევრის სანაპირო** N36" (დ.ოტეი) **02.05** მხ/ფ. **"სამარ-თლიანობისთვის მებრძოლი"** (ს. სიგალი) (ტიტ.) **03.40** მუსიკა.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ.**"ქალის მსხვერპლი"** **11.00** სერ. **"იდუმალი ქალი"** **12.00**, **15.00**, **18.00**, **20.00**, **21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **115.30** შერეკილები **17.00** სერ. **"ვნების უფსკრული"** **18.45** სერ. **"მგზნებარე გული"** **19.50** სერ. **"ღირსება და ამბიცია"** **22.00** სპექტაკლი **"ქეთო და კოტე"** **00.00** შიშის ფაქტორი **01.00**, **03.30** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**07.00**, **02.35**, **04.55**, **06.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **07.30**, **08.20**, **10.30**, **11.20**, **12.30**, **13.30**, **15.40**, **16.35**, **17.10**, **18.40**, **04.35**, **05.30**, **06.35** უცხოეთის ამბები **07.55**, **10.55**, **11.55**, **12.55**, **13.55**, **14.55**, **16.55**, **18.55**, **06.55** უკომენტაროდ, ამინდი **08.00**, **09.00**, **10.00**, **11.00**, **13.00**, **14.00**, **16.00**, **17.00** ახალი ამბები **08.30**, **09.15** შალვა რამიშვილის "დილა" **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **14.05** მაესტროს პრესკლუბი **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.00** ახალი ამბები ინგლისურ ენაზე **19.05**, **00.25** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **20.00** ამბები მოკლედ **20.10**, **01.40** თოქ–შოუ - "არგუმენტები" **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00**, **01.20** "ყოველდღიური აბები" **22.20**, **03.10** თოქ–შოუ - "პოლიტ-მეტრი" **00.00** ახალი ამბები (ღამის გამოშვება).

**08.30**, **02.20** საინფორმაციო დაიჯესტი "დრო" **09.00** ანიმაცია **10.00** სერ. **"ფანტაზიების კუნძული"** (გან.) **10.30** დ/ფ "ჰოლივუდის წყვილები" (გან.) **11.30**, **14.30**, **17.30**, **20.30**, **22.30** "დრო" **11.40** კონცერტი **13.50** გადაცემა "1 000 წვრილმანი" (გან) **15.00** სერ. **"ფანტაზიების კუნძული"** **16.00** "მუსიკალური საღამოები" **16.30** "დროის ვექტორი" **17.10** მუსიკა **18.00** დ/ფ"ჰოლივუდის წყვილები" **19.00**, **19.35** ქარ. მხ/ფ **"ფიროსმანი"** **19.30** ანონსი **21.00** "რაც მოგვენატრა" **23.00** "სახლი ბათუმში" **23.30** "მუსიკალური საღამოები" **00.20** მხ/ფ **"ნოთინგ ჰილი"**.

– ძალიან მომენატრა თამაშზე დასწრება და გულშემატკივრობა. რომ ჩავედი, უკვე მეცხრე თვეში ვიყავი და ვერ დავდიოდი, არ შემეძლო. უკვე იმდენი ხანია, არ ვყოფილვარ თამაშზე, რომ მართლა ძალიან მომენატრა ის განწყობა, რომელიც იქ არის ხოლმე.

**– მოკლეედ, გმირი დედა და გმირი ცოლი ხარ.**

– გმირობამდე ბევრი მიკლია, მაგრამ, ვცდილობ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი მთავარი მიზანი ის არის, რომ მესამე შვილი პატრიარქმა მოგვინათლოს, დანარჩენი ვნახოთ...

**– ნიკოლოზის ნათლობა სად შედგება?**

– ალბათ, თბილისში მოვნათლავთ, რადგან, 40 დღე აქ შეუსრულდება. მინდა, სრული წესების დაცვით მოვნათლოთ და კარგად აღვზარდოთ ბავშვი.

**– ნათლიები ვინ არიან?**

– გიორგის აგენტი, ლევან მიქელაძე იქნება ბავშვის ნათლია. სავარაუდოდ, კიდევ ერთი ნათლია გვეყოლება – გიორგის მეგობარი, რომელიც საქართველოს ელჩია ისრაელში. უბრალოდ, არ ვიცით, მოახერხებს თუ არა ჩამოსვლას.

**მარიკა ხიდურელი**

# მათთვის, ვინც სათვალეს ატარებს

იყო დრო, როცა სათვალის (ცხადია, ოპტიკურის) ტარება ფიზიკურ ნაკლად ითვლებოდა, მაგრამ, დრო შეიცვალა და ახლა სათვალე მოდაშიც კია. უფრო მეტიც, სათვალეს ისინიც კი ატარებენ, ვისაც ასპროცენტიანი მხედველობა აქვს, რადგან... რადგან, სწორად შერჩეული ეს პატარა „აქსესუარი“ საოცრად ცვლის როგორც მამაკაცებს, ისე ქალბატონებს: უფრო ჭკვიან, განათლებულ და რესპექტაბელურ იერს სძენს მათ. მაგრამ, ამჟამად ჩვენი რჩევები მხოლოდ ქალებს ეხება.



მათთვის, ვინც სათვალეს ატარებს, არსებობს ორი პრობლემა: როგორ შეარჩიონ სათვალის ფორმა და როგორი მაკიაჟი გაიკეთონ.

დღეს სათვალის მრავალნაირი ჩარჩო არსებობს, მაგრამ, წელს მოდაშია მუქი ფერის პლასტმასის (ეგრეთ წოდებული „რქის“) ჩარჩოები. ნებისმიერი ფორმის სახისთვის სასურველია, შეარჩიოთ წვრილჩარჩოიანი და შედარებით ვიწრომინებიანი სავალე – ეს ანაზებს სახეს და გამომეტყველების უფრო დახვეწილსა და არისტოკრატიულს ხდის. ზოგს კი განსაკუთრებით უხდება ეგრეთ წოდებული „ლისიჩკები“ – როცა სათვალის გარე, ზედა კუთხეები ოდნავ ზემოთაა აწეული.

თუ „რქის“ სათვალეს ატარებთ გაითვალისწინეთ შემდეგი რჩევები:

* გამორიცხეთ მუქი ფერის „ჩრდილები“ და მკვეთრი ფერის პომადა.

* აქცენტი გააკეთეთ წამწამებზე: თვალების კუთხეებში პატარა კონტური და ტუში თქვენს მზერას უფრო თბილსა და მეტყველს გახდის.

* ტუჩებზე წასასმელად იკმარეთ ბაცი ფერის „ბლესკი“.

* იმის გამო, რომ სათვალის ჩარჩოს ზედა ნაწილი წარბების პარალელურ მდგომარეობაშია, ძალაუნებურად ამახვილებს ყურადღებას წარბებზე. ამიტომ, სახის ეს „აქსესუარი“ (წარბები გვაქვს მხედველობაში) მუდმივად იდეალურ მდგომარეობაში უნდა გქონდეთ.

მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი დეტალები:

სათვალე ხშირად აკეთებს აქცენტს იქ, სადაც სულაც არ არის საჭირო ამის გაკეთება, მაგალითად, უფრო მკვეთრად აჩენს ტუშით ერთმანეთზე მიწებებულ წამწამებს; ასევე, ფხვიერი „ჩრდილის“ გამოცვენილ ნამცეცებს, რაც, დამეთანხმებით, მთელ თქვენს ვიზუალს აფუჭებს. ამიტომ, დატუშვის შემდეგ კარგად „დაივარცხნეთ“ წამწამები სპეციალური სავარცხლით. ფხვიერის ნაცვლად კი გამოიყენეთ კრემისებური „ჩრდილი“, ოღონდ, ბევრი არ წაისვათ. გარდა ამისა, ტონალური კრემის ქვეშ სახეზე აუცილებლად წაისვით დამატენიანებელი, მკვებავი და დამცავი კრემები, რუჟი კი ძალიან თხელ ფენად გადაისვით, რომ თქვენი სახის კანი ბუნებრივად და ცოცხლად გამოიყურებოდეს.

# ექსპრეს-დიეტა საახალწლო დღეების შემდეგ

გადაბმულმა წვეულებებმა „სახსოვრად“ დაგიტოვათ 2-3 ზედმეტი კილოგრამი?! ცხადია, ეს სასიამოვნო არ არის, მაგრამ, თუ ჩვენს რჩევებს დაუჯერებთ, შეიძლება, ამ არასასურველი „სახსოვარისგან“ ერთ კვირაში გაითავისუფლოთ თავი.

***რჩევა:*** მოხარშული ბოსტნეული, ბალახების ჩაი და უცხიმო რძის პროდუქტები ნებისმიერი ექსპრეს-დიეტის ძირითადი შემადგენელი პროდუქტებია.

***თავისებურება:*** დღის განმავლობაში (ჯამურად) უნდა მიირთვათ 500 გრამი საკვები. კვებასა და კვებას შორის ინტერვალი კი ზუსტად 6 საათი უნდა იყოს.

***მოქმედების პრინციპი:*** კატეგორიულად აკრძალულია: მარილი, შაქარი, მაიონეზი, კეტჩუპი, საწებელი, ალკოჰოლი და გაზიანი სასმელები. სალათები შეაზავეთ ზეითუნის ან სელის ზეთით.

***მოსალოდნელი შედეგი:*** თუ ამ დიეტას მკაცრად დაიცავთ, ერთ კვირაში 3-4 კილოგრამის დაკლება გარანტირებული გექნებათ.



საუზმისთვის შემოთავაზებული 3 ვარიანტიდან შეარჩიეთ თქვენთვის სასურველი ერთ-ერთი ვარიანტი:

ა) 1 ცალი კიტრისა და 1 ცალი პომიდვრის სალათა მწვანე ხახვითა და ზეთით (უმარილოდ);

ბ) ცეხვილი პურის 2 ნაჭერი უმარილო და უცხიმო ყველით;

გ) ერთი დიდი ვაშლი ან ფორთოხალი (ან ყურძნის პატარა კუნწულა).

სასმელებიდან უპირატესობა მიანიჭეთ ბალახების ან მწვანე ჩაის.

სადილზე ძირითად კერძად შეგიძლიათ მიირთვათ: 100 გრამი ხბოს, ინდაურის ან ქათმის მოხარშული ხორცი. გარნირად კი: ა) 2 ცალი პომიდვრისა და 1 ნაჭერი გახეხილი ყველის სალათა; ბ) 1 პატარა პომიდვრის, 1 პატარა მჟავე ვაშლისა და 1 ცალი გახეხილი (უმი) სტაფილოს სალათა.

***სითხე:*** ლიმონიანი მწვანე ჩაი (უშაქროდ) ან ახალგამოწურული ვაშლის წვენი.

ვახშამი უნდა მიირთვათ დაძინებამდე 3 საათით ადრე და უნდა იყოს ძალიან მსუბუქი. შეგიძლიათ, მიირთვათ: ა) თითო ცალი (მოზრდილი) პომიდორი და ვაშლი; ბ) 100 გრამი მოხარშული კრევეტები ან მოხარშული ქათმის ფილე; გ) 1 ჩაის ჭიქა უცხიმო კეფირი.

***სითხე:*** ბალახების ჩაი.

თუ დაძინების წინ ისე მოგშივდათ, რომ თავს ვერ იკავებთ, მიირთვით 1 ჩაის კოვზი თაფლი.

შედეგის გასაუმჯობესებლად, ერთკვირიანი შუალედის შემდეგ, შეგიძლიათ, ექსპრეს-დიეტა გაიმეოროთ.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: მაინტერესებს, როგორი ვარცხნილობებია წელს მოდაში?**

**პასუხი:** ნაწნავი და ლოკონები, როგორც კლასიკა, კვლავ პირველ ადგილს იკავებს. მეორე ადგილზეა რეტრო და მოდერნი ვარცხნილობები. მაგრამ, არსებობს ერთი მთავარი წესი: ნებისმიერი ვარცხნილობა უნდა გამოიყურებოდეს ბუნებრივად, თითქოს თმა სულ რაღაც 5 წუთის წინ, სახელდახელოდ მოიწესრიგეთ.

**კითხვა: როგორი სავარცხლის გამოყენება ჯობია თმის ფენით გაშრობის დროს?**

**პასუხი:** უმჯობესია, გამოიყენოთ კერამიკული სავარცხელი ნატურალური ბეწვის ჯაგრისით, რადგან, ფენის ცხელი ჰაერის ზემოქმედებისას ის თანაბრად ცხელდება, რაც ზრდის თმის მოცულობას, აქვეითებს ღერების მტვრევადობას და გამორიცხავს მათი ბოლოების გაყოფას.

**კითხვა: რით არის სასარგებლო კანისთვის ავოკადოს ზეთი და როგორ უნდა გამოვიყენო ის? ასევე, მაინტერესებს, სად შეიძლება მისი შეძენა.**

**პასუხი:** ავოკადოს ზეთი შეიცავს კანისთვის უაღრესად საჭირო და აუცილებელ A, D და E ვიტამინებს და ლიცეტინსა და კალიუმს, რომლებიც „ახალგაზრდობის მინერალების“ სახელითაა ცნობილი.

გაჟღინთეთ ავოკადოს ზეთით ჩითის ან ბატისტის ნაჭერი და დაიფინეთ სახეზე და დეკოლტეზე 20 წუთის განმავლობაში (ხელსახოცის მოხსნის შემდეგ არ ჩამოიბანოთ, რბილად დაიმასაჟეთ). ეს პროცედურა ჩაიტარეთ დღეში 2-ჯერ, 1 კვირის განმავლობაში და ნახავთ, რომ ნაოჭები გაფერმკრთალდება და კანი საოცარ ელფერს მიიღებს. რამდენიმედღიანი შუალედის შემდეგ შეგიძლიათ, კურსი გაიმეოროთ.

ავოკადოს ზეთი შეგიძლიათ შეიძინოთ ჩვეულებრივ აფთიაქებში ან ინტერნეტ-აფთიაქში.



**კითხვა: გთხოვთ, მასწავლოთ რაიმე ხალხური საშუალება პიგმენტური ლაქების მოსაშორებლად.**

**პასუხი:** კარგად გარეცხეთ და კანიანად გახეხეთ შავი ბოლოკი (იმდენი, რომ პრობლემური ადგილების დასაფარავად გეყოთ) და გაიკეთეთ კომპრესი 20 წუთის განმავლობაში. შემდეგ კი სახე გაიწმინდეთ ზეითუნის ზეთში შერეული ლიმონის წვენით.

**კითხვა: მართალია თუ არა, რომ დიეტის დროს კარგია იმბირის გამოყენება?**

**პასუხი:** ეს მართალია, რადგან, იმბირი შეიცავს ნივთიერება გინგეროლს, რომელიც ამ მცენარეს აძლევს მძაფრ გემოს, ხელს უწყობს ცხიმების წვას და, შესაბამისად – გახდომას.

**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძემ**

# როგორ ძარცვავდა ციხიდან გაქცეული მარტოხელა ბოროტმოქმედი ელიტას და სად გადაიხვეწა ის ცოლ-შვილთან ერთად

*პუბლიკაციის ზოგიერთი მონაწილის ვინაობა შევცვალეთ. მათი ვინმესთან მსგავსება შემთხვევითია, რისთვისაც წინასწარ გიხდით ბოდიშს.*

## გაქცევა

1969 წლის 9 ოქტომბერს, კომის ავტონომიური ოლქის დაბა ზასტავაში განლაგებული მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების №2 კოლონიიდან 37 წლის მერაბ გიორგაძე გაიქცა, რომელიც თერთმეტწლიან სასჯელს იხდიდა ყაჩაღობისთვის. რეციდივისტი გიორგაძე ოთხჯერ ნასამართლევი იყო და შავ სამყაროში მას კოჭლის მეტსახელით იცნობდნენ. ის თბილისში იყო დაბადებული, მაგრამ, ძირითადად რუსეთში მოღვაწეობდა და იქ მას კარგად იცნობდნენ. კოჭლის ცოლი – ანა და 5 წლის ვაჟი – ნოდარი, მოსკოვში ცხოვრობდნენ. და-ძმა და ნათესავები კი მას თბილისში ჰყავდა.

კოჭლმა კოლონიაში ელექტროენერგიის გათიშვით ისარგებლა, რომელიც, სულ რაღაც, ათი წუთით გამოირთო. მან ექვსი მავთულხლართი გადალახა თბილი ბუშლატის მეშვეობით და ქარბუქსა და ღამის წყვდიადში ტაიგას შეაფარა თავი. პატიმრის გაქცევის შესახებ ერთი საათის შემდეგ გახდა ცნობილი და მას ძაღლებიანი მდევარი დაადევნეს. თუმცა, ერთი საათის მერე მდევართა ოცეულის უფროსმა, მაიორმა ეგორ სარუხანოვმა, კოლონიის უფროსს, პოდპოლკოვნიკ ივან კოსტილიოვს მოახსენა:

– დევნის გაგრძელება შეუძლებელი იყო, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო! საშინელი ქარბუქია, ძაღლებიც თოვლში ჩარჩნენ, წინ ვერ მიიწევდნენ. დარწმუნებით შემიძლია, გითხრათ, რომ გაქცეული თოვლში ჩაიმარხა და ცოცხალი ვერ გადარჩება.

– ჰო, ასეთ ქარბუქში გასვლა შეუძლებელია, – თქვა კოსტილიოვმა, – მაგრამ, ვარაუდებს ვერ დავეყრდნობით და როგორც კი მეტეოპირობები ამის საშუალებას მოგვცემს, ძებნა უნდა დავიწყოთ. თუ კოჭლის ცხედარს ვერ ვიპოვით, მისი ძვლები მაინც უნდა აღმოვაჩინოთ.

სარუხანოვი და კოსტილიოვი დარწმუნებულები იყვნენ, რომ გიორგაძეს ჯერ თოვლი დამარხავდა, შემდეგ კი მას მგლები შეჭამდნენ. №2 კოლონიას ასი კილომეტრის რადიუსში გაუვალი ტაიგა აკრავდა გარს და სიახლოვეს რკინიგზაც კი არ გადიოდა. პატიმრები კოლონიაში სპეციალური სატვირთო მანქანით მიჰყავდათ რაიონული ცენტრიდან, რომელსაც მოლჩანკა ერქვა და ზასტავიდან 67 კილომეტრით იყო დაშორებული. მოლჩანკა პატარა დაბა იყო და იქ რკინიგზა გადიოდა, რომელიც რუსეთის ცენტრალური რაიონებისკენ იყო გაყვანილი. ზასტავიდან მოლჩანკამდე გზა ტაიგაში გადიოდა. ყოფილა შემთხვევები, როდესაც თოვლში გაჭედილ, პატიმრებით დატვირთულ სატვირთო მანქანებს მშიერი მგლების ხროვა დასხმია თავს და ყველანი შეუჭამიათ. ამიტომ, გაქცეულ პატიმარს იმ გზაზე გადარჩენის შანსი არ ჰქონდა, რადგან, ქარბუქს რომც გადარჩენოდა, მშიერ მგლებს ვერ დააღწევდა თავს.

**მერაბ გიორგაძე ორი პისტოლეტით იყო შეიარაღებული. მან 21 სტუმარს 823 ათასი მანეთის ძვირფასეულობა აართვა და მიიმალა**

10 ოქტომბერს, ანუ, კოჭლის გაქცევის მეორე დღეს, გამოიდარა და მდევართა ოთხმა ოცეულმა მისი გადაადგილების რამდენიმე სავარაუდო მარშრუტზე განახორციელეს მიდამოს დათვალიერება, თუმცა, ვერც გაქცეულის ცხედარს მიაგნეს და ვერც მის ძვლებს. ამიტომ, საბუთებში ჩაწერეს, რომ გიორგაძე გაიქცა და უგზო-უკვლოდ გაუჩინარდა.

## უგზო-უკვლოდ გაუჩინარებული

კოჭლის მეუღლე, ანა ბონდარენკო, პროფესიით ექთანი იყო და ერთ-ერთ საავადმყოფოში მუშაობდა. მიუხედავად იმისა, რომ 25 წლის ქალის მეუღლე უკვე ორი წლის განმავლობაში ციხეში იჯდა და უამრავი თაყვანისმცემელიც ჰყავდა, რადგან ლამაზი ქალი იყო, ქმრის ღალატი მას გუნებაშიც არ გაუვლია და მთელი თავისი ენერგია პატარა ნოდარზე ჰქონდა გადატანილი. ანა ყოველ მესამე ღამეს მორიგეობდა და, მართალია, ძალიან დაღლილი ბრუნდებოდა სახლში, მაგრამ, ჯერ ყველაფერს დააწკრიალებდა, შემდეგ კი წიგნებს მიუჯდებოდა და მეცადინეობდა. ანას სწავლის გაგრძელება უნდოდა სამედიცინო ინსტიტუტში და ძალიან მონდომებული იყო. მას დაქირავებული ჰყავდა ვინმე დეიდა ანია და, სანამ თვითონ სამსახურში იყო, ქალი პატარა ნოდარს პატრონობდა. ამაში ის ორმოცდაათ მანეთს იღებდა, რაც იმ პერიოდში სოლიდური ანაზღაურება იყო. ანას კოჭლის მეგობრებიც აქცევდნენ ყურადღებას და თითქმის ყოველ კვირას მიჰქონდათ მასთან სხვადასხვა რაოდენობის თანხა. ანა ფულსართმევდა მათ, თუმცა არ ხარჯავდა და ინახავდა, ბავშვს კი საკუთარი ნაოფლარით ზრდიდა, რადგან, მიაჩნდა, რომ არაწესიერი გზით ნაშოვნი ფულით გაზრდილი ბავშვი ბედნიერი ვერ იქნებოდა.



1969 წლის 12 ოქტომბერს, დილით, ოცდაოთხსაათიანი მორიგეობის შემდეგ, ანა შინ დაბრუნდა. მას დეიდა ანია შეეგება და უთხრა:

– ანუშკა, წუხელ ჩვენთან მილიცია იყო და შენ გიკითხეს. 9 ოქტომბერს შენი ქმარი ციხიდან გაქცეულა და აინტერესებდათ, ხომ არ გამოჩენილაო. მითხრეს, კიდევ მოვალთო და არ გაგიკვირდეს.

– ეეჰ, დეიდა ანია, – მიუგო ქალს ანამ, – არ მიკვირს. ამ ექვსი წლის განმავლობაში არაერთხელ ავუწიოკებივართ მე და ნოდარი მერაბის გამო.

ქალს სიტყვა არ ჰქონდა დასრულებული, რომ კარზე კაკუნის ხმა გაისმა. ანამ კარი რომ გააღო, ოთახში საშუალო სიმაღლის მამაკაცი შემოვიდა და მასპინძელს უთხრა:

– მე მაიორი კოზლოვი ვარ „მურიდან“. 9 ოქტომბერს თქვენი მეუღლე კოლონიიდან გაიქცა და, თუკი რამეს შეიტყობთ მასზე, აუცილებლად შეგვატყობინეთ. აი, ჩემი ტელეფონი.

ვიქტორ კოზლოვი „მურის“ ძებნის განყოფილების თანამშრომელი იყო და მერაბს კარგად იცნობდა. ჯერ კიდევ თორმეტი წლის წინ, სწორედ მან დაჭრა მერაბი ფეხში ერთ-ერთი დევნის დროს და მაშინ დაკოჭლდა მერაბი მარცხენა ფეხით. მეტსახელი „კოჭლიც“ მას მერე შეარქვეს. ანამ ეს ამბავი არ იცოდა. კოზლოვს უხმოდ გამოართვა ფურცელი, რომელზეც სამსახურებრივი ტელეფონის ნომერი ეწერა და უკან გაბრუნებულ მაიორს კარი მიუხურა.

– ახლა რა უნდა ქნა, ანუშკა? – ჰკითხა ანას ანია დეიდამ.

– რასაც ადრე ვაკეთებდი, ის. ნოდარი გავზარდო, ვიმუშაო და უმაღლესისთვის მოვემზადო.

– მილიცია რომ არ მოგასვენებს? ისინი ხომ შენს გაქცეულ ქმარს ეძებენ და, ალბათ, თვალყურსაც კი გადევნებენ, – უთხრა ანას დეიდა ანიამ, ამოიოხრა და დაამატა – ჩემი ქმარიც ქურდი იყო. მილიცია მას სულ უკან დასდევდა და ხშირად გვაწუხებდნენ ხოლმე – მათი მეთოდები მშვენივრად ვიცი.

– ერთი ბედის ქვეშ ვყოფილვართ, დეიდა ანია, – გაუღიმა ანამ ქალს, – მერაბი საკმაოდ გამოცდილია და ასე იოლად თავს არ დააჭერინებს მილიციას.

– ეეჰ, ანუშკა, – ამოიოხრა ქალმა, – ჩემი ფედიაც მაგარი ვინმე იყო, მაგრამ, მაინც მოიხელთეს და ჩემ თვალწინ მოკლეს. ეს რომ დავინახე, ოთხი თვის ორსულს მუცელი მომეშალა და იქვე დავბადე მკვდარი ბავშვი. შენ ღმერთმა გაშოროს ასეთი უბედურება.

ქალებს აღარ გაუგრძელებიათ საუბარი. დეიდა ანია ანას გამოემშვიდობა და წავიდა. ანა კი წიგნებს მიუჯდა და მეცადინეობას შეუდგა.

ამ დღიდან ორი კვირის შემდეგ, ანას მორიგეობის დღე უწევდა. ღამის 1 საათსა და 45 წუთზე ის საექთნოში შევიდა, რომ მაგარი ყავა დაელია, რადგან, ძალიან ეძინებოდა და როდესაც ჩაიდანი გაზზე დადგა, მას მხრებზე ვიღაცამ ხელები დაადო და ჩასჩურჩულა:

– ჩუმად, ანუშკა, არ შეკრთე.

– მერაბ! – აღმოხდა ქალს, შემოტრიალდა, ქმარს ჩაეხუტა და ჰკითხა – აქ როგორ მომაგენი?

– ერთი კვირაა გითვალთვალებ. სხვათა შორის, არც შენ გითვალთვალებენ ძაღლები და არც ჩასაფრებაა ჩვენს სახლთან.

– მერაბ, საყვარელო, ფრთხილად იყავი!

– ნუ გეშინია, ფრთხილად ვიქნები, – მიუგო ანას კოჭლმა, შემდეგ მას თავისი გაქცევის ამბავი მოუყვა და დაამატა – იმიტომ არ გითვალთვალებენ და ჩვენს სახლთან ჩასაფრება არ მოუწყვიათ, რომ ყველას მკვდარი ვგონივარ. ისეთი ადგილიდან და ისეთ დროს გამოვიქეცი, რომ გადარჩენის არანაირი შანსი არ მქონდა.

– აბა, როგორ გადარჩი?

– სრულიად შემთხვევით; შეიძლება ითქვას,

სასწაულებრივად. ტაიგაში რომ მოვრბოდი, საშინელი ქარბუქი ამოვარდა და თოვლში ჩავიმარხე. უკვე ვიგუდებოდი. უცებ მიწა გაიპო, საკმაოდ ღრმად ჩავვარდი და ცხელმა წყალქვეშა დინებამ წამიღო. თურმე, ასეთი დინებები ტაიგაში საკმაოდ ბევრია. ერთი სიტყვით, ერთმა მოხუცმა ტუნგუსმა მონადირემ მიპოვა გამოქვაბულში, სადაც ცხელმა დინებამ გონებამიხდილი გამომრიყა. ის ტუნგუსი მონადირე იმ გამოქვაბულში თავის ნანადირევს ინახავდა, თან თერმული წყლებით ძვლებს მკურნალობდა. ერთი სიტყვით, ერთი კვირა იმ ტუნგუსმა შემიფარა და მიპატრონა, შემდეგ კი მანვე გამომიყვანა სამშვიდობოზე, თან, თვითნაბადი ოქროს ნატეხი მაჩუქა და, აი, ახლა აქ ვარ.

– ღამით სად რჩები?

– დეიდა ანიასთან – ჩვენი ნოდარის ძიძასთან. მისი ქმარი, ფედია, „ძაღლებმა“ მოკლეს და კარგად ვიცნობდი. შენ რომ გითვალთვალებდი, დეიდა ანია მაშინ აღმოვაჩინე. მას „კუდზე დავაჯექი“ და პირდაპირ სახლში მოვედი. ერთი სიტყვით, „ძაღლების“ მოდუნებით უნდა ვისარგებლო.

**საზღვარზე გადაყვანისთვის აჭარელმა მეგზურმა კილოგრამენახევრიანი თვითნაბადი ოქრო მიიღო, რომელიც „კოჭლს“ ტუნგუსმა მონადირემ აჩუქა**

– რას აპირებ?

– ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება. ახლა კი წავედი. სულ მალე ისევ ერთად ვიქნებით.

### ტუნგუსი მონადირის საჩუქარი

მიუხედავად იმისა, რომ მერაბ გიორგაძეზე საკავშირო ძებნა იყო გამოცხადებული, მას არავინ ეძებდა, რადგან ის ყველას მკვდარი ეგონა, რითაც მშვენივრად ისარგებლა თავად კოჭლმა. მან 1970 წლის 30 აპრილს მოსკოვის მაღაზია „ბერიოზკაზე“ ყაჩაღური თავდასხმა მოაწყო, ინკასატორს ნავაჭრი – 32 ათასი დოლარი წაართვა და მიიმალა. კოჭლი მარტო მოქმედებდა და თავდასხმის დროს წვერ-ულვაში ჰქონდა მიწებებული. ამიტომ, ფოტორობოტის შედგენისას, თვითმხილველებმა გამომძიებლებს მისი არასწორი აღწერილობა მისცეს და ვერავინ მიხვდა, რომ ძარცვა კოჭლმა მოახდინა. ამიტომ, „მურის“ მაძებრები თავხედ მარტოხელას ეძებდნენ, რომელმაც დიდი რაოდენობის ვალუტა გაიტაცა და ისე მიიმალა, რომ კვალიც კი არ დაუტოვებია.

„ბერიოზკას“ ძარცვის საქმეს, მაიორი პავლოვი იძიებდა. ვალუტასთან დაკავშირებული საქმეები იმ პერიოდის საბჭოთა კავშირში ძალიან საშარო ამბად ითვლებოდა და უმკაცრესად, ზოგ შემთხვევაში კი სიკვდილითაც ისჯებოდა. ამიტომ, ჩეულებრივი საბჭოთა მძარცველები თითქმის არასოდეს ესხმოდნენ თავს ვალუტაზე მოვაჭრე მაღაზიებს. უფრო სწორად, ვალუტას არ იტაცებდნენ. „ბერიოზკასთან“ დაკავშირებული ისტორია გამონაკლისი შემთხვევა იყო და მაიორმა პავლოვმა, „მურის“ უფროსის მოადგილეს, გენერალ-მაიორ ვასილიევს მოახსენა:

– ანტონ ტროფიმოვიჩ, „ბერიოზკის“ მძარცველი ან უგუნური დილეტანტია, ან რაღაც სხვა კომბინაციასთან გვაქვს საქმე.

– ორივე შემთხვევაში, – სიტყვა შეაწყვეტინა ვასილიევმა პავლოვს, – მძარცველი თავხედი მარტოხელაა და თავისი საქმე „ფრიადზე“ შეასრულა. 32 000 დოლარი, უზარმაზარი თანხაა და მთავარი კი ისაა, რომ საქმე ვალუტას ეხება. ადრე ვალუტას არავინ იტაცებდა და მსგავსი დანაშაული ნამდვილად არ მახსენდება.

– ვალუტას გატაცება არა, მაგრამ, ასეთი მარტოხელა მძარცველი კოჭლი იყო, რომელიც ამ შვიდი თვის წინ ტაიგაში გაუჩინარდა. სავარაუდოდ, ის ზონიდან გაქცევის მერე მგლებმა შეჭამეს.

– დადასტურებული ფაქტია?

– არა. ოფიციალურად მასზე ძებნაა გამოცხადებული, მაგრამ, ქარბუქიან ტაიგაში, სადაც მშიერი მგლები დაძრწიან, გაქცეული პატიმარი ცოცხალი როგორ გადარჩებოდა? მით უმეტეს, რომ ასი კილომეტრის რადიუსში სულ გაუვალი ტყეებია.

– გასაგებია, მაგრამ, ამ კუთხითაც შეუდექით მუშაობას – რა იცით, რა ხდება. ერთი სიტყვით, „ბერიოზკის“ საქმე უმოკლეს დროში უნდა გაიხსნას.

მიუხედავად იმისა, რომ პავლოვს დიდი იმედი არ ჰქონდა, მან თავის ხელქვეითებს ანა ბონდარენკოზე თვალთვალი დაავალა, მის ბინასთან კი ჩასაფრება მოაწყო, სადაც ოცდაოთხი საათის განმავლობაში მილიციის ოპერჯგუფი მორიგეობდა, კოჭლი კი კვლავ დეიდა ანიასთან ცხოვრობდა და მისი მეშვეობით ეკონტაქტებოდა მეუღლეს. მერაბ გიორგაძეს ცოლ-შვილთან ერთად უცხოეთში გაქცევა სურდა და „ბერიოზკაზეც“ სწორედ ამიტომ მოაწყო თავდასხმა. გარდა იმ 32 ათასი დოლარისა, რომელიც მან სავალუტო მაღაზიიდან გაიტაცა, მის მეუღლეს, ანას, 15 ათასი მანეთი ჰქონდა დაგროვილი, რომელსაც მერაბის მეგობრები სჩუქნიდნენ. მას ქალი კი არ ხარჯავდა. სწორედ ის ფული გამოიყენა კოჭლმა, როდესაც მორიგ საქმეს ამზადებდა და ამ საქმის გაკეთება მას 1970 წლის 3 აგვისტოს ჰქონდა დაგეგმილი. იმ დღეს ცნობილი საბჭოთა პროფესორის, იური სენიცას დაბადების დღე იყო, სადაც ელიტური სტუმრები უნდა შეკრებილიყვნენ და, ლოგიკურად, უნიკალური სამკაულები ექნებოდათ. სწორედ მათ გაძარცვას აპირებდა კოჭლი. მან სპეციალურად ამ საქმისთვის მოიმარაგა პარიკები, დანიშნულ დროს შენიღბული მიადგა პროფესორის ბინას და დააკაკუნა. ხოლო, როდესაც კარი გაუღეს, ის ორი პისტოლეტით შეიარაღებული შეიჭრა შიგნით და ათ წუთში ოცდაერთ სტუმარს უნიკალური, ძვირფასი სამკაულები აართვა, რომელთა საერთო ღირებულებამ 823 ათასი მანეთი შეადგინა, რაც იმ პერიოდისთვის უზარმაზარი თანხა იყო.

სენიცას ბინაში მომხდარი ძარცვის შემდეგ მილიციას ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ამ ორი საქმის გამკეთებელი კოჭლი იყო და მისი ინტენსიური ძებნა დაიწყო. ანა ბონდარენკო ორჯერ წაიყვანეს დაკითხვაზე „მურში“ და ერთხელ ორი დღე-ღამე გააჩერეს იქ. გაჩხრიკეს, აგრეთვე, დეიდა ანიას ბინაც, მაგრამ, კოჭლი უკვე სხვაგან იყო გადასული და იქ გიორგაძის კვალის ნასახიც კი ვერ იპოვეს.

1970 წლის 2 ოქტომბერს, ანუ, კოჭლის კოლონიიდან გაქცევიდან ერთი წლის შემდეგ, აჭარის ერთ-ერთი მაღალმთიანი სოფლის მკვიდრმა, ასლან თურმანიძემ, ქალი და კაცი გადაიყვანა თურქეთის ტერიტორიაზე, რომლებსაც 6 წლის ბიჭი ახლდათ. არალეგალი ემიგრანტები მერაბ გიორგაძე, ნოდარ გიორგაძე და ანა ბონდარენკო იყვნენ... ასლან თურმანიძემ კი ჯილდოდ კილოგრამნახევრიანი თვითნაბადი ოქრო მიიღო, რომელიც კოჭლს ტუნგუსმა მონადირემ აჩუქა ტაიგაში...

**ნიკა ლაშაური**

## რა მოხდა ამ დღეს

### 14 იანვარი

1119 – იერუსალიმში დაარსდა ტამპლიერთა რაინდული ორდენი.

1900 – რომში შედგა ჯაკომო პუჩინის ოპერა „ტოსკას“ პრემიერა.

1953 – მარშალი ტიტო გახდა იუგოსლავიის პირველი პრეზიდენტი.

1972 – დანიაში გამეფდა დედოფალი მარგარეტ მეორე.

### 15 იანვარი

1200 – დაარსდა პარიზის უნივერსიტეტი.

1759 – გაიხსნა ბრიტანეთის მუზეუმი.

1797 – ლონდონში ჯონ ეტერინგტონი ქუჩაში გამოვიდა სრულიად ახალი ფორმის თავსაბურავით – ცილინდრით.

1880 – ლონდონის სატელეფონო კომპანიამ გამოუშვა პირველი სატელეფონო ცნობარი 255 ნომრის შემცველობით.

### 16 იანვარი

1920 – ამოქმედდა ამერიკის კონსტიტუციის მე-18 შესწორება – ქვეყანაში ძალაში შევიდა „მშრალი კანონი“.

1957 – ლივერპულში, Matthews Street-ზე, ყოფილ ღვინის სარდაფში, გაიხსნა The Cavern Club („გამოქვაბული“), სადაც შედგა „ბითლზის“ დებიუტი.

1963 – ხრუშჩოვმა ოფიციალურად განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირს აქვს 100-მეგატონიანი წყალბადის ბომბი.

1979 – ირანში მოხდა „ისლამური რევოლუცია“. ჩამოაგდეს შაჰი მუჰამედ რეზა ფეჰლევი. ყოფილი მმართველი ეგვიპტეში გაიქცა.

### 17 იანვარი

1475 – რუმინეთის ქალაქ ვასლუისთან მოხდა ბრძოლა მოლდავეთის ჯარებსა და ოსმალეთის იმპერიის ჯარებს შორის. მოლდავეთის მეფის, სტეფანე მესამის 47 000-იანმა არმიამ გაანადგურა სულეიმან ფაშას 120 000-იანი არმია.

### 18 იანვარი

1535 – ესპანელმა კონკისტადორმა ფრანსისკო პისარომ დააარსა პერუს დღევანდელი დედაქალაქი – ლიმა.

1995 – იაპონიაში მოხდა მიწისძვრა. დარტყმითმა ტალღამ გადაუარა ქალაქებს: კობეს, კიოტოს, ოსაკას, ნარას, ოკაიამას, კუნძულ ჰონსიუს. დაღუპულთა რიცხვმა 3 160-ს მიაღწია, 800 უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

### 19 იანვარი

1826 – ნიუ-იორკში ეზრა დეგეტმა და მისმა ძმისშვილმა, ტომას კენსეტმა, დააპატენტეს თუნუქის ქილებში ორაგულის, ხამანწკების და ომარების კონსერვაციის მეთოდი.

1903 – პირველად გამოაცხადეს დღეისთვის ყველაზე პოპულარული ველორბოლის – „ტურ დე ფრანსის“ ჩატარების შესახებ.

1915 – პარიზელმა ჟორჟ კლოდმა დააპატენტა ნეონის სარეკლამო აბრა.

### 20 იანვარი

1265 – გრაფმა ლესტერსკიმ პირველად მოიწვია ინგლისის პარლამენტი.

1778 – ინგლისელმა ზღვაოსანმა ჯეიმს კუკმა აღმოაჩინა ჰავაის კუნძულები. ერთი წლის შემდეგ ის ხელახლა მიადგა ამ კუნძულებს, სადაც ის აბორიგენებმა მოკლეს.

1841 – ჩინეთმა ჰონკონგი დიდ ბრიტანეთს დაუთმო.

1892 – ამერიკის პატარა ქალაქ სპრინგფილდში ჩატარდა პირველი ოფიციალური მატჩი კალათბურთში სტუდენტებს შორის.

1946 – ამერიკის პრეზიდენტმა ტრუმენმა დააარსა ცენტრალური სადაზვერვო ჯგუფი, შემდგომში მას „ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო“ ეწოდა.

# რის გამო გაწირა საპატარძლომ სასიძო ქორწილის წინ



ახალი წლის ღამეს 45 წლის შალვა ვ. ციხეში აღმოჩნდა. ბრალდებული იმ დღეებში სიძე უნდა გამხდარიყო, მაგრამ, საპატარძლომ ქეთევან ს-მ, ცოლად გაყოლის ნაცვლად, საქმრო პოლიციას დააჭერინა. ამის მიუხედავად, დაკავებული აცხადებს, რომ ქეთევანის გარდა სხვას არავის შეირთავს, მაგრამ, დაითანხმებს თუ არა მშობლებს, ძნელი სათქმელია.

იარაღის უკანონო ტარებისთვის დაკავებული შალვა ვ. გამართლდა, მაგრამ სამართალდამცველებმა მისი გათავისუფლება არ მოინდომეს. შესაბამისად, მიყენებული მუხლი მას ხულიგნობით შეუცვალეს და სასამართლოს წელიწად-ნახევრით პატიმრობაც მოსთხოვეს. პროკურატურის დაუსაბუთებელი თხოვნა დაკმაყოფილდა, თუმცა, განსასჯელი მეორე ინსტანციამ დაინდო და პატიმრობა პირობითი სასჯელით შეუცვალა.

ქალი, ვის გამოც შალვა ვ. ციხეში აღმოჩნდა, გაუთხოვარი 44 წლის ქეთევან ს-ია. როგორც ქეთევანის ძმა ჩვენებაში აცხადებს, მის დას უმწიკვლო რეპუტაცია აქვს, გასათხოვარი კი მხოლოდ იმ მიზეზით დარჩა, რომ ჯერ სწავლას, შემდეგ კი სამუშაოს ძებნას გადაჰყვა, რის გამოც „სხვა რამეებისთვის" არ ეცალა. „არავის მივცემ უფლებას, ჩემს დას შეურაცხყოფა მიაყენოს და სახელი შეუბღალოს,"– განაცხადა დაზარალებულის ძმამ, რომელიც შალვა ვ-ზე დის გათხოვების კატეგორიული წინააღმდეგია. არადა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კურსდამთავრებულს, 44 წლის ქეთევან ს-ს ერთი დღეც არ უმუშავია. ინციდენტამდე ერთი კვირით ადრე, სასურსათო მაღაზიაში გამოსაცდელი ვადით კი დასაქმდა, მაგრამ, მომხდარის გამო, ისევ უმუშევარი და ისევ გასათხოვარი დარჩა. მართალია, შალვა ვ. კვლავ აპირებს მის ცოლად მოყვანას, მაგრამ, რა მოხდება, არავინ იცის. საქმე ისაა, რომ შალვას მშობლებს სარძლო თვალის დასანახავად არ უნდათ, რაც სრულიად ბუნებრივია – მის გამო მათი შვილი პატიმარი გახდა. ეს ოჯახისთვის სრული კატასტროფაა, მაგრამ, უმთავრესი მიზეზი საპატარძლოს ასაკია...

საბრალდებო დასკვნის თანახმად, 31 დეკემბერს, ღამის დაახლოებით 20:30 საათზე, შალვა ვ. ნუცუბიძის ქუჩაზე მდებარე სასურსათო მაღაზიაში მივიდა, სადაც ქეთევან ს. იმყოფებოდა და გარეთ გაყოლა სთხოვა. ქალმა უთხრა, რომ არ ეცალა, მაგრამ, მას შემდეგ, რაც გამყიდველი თვალს მიეფარა, ქეთევანმა შალვას ანიშნა, მალე გამოვალო, რის შემდეგაც შალვა ვ-ს, ხელი რომ არ შეეშალა, გარეთ გავიდა, მაგრამ, საკმაო დროის გასვლის მიუხედავად, ქეთევანი არ ჩანდა. შალვა ვ. იძულებული გახდა, ისევ მაღაზიაში შესულიყო, სადაც ქეთევანი კვლავ გამყიდველს ესაუბრებოდა. მისი დანახვისთანავე, გამყიდველმა უკვე ხმამაღალი ტონით უთხრა, რომ მაღაზია მისი იყო და იქ ფეხი აღარ შეედგა, ქეთევან ს-მ კი მკაცრად უთხრა, რომ მისთვის თავი დაენებებინა.

შალვა ვ-ს ქეთევანის საქციელი გაუკვირდა, მაგრამ, ხმა არ ამოუღია, რადგან ქალმა ფარულად კვლავ გაუცინა და ხელით ანიშნა, გარეთ დალოდებოდა. შალვა ვ-მ მაღაზია ისევ დატოვა, თუმცა, ვინაიდან ციოდა, გვერდით მდებარე მაღაზიაში 300 გრამი არაყი იყიდა და გასათბობად დალია.

გამოძიების მასალებით, შალვა ვ. მაღაზიაში მესამედაც შევიდა, ქეთევანს დაენახვა, კვლავ ანიშნა, რომ ელოდებოდა და ისევ გარეთ გავიდა, ქალი კი, კვლავ არ ჩანდა, რის გამოც შალვა ვ-მ მას მობილურზე დაურეკა, მაგრამ ქალმა ტელეფონზეც არ უპასუხა. გამოძიების მასალებით, ალკოჰოლური სასმლით მთვრალმა შალვა ვ-მ ქალზე შურისძიება განიზრახა, რის გამოც, გვერდით მდებარე მაღაზიაში საახალწლო მაშხალები, ეგრეთ წოდებული „ხლაპუშკები" შეიძინა და მისი აფეთქება რიგრიგობით დაიწყო. შეშინებულ ქალებს ეგონათ, რომ კაცი პისტოლეტიდან ისროდა, რადგან მას ხელში პისტოლეტი ნამდვილად ეჭირა და ყვირილი ატეხეს, რის გამოც ხალხი შეიკრიბა. შალვა ვ. ქალებს არწმუნებდა, რომ იარაღი სათამაშო იყო და, უკვე ძალდატანებით, ქეთევან ს. ქუჩაში გაიყვანა, სადაც, მომხდარი გაუგებრობის გამო საქმის გარჩევა დაუწყო, რა დროსაც კვლავ პისტოლეტი ეჭირა ხელში. სწორედ ამ დროს, მათ გვერდით ავტომანქანა გაჩერდა, რომლითაც შალვა ვ. წასვლას აპირებდა და ქეთევან ს-საც მანქანაში ჩაჯომას აიძულებდა, მაგრამ მოულოდნელად გამოჩნდა პოლიციის მანქანა, რომლის ეკიპაჟის წევრები ჯერ მაღაზიაში, შემდეგ კი შალვა ვ-სკენ წავიდნენ და ხელზე ბორკილები დაადეს. როგორც დაკავებული, ისე მისი მეგობარიც, პოლიციას არწმუნებდნენ, რომ არაფერი დაუშავებიათ, მაგრამ...

### საქორწინო გარიგება

შალვა ვ-მ და ქეთევან ს-მ ერთმანეთი ინტერნეტით გაიცნეს, რამდენიმე თვის განმავლობაში ესაუბრებოდნენ ერთმანეთს და ბოლოს შეხვედრა გადაწყვიტეს.

საგულისხმოა, რომ ინტერნეტსივრცეში შალვას „ნიკა", ხოლო ქეთევანს „ანი" ერქვა და 32 წლის იყო. ასაკი „ნიკამაც" მოიტყუა. ქალისთვის შესაფერისი რომ ყოფილიყო, უთხრა, რომ 35 წლის ხდებოდა. ჯერ კიდევ შეხვედრებამდე მათმა ურთიერთობამ იმდენად სერიოზული სახე მიიღო, ლამის ვირტუალურად იქორწინეს, რადგან, ერთმანეთს უმტკიცებდნენ, რომ უერთმანეთოდ ცხოვრება აღარ შეეძლოთ. საბოლოოდ კი შეხვედრის დღეც დათქვეს; უფრო სწორად, ქალმა კაცი დაქალის დაბადების დღეზე დაპატიჟა, სადაც შალვა ვ. საგანგებოდ გამოწყობილი მივიდა, მაგრამ, სახტად დარჩა: 32 წლის ანის ნაცვლად მის წინ 44 წლის ქეთევანი იდგა, მაგრამ ვინაიდან დარწმუნებული იყო, რომ ის უყვარდა და მასთან ურთიერთობა სიამოვნებდა, ასაკთან დაკავშირებული ტყუილი არ შეიმჩნია და ურთიერთობა ძველებურად განაგრძო. მეტიც, ვინაიდან ყველაფერზე ნალაპარაკევი ჰქონდათ, ერთმანეთს ოჯახის წევრები გააცნეს და ორ თვეში, ანუ, საახალწლოდ, დაქორწინება გადაწყვიტეს.

მოლაპარაკების თანახმად, წყვილი ძველით ახალ წელს შალვას სახლში შეხვდებოდა, რასაც ქალი, რა თქმა უნდა, სიხარულით დასთანხმდა, მაგრამ, მისი მხრიდან ერთი პირობა იყო შესასრულებელი: შალვამ საცოლეს სთხოვა, ჩემი ოჯახის წევრებთან თქვი, რომ 35 წლის ხარო. მაგრამ, ქალი წინააღმდეგი წავიდა, რადგან მიაჩნდა, რომ ცხოვრება ტყუილით არ უნდა დაეწყოთ.

სწორედ ამ საუბარს მოჰყვა მათ შორის უთანხმოება. ვინაიდან ქალმა ტყუილის თქმა იუკადრისა, უკან არც შალვამ დაიხია და უსაყვედურა, რა მიზანი გქონდა, როცა შენს ასაკს მატყუებდიო. ქალს ამაზე ერთადერთი პასუხი ჰქონდა – ჩემს ყველა მეგობარს თავისზე უმცროსი ქმარი ჰყავდა, მაგრამ, კაცისთვის ეს არგუმენტი არადამაკმაყოფილებელი იყო...

საბოლოოდ, ამ ყველაფერმა საახალწლოდ დაგეგმილი ქორწინება ჩაშალა. იმის მიუხედავად, რომ ოჯახებს შორის ყველაფერი მოლაპარაკებული იყო, ქეთევანმა გამოაცხადა, რომ აღარ თხოვდებოდა და დაქალის მაღაზიაში გამოსაცდელი ვადით მუშაობა დაიწყო.

ქეთევანისგან განსხვავებით, შალვას თავის ოჯახში გეგმების ცვლილებებზე არაფერი უთქვამს და ყველა მეგობარი გააფრთხილა, 13 იანვარს არსად წასულიყვნენ, რადგან, ცოლი მოჰყავდა, ერთ-ერთი მათგანი კი ქეთევანის მაღაზიასთან მანქანით დაიბარა...

განსასჯელის ჩვენებიდან: „წინა საღამოს ქეთის დავურეკე, ვუთხარი, რომ ყველაფრის მიუხედავად, მიყვარდა და შევრიგდით. მოვილაპარაკეთ, რომ ახალ წელს ჩემთან შევხვდებოდით და წინასწარ შევთანხმდით, რომ ამის შესახებ ოჯახში არც ერთი არ ვიტყოდით, მაგრამ, ქეთიმ მითხრა, რომ ჩვენი დაშორების შესახებ მისმა ოჯახმა და მეგობრებმა უკვე იცოდნენ და მთხოვა, მისთვის დრო მიმეცა.

ამაზე რომ არ დავთანხმდი, ბოლოს თვითონვე თქვა, ახსნა-განმარტებების ჩაბარებას არავისთვის არ ვაპირებო და დამპირდა, რომ მეორე დღეს ცოლად გამომყვებოდა, თუმცა, არ უნდოდა, ეს ამბავი მაღაზიაში მყოფ მის მეგობარ მარინას გაეგო, რადგან, მას, თურმე, ერთმანეთის შესაფერისად არ მივაჩნდით. საბოლოოდ, ყველაფერზე შევთანხმდით და ჩემი მეგობარი მაღაზიასთან მანქანით დავიბარე. გავთვალე, რომ, ვინაიდან მაღაზია 11-ზე იკეტებოდა, ქეთის მე წავიყვანდი და ყველანი ჩემთან სახლში შევხვდებოდით ახალ წელს", – განაცხადა განსასჯელმა, რომელსაც ვერაფრით აეხსნა, რატომ მოექცა საცოლე უცხოსავით, მით უმეტეს, აღმოჩნდა, რომ მისმა მეგობარმა მარინამ მათ შესახებ რეალურად, არაფერი იცოდა. როგორც თავად მარინამ განაცხადა პორცესზე, მათი ამბავი რომ სცოდნოდა, პოლიციას არავითარ შემთხვევაში არ გამოიძახებდა...

ამის გამო ქეთევან ს-მ სასამართლოზე თავი დაიდანაშაულა. ხოლო მოსამართლის კითხვაზე – რატომ არ უთხრა მეგობარს სიმართლე, ან, რატომ მოატყუა საქმრო, ქეთევან ს-მ განაცხადა, რომ იხუმრა...

მის „ხუმრობას" კი შალვას ოჯახის გაღიზიანება მოჰყვა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მათ სარძლოს ასაკი შეიტყვეს...

რეალურად რა დააშავა შალვა ვ-მ, ძნელი სათქმელია. ის იარაღის უკანონო ტარებისთვის დააკავეს, მაგრამ, უტყუარად დადგინდა, რომ პისტოლეტი სათამაშო იყო. თუმცა, გამოჩნდნენ მოწმეები, რომლებმაც დაადასტურეს, რომ შალვა ვ. ქუჩაში არა მხოლოდ ყვიროდა, იგინებოდა კიდეც... ამის გამო კი გამოძიებამ დაასკვნა, რომ მისი მხრიდან ადგილი ჰქონდა ხულიგნობას და შალვა ვ-სთვის ერთი წელი პატიმრობა მოითხოვა, თუმცა, ბრალდებულს პატიმრობა პირობითი სასჯელით შეეცვალა...

**ეკა ბარაბაძე**

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს



**რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მევლუდ მელაძე**

**კითხვა: მყავს ავტომობილი „ოპელ ვექტრა”. შევიძინე ახალი სამუხრუჭე ხუნდები, მაგრამ, ხმარებიდან სულ ცოტა ხნის შემდეგ წრიპინი დაიწყო. მთელი დღის განმავლობაში ეს ხმა აქვს და არ ვიცი, რა ვუშველო. რისი ბრალია ეს: ხუნდების, სამუხრუჭე სისტემის თუ სხვა რამეა მიზეზი?**

**პასუხი**: თუკი ხუნდები შეცვალეთ და ის აწივლდა, იმას ნიშნავს, რომ ისინი ნაკლებად ხარისხიანი აღმოჩნდა. ხუნდებს რამდენიმე თვისება უნდა ჰქონდეს: პირველი – არ უნდა ხმაურობდეს; მეორე – იოლად არ უნდა ცხელდებოდეს და მესამე – კარგად უნდა იჭერდეს. თუ ამ სამიდან რომელიმე დარღვეულია, ნიშნავს, რომ უკვე პრობლემები გაქვთ. ყველაზე მნიშვნელოვანი და ყურადღების მისაქცევი, რა თქმა უნდა, მესამე თვისებაა. თუ ხუნდები არ იჭერს ის სასწრაფოდ გამოსაცვლელია. მეორე რიგში, რომ არ ხურდებოდეს. ასე, რომ თუ თქვენი ხუნდები პირველ ორ თვისებას აკმაყოფილებს, მაშინ მისი მოხმარება შეგიძლიათ. მაგრამ რადგან წივილის ხმას გამოსცემს, სათუოა, რომ სხვა დანარჩენი ფუნქცია მან კარგად შეასრულოს. თუმცა, არსებობს ხუნდები, რომლებიც არ ხმაურობს, მაგრამ, მთელ სისტემას ჭამს, ყველაფერს ცვეთს. ამიტომ, შეიძინეთ ნორმალური, ცნობილი ბრენდის ხუნდები.

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
>
> **მიხაილ შუმახერი**

**კითხვა: მყავს ავტომობილი „მიცუბიში პაჯერო იო”, 1999 წლის. ამ ბოლო დროს შევატყვე, რომ აღმართზე უკუსვლით ასვლა უჭირს – საბურავები თითქოს ბუქსაობს და ოდნავ წინ მიგორავს. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?**

**პასუხი**: ამას რამდენიმე მიზეზი შეიძლება ჰქონდეს: ჯერ ერთი, გასარკვევია, თუ რა დონის აღმართზეა საუბარი, ანუ, თუ ძალიან მკვეთრი დაღმართია, მასზე „დე”-ში ჩაგდებული ავტომობილიც კი დაგორდება. შესაბამისად, ძალიან მკვეთრ აღმართზე ასვლა უკუსვლით საკმაოდ გაჭირდება. ამ შემთხვევაში, თქვენ შეგიძლიათ, დამატებითი წინა ხიდი ჩართოთ, რომელიც უპრობლემოდ მოერევა მსგავს რთულ ამოცანას. თუ აღმართი არც ისეთი დაქანებულია, მაშინ, შეიძლება ორგვარი პრობლემა შეიქმნას: სავარაუდოდ, გამოსაცვლელია ავტომატური კოლოფის ზეთი. ის, როგორც იცით, მოდების ფუნქციას ასრულებს, ანუ ზეთის წნევის ხარჯზე ხდება იმ ფუნქციების ჩანაცვლება, რასაც მოდება იღებს საკუთარ თავზე. ასევე, შეიძლება გააჩნდეს კბილანას პრობლემა – შესაძლოა, დაზიანებულია უკუსვლის კბილანა. თუკი ეს ყველაფერი არ ხდება ძალიან მკვეთრ აღმართზე და ხიდების ჩართვამაც არ უშველა, მაშინ, გირჩევთ, მიაკითხოთ ხელოსანს, რომელიც ზუსტ დიაგნოზს დაუსვამს თქვენს ავტომობილს.

**კითხვა: მოდელებიდან: „მერსედეს ესელ 55 აემჯი”, „ესელერ”, „ბეემვე ემ6” და „ემ5” რომელია უფრო სწრაფი? იქნებ თანმიმდევრულად დამიხასიათოთ?**

**პასუხი**: ჩამოთვლილი ოთხი მოდელიდან „ესელ 55“, „ემ 5“ და „ემ 6“ დაახლოებით ერთი კლასის მანქანებია და შეიძლება მათი შედარება, მაგრამ, რაც შეეხება „ესელერ მაკლარენს“, ეს სულ სხვა კლასის სუპერკარია, რომელიც ბევრად მაღლა დგას აღნიშნულ მოდელებზე. მოკლედ დაგიხასიათებთ თითოეულ მათგანს: „ესელ 55“ გახლავთ მაღალი კლასის როდსტერი, რომელსაც აქვს ძლიერი ძრავა და შედარებით უფრო სპორტული დაკიდების სისტემა, სტანდარტულ „მერსედესებთან“ შედარებით, თუმცა, ის არ არის სპორტული ავტომობილი და, ამ თვალსაზრისით „ემ5-სა“ და „ემ6-თან“ შედარებით, მხოლოდ მძლავრ და სწრაფ როდსტერად რჩება. რაც შეეხება „ბეემვე ემ5“ და „ემ6-ს“, ასევე, გახლავთ ძლიერი და სწრაფი „სედანი“ და კუპე, თუმცა მათში უფრო მეტად ჭარბობს სპორტული ხასიათი, რაც გამოიხატება მათში განთავსებულ ძრავაში, გადაცემათა კოლოფში, დაკიდებაში და ასე შემდეგ. „ესელერ-მაკლარენი“ კი გახლავთ ძალიან ძვირად ღირებული სუპერკარი, რომელშიც გამოყენებულია მაღალი ტექნოლოგიები და პარამეტრებით ბევრად სწრაფია ვიდრე დანარჩენი სამი მანქანა, თუმცა, აქვე დავძენ, რომ არც „ესელერი“ გახლავთ „სუფთა სისხლის“ სპორტული მანქანა, თუკი შევადარებთ მის კლასში არსებულ „ფერარის“, „ლამბორჯინის“ თუ სხვა სპორტულ ავტომობილებს.

**კითხვა: რომელი ავტომობილის ყიდვას მირჩევთ საქართველოს გზებზე – „ჯე” კლასის „მერსედესს” თუ „ტოიოტას ჯიპ ლენდ კრუიზერ 200-ს“? ორივეს დიზელის ძრავა აქვს და უფრო გამძლეობის მხრივ მაინტერესებს, ვიდრე სხვა კრიტერიუმებით.**

**პასუხი**: ორივე ავტომობილი იმდენად გამძლეა და იმდენად ამართლებს თავიანთ სახელს – „ჯიპს“, რომ მათი შედარება ცოტა რთულია. მაგრამ, ორივეს საკუთარი განსაკუთრებული ღირსებები აქვს, ანუ, რაღაც ასპექტში ერთი აჯობებს, რაღაც კუთხით – მეორე. პირადად მე რომ ვყიდულობდე, კრიტერიუმად ავიღებდი იმას, რომლის შენახვაც უფრო იაფი დამიჯდებოდა, რადგან, გამძლეობა ორივეს არაჩვეულებრივი აქვს. უბრალოდ, „ტოიოტას” შენახვა გაცილებით ადვილია, ვიდრე „მერსედესის”. „ლენდ კრუიზერი” უფრო მარტივი და, თან, ცოტა დეტალით არის აწყობილი, განსაკუთრებით – სავალ ნაწილში და მისი ნაწილებიც გაცილებით იაფია. გარდა ამისა, „ტოიოტას” სავალი ნაწილის სისტემა ისე აქვს მოწყობილი, რომ, თუ რაღაც ზედმეტად არასტანდარტულ სიტუაციაში არ აღმოჩნდით, მისი გაფუჭება პრაქტიკულად შეუძლებელია, ანუ, ისეა მოწყობილი, რომ თავს არ იფუჭებს. ელემენტარულ მაგალითს მოვიყვან: სავალი ნაწილის სამაგრების დახრა. „მერსედესში” ის სწორკუთხოვნად არის განთავსებული და, მიუხედავად იმისა, რომ მას „ტოიოტაზე” გაცილებით ძლიერი დეტალები აქვს, მაინც უფრო ადვილად ფუჭდება. წარმოვიდგინოთ ჯოხი, რომლის გატეხვასაც შუა ნაწილში ვცდილობთ, ის ძალიან ადვილად გატყდება. „ტოიოტას” შემთხვევაში კი ეს „ჯოხი“ ისეა გადებული, რომ მის მხოლოდ ერთ, განაპირა კუთხეზე ხდება დაწოლა და, შესაბამისად მის გასატეხად გაცილებით მეტი ძალაა საჭირო. ეს ძალიან უხეში შედარებაა, მაგრამ, კარგად აღსაქმელად გამოდგება. ანუ, „ტოიოტაში” დეტალების დახრის კუთხე უკეთაა შერჩეული – ისეა გაკეთებული, რომ ნაკლები დაწოლა მიიღოს. „მერსედესს” სწორკუთხოვანი გადაბმები აქვს, მაგრამ, გაცილებით უფრო მასიური და ძლიერი დეტალებისგან არის აკრეფილი და სწორედ ამის ხარჯზეა გამძლე. ანუ, იაფი ნაწილების სწორი პოზიციით დამონტაჟება აქცევს მას უფრო იაფად შესანახ ავტომობილად, თორემ, როგორც დასაწყისში ვთქვი, ორივე ძალიან გამძლეა.

**ჟურნალი „თბილისელები“ გირჩევთ:**

** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*

** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*

** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*

** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*

*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**



გერმანიის ფეხბურთის გუნდი

ნიუ-იორკის შტატის ცენტრი

საყოველთაო ლოცვა

ფიტც-ჯერალდი

სანახავი

აფხაზეთის "ახალი"

რუსული თქმულება

ზრდა

ავსტრიელი პოეტი

პუგაჩოვა

კაცის სახელი კავკასიაში

ჩეხი „კარლო"

პირველი ქალი

ვერდის ოპერა

(......) კლაუსი

ყინულს ახასიათებს

ტარიელის მამა

ზედმეტი, უსარგებლო ტვირთი

იუპიტერის თანამგზავრი

ინგლისური საზომი

პუშკინის გადიას ერქვა

გრამატიკული კავშირი

რაჭველების კინორძალი

დღესასწაული

სიღნაღის რაიონის სოფელი

კედლის სანათი

ფირნიში

ჭადრაკის ფიგურა

წურბელების ვაჭარი ზღაპარში

მსახიობი ზელიონაია

პატიმრობა ასეთიც არის

გალია ზოოპარკში

საახალწლო სუფრაზე არ არის

ძველბერძნული ჭურჭელი

დაეჭვების სიტყვა

ადვილი ანუ?

გაშლილი სივრცე

აშშ-ის შტატი

ტური

პლანეტა

ვულკანიდან იფრქვევა

მშობელი

პატარა ფრინველი

დამტკიცება არ სჭირდება

მთის ბუჩქბალახი

ნაწილი

ჭრილობა

საფრანგეთის ქალაქი

კურორტი რაჭაში

მიამიტი

ჩვენი მდინარე

(.......) დუმბაძე

(.....) ჩარლზი

მეშვიდე ნოტი

მუჰამედ ალი

(......) სარაჯიშვილი

კავკასიონზეა მიჯაჭვული

ნორჩი, ნედლი

(....) დე მოპასანი

ყურძენი

ჰოკეის მოედნის ნაწილი

გაზაფხულის ყვავილი

ცხელი სასმელი

(.......) შევჩენკო

(........) წყნეთელი

დროებითი სადგომი

რუსი ილუზიონისტი

ფრანგი მსახიობი კაცი

უკრაინის პარლამენტი

შენობის ნაწილი

რუსეთის მდინარე

ნიჩბები აქვს

ძიუდოს თანრიგი

ნაბიჯით (......)!

საგაზეთო წერილი

ავსტრიის დედაქალაქი

ჩაპაევის მეტყვიამფრქვევე წყალი

მცირე ფასის

(........) ცვეტაევა

ინგლისელი პოეტი თომას....

Column clues:

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | 1 | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | 1 | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | 1 | | | | | | 1 | 2 | | 2 | 2 | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | 6 | 1 | 6 | | 1 | 6 | | 1 | 3 | 2 | 2 | 1 | 2 | 2 | 2 | 9 | 2 | 2 | 2 | 3 | | | 8 | | | | |
| 1 | 4 | | 5 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 4 | 3 | 1 | 1 | 2 | 2 | 5 | 2 | 1 | 2 | 2 | 4 | | 4 | 2 | 8 | | | |
| 3 | 1 | 3 | 4 | 1 | 4 | 3 | 3 | 4 | 1 | 4 | 2 | 3 | 2 | 2 | 2 | 3 | 2 | 4 | 1 | 4 | 3 | 3 | 14 | 2 | 4 | 2 | | | |
| 1 | 1 | 1 | 1 | 6 | 3 | 2 | 2 | 3 | 6 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 6 | 3 | 2 | 2 | 3 | 6 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |

Row clues:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 2 | 3 | 1 | 2 |
| | 1 | 1 | 1 | 2 | 1 |
| | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| | 2 | 1 | 1 | 1 | 1 |
| | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| | 2 | 3 | 1 | 2 | 9 |
| | | | | | 11 |
| | | 1 | 1 | 2 | 2 |
| | | 1 | 1 | 1 | 2 |
| | | | 1 | 1 | 4 |
| | | 1 | 1 | 2 | 5 |
| | | 1 | 2 | 2 | 5 |
| | | | 9 | 2 | 7 |
| | | 2 | 2 | 9 | 2 |
| | | 1 | 6 | 1 | 2 |
| | | | | 1 | 2 |
| | | | | 9 | 8 |
| 2 | 4 | 2 | 2 | 4 | 2 |
| 1 | 6 | 2 | 2 | 6 | 1 |
| | 3 | 3 | 5 | 3 | 3 |
| | 2 | 2 | 5 | 2 | 2 |
| | | 2 | 2 | 2 | 2 |
| | | 3 | 3 | 3 | 3 |
| | | | | 6 | 6 |
| | 4 | 4 | 9 | 4 | 5 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | 4 | 3 | | | | 2 | 8 |
| 5 | | 7 | 6 | 2 | 4 | 9 | | 3 |
| | 9 | 2 | | 1 | | 6 | 5 | |
| 7 | 3 | | 4 | | 2 | | | 1 |
| | 4 | | 1 | 7 | | 8 | | 9 |
| 1 | | 9 | 8 | 3 | 5 | 2 | 4 | |
| | | 6 | | 4 | | | 8 | 2 |
| 8 | | 3 | 9 | | | 4 | | 5 |
| | 5 | | 2 | 8 | 7 | | 9 | |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 8 | | | | | | | |
| | | 5 | | 1 | 7 | | | 4 |
| 1 | 6 | | 4 | | | 3 | 7 | |
| | | | | | 5 | | | |
| 7 | 2 | | 3 | | | | | 1 |
| | | 1 | | 7 | | | 8 | |
| 9 | | | 8 | | 1 | | | |
| | 1 | 2 | | | | | 3 | 8 |
| 8 | | | 5 | 3 | | 7 | | 9 |

# ხარბი მტრედები




## ჩაწერე ზღაპრის გმირების შესაბამისი რიცხვები

①  ○ ხარბები

②  ○ უგუნურები

③  ○ ბრძენი

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. წრის ფორმით დაიწყეთ პინგვინის თავის ხატვა



2. პინგვინს მიახატეთ საწოვარას ფორმის ცხვირ-პირი



3. გამოკვეთეთ პინგვინის სახე



4. მიახატეთ თვალ-წარბი და ქუდი





5. პინგვინს მიახატეთ ტანი და ხელები, შემდეგ ქუდზე — პომპონი



6. მიახატეთ ფეხები და ქოჩორიც



7. გააფერადეთ

ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია
თაბუკაშვილის №36
ტელ.: 272 9191

# იპოვეთ ათი განსხვავება





## რა გზით დაეწევა ბავშვი თოვლის ბაბუას



## დათვალე ნივთები და მიაწერე რიცხვები



# ტოროლა

## (იგავ-არაკი)

ტოროლა მახეში გაება და ატირდა:

– საწყალო ჩემო თავო, რა უბედური ხარ. ოქრო შენ არ მოგიპარავს და ვერცხლი, ერთი ბეწო პურის მარცვლისთვის გერგო ამოდენა სასჯელიო.

არაკი იმაზეა თქმული, ვინც მცირე გამორჩენას ეძებს და დიდ ზარალს კი წააწყდება ხოლმე.

## რიცხვრებუსი

,6,,, 2,, 5,,, ,,,5

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| დროის მაჩვე-ნებელი | | ცეცხლის ასანთები / ცეცხლის ნაწილი | | პატარა მღრღნელი / მუს. ბგერა |
| | | | | |
| | | | | |

# ვეტერინარის რჩევები



რუბრიკას უძღვება ლექსო ამირანაშვილი

**ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.**

**ჯეიმს დუგლასი**

**კითხვა: ჩემს ძაღლს მძაფრ სუნებზე, მათ შორის სუნამოზეც, აქვს ალერგია. ეს ჩვეულებრივი შემთხვევაა თუ ჩემი ძაღლია გამონაკლისი?**

**პასუხი:** ასეთი რამ მხოლოდ თქვენს ძაღლს არ სჭირს, რადგან, ცხოველებს ალერგია, შეიძლება, ნებისმიერ სუნზე დაეწყოს. თუ ძაღლს თქვენი სუნამოს სუნი არ სიამოვნებს, უმჯობესია, არ დაისხათ, ან, იმ ადგილას გააკეთეთ ეს, სადაც თქვენი ძაღლი არ იქნება. როგორც ადამიანებში, ისევე ცხოველებში, არის ალერგიული ფაქტორები. არა მხოლოდ სუნამოს, არამედ, ბევრ სხვა სუნზეც შეიძლება ძაღლს რეაქცია ჰქონდეს. ასე რომ, თუ შენიშნავთ მსგავს რამეს, მოარიდეთ ცხოველი ამ დისკომფორტულ სიტუაციას.

**კითხვა: მაინტერესებს ინფორმაცია ძაღლის ბეწვის ცვლასთან დაკავშირებით, კერძოდ, წელიწადში რამდენჯერ იცვლის ის ბეწვს?**

**პასუხი:** ბეწვის ცვლა წელიწადში ორჯერ ხდება. ზოგი ძაღლი ადრე გაზაფხულზე იცვლის ბეწვს, ზოგიც – ზაფხულში ან შემოდგომაზე. ეს ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მდგომარეობაშია მისი ორგანიზმი. რაც უფრო ჯანმრთელია ცხოველი, მით მალე იცვლის ბეწვს. თუ ძაღლს დიდი ბეწვის საფარველი აქვს, მას აუცილებლად სჭირდება გამოვარცხნა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხდება ბეწვის ჩახურება, დახვევა და, შეიძლება, კანის პრობლემები წარმოიქმნას.

**კითხვა: ძალიან მინდა კანე კორსო შევიძინო, მაგრამ არ მაქვს იმის პირობები, რომ ძაღლი ეზოში ვაცხოვრო. თუ შეიძლება ამ ჯიშის ძაღლის ბინის პირობებში შენახვა? ასევე, მაინტერესებს, წელიწადის რომელ დროს არის უკეთესი ძაღლის შეძენა?**

**პასუხი:** კანე კორსო ისეთი ძაღლია, რომ თავისუფლად ძლებს როგორც სახლში, ისე ეზოს პირობებში, ანუ, როგორც მიაჩვევთ, ისე იქნება. თუ ძალიან გინდათ მისი შეძენა და მზად ხართ კანე კორსოს მოსავლელად, იმის გამო, რომ ეზო არ გაქვთ, უარს ნუ იტყვით მის ყოლაზე. თუ სახლში ძაღლის შენახვის პირობები გაქვთ, მნიშვნელობა არ აქვს, როდის შეიძენთ მას.

**კითხვა: რამდენჯერ უნდა გამოვუცვალოთ წყალი ძაღლს დღის განმავლობაში? ზოგი მეუბნება, რომ, სავალდებულო არ არის ორი დღის განმავლობაში წყლის გამოცვლა. ძაღლი სახლში გვყავს, თქვენ რას მეტყვით?**

**პასუხი:** ძაღლს წყალი ყოველდღიურად უნდა გამოუცვალოთ. თუ ის დღეში რამდენჯერმე სვამს წყალს, მაშინ, ნახევარ დღეშიც შეგვეძლება გამოცვლა, რადგან, ჭურჭელში წყალი დღის განმავლობაში, შესაძლოა, გაჭუჭყიანდეს. ასე რომ, როგორც კი შეამჩნევთ, რომ გამოსაცვლელია, უნდა გამოცვალოთ, დღეში ერთხელ კი – აუცილებლად.

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

**ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.**

**გოეთე**

**კითხვა: ჩემს ნოლინას ფოთლების ცვენა დაეწყო. როგორ ვუშველო?**

**პასუხი:** ნოლინა ტროპიკული მცენარეა, ამიტომ მას ესაჭიროება სათუთი მოვლა და სერიოზული ყურადღება. მცენარეს აუცილებლად სჭირდება ზაფხულში გარეთ გატანა და, ასევე, არ საჭიროებს ბევრი წყლის დასხმას. აუცილებელია, ყოველთვის მისცეთ მიკროსასუქები და კალიუმი. ქოთანი დადგით ისეთ ადგილას, სადაც არ იქნება მცხუნვარე მზე და ძალიან არ გამოშრება. ნოლინას ზამთარში სჭირდება 22-24 გრადუსი, ხოლო ზაფხულში 25-27 გრადუსი. გადარგეთ მხოლოდ ადრე გაზაფხულზე, ოღონდ, ისე, რომ არ შეაჭრათ ფესვები და არ დააზიანოთ მისი გარეთა კანი.

**კითხვა: წელს შევიძინე კანადური ნაძვი. ახლახან დაეწყო შიდა ხმობა. როგორ მოვიქცე?**

**პასუხი:** საერთოდ, ეს მცენარე სუბტროპიკულია და არ აშინებს ყინვები. ეცადეთ, რომ ის არ დარგოთ ეზოში, სანამ არ მოღონიერდება. საერთოდ, კანადურ ნაძვს ახასიათებს წიწვების ცვლის რეჟიმი, ამიტომ, შესაძლოა, ის ავად კი არ არის, არამედ, შიდა წიწვებს იცვლის. თუ დაეწყო ზემოდან ხმობა, უკვე საშიშია, რადგან, ეს ნიშნავს, რომ ფესვთა სისტემა აქვს დაავადებული. ეცადეთ, რომ ფრთხილად ამოიღოთ მცენარე მიწიდან, კარგად დაუთვალიეროთ ფესვები, დროებით ჩარგოთ ქოთანში და ადგილზე უმკურნალოთ.

**კითხვა: შეიძლება თუ არა, ზამთარში გავსხლა აუკუბა ან რომელიმე მცენარე?**

**პასუხი:** მცენარის გასხვლა და ფორმირება ხდება მხოლოდ ადრე გაზაფხულზე ან შემოდგომით, როდესაც ჰაერის მინიმალური ტემპერატურა არის 16-22 გრადუსი. მცენარე ზამთარში არ გასხლათ, რადგან, შესაძლოა, გადანაჭერზე გაუჩნდეს ბაქტერიოზი ან, რაიმე დაავადება აიკიდოს. ამიტომ, ეცადეთ, გასხვლის ან გადაჭრის პროცესის დასრულების შემდეგ, გადანაჭერ ადგილებზე მოაყაროთ ნაცარი, რაც მას დაავადებისგან დაიცავს.

**კითხვა: როგორ მოვუარო კლეროდენდრონს და შესაძლოა თუ არა მისი გარეთ დატოვება?**

**პასუხი:** კლეროდენდრონი ტროპიკული მცენარეა და, ამიტომ, ძალიან პრეტენზიულია. ის სითბოს მოყვარულია. მისი ზაფხულში გარეთ დადგმა შესაძლებელია, ზამთარში კი გარეთ არ დატოვოთ, თორემ, გაიყინება. ის სექტემბრიდან უნდა შეიტანოთ სახლის პირობებში, სადაც მას 19-22 გრადუსი ტემპერატურა ექნება. ასევე, ეს მცენარე ვერ იტანს ორპირ ქარსა და ნიავს. შესაძლოა, ასეთ დროს მან ფოთლები დაყაროს და ზრდა-განვითარება შეწყვიტოს. თუ კარგად მოუვლით, კლეროდენდრონი წელიწადში რამდენჯერმე იყვავილებს და, თან, უხვად. ის მრავლდება თესლით და კალმით.

**მოამზადა**
**თეონა გოზალიშვილმა**

# მე – დაქირავებული მკვლელი

## უშიშროების პოლკოვნიკის ჩანაწერების მიხედვით

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28(550)-2(628)

– ჰოდა, ძალიან კარგი. აბა, შენ იცი, წარმატებებს გისურვებ!

თბილისში მეორე დღესვე დავბრუნდი და იმ ამერიკელის „ძოვება“ დავიწყე, რომელზეც მილიონდოლარიანი შეკვეთა მომცეს. ის თბილისში ბიზნესმენის სტატუსით იყო ჩამოსული, თუმცა, სინამდვილეში ახალი მთავრობისთვის ტვინის არევა უნდა ეცადა, არც ძველი უნდა დაევიწყებინა და ეს ყველაფერი რუსეთის წინააღმდეგ უნდა მიმართულიყო.

ობიექტს ძალიან ფრთხილად, რომ იტყვიან, დისტანციაზე „ვაძოვებდი“ და ახლოს არ მივდიოდი, რადგან, ზუსტად ვიცოდი, რომ ამ კატეგორიის ხალხს ლენგლიში ამზადებდნენ და გამორიცხული არ იყო, რომ მას თვალთვალი შეენიშნა. „ძოვებისას“ შევნიშნე, რომ ჩემს ობიექტს სხვებიც უთვალთვალებდნენ და მხოლოდ იმიტომ არ დავიწვი, რომ ამერიკელთან სოლიდური დისტანცია მეჭირა და სხვა მოთვალთვალეების მხედველობის არეალში არ ვხვდებოდი. ჩემი აღმოჩენა ჩემს მისიას ართულებდა, თუმცა, საქმე აღებული მქონდა და უნდა შემესრულებინა. ამიტომ, გადავწყვიტე, რომ ობიექტისთვის იმ მოთვალთვალეების თვალწინ გამეხვრიტა შუბლი. უკვე ყველაფერი მზად მქონდა და მხოლოდ სასხლეტისთვის თითის დაჭერაღა იყო საჭირო, როდესაც ჩემ თვალწინ საკმაოდ დინამიკური სცენა გათამაშდა: მოთვალთვალეებს ქართული ძალოვანი სტრუქტურების სპეცჯგუფები დაესხნენ თავს და მათი განეიტრალება დააპირეს, მაგრამ ისინი ფანატიკოსი ტერორისტები აღმოჩნდნენ, შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს და ობიექტის ლიკვიდაციის მომენტი ხელიდან გავუშვი.

თბილისის გარეუბანში მომხდარ შეტაკებას რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ხელისუფლებას ამის შესახებ არანაირი ოფიციალური განცხადება არ გაუკეთებია – ეს ფაქტი დამალეს. ყველაზე მთავარი კი ის იყო, რომ ობიექტს გაძლიერებული დაცვა მიუჩინეს და მისი ლიკვიდაციის შანსი მინიმუმამდე იქნა დაყვანილი. ამერიკელს პირადი მცველები აჩრდილივით ყველგან უკან დაჰყვებოდნენ და ისე იცავდნენ, როგორც ქვეყნის პირველ პირს. ის კი თავისი მისიის შესრულებას განაგრძობდა, მთავრობასა და ოპოზიციას დირექტივებს აძლევდა და რუსეთთან ისედაც გაფუჭებულ ურთიერთობებს კიდევ უფრო ურევდა. დრო გადიოდა და იმის დიდი შანსი გაჩნდა, რომ ობიექტი საქართველოდან გამგზავრებულიყო. ამიტომ, სასწრაფო ზომები უნდა მიმეღო და გადამწყვეტი მოქმედებისთვის მოვემზადე: ჯერ კარგად შევინიღბე. შემდეგ კი, ერთ-ერთ ბაზრობაზე ძველი, მაგრამ, კარგად მოვლილი, სწრაფი მოტოციკლი „ჰარლეი-დევიდსონი“ შევიძინე ახალგაზრდა ყმაწვილისგან და, როდესაც მას ცხრაასი დოლარი ჩავუთვალე, მითხრა:

– მშვიდობაში მოიხმარე, ბიძაჩემო. ფრთხილად იარე. ძალიან სწრაფია და საჭეზე მაგრად გეჭიროს ხელი.

– გმადლობთ, ასე მოვიქცევი. მშვიდობით, – მივუგე ყმაწვილს. შემდეგ მოტოციკლი ადგილიდან დავძარი და ერთ-ერთ მიგდებულ ავტოპროფილაქტიკაში მივედი. იქ ჩემი ახალი შენაძენი საფუძვლიანად გავამაგრე და ყველა დეტალი გულდასმით შევამოწმე. მხოლოდ ამის მერე წავიყვანე ფასიან სადგომზე და იქ დავტოვე.

მეორე დღეს სადგომზე დილით მივედი და ჩემი მოტოციკლი წამოვიყვანე. უკაცრიელ ადგილზე გავედი, საგულდაგულოდ მომზადებული რეკვიზიტი სამუშაო მდგომარეობაში მოვიყვანე და ობიექტის სალიკვიდაციოდ გავემართე. ამერიკელი ყოველ დილას ცხრის ნახევარზე გამოდიოდა სახლიდან და საელჩოში მიდიოდა. იქ ის ნახევარი საათი ჩერდებოდა, შემდეგ კი პოლიტიკოსებთან შეხვედრებზე მიდიოდა, სადაც მათ დირექტივებს აძლევდა თუ როგორ მოეძულებინათ ისედაც მოძულებული რუსები.



გეგმის მიხედვით, ობიექტი საელჩოში მისვლამდე უნდა მომეკლა. ამერიკელი ცენტრალური უბნის განაპირას, ტყიან ზოლში აშენებულ კერძო სახლში ცხოვრობდა. ის ძვირფასი „ჯიპით“ მოძრაობდა, რომელსაც დაცვის ორი „ჯიპი“ დაჰყვებოდა. მე მათ კორტეჟს უნდა შევერთებოდი და ობიექტი მანქანაშივე ჩამეცხრილა, შემდეგ კი დიდი სისწრაფით გავცლოდი იქაურობას. ზუსტად დილის 8 საათსა და 40 წუთზე, ობიექტის კორტეჟს თბილისის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე წამოვეწიე, ასიოდე მეტრი ვიარეთ და შუქნიშანთან, წითელზე გავჩერდით. მთავარი „ჯიპი“ შუაში იდგა, აქეთ-იქიდან კი დაცვის „ჯიპები“ ედგნენ და მასთან მისასვლელს ბლოკავდნენ. მე ჩემი „ჰარლეი“ ადგილიდან დავძარი და წითელზე გავლის ილუზია შევუქმენი ობიექტის დაცვას. ხოლო ამერიკელის „ჯიპის“ წინ რომ აღმოვჩნდი, უცებ სადესანტო „აკაემის“ სისტემის ავტომატი ამოვაცურე, რომელშიც ფეთქებადი ტყვიები ეწყო და წინა პამპრესიდან უკან მჯდომ ობიექტს ავტომატური ჯერი მივუშვი. შემდეგ დაცვის ორივე „ჯიპს“ ბორბლები დავუცხრილე, ავტომატი ქუჩაშივე დავაგდე და მოტოციკლი ადგილს მოვწყვიტე.

– შავი ფერის მოტოციკლეტო, სდექ! ახლავე გაჩერდით! – მომესმა ზურგიდან, რომელსაც სირენაც მოჰყვა. უკან რომ გავიხედე, სირენებით მქროლავი პოლიციის მანქანა დავინახე.

„კი, როგორ არა, გაგიჩერდებით და თქვენს ტყვიებს შევუშვერ თავს; ან, სულაც, ჩაგბარდებით და ხელბორკილებს დავიდებ“, – გავიფიქრე გუნებაში და სისწრაფეს მოვუმატე. სისწრაფეს უმატა საპატრულო მანქანამაც და ისე ოსტატურად მომყვებოდა, რომ მისგან გაქცევას ვერ ვახერხებდი. ყოველი წამი ძვირფასი იყო, დრო კი პოლიციელებზე მუშაობდა, რადგან ისინი მთელ ქალაქს შეკრავდნენ და მათგან თავის დაღწევა ასმაგად გართულდებოდა. ამიტომ, პოლიციელებს ერთი „კაგებეშნიკური“ ტრიუკი გავუკეთე: მოტოციკლი ასოთხმოცი გრადუსით მივატრიალე და საპატრულო მანქანას გვერდით ჩავუქროლე, თან ავტომატური პისტოლეტიდან ბორბლები დავუცხრილე და მათი მანქანა მწყობრიდან გამოვიყვანე. შემდეგ მოძრაობის მიმართულება შევცვალე და ძალიან დიდი სისწრაფით მოვშორდი იქაურობას. წინასწარ შერჩეულ ადგილზე მივედი, სადაც სათადარიგო სამოსი მქონდა და ტანსაცმელი თვალის დახამხამებაში გამოვიცვალე. მოტოციკლს და ძველ სამოსში შეხვეულ იარაღებს კი მაგნიტური ნაღმი მივამაგრე და იქიდან მოვუსვი. სულ რაღაც ორიოდე წუთში მოტოციკლი და სხვა ფაქტები აფეთქდა, მე კი სულ რაღაც ოცი წუთის შემდეგ ჩემი სახლის სადარბაზოში შევდიოდი. საათს რომ დავხედე, ისრები ცხრა საათსა და ხუთ წუთს უჩვენებდნენ. ანუ, ობიექტის ლიკვიდაციიდან მხოლოდ ოცდახუთიოდე წუთი იყო გასული...

„ყოჩაღ, კოკი! შენ ისევ ძველებურ ფორმაში ხარ“, – ვთქვი გუნებაში, საკუთარი ბინის კარი გავაღე და შევედი. შემდეგ ტელე-

ვიზორი ჩავრთე და ცოტა ხანში სპეციალური საინფორმაციო გადაცემა დაიწყო, სადაც ობიექტის ლიკვიდაციის ამბავს გადმოსცემდნენ. შუადღის საინფორმაციო გამოშვებაში კი სავარაუდო მკვლელის ფოტორობოტი აჩვენეს და თქვეს, რომ, ვინც მკვლელის ადგილსამყოფელს გათქვამდა, მილიონ დოლარს გადასცემდნენ და მის ანონიმურობას უზრუნველყოფდნენ. ხოლო ნებისმიერ მცირე ინფორმაციაშიც კი ამ საქმის გარშემო ასი ათას დოლარს იხდიდნენ... ფოტორობოტი ოდნავაც არ მგავდა. გამოძიებას კი, რომელსაც ქართულ მხარესთან ერთად ამერიკელი ფედერალებიც აწარმოებდნენ, აფეთქებულ მოტოციკლთან და რეკვიზიტთან ერთად, „აკაემის" სადესანტო ავტომატიც ჰქონდა ხელთ. თუმცა, მათ არანაირი „კუდი" არ ჰქონდათ და ჩემამდე ვერ მოვიდოდნენ. ნაშუადღევს ინტერნეტით შჩუკინის დაშიფრული შეტყობინება მივიღე, რომელშიც ვიქტორ იაკოვლევიჩი საქმის წარმატებით დასრულებას მილოცავდა. შეტყობინება რომ წავიკითხე, გულში გამეცინა და ჩემი „კაგებეშნიკური" კარიერა გამახსენდა, როდესაც გენერალ შჩუკინის უშუალო დავალებებს ვასრულებდი მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში...

ჯერ კიდევ ჩემი კოჯრელი ინსტრუქტორები მამზადებდნენ გლობალური მოღვაწეობისთვის და მარწმუნებდნენ, რომ სწავლების სრული კურსის გავლის შემდეგ მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, ნებისმიერ დროს, ნებისმიერი სირთულის დავალების შესრულებას შევძლებდი. მართალია, მაშინ არც მე და არც ჩემმა ინსტრუქტორებმა არ იცოდნენ, რომ ერთჯერადი, სასიკვდილო დავალებისთვის მამზადებდნენ, მაგრამ, პირველი დავალება წარმატებით შევასრულე და, რადგან უმაღლესი კატეგორიის სპეცმომზადება მქონდა გავლილი და ცოცხალი და სრულიად უვნებელი გადავრჩი, „კაგებეს" განსაკუთრებულ ნომენკლატურაში მოვხვდი და ურთულესი და უსაიდუმლოესი დავალებებისთვის მიყენებდნენ.

„კაგებეში" ჩემი მუშაობის ათი წლის თავზე შჩუკინმა ლუბიანკაზე მიხმო და მითხრა:

– გაკვირდები და გაოცებას ვერ ვმალავ. ასეთი სირთულის დავალებებს მსოფლიოში თითზე ჩამოსათვლელი ხალხი თუ ასრულებს, თანაც, მაქსიმუმ ორი-სამი წლის განმავლობაში. შენ კი უკვე ათი წელია, მწყობრში ხარ.

იმ პერიოდში შჩუკინთან უკვე ახლობლური დამოკიდებულება მქონდა. ამიტომ, მას ღიმილით მივუგე:

– ვადა ხომ არ გამივიდა, ვიქტორ იაკოვლევიჩ, და დრო ხომ არ არის, იმ ორ-სამწლიანების კვალს დავადგე?

– უადგილო ხუმრობაა, – სერიოზული სახით მომიგო შჩუკინმა, – და, საერთოდ, რომ იცოდე, კიდევ კარგა ხანს იქნები ასეთ პიკში. ასაკთან ერთად გამოცდილებაც მოგემატება, ძალები კი არ მოგაკლდება. არც ფორტუნა შეგაქცევს ზურგს. როგორც ამბობენ, ბედნიერ ვარსკვლავზე ხარ დაბადებული.

– ბედნიერ ვარსკვლავზე ვარ დაბადებული?



– ჰო. ხუმრობის გარეშე.

– ეს რას ნიშნავს? – ღიმილით ვკითხე შჩუკინს, – ამხანაგო გენერალო, ნუთუ ჩვენს უწყებაშიც სჯერათ ვარსკვლავების?

– შენ წარმოიდგინე, რომ სჯერათ.

– სერიოზულად მეუბნებით?

– აბსოლუტურად სერიოზულად, – მითხრა ვიქტორ იაკოვლევიჩმა, – მეტსაც გეტყვი, ჩვენს უწყებაში ვარსკვლავთმრიცხველთა მთელი შტატი არსებობს.

– რა ბრძანეთ?! – ვკითხე შჩუკინს, რადგან საკუთარ ყურებს არ დავუჯერე.

– კიდევ უფრო მეტს გეტყვი: ვარსკვლავთმრიცხველებმა შენი ჰოროსკოპი შეადგინეს, რომელშიც ყველა შენი დღე დეტალურადაა აღწერილი და, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, მშვენიერი კალენდარი გაქვს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კიდევ დიდი ხნის განმავლობაში შეძლებ მაღალ დონეზე მუშაობას.

შჩუკინს კარგად ვიცნობდი და მივხვდი, რომ არ მეხუმრებოდა, თუმცა, მისი სიტყვების დაჯერება ძალიან რთული იყო. მისთვის რომ შეურაცხყოფა არ მიმეყენებინა, ვუთხარი:

– ამხანაგო გენერალო, მაპატიეთ, მაგრამ, თქვენი სიტყვების არსს ნამდვილად ვერ ჩავწვდი.

– მესმის, ჩემო კოკი და ახლავე აგიხსნი, – ღიმილით მომიგო შჩუკინმა და სერიოზული სახით დაამატა – ვარსკვლავთმრიცხველობა, იგივე ასტროლოგობა, სერიოზული მეცნიერებაა, რომელიც, როგორც ჩვენში, ასევე უცხოეთში გასაიდუმლოებულია. ის პლანეტების მოძრაობაზე, მათ სხვადასხვა მოქმედებებზე დაკვირვების შედეგად წარმოიშვა და საკმაოდ სერიოზული მიღწევებიც გვაქვს. ნუ გაგიკვირდება და მკითხაობად ნუ მიიჩნევ. ჩვენს ასტროლოგებს საკმაოდ ზუსტი ალბათობით შეუძლიათ თითქმის ნებისმიერი ადამიანის წარმატებული და წარუმატებელი პერიოდების დადგენა და, უნდა გაგიმეორო, რომ შენ ძალიან წარმატებული ჰოროსკოპი გაქვს, წარუმატებელი ციკლი თითქმის არ გაგაჩნია. რამდენიმე წარუმატებელი დღის გარდა, მთელი შენი ცხოვრება დადებითი ნიშნით მიმდინარეობს და ეს აბსოლუტური სიმართლეა. შენი ეგრეთ წოდებული ჰოროსკოპი ელექტროგამომთვლელი მანქანითაც შევამოწმეთ და შენს ცხოვრებაში ინტელექტუალური, ფიზიკური და ფსიქოლოგიური რიტმები ძირითადად პლუს ნიშნით მიმდინარეობს.

– ელექტროგამომთვლელი მანქანით? – ვკითხე შჩუკინს, რადგან მაშინ სიტყვა „კომპიუტერი" ჩვენში ჯერ კიდევ არ გამოიყენებოდა და მისი წინამორბედით, ეგრეთ წოდებული „ევეემით" სარგებლობდნენ, რომელ-



ერდო ჯგუფი
-ლექტორი ბებიის დანატოვარ 5 ოთახიან ბინას ვყიდი ვაკეში, ვართ ორი ძმა, და თან არ გვაქვს ნორმალური სამუშაო და თან ...
-რუსეთიდან ჩამოვედი და მსურს ვიყიდო 5 ოთახიანი ბინა ვაკეში, მყავს ცოლ-შვილი და თან მაქვს კარგი სამსახური და თან ...
მაკლერი:
-კი თქვენ გენაცვალეთ და თან ... გადაგვიხადეთ 6%. 3 გამყიდველის და 3 მყიდველის მხრიდან.
მარიკა 599 24 28 31

საც უზარმაზარი გაბარიტები ჰქონდა – სამსართულიანი სახლის ზომები. სწორედ ასეთი უზარმაზარი „ევეემი“ იდგა ლუბიანკაზე, მინუს მესამე სართულზე და იქ მუშაობდნენ საიდუმლო საბჭოთა ასტროლოგები. სწორედ ისინი ადგენდნენ ეგრეთ წოდებული ბიორიტმების კალენდარს, რასაც თანამედროვე ენაზე ჰოროსკოპი ეწოდება.

– ერთი სიტყვით, ჩემო კოკი, შენ განსაკუთრებული ბიორიტმული კალენდარი გაქვს და პლანეტების, განსაკუთრებით კი, მზის მფარველობით სარგებლობ. შენი მთავარი მფარველი სწორედ მზეა და მისგან იღებ უდიდეს სასიცოცხლო ენერგიას.

როგორც უკვე ვთქვი, შჩუკინის ეს სიტყვები მაშინ ჩემთვის სრულიად გაუგებარი იყო და, სხვა რომ ვერაფერი მოვიფიქრე, ვკითხე:

– დიდი ხანია, რაც ჩემი ბიორიტმები შეისწავლეთ?

– სულ მალე ერთი წელი შესრულდება. ამდენივე ხანია, რაც საიდუმლო ლაბორატორია ჩამოვაყალიბეთ და უნიკალური ელექტროგამომთვლელი მანქანა დავამონტაჟეთ. ერთი სიტყვით, ჩვენი უწყება ულტრათანამედროვე აპარატურითაა აღჭურვილი, სადაც საუკეთესო, შეიძლება ითქვას, გენიალური ადამიანები მუშაობენ.

ვიქტორ იაკოვლევიჩი არ აჭარბებდა. იმ პერიოდისთვის საუკეთესო ინტელექტუალური კადრები მუშაობდნენ „კაგებესთვის“. საუკეთესო ტექნოლოგიები, პირველ ყოვლისა, ჩვენთან ინერგებოდა და ამის დასტური იყო ის სამსართულიანი სახლისოდენა „ევეემი“, რომელიც დღესდღეობით მხოლოდ ღიმილს თუ იწვევს, მაშინ კი ტექნიკის საოცრება იყო და ასეთი რამ თვით ამერიკელებსაც კი არ ჰქონდათ.

მრავალი წლის შემდეგ, უკვე პოსტსაბჭოთა პერიოდში, მე და შჩუკინს არაერთხელ გაგვიხსენებია ის სამსართულიანი მონსტრი და გულიანადაც გვიხალისია. მაშინ კი, როგორც უკვე ვთქვი, ის ტექნიკის ნამდვილი საოცრება იყო. შჩუკინმა პირადად ჩამიყვანა ლუბიანკის მინუს მესამე სართულზე, „ევეემი“ დამათვალიერებინა და, მის კაბინეტში რომ დავბრუნდით, მკითხა:

– რას იტყვი, როგორია?

– გრანდიოზული, ვიქტორ იაკოვლევიჩ. ესაა მსოფლიოს მერვე საოცრება.

– სწორი შეფასებაა და აბსოლუტურად გეთანხმები, – მითხრა შჩუკინმა, – მაგრამ, სამწუხაროდ, ეს საოცრება საიდუმლო აღარ არის და მისი არსებობის შესახებ უკვე ამერიკელებმაც იციან. ახლა მთავარი ისაა, რომ მათაც არ შექმნან მსგავსი რამ და ჩვენ მათ ამაში ხელი უნდა შევუშალოთ.

შჩუკინის სიტყვებმა მიმახვედრა, რომ გენერალმა მხოლოდ ჩემს ჰოროსკოპზე სალაპარაკოდ და „ევეემის“ დასათვალიერებლად არ მიხმო ლუბიანკაზე. აშკარა იყო, ვიქტორ იაკოვლევიჩს ჩემთან სერიოზული საქმე ჰქონდა და ვკითხე:

– რაშია საქმე, ამხანაგო გენერალო, რამე სერიოზული მოხდა?

– უსერიოზულესი, კოკი. გენერალი არონ რიხტერი გაგვექცა.

– ეგ ვინაა?

– ვინ და, საბჭოთა ასტროლოგიისა და კიბერნეტიკის მამა. მისი დამუშავებულია ეგრეთ წოდებული ბიორიტმული კალენდრის სისტემა და, წეღან რომ „ევეემი“ ნახე, ისიც მისი შექმნილია. ის პროფესიით მათემატიკოსია, მაგრამ, სუპერტექნოლოგიების შექმნისთვის მას „კაგებეს“ გენერლის წოდება მიანიჭეს, შეუზღუდავი დაფინანსება მისცეს და ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ. მან კი ღალატის გზა აირჩია. ერთი თვის წინ გაუჩინარდა და, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ის „ცეერუს“ ერთ-ერთ კონსპირაციულ ბინაში ცხოვრობს ახალი საბუთებითა და ჰაბიტუსით. ლენგლის პლასტიკურმა ქირურგებმა მას სახე შეუცვალეს და დარწმუნებულები არიან, რომ ვერასოდეს ვიპოვით. ჩვენ კი მისი პიროვნება და კოორდინატები ზუსტად დავადგინეთ და შენ გავალებთ, რომ სამშობლოს მოღალატე კანონის მთელი სიმკაცრით დასაჯო.

არონ რიხტერის ისტორიამ გულწრფელად შემაძრწუნა, რადგან, ვერაფრით გამეგო, რამ აიძულა ის, ღალატის გზაზე დამდგარიყო და ამერიკელების ბანაკში ამოეყო თავი. ამიტომ, გული უკიდურესი სიძულვილით ამევსო მის მიმართ და შჩუკინს მივუგე:

– ამხანაგო გენერალო, მზად ვარ, რომ სამშობლოს მოღალატეს კუთვნილი მივუზღა, თუნდაც ეს საკუთარი სიცოცხლის ფასად დამიჯდეს!

რიხტერზე შურისძიებამ მთელი მსოფლიო აალაპარაკა. ხელს ყველა საბჭოეთისკენ იშვერდა, მის მკვლელობაში „კაგებეს“ ადანაშაულებდნენ და ეს თემა თითქმის სამი თვის განმავლობაში მოწინავე იყო მსოფლიო მედიაში. საბჭოთა მხარეს კი, როგორც ეს სხვა შემთხვევების დროს ხდებოდა, არანაირი ფორმით არ უარუყვია არონ რიხტერის მკვლელობა, რითაც საბჭოეთი კიდევ ერთხელ უსვამდა ხაზს იმას, რომ ღალატს არავის აპატიებდა.

„კაგებეს“ ყოფილი გენერალი არონ რიხტერი შეერთებული შტატების დედაქალაქ ვაშინგტონში, ერთ-ერთ მდიდრულ ასობნიაკში სტიუარტ ქუინის სახელითა და შეცვლილი სახით ცხოვრობდა. მისი მიგნება საბჭოთა დაზვერვამ იმ ქირურგის მეშვეობით შეძლო, ვინც მას ოპერაცია გაუკეთა – ის საბჭოთა აგენტი აღმოჩნდა. საბჭოთა მზვერავებმა რიხტერის იდენტურობა მისი თითების ანაბეჭდებით დაადგინეს და ყოფილი გენერლის კოორდინატები ლუბიანკაზე გადაგზავნეს. მე მხოლოდ ამის მერე ჩამრთეს საქმეში. შეერთებულ შტატებში გამგზავრების წინ შჩუკინმა მითხრა:

– განაჩენი ყველა ფორმალობის დაცვით უნდა აღასრულო. შენი იმედი მაქვს, აბა, შენ იცი!

ვაშინგტონში ნიუ-იორკიდან ჩავფრინდი. ნიუ-იორკში კი მექსიკიდან ჩავედი და ჯიბეში მექსიკელი კომერსანტის პასპორტი მედო, რომელიც ანტიკვარიატით იყო დაინტერესებული...

მართალია, სტიუარტ ქუინს სინამდვილეში არონ რიხტერს, „ცეერუ“ იცავდა, მაგრამ, ზედმეტი ყურადღება რომ არ მიექციათ, მას მხოლოდ ორი მეთვალყურე ჰყავდა მიჩენილი, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში პირადი მცველების ფუნქციასაც შეასრულებდნენ. ისინი ქუინის გვერდითა ბინაში ცხოვრობდნენ და განსაკუთრებულ ყურადღებას არ იქცევდნენ. აბა, რას წარმოიდგენდა „ცეერუ“, რომ რიხტერი გაშიფრული გვყავდა, თორემ, მას ისე გადამალავდნენ და ისეთ დაცვას მიუჩენდნენ, რომ სათოფეზეც ვერ მივეკარებოდით. მიუხედავად ამისა, არონ რიხტერი მაინც მოვიხელთეთ – იმ დროს წავადექი თავზე კონსპირაციულ აპარტამენტებში, როდესაც ის ფეშენებელურ აბაზანაში ნებივრობდა. მე მას თმაში ვწვდი, წყლიდან ამოვათრიე, სასტუმრო ოთახში შევათრიე, იატაკზე დავანარცხე და ვუთხარი:

– არ მელოდით, არა, არონ რიხტერ?!

„კაგებეს“ ყოფილ გენერალს თავისი ნამდვილი სახელის გაგონებაზე ოდნავ შეუთამაშდა მარცხენა თვალი. თუმცა, არ შეიმჩნია და რაც შეეძლო, მშვიდად მითხრა:

– თუ მე მელაპარაკებით, მისტერ, მაშინ





სტიუარტ ქუინი დამიძახეთ. ხოლო, არონ რიხტერს თუ ეძებთ, გარწმუნებთ, მისამართი შეგეშალათ.

– მისამართი არ შემშლია, – კბილებში გამოვცარი მე.

– მაშინ, გამოდის, რომ მძარცველი ხართ. კეთილი. წაიღეთ ფული და ძვირფასეულობა და მშვიდობიანად წადით. გარწმუნებთ, მისტერ, რომ პოლიციაში არ განვაცხადებ.

– არონ რიხტერ! – ცივი ხმით მივმართე დედიშობილა, საპნიან მოღალატეს, – საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მიმართ ჩადენილი დანაშაულისთვის, რაც სამშობლოს ღალატში გამოიხატა, მოგესაჯათ სიკვდილი და ეს ახლავე აღსრულდება!

არონ რიხტერმა წინააღმდეგობის გაწევა სცადა – ის ფეხზე წამოიჭრა და პისტოლეტის წართმევა მოინდომა, რომელიც მარჯვენა ხელში მეჭირა. მე კი მარცხენით ალესილი ხანჯალი ამოვაცურე ქამრიდან, რიხტერს მოუქნიე და თავი ქათამივით წავაცალე. შემდეგ ხანჯალი მისივე ხალათით გავწმინდე და იქაურობა, ჩუმად დავტოვე. ორიოდე საათის შემდეგ კი უკვე მექსიკის დედაქალაქ მეხიკოსკენ მიმავალ თვითმფრინავში ვიჯექი. მოსკოვში მეხიკოდან ჩავფრინდი, აეროპორტიდან პირდაპირ ლუბიანკაზე გავემართე და შჩუკინის კაბინეტში შევედი. ვიქტორ იაკოვლევიჩი, გვიანი დროის მიუხედავად, კაბინეტში დამხვდა და, რომ დამინახა, მითხრა:

– ყოჩაღ, კოკი, დავალება საუკეთესოდ შეასრულე! ერთი ის მითხარი, განაჩენის წაკითხვა თუ მოახერხე?

– რა თქმა უნდა, ვიქტორ იაკოვლევიჩ. დასჯის ცერემონიალმა ყველა ფორმალობის სრული დაცვით ჩაიარა და სამართლიანობამ იზეიმა.

– ძალიან კარგი, ძალიან კარგი! დე, ყველამ იცოდეს, რომ ღალატი არავის შერჩება – არც მცირე და არც დიდი. საბოლოო ჯამში, ღალატი ღალატია, ისევე, როგორც ნემსისა და აქლემის ქურდი ორივე ქურდია. ქურდობა კი ისევე ცუდია, როგორც ღალატი, თუმცა, ღალატის ქურდობასთან შედარება იგივეა, რომ ფილთა თოფი შეადარო ბირთვულ იარაღს...

შჩუკინი აბსოლუტურად მართალი იყო. არონ რიხტერის მიერ გათქმულმა საიდუმლომ საბჭოეთს მართლაც რომ თერმობირთვული აფეთქების ტოლი ზიანი მოუტანა და საქმე უფრო სერიოზული აღმოჩნდა, ვიდრე ჩვენ ვვარაუდობდით. არონ რიხტერი, როგორც შემდგომმა გამოძიებამ დაადგინა, თურმე, ერთი წლის განმავლობაში სერიოზულად ემზადებოდა გაქცევისთვის. ამიტომ, ის ახალი ტექნოლოგიების ნახაზებსა და საიდუმლო დოკუმენტებს ადგენდა, ხოლო, როდესაც გაიქცა, ყველაფერი თან წაიღო და ამერიკელებს ჩააბარა. ლენგლის მესვეურებმა კი ლუბიანკის „ევეემზე“ უკეთესი დანადგარი სულ რაღაც ექვს თვეში გააკეთეს, ასე რომ, რიხტერის სიკვდილი მათთვის არანაირი დანაკლისი არ ყოფილა. ხოლო, როდესაც ეს „კაგებეში“ შეიტყვეს, საბჭოთა უშიშროების ხელმძღვანელობა უკიდურესად აღშფოთდა და რამდენიმე მაღალჩინოსანი დააქვეითეს. შჩუკინსა და მუხინს კი სიტყვიერი საყვედური მისცეს და მართალია, ეს ოფიციალურად არსად ასახულა, მაგრამ, მაინც საკმაოდ სახიფათო იყო. ამიტომ, ვიქტორ იაკოვლევიჩმა საკუთარ კაბინეტში მიხმო და მითხრა:

– არონ რიხტერის საქმეში უხეში შეცდომები დავუშვით.

მე ვერ მივხვდი შჩუკინის სიტყვების აზრს და ვუთხარი:

– რას გულისხმობთ, ვიქტორ იაკოვლევიჩ, მოღალატის სიკვდილით დასჯამ არასათანადოდ ჩაიარა?

– პირიქით, ამ კუთხით ყველაფერი წესრიგშია. საქმე ეხება იმ დოკუმენტაციას, რომელიც რიხტერმა „ცეერუს“ გადასცა და რისი მიხედვითაც მათ ჩვენზე უკეთესი მოწყობილობა ააგეს. ეს ყველაფერი უფრო კონტრდაზვერვის კომპეტენციაშია და ამ სამსახურის ხელმძღვანელობა დააქვეითეს კიდეც, თუმცა, ეს ჩვენ არ გვამართლებს და ნაწილობრივ რომ მაინც გამოვისყიდოთ დანაშაული, რამე სასარგებლო აქცია უნდა განვახორციელოთ.

ვიქტორ იაკოვლევიჩის სიტყვებიდან აშკარა იყო, რომ რაღაც ძალიან საპასუხისმგებლო დავალებაზე გაგზავნას მიპირებდა და ვუთხარი:

– მზად ვარ ნებისმიერი დავალების შესასრულებლად. მიბრძანეთ!

სწორედ იმ დღეს შჩუკინის კაბინეტში დაიგეგმა ცნობილი ოპერაცია „ვობლა“, რომელსაც ვიწრო პოლიტიკურ წრეებში „კარიბი 2“ დაარქვეს. ეს იყო ცნობილი კარიბის კრიზისის მსგავსი საიდუმლო აქცია, რომელიც საბჭოთა დაზვერვამ წარმატებით განახორციელა და რომელსაც მე ვკურირებდი...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გ | რ | ა | ფ | ი | კ | ა | | | ა | კ | ა | მ | | ფ |
| ი | | ბ | ა | ტ | ი | | ღ | ო | ნ | ე | | უ | ფ | ა |
| ლ | ი | ე | | ს | | ა | მ | ლ | ა | პ | | რ | | ც |
| ო | | გ | | ი | უ | ვ | ე | | ტ | ი | ფ | ი | | ა |
| ც | | ი | კ | ო | ბ | ი | რ | | ო | | ი | ლ | ო | ც |
| ა | ბ | რ | ა | გ | ი | | თ | ა | მ | ა | რ | ი | ს | ი |
| ვ | | ა | ლ | ე | რ | ს | ი | | ი | | მ | ო | ლ | ა |
| თ | ე | დ | ო | | ი | | | კ | ა | კ | ა | | ო | |
|  | | | | | | | | მ | | რ | | ნ | | მ |
| | | | | | | | ბ | ა | ლ | ა | ვ | ა | ძ | ე |
| | | | | | | | ე | რ | ა | მ | | პ | | რ |
| | | | | | | | ვ | ა | ლ | ი | დ | ო | ლ | ი |
| შ | ი | ო | | ი | შ | ა | რ | | ი | ტ | ა | ლ | ი | ა |
| ო | | რ | | ა | ხ | | ი | დ | ო | ი | რ | ე | პ | |
| ბ | ა | გ | ი | რ | ა | | | | ნ | | გ | ო | ი | ა |
| ა | | ა | | ა | მ | ა | მ | | ი | ჭ | ი | ნ | | ბ |
| ს | უ | ნ | ე | ლ | ი | | ო | ნ | | ი | | ი | ც | ო |
| | | უ | | ი | | ა | | ი | რ | ა | ბ | | | |
| ლ | ა | ლ | ი | | მ | ი | შ | ა | | ნ | ა | მ | ჯ | ა |
| ი | ზ | ი | რ | პ | | კ | ე | ნ | გ | უ | რ | უ | | ლ |
| | უ | | მ | ა | წ | ო | ნ | ი | | რ | ე | ტ | რ | ო |
| ი | მ | დ | ა | ნ | | ნ | | ა | კ | ი | მ | ი | | ე |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 5 | 6 | 7 | 3 | 8 | 9 | 1 | 2 |
| 8 | 2 | 9 | 5 | 4 | 1 | 6 | 3 | 7 |
| 7 | 3 | 1 | 9 | 2 | 6 | 8 | 4 | 5 |
| 5 | 4 | 7 | 2 | 6 | 3 | 1 | 8 | 9 |
| 2 | 6 | 3 | 8 | 1 | 9 | 7 | 5 | 4 |
| 1 | 9 | 8 | 4 | 7 | 5 | 3 | 2 | 6 |
| 9 | 7 | 4 | 1 | 8 | 2 | 5 | 6 | 3 |
| 3 | 1 | 2 | 6 | 5 | 7 | 4 | 9 | 8 |
| 6 | 8 | 5 | 3 | 9 | 4 | 2 | 7 | 1 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 8 | 7 | 3 | 4 | 1 | 9 | 5 | 2 |
| 1 | 5 | 2 | 7 | 9 | 8 | 6 | 4 | 3 |
| 4 | 9 | 3 | 2 | 6 | 5 | 1 | 8 | 7 |
| 3 | 4 | 9 | 5 | 7 | 2 | 8 | 1 | 6 |
| 5 | 1 | 6 | 9 | 8 | 3 | 7 | 2 | 4 |
| 2 | 7 | 8 | 4 | 1 | 6 | 3 | 9 | 5 |
| 9 | 3 | 4 | 1 | 5 | 7 | 2 | 6 | 8 |
| 8 | 2 | 5 | 6 | 3 | 9 | 4 | 7 | 1 |
| 7 | 6 | 1 | 8 | 2 | 4 | 5 | 3 | 9 |

**„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები:** 1. ოსტატები ქვაზე სასურველ ნახაზს აკეთებენ და მასზე უშვებენ მოლუსკს, რომლის მიერ გამომუშავებული სიმჟავე ამოჭამს ქვას. 2. რიცხვები. 3. სირაქლემას ჩვევა – ქვიშაში თავის ჩაყოფა. 4. უკუთვლა – ათი, ცხრა, რვა... 5. ძაღლების. 6. ლაქების (კედელზე, ჭერზე, სუფრაზე). 7. პარლამენტი. 8. ანხელი – ჩანჩქერი. 9. მულატი. 10. ლურსმულ დამწერლობას.

# რა მიზნით აყალბებდნენ სტალინის ბიოგრაფიას



**სტალინის ბიოგრაფიის მომენტების გაყალბებას უარყოფითად შეხვდნენ ძველი ქართველი ბოლშევიკები: ფილიპე მახარაძე და სხვები. ფილიპემ პროტესტიც კი გამოთქვა ფაქტების დამახინჯების გამო, რაც კინაღამ სიცოცხლის ფასად დაუჯდა**

იოსებ სტალინის ოფიციალურ ბიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ ის თბილისის სასულიერო სემინარიიდან რევოლუციური მოღვაწეობისთვის გარიცხეს. რაც სიმართლეს არ შეეფერება. იმ დროისათვის, ყველა გამოჩენილი ბოლშევიკი ცდილობდა, თავისი ბიოგრაფია ისე შეელამაზებინა და წარმოედგინა, თითქოს აკვანშივე რევოლუციურ მოღვაწეობაში იყო ჩაბმული. ამ მხრივ არც სტალინი იყო გამონაკლისი. პოლიტიკურ ოპონენტებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმულ იოსებ ჯუღაშვილს მის მოწინააღმდეგეებზე უფერული ბიოგრაფია არ უნდა ჰქონოდა. სტალინი საქმეს სერიოზულად მოეკიდა და ახალგაზრდობის წლების ბიოგრაფიული მომენტების გაყალბებას შეუდგა.

ეს საქმე 1935 წელს ლავრენტი ბერიამ იტვირთა, რომელიც ერთ-ერთ დიდ ფორუმზე გამოვიდა მოხსენებით „ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისთვის". მაშინვე გავრცელდა ხმები, რომ მოხსენების ტექსტი ბერიას დაწერილი არ უნდა ყოფილიყო და ის ერიკ ბედიას ეკუთვნოდა. ცხადია, ამ ხმებმა ლავრენტი ბერიამდეც მიაღწია, რაც სიცოცხლის ფასად დაუჯდა ერიკ ბედიას. თუმცა, იმასაც ამბობენ, ერიკ ბედია, მისი ლამაზი ცოლისადმი ლავრენტი პავლეს ძეს ტრფობას შეეწირა და არა გავრცელებულ ხმებსო. უფრო სავარაუდოა, რომ ერიკ ბედიას ბედი ორივე მიზეზმა გადაწყვიტა. ლავრენტი ბერიამ თავის მოხსენებაში სტალინი პირველ ქართულ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას – „მესამე დასს" დაუკავშირა, რაც, სრული სიცრუე იყო. „მესამე დასი" 1892-1893 წლებში შეიქმნა, იოსებ ჯუღაშვილი კი ამ დროს მხოლოდ 14-15 წლის იყო. ცხადია, სტალინი „მესამე დასის" მოღვაწეთა შორის ვერ იქნებოდა. ცნობილია, ისიც, რომ მოგვიანებით იოსებ ჯუღაშვილი მართლაც დაუკავშირდა „მესამე დასს", მაგრამ ამ ორგანიზაციის უხუცეს წევრთან, სილიბისტრო ჯიბლაძესთან შელაპარაკება მოუვიდა და სილიბისტრომ სტალინი კარგა გვარიანად გამოლანძღა – ლაწირაკიც კი უწოდა. ამის შემდეგ სტალინი „მესამე დასს" აღარ გაეკარებია.

იოსებ სტალინის ბიოგრაფიის შელამაზების მეორე ეტაპი დაიწყო ისტორიკოსმა ივანე ტოვსტუხამ. ის შავით თეთრზე წერდა, რომ სტალინი სემინარიაში სწავლის პერიოდში ჩაება რევოლუციურ მოღვაწეობაში და სათავეში ჩაუდგა სემინარიაში არსებულ მარქსისტულ (სოციალ-დემოკრატიულ) წრეს. ტოვსტუხა ტყუოდა. ამ პერიოდისთვის არავითარი სოციალ-დემოკრატიული წრე თბილისის სასულიერო სემინარიაში არ ყოფილა, უფრო მეტიც, არანაირი რევოლუციური ჯგუფი და წრე თბილისის სასულიერო სემინარიაში არასდროს არსებულა. ტოვსტუხამ კიდევ უფრო დიდი ტყუილი თქვა: 1899 წელს სტალინი სემინარიიდან რევოლუციური მოღვაწეობისთვის გარიცხესო. ნამდვილი ისტორია კი ასეთია: სტალინი, გორის სასულიერო სასწავლებლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, 1894 წელს თბილისის სასულიერო სემინარიაში შევიდა. იყო სანიმუშო მოწაფე. არანაირ საეჭვო საქციელში შემჩნეული არ ყოფილა. გალობდა სასულიერო სემინარიის ჯგუფის გუნდში (მეორე ხმა). 1894-1895 სასწავლო წელს, ანუ სემინარიის პირველ კლასში არასაპატიო მიზეზით მას არც ერთი საათი არ გაუცდენია. მთელი წლის განმავლობაში კი საპატიო მიზეზით მხოლოდ 14 საათი ჰქონდა გაცდენილი. ამიტომ, სტალინს, როგორც პირველი კლასის, ისე მომდევნო კლასების დასრულების შემდეგ, ყოფაქცევაში მუდამ ფრიადი (5) ეწერა. იოსებ ჯუღაშვილის მონდომებამ თავისი შედეგი გამოიღო. პირველი კლასი მან წარმატებით დაასრულა. წლის ბოლოს ჩატარებულ გამოცდებზე სტალინმა ასეთი შეფასებები დაიმსახურა: წმინდა წერილი – 5, ბერძნული ენა – 4, ქართული საეკლესიო გალობა – 5, სიტყვიერება – 5, სამოქალაქო ისტორია – 5, მათემატიკა – 5, ქართული ენა – 5, თხზულება – 4.

იოსებ ჯუღაშვილი სასულიერო სემინარიიდან არ გაურიცხავთ არც რევოლუციური მოღვაწეობისთვის და არც სხვა რაიმე მიზეზით. საქმე შემდეგში იყო. სასულიერო სემინარიაში სწავლის საფასურს არ იხდიდნენ სასულიერო წოდების წარმომადგენელთა შვილები. სტალინი სასულიერო წოდებას არ ეკუთვნოდა. ამიტომ, სწავლის საფასური პირადად უნდა გადაეხადა. დედამ ეკატერინე (კეკე გელაძემ) როგორღაც მოახერხა და სწავლის საფასური გაუნახევრა – სწავლის საფასურის 50 პროცენტი (40 მანეთი) ჯუღაშვილს პირადად უნდა გადაეხადა, დარჩენილ 50 პროცენტს კი საეკლესიო ხაზინა დაფარავდა. პირველი კლასის წარმატებით დასრულების მიუხედავად, ჯუღაშვილს მეორე კლასში სწავლის გაგრძელების უფლებას არ აძლევდნენ. მას გადახდილი არ ჰონდა პირველი წლის სწავლების საფასურის 50 პროცენტი. იოსებ ჯუღაშვილმა თხოვნით მიმართა სემინარიის რექტორს, რათა მისი სწავლის საფასური მთლიანად საეკლესიო ხაზინას დაეფარა. სემინარიის რექტორმა ნიჭიერი ყმაწვილის თხოვნა შეიწყნარა. შემდგომში სტალინს შეღავათი გაუუქმეს და სწავლის საფასურის გადახდა მოსთხოვეს. თუმცა, ის დადგენილ თანხას ვერ იხდიდა. ასე დაამთავრა სტალინმა სემინარიის 4 კლასი. სემინარიის მმართველობამ ჯუღაშვილს მოსთხოვა სწავლის საფასურის დავალიანების გადახდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას სემინარია უნდა დაეტოვებინა. სტალინმა სწავლის საფასური ვერ გადაიხადა, რის გამოც მეხუთე (დამამთავრებელ) კლასში სწავლა ველარ გააგრძელა და 1899 წელს სემინარია ყოველგვარი კონფლიქტისა და გართულებების გარეშე დატოვა. თბილისის სასულიერო სემინარიის სტუდენტად იოსებ სტალინი ითვლებოდა 1899 წლის 29 მაისამდე. ამავე წლის 2 ოქტომბერს ჯუღაშვილს მისცეს მოწმობა, რომელსაც ხელს აწერდა სემინარიის რექტორი, არქიმანდრიტი გერმოგენი, სემინარიის ინსპექტორი – ბერ-დიაკონი, დიმიტრი. მოწმობაში აღნიშნულია, რომ სტალინმა შეისწავლა სემინარიის 4 კლასის პროგრამით გათვალისწინებული ყველა საგანი, ყოფაქცევაში ფრიადი შეფასებით. სტალინი რომ სემინარიიდან რევოლუციური მოღვაწეობისთვის გაერიცხათ, მაშინ მას ყოფაქცევაში მაღალ შეფასებას არ დაუწერდნენ. ყოფაქცევაში მაღალი შეფასება ნიშნავდა, რომ სტალინი 1899 წლის მაისამდე, არანაირ ანტისახელმწიფოებრივ, რევოლუციურ მოღვაწეობაში შემჩნეული არ ყოფილა. გარდა ამისა, როდესაც სემინარიიდან მოსწავლეს რევოლუციური საქმიანობისთვის რიცხავდნენ, სემინარიის მმართველობა საქმის კურსში აყენებდა ჟანდარმერიას, რის საფუძველზეც აღიძრებოდა საქმე და დაიწყებოდა ძიება. სტალინის შემთხვევაში, სემინარიის მმართველობას ჟანდარმერიისთვის არაფერი უცნობებია და ჯუღაშვილის წინააღმდეგ საქმეც არ აღძრულა. ასე რომ, იოსებ ჯუღაშვილი თბილისის სასულიერო სემინარიიდან რევოლუციური მოღვაწეობისთვის არ გაურიცხავთ, იგი სემინარიიდან წავიდა სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო, ისევე როგორც იმხანად ბევრი სხვა სემინარიელი. სტალინი რევოლუციურ მოღვაწეობაში, სწორედ სემინარიიდან წასვლის შემდეგ ჩაება. ასე რომ, ივანე ტოვსტუხა მხოლოდ 2-3 წელიწადში „შეცდა".

სტალინის ბიოგრაფიის მომენტების გაყალბებას უარყოფითად შეხვდნენ ძველი ქართველი ბოლშევიკები: ფილიპე მახარაძე და სხვები. ფილიპემ პროტესტიც კი გამოთქვა ფაქტების დამახინჯების გამო, რაც კინაღამ სიცოცხლის ფასად დაუჯდა. სტალინს ცხადია, ხელს არ აძლევდა ამ ამბის გახმაურება და საკითხის მოგვარება ლავრენტი ბერიას მიანდო. ბერიამ შესაშური მონდომებითა და ოპერატიულობით აღასრულა სტალინის ნება. მალე ფილიპე მახარაძემ ტონი შეცვალა და ყველა ის სიყალბე, რაც ლავრენტი ბერიას მოხსენებასა და ივანე ტოვსტუხას მიერ დაწერილ სტალინის ბიოგრაფიაში იყო, თავის ნაშრომში გადმოიტანა. ასე დაკანონდა სიცრუე, რომელიც დიდხანს ურყევ ჭეშმარიტებად იყო მიჩნეული.

**ვახტანგ გურულის მასალების მიხედვით მოამზადა**
**ანრი შავლაძემ**

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

### უნდელია

გვარის ფუძეა მეტსახელი **უნდელი**, რაც დაუმწიფებელს, შემოუსვლელს ნიშნავს.

გვარი **უნდელია** ძალიან იშვიათად გვხვდება. ამ გვარის წარმომადგენლები ცხოვრობენ სოფელ კერზუში, ფოთში.

**უნდილია** და **უნდელია** ერთი და იგივე გვარ-სახელებია.

საქართველოში 42 **უნდელია** ცხოვრობს: მარტვილში – 27, ჩხოროწყუში – 13, სენაკში – 2.

### ბაციკაძე

გვარის ფუძეა მეტსახელი **ბაცი, ბაციკა.**

**ბაციკაძეები** 1941 წელს ასურეთში გადასახლებულან საცხოვრებლად სოფელ კორტიდან.

ამავე ძირისაა გვარები: **ბაცანკალაშვილი, ბაცანიძე, ბაცანაძე, ბაცაცაშვილი, ბაცელია, ბაცელაშვილი, ბაციაშვილი, ბაცილავა** და **ბაცაცია**.

საქართველოში 468 **ბაციკაძე** ცხოვრობს: თბილისში – 151, გორში – 101, ქარელში – 76. არიან სხვაგანაც.

### მსუქნიშვილი-მსუქნიძე

ქართული გვარ-სახელების ერთი ჯგუფი ნაწარმოებია ადამიანის გარეგნობის, ხასიათისა და თვისებების მაჩვენებელი სიტყვებიდან. ამ გზით გვარების წარმოქმნა სხვა ერის ხალხისთვისაც არ არის უცხო.

**მსუქნიშვილის** გვარის ეტიმოლოგიაზე გაამახვილა ყურადღება პროფესორმა ალექსანდრე ღლონტმა და აი, რას წერდა ის: „მეტსახელი მსუქანი გვხვდება გვარში **მსუქნიშვილი.**"

ამავე ძირისაა გვარი **მსუქნიძე.**

საქართველოში 240 **მსუქნიშვილი** ცხოვრობს: თელავში – 146, თბილისში – 41, გურჯაანში – 8. არიან სხვაგანაც.

### ავაქაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ავაქა, ავაგა.**

**ავაგა** მოიხსენიება 1744 წელს თუმანიანი პაპუას მიერ ჩარჩიანთ ქრისტესიას სახელზე გაცემული ყმის ნასყიდობის წიგნში.

ბერუა **ავაქაშვილი** იყო მოწმე შაყუბათა ბერუაშვილის მიერ დოლმაზა შანშიაშვილისა და დურმიშხან დემურაშვილის მიერ თავისი ბიძაშვილისთვის – ალიხანასთვის მიცემული ნასყიდობის წიგნისა.

ამავე ძირისაა გვარები: **ავაგაისძე, ავაგაშვილი, ავაგუმაშვილი.**

საქართველოში 160 **ავაქაშვილი** ცხოვრობს: საგარეჯოში – 68, თბილისში – 56, რუსთავში – 18. არიან სხვაგანაც.

### ნერსეზაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ნერსე**. ამ სახელით ბევრი პიროვნებაა ცნობილი საქართველოს ისტორიაში.

საკუთარი სახელი **ნერსო, ნერსუა** გავრცელებულია სომხებშიც. მისგან კი მიღებულია გვარი **ნერსესიანი.**

გვხვდება გვარი **ნერსეზოვიც**, რომელიც რუსული გაფორმებით ასე ჩაუწერიათ. ამ გვარის წარმომადგენლები სინამდვილეში **ნერსეზიშვილები** არიან, ქართველები.

საქართველოში 186 **ნერსეზაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 31, თელავში – 29, რუსთავში – 6. არიან სხვაგანაც.

### შემაზაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **შემაზა.**

1721 წელს, სამღერეთში მოიხსენიება გიორგი **შემაზაშვილი. შემაზაშვილები** იყვნენ მებატონეებიც. 1721 წლის აღწერით, მებატონე **შემაზაშვილებს** ჰყავდათ ყმები სოფელ კარაქაში.

საქართველოში 99 **შემაზაშვილი** ცხოვრობს: ასპინძაში – 31, რუსთავში – 26, გორში – 14. არიან სხვაგანაც.

### ჩიფირაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ჩიფა.**

ჩხიკვთაში მცხოვრებმა ზაქარია **ჩიფირაშვილმა** 1874 წელს, დიდი ენაგეთის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიაში მონათლა შვილი, ნინო. მიმრქმელი იყო ჩხიკვთელი დიმიტრი საგინოვი.




1873 წელს სოფელ ჩხიკვთაში მოიხსენიება სოლომონ **ჩიფირაშვილი.**

ამავე ძირისაა გვარები: **ჩიფარაშვილი, ჩიფრაშვილი** და **ჩაფაშვილი.**

საქართველოში 46 **ჩიფირაშვილი** ცხოვრობს: გურჯაანში – 30, თბილისში – 4, თელავში – 2. არიან სხვაგანაც.

### როსტობაია

**როსტობაიას** ადრინდელი გვარი იყო უგვარია.

ვარაუდით, გვარის ფუძე წარმოიშვა ვინმე უგვარო კიცისგან, რომელსაც შემდეგ უგვარია გაუგვარდა.

ოჩამჩირის რაიონში მცხოვრები უგვარიების ნაწილმა გვარი **როსტობაიებად** გადაიკეთა. როგორც ჩანს, გვარის ფუძედ აიღეს საკუთარი სახელი – **როსტომი.**

**უგვარია** 1834 წლის საბუთებში მოიხსენიება.

საქართველოში 383 **როსტობაია** ცხოვრობს: ზუგდიდში – 205, სენაკში – 32, თბილისში 26. არიან სხვაგანაც.

### მანგოშვილი

გვარის ფუძეა ქალის საკუთარი სახელი **მანგო.**

ქართულ საისტორიო წყაროებში გვხვდება, ასევე, მამაკაცის საკუთარი სახელი – **მანგია.**

ამავე ფუძისაა გვარი **მანგიაშვილი.**

**მანგიაშვილები** მთიულები არიან და ქართლის მთიანეთში ცხოვრობენ, **მანგოშვილები** კი კახელები არიან.

საქართველოში 607 **მანგოშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 167, სიღნაღში – 145, რუსთავში – 85. არიან სხვაგანაც.

### გოგაძე

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **გოგა.**

ამავე ძირისაა გვარები: **გოგაშვილი, გოგიძე, გოგიშვილი, გოგია, გოგილავა, გოგილაშვილი, გოგინაშვილი, გოგისვანიძე, გოგიტაური, გოგიჩაიშვილი, გოგლიჩიძე, გოგლიძე, გოგმაჩიძე, გოგიბერიშვილი, გოგნელაშვილი** და ასე შემდეგ.

ილია მაისურაძის ვარაუდით, **გოგა, გოგი – გიორგის** შემოკლებულ სახელად ითვლება, მაგრამ, ირკვევა, რომ ის უძველეს ხანაში დამოუკიდებელი სახელი უნდა ყოფილიყო. ამაზე მიუთითებს ამ ძირეული სახელის ფართოდ გავრცელება და მისგან წარმოქმნილ ფორმათა სიუხვე. ის ეთნონიმური წარმოშობის ანთროპომად უნდა მივიჩნიოთ.

საქართველოში 1 025 **გოგაძე** ცხოვრობს: თბილისში – 205, ვანში – 168, ქობულეთში – 83. არიან სხვაგანაც.

### ხარატი-ხარატიძე-ხარატიშვილი

გვარის ფუძეა ხელობა-საქმიანობის აღმნიშვნელი სიტყვა **ხარატი**, რომელიც ჩარხზე ხისგან და ლითონისგან ჩარხავს სხვადასხვა ნაკეთობას.

ამავე ძირისაა გვარები: **ხარატიძე, ხარატიშვილი.** 1721 წელს გვარეთში მოიხსენიება ხარატიშვილი მელიქა.

საქართველოში 136 **ხარატი** ცხოვრობს.

82 – **ხარატიძე.**

1 904 – **ხარატიშვილი**: თბილისში – 643, ქუთაისში – 186, ხარაგაულში – 139. არიან სხვაგანაც.

### ხახანაშვილი-ხახაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ხახანა.**

1700-1719 წლებში თუმანიანთ ყმების განულების ნუსხაში მოიხსენიება ვინმე **ხახანაშვილი**. ამავე ძირისაა გვარები: **ხახანიკაშვილი, ხახაშვილი, ხახოშვილი, ხახოძე, ხახუა, ხახიაური.**

საქართველოში 806 **ხახანაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 785, გორში – 12, ქუთაისში – 9.

80 – **ხახაშვილი**: თბილისში – 28, გორში – 23, თიანეთში – 19. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მიერ მოწოდებული მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

# დღესასწაული გრძელდება!



*საქართველოში და კიდევ რამდენიმე მართლმადიდებელ ქვეყანაში ძველით ახალი წლით აღნიშვნაა მიღებული. ზოგს მიაჩნია, რომ ეს დღესასწაულის ხელოვნურად გაგრძელების საშუალებაა. თქვენ გაქვთ დღესასწაულის გაგრძელების რეალური სურვილი?*

**1. ახალი წლის დღეები თქვენთვის არის პერიოდი, როცა თქვენს მონატრებულ ნათესავებს ხვდებით?**

**2. დღესასწაულის შემდეგ თქვენს ორგანიზმს დრო სჭირდება გონზე მოსასვლელად?**

**3. არის დღესასწაული ნაკლებად ნაცნობ ადამიანებთან დაახლოების საშუალება?**

**4. დღესასწაულის დღეებში უამრავ პოზიტიურ ენერგიასა და დადებით შთაბეჭდილებებს იღებთ?**

**5. გწყინთ, რომ დღესასწაული მალე მთავრდება, მერე კი ნაცრისფერი ერთფეროვნება იწყება?**

**6. დღესასწაულის მერე მალე გავიწყდებათ ამ პერიოდში განცდილი ემოციები?**

**7. საახალწლოდ გაქვთ ჯადოსნურობისა და რაღაც საოცარი სიურპრიზის მოლოდინი?**

**8. როდისმე შეგრცხვენიათ ახალი წლის დღესასწაულებზე ჩადენილი სისულელეების გამო?**

**9. დღესასწაული იმიტომ გიყვართ, რომ ამ დროს შეგიძლიათ, ცოტა დალიოთ და გაერთოთ?**

**10. დარწმუნებული ხართ, რომ ამ დღესასწაულზე წესიერად იქცეოდით?**

**11. დღესასწაულის შემდეგ თქვენი სასიცოცხლო ტონუსი ამაღლებულია?**

**12. ისევ ისე გიყვართ ახალი წელი, როგორც ბავშვობაში?**

***თუ 1-ელ, მე-2, მე-3, მე-5, მე-12 შეკითხვას უპასუხეთ „არა“, თითოეულისთვის დაიწერეთ 1 ქულა; ხოლო, თუ მე-4, მე-6, მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-11 შეკითხვაზე პასუხი დადებითი იყო, კიდევ თითო ქულა დაიმატეთ თითოეულისთვის. მერე კი დაითვალეთ.***

*0-4 ქულა: საკმარისია! თუ ძველით ახალ წელსაც იდღესასწაულებთ, მინიმუმ ექვსი თვე ვეღარ მოეგებით გონს, რაც თქვენთვის სერიოზული სტრესი იქნება.*

*5-8 ქულა: თუ სმასა და ჭამას არ განაგრძობთ და მხოლოდ სადღესასწაულო განწყობას შეინარჩუნებთ, ყველაფერი კარგად იქნება. ეს, შეიძლება, სასარგებლოც აღმოჩნდეს შემდგომი დღეების ამაღლებული განწყობისთვის.*

*8-12 ქულა: იმდენ ხანს გაიხანგრძლივეთ დღესასწაული, რამდენ ხანსაც გინდათ. თქვენი სასიცოცხლო ენერგია და აქტიურობა წარმოუდგენელ შესაძლებლობებს გაძლევთ. რომანტიკა ხელს არაფერში გიშლით.*

## ცოცხალი ლეგენდა

***იყო ცხოველი, რომელიც ძალიან დიდხანს ეგონათ ადამიანის ფანტაზიის ნაყოფი. სანამ უცებ არ გაირკვა, რომ ის რეალურად არსებობდა...***

ცისფერთვალება ლომი – ლეგენდა მის შესახებ ჯერ კიდევ ფარაონების ეპოქაში არსებობდა. თითქოს აღმოსავლეთში, სადაც ერთ ტომს დედოფალი ნუმბი მართავდა, ერთხელაც ციდან მბრწყინავი, მანათობელი ბურთი დაეშვა. რაღაც ხმამ დედოფალი თავისთან იხმო. ქალი მის სხივებში ჩაიკარგა და დიდხანს არ ჩანდა. მერე უცებ დაბრუნდა, გაახალგაზრდავებული და გალამაზებული. იმ დღიდან მბრწყინავი ბურთი პერიოდულად გამოჩნდებოდა ხოლმე და ადამიანებმა შენიშნეს, რომ ლომებს უჩვეულო ბოკვერები უჩნდებოდათ – თეთრბეწვიანი და ცისფერთვალება. აფრიკაში დღეს ამ ლომებს მეფეთა მეფეებს ეძახიან. ყველა აფრიკელს ყოველთვის სჯეროდა მათი არსებობის. ევროპელებმა კი მხოლოდ 1975 წელს ირწმუნეს, როცა პირველად ნახეს თეთრი ლომები და ორი ბოკვერიც მოიპოვეს ერთ-ერთი ზოოპარკისთვის. დღეს მსოფლიოში დაახლოებით სამასი თეთრი ლომი ბინადრობს. შესაძლოა, ველური ბუნების წიაღში მათი რიცხვი მეტიც იყოს. თუმცა, ნაკლებად სავარაუდოა. უმრავლესობა ცხოვრობს აფრიკის სამხრეთ-დასავლეთში სანშონას უზარმაზარ ზოოპარკში. 24 თეთრი ლომი ჰყავთ გერმანიის ზოოპარკში. იალტის ზოოპარკში ახლახან ორი პაწაწინა თეთრი ბოკვერი დაიბადა. თბილისის ზოოპარკშიც ბინადრობს ორი თეთრი ლომი...

მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ თეთრი ლომი ალბინოსი ცხოველია. ამ ტიპის შეფერილობა, შესაძლოა, ნაკლებად საშიში გენეტიკური დაავადების ბრალი იყოს. მაგალითად, ლეიკიზმი. ავაზის შემთხვევაში საქმე პირიქითაა – მათ მელანიზმი აქვთ. არის კიდევ ერთი ვერსია – ზოგიერთი მეცნიერი ვარაუდობს, რომ ლომების ერთი ნაწილის გენში მათ უხსოვარი წინაპრების მუტაციური კოდი შემორჩათ. როცა მთელი სამყარო თოვლით იყო დაფარული და ცხოველებსაც ბეწვი შესაბამისი შეფერილობის ჰქონდათ...

## საინტერესო არქეოლოგია

* პარიზის სიახლოვეს, იმ ადგილას, სადაც დედოფალ ეკატერინე მედიჩის რეზიდენცია ჰქონდა, არქეოლოგებმა 9 სანტიმეტრი სიგრძის თმის სარჭი იპოვეს. საკმაოდ საინტერესოა ის, რომ თმის სარჭი ფონტენბლოას საზოგადოებრივ ტუალეტში აღმოჩნდა. მასზე დედოფლის ინიციალებია ამოტვიფრული. ნაპოვნ ნივთს განსაკუთრებული ყურადღება მანამდე არ მიაქციეს, სანამ არ შენიშნეს, რომ ამოტვიფრული ასოების ფონი თეთრი და მწვანე მინანქრით იყო შესრულებული (ეს დედოფლის საყვარელი ფერებია). ამის შემდეგ თმის სარჭს ისტორიული რარიტეტი მიენიჭა. არქეოლოგები და მეცნიერები ვარაუდობენ, რომ თმის სარჭი დედოფლის საპირფარეშოდან მოიპარეს, მერე კი, ან დამალეს, ან დაკარგეს საზოგადოებრივ ტუალეტში. რა ბედი ელის ამ რელიკვიას ჯერჯერობით უცნობია. სავარაუდოდ, ის ლუვრის მუზეუმში დაიდებს ბინას. ეკატერინე მედიჩი – „შავი დედოფალი“ პირადად იყო ინიციატორი ბართლომეს სისხლიანი ღამისა, რომელმაც 40 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.



* იერუსალიმის გარეუბანში ქვის ხანის ეპოქის სამარხები გაითხარა. საცხოვრებელი დაახლოებით ცხრა ათასი წლისაა. ეს ის პერიოდია, როცა ადამიანი ჯერ კიდევ არ იცნობდა რკინას. სამაგიეროდ, ამ პატარა ქალაქის მცხოვრებლები შესანიშნავად ამუშავებდნენ ქვას. ნაგებობებს თითქმის იდეალურად დამუშავებული კედლები და იატაკი აქვს. ასევე, აქ აღმოაჩინეს ობსიდიანი ანატოლიიდან, ხმელთაშუაზღვის მარჯნის ნიჟარები და მალაქიტის სამკაული; ასევე საყოფაცხოვრებო ნივთები სინაის ნახევარკუნძულიდან.

ყველაზე გასაოცარი აღმოჩნდა გათხრებისას ნაპოვნი დანების კომპლექტი, რომლებსაც 90 საუკუნის მერეც კი ისეთი მჭრელი პირები აქვს, ადამიანი ხელს ადვილად გაიჭრის. ნუ დაგავიწყდებათ, რომ პირები ქვისაა.

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძემ**

# სიკვდილი გაოცებით

## ჯეკ რიჩი

ერთი შეხედვით, თითქოს ყველაფერი წესრიგში იყო. კლიენტი გულის შეტევით გარდაიცვალა, მაგრამ, რადგან სადაზღვევო თანხა ორასი ათას დოლარს შეადგენდა, გარდაცვლილმა კრამერმა კი ანდერძი ექვსი თვით ადრე შეცვალა, სადაზღვევო კომპანიამ დეტექტივი გამოიძახა. სემ ოლბრაითი ამ კომპანიასთან არაერთი წელი თანამშრომლობდა და ერთმანეთის უსიტყვოდ ესმოდათ.

– ჩვენმა ექიმმაც დაადასტურა უცაბედი გულის შეტევა და ინფარქტი. გაკვეთამაც იგივე აჩვენა... მაგრამ, კომპანია მაინც ვალდებულია... ხომ ხვდებით?

– სულ არაფერია, რაც ეჭვს ბადებს? – თვალები მოჭუტა ოლბრაითმა.

– არის. კრამერს მარჯვენა ხელის თითები ოდნავ ჰქონდა დამწვარი, თითების კანიდან კი ნათურის წვრილი ნამსხვრევები ამოუღეს.

– ეს უკვე რაღაცას ნიშნავს. ვის სასარგებლოდ შეცვალა ანდერძი?

– ვინმე ჰელენ მორლანდის. მანამდე მემკვიდრე ცოლი იყო – მისის კრამერი. კიდევ ერთი ინფორმაცია: შეტევა თავისი მეგობრის, პიტერ ნორტონის სახლში დაემართა. სასწრაფო დახმარებაც იმან გამოიძახა, მაგრამ, უკვე გვიან იყო – ექიმებს კრამერი მკვდარი დახვდათ. ეტყობა, მეგობრები ერთობოდნენ. ყოველ შემთხვევაში, კარგი ნასვამი იყო.

– გულით ავადმყოფი სვამდა?

– ეგ ცოტა საეჭვოა. კრამერმა ან არ იცოდა, რომ გული აწუხებდა, ან ფეხებზე ეკიდა მოსალოდნელი შედეგები.

ოლბრაითი პირველად ნორტონს ესტუმრა. ნორტონი მარტო ცხოვრობდა. მის ბინაში საღებავის მკვეთრი სუნი იგრძნობოდა. იფიქრებდით, რემონტი ახლა დაამთავრესო.

– მომიყევით, როგორ მოხდა ყველაფერი. მე სადაზღვევოდან ვარ და ამ საქმეს ვიძიებ.

ნორტონმა მხრები აიჩეჩა:

– გამოსაძიებელი რა არის? გულის შეტევით მოკვდა ადამიანი.

– არც ასე მარტივად არის საქმე, რაღაც დეტალები უნდა დავაზუსტო. იცით, რომ თქვენს მეგობარს მარჯვენა ხელის თითები დამწვარი ჰქონდა, თან, მისი თითების კანიდან ელექტრონათურის ნამსხვრევებიც ამოიღეს. მითხარით, აქ რამე ხომ არ მოხდა ისეთი, რასაც შეეძლო ასეთი დაზიანებები გამოეწვია?

– წარმოდგენა არ მაქვს. ჩვენ ვისხედით, ვსვამდით, ვხუმრობდით. მერე უცებ გულზე მიიდო ხელი... მე სამზარეულოში გავედი წყლის მოსატანად და, როცა დავბრუნდი, მკვდარი დამხვდა – სულ ეს იყო.

– იცნობთ ჰელენ მორლანდს?

– დიახ. ჰელენს ვინ არ იცნობს?! საოცარი ქალია.

– იცით, რომ კრამერმა რამდენიმე თვის წინ ანდერძი მის სასარგებლოდ შეცვალა?

– ეგ არ ვიცოდი. სხვათა შორის, ეგენი ერთმანეთს მე გავაცანი ღამის კლუბში.

– რისთვის? კრამერს ხომ ცოლი ჰყავდა?

ნორტონმა გაიცინა:

– რა უცნაურ შეკითხვებს მისვამთ. ჰელენზე ყველა გიჟდება და, მაინტერესებდა, კრამერზე რა ეფექტს მოახდენდა.

– ხშირად ატარებთ ხოლმე ასეთ ექსპერიმენტებს? – ოლბრაითი დაჟინებით მიაშტერდა ნორტონს. ეს უკანასკნელი ცოტათი აღელდა და მაშინვე არ უპასუხა.

– საერთოდ, მიყვარს ხუმრობა. ეს რამე პრობლემაა?

– ჯერჯერობით არა. თუ კიდევ გამიჩნდება შეკითხვა, შეგაწუხებთ.

– ნებისმიერ დროს.

სემ ოლბრაითი რამდენიმე წუთით შვეიცართან შეჩერდა და ნორტონის შესახებ გამოჰკითხა – როგორი მობინადრეა. უცნაურობები ხომ არ ახასიათებსო.

– საერთოდ, ნორმალური ტიპია, თუ იმას არ ჩავთვლით, რომ უცნაური ხუმრობები უყვარს. მართალი გითხრათ, მე ეს არ მომწონს, თუმცა, ერთხელ დავეხმარე კიდეც.

– მაგალითად? – დაინტერესდა ოლბრაითი.

– მისი თხოვნით, მესამე სართულის მობინადრეებს, ხანშიშესული წყვილია, ცივი და ცხელი წყლის ონკანები გადავუადგილე.

– ოჰო, ეს უკვე საინტერესოა. მერე?

– მერე, საწყლები ვერაფრით მიხვდნენ, რა ხდებოდა, ნორტონმა კი ბევრი იცინა. მას მერე, სულ ყურადღებით ვარ, მეც რაიმე ოინი არ მომიწყოს.

– მითხარით, ბოლო დროს ნორტონს ბინაში რემონტი ჰქონდა?

– დიახ, ორი დღის წინ დაამთავრა. როგორც ვიცი, მხოლოდ ერთი ოთახი შეარემონტა.

– შეგიძლიათ, იმ ადამიანის კოორდინატები მომცეთ, ვინც მასთან მუშაობდა?

– რა თქმა უნდა, – შვეიცარმა სავიზიტო ბარათი მიაწოდა, რომელზეც ეწერა: „კორნოულსი – რემონტი და ინტერიერი“.

– დიდი მადლობა, ძალიან დამეხმარეთ.

სანამ მისის კრამერს მოინახულებდა, სემ ოლბრაითმა სადაზღვევო კომპანიაში დარეკა:

– მგონი, რაღაცას მივაგენი. იმედი არის.

– შეუძლებელია. გინდათ, თქვა, რომ ინფარქტი არ ყოფილა?

– ინფარქტი იყო, მაგრამ, ხელოვნური ეფექტებით.

– ეგ როგორ უნდა გავიგო?

– რამდენიმე საათი ან ერთი დღე მჭირდება და ზუსტად მეცოდინება ყველაფერი.

კრამერის ცოლი საქმის კურსში იყო, რომ მისმა ქმარმა ანდერძი იმ ქალის სასარგებლოდ შეცვალა. სასამართლოში ვიჩივლებ, არ დავნებდები. მაგ ჰელენს კაცები სათამაშოებად ჰყავს. ჩემი ქმარი ხარივით ჯანმრთელი იყო. გული კი არა, არაფერი აწუხებდა, სანამ მაგ ძუკნას არ გადაეკიდაო... ოლბრაითი დაემშვიდობა და წამოვიდა. რემონტის შესახებ ოლბრაითმა ზუსტად ის გაიგო, რაც სჭირდებოდა და რასაც ვარაუდობდა. თავდაჯერებული და საკუთარ სიმართლეში დარწმუნებული მიადგა ჰელენ მორლანდს. ქერათმიანი ქალი მოლბერტთან იდგა და ხატავდა. ველური გარეგნობა ჰქონდა და მომნუსხველი მზერა. ოლბრაითი დაუფარავი ირონიით შეათვალიერა.

– მე ყველაფერი ვიცი. უბრალოდ, ახლა მოვყვები, რა როგორ მოხდა და თქვენ შეგიძლიათ, უარყოთ. თუმცა, ეს უკვე აღარ გიშველით... კრამერს თავდავიწყებით შეუყვარდით. გიჟდებოდა თქვენზე და გადაწყვიტა, საჩუქარი გაეკეთებინა. ამიტომ, ანდერძი თქვენს სასარგებლოდ შეცვალა. თქვენ ეს არ გაგიპროტესტებიათ, პირიქით, კიდევ უფრო დაახვიეთ თავბრუ. გულით ავადმყოფი რომ იყო, იცოდით – თავად მოგიყვათ. ცოლს კი დაუმალა...

ქალი შეუსვენებლად უსვამდა ფუნჯს მოლბერტს. თვალი არ დაუხამხამებია... სემმა განაგრძო:

– ძალიან ჭკვიანი ხართ. იცოდით, ნორტონის ხასიათი და ხუმრობის იდეა შესთავაზეთ. მე ვიყავი იმ ადამიანთან, რომელმაც ნორტონის ერთ ოთახში ერთი დღით შეცვალა დიზაინი, კონკრეტულად – ოთახი თავდაყირა დააყენა, ასე ვთქვათ – ამოატრიალა. ჭაღი იატაკზე ჩამოიტანა, კარი შეაბრუნა... მაგიდა, ხალიჩა და დივანი ჭერზე მიამაგრა. ფანჯრები კი დაგმანა. ეს ისეთი ხუმრობაა, რომელსაც ჯანმრთელი ადამიანის გულიც ძნელად გაუძლებს. ნორტონმა კრამერს ვისკი ბლომად ასვა და მერე იმ „თავდაყირა“ ოთახში შეიყვანა. როგორც კი ოდნავ გონს მოეგო, კრამერი პანიკაში ჩავარდა. ეფექტი წარმოუდგენელი იყო: საცოდავს ეგონა, რომ ჭერზე დაფორთხავდა. ჭაღთან მივიდა და ნათურას ხელი მოუჭირა, რომ დარწმუნებულიყო, არ მეჩვენებაო. თითები დაეწვა და ნამსხვრევები კანში ჩარჩა... მიხვდა, რომ სიზმარში არ იყო და შეშინებულს გული გაუსკდა. ნორტონი ამას არ ელოდა... რა თქმა უნდა, შეეშინდა. მკვდარი კაბინეტში გამოათრია, სავარძელში ჩააწვინა და სასწრაფოში დარეკა. ბუნებრივია, ექიმებს ბინა არ დაუთვალიერებიათ და ის საბედისწერო ოთახი არავის უნახავს. თქვენ ნორტონი მკვლელობის თანამონაწილედ აქციეთ. მას, ალბათ, დააპატიმრებენ... თუმცა ეს, ალბათ, არ გადარდებთ.

ქალი ნელა შემოტრიალდა:

– მეტისმეტად ჭკვიანი ყოფილხართ. მით უმეტეს – მამაკაცისთვის... როგორ მიხვდით ამ ყველაფერს?

– თქვენ დამეხმარეთ.

– მე?! – ქალის მზერაში გაოცება გაკრთა.

– დიახ, ნორტონის სანაგვე ურნაში უცნაური ნახატი ვნახე. თქვენ დახატეთ „ვატერლოო“ უკუღმა. ჯარისკაცები – ფეხებით ზემოთ. ეტყობა, გინდოდათ, რომ ყველა დეტალი სრულყოფილი ყოფილიყო და, კიდევ – ჩამრთველი. ვინ აყენებს ჩამრთველს ბინაში უკუღმა?! ხელოსანმა ყველაფერი თავის ადგილას დააბრუნა, აი, ჩამრთველის შებრუნება კი დაავიწყდა...

ჰელენს ფუნჯი გაუვარდა ხელიდან.

სემ ოლბრაითი კმაყოფილი სტვენით შევიდა შეფთან.

– ესეც ასე, ყველაფერი გარკვეულია!

– მართლა? იმაზე რას იტყვი, რომ კრამერის მეგობარმა ნორტონმა თავი მოიწამლა? თანაც, შენთან საუბრის შემდეგ... კიდევ კარგი, ეგ მაინც არ ყოფილა ჩვენი კლიენტი...

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**



# მგლები 5

## უკანასკნელი ქურდი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №26-2(628)

რიბკინი მოუსვენრად წრიალებდა ოთახში. რამდენჯერმე სცადა თავის ხელში აყვანა და დამშვიდება, მაგრამ, ვერ შეძლო. დღეს უნდა გადაწყვეტილიყო, მისცემდა თუ არა ლუკა მოსკოვში დაბრუნების საშუალებას.

ბოლო ორი თვე მან ხარკოვის გარეუბანში, „ვერშინას“ კუთვნილ აგარაკზე გაატარა. აქ ყველაფერი იყო ნორმალურად ცხოვრებისთვის: კომფორტით მოწყობილი და შესაბამისად აღჭურვილი სახლი, საცურაო აუზი, საბილიარდო; შინამოსამსახურე ქალი, რომელიც სახლსაც ალაგებდა და საჭმელსაც უმზადებდა. სახლში მუდამ იმყოფებოდა ორი მცველი. ისინი მხოლოდ სახლს იცავდნენ და არაფრით ზღუდავდნენ იგორს. მას ნებისმიერ დროს შეეძლო ქალაქში გამგზავრება, ამისთვის მანქანაც კი ჰყავდა. მაგრამ ის მაინც შინაპატიმრობაში გრძნობდა თავს. ყველაზე ძალიან კი ის აღელვებდა, რომ არ იცოდა, როდემდე გაგრძელდებოდა ეს შინაპატიმრობა.

ვასილიჩის ბოლო სტუმრობისას მან შეპარვით ჩამოუგდო სიტყვა რუსეთში დაბრუნებაზე.

– რატომ? – გაუკვირდა ადვოკატს, – თუ აქ ცუდად გრძნობ თავს, შემიძლია, საცხოვრებელი ადგილი შეგიცვალო.

– არა, – თავი გააქნია რიბკინმა, – აქ ყველაფერია, რაც კი შეიძლება, რომ ადამიანმა მოისურვოს. უფრო მეტიც – არასდროს მიცხოვრია ასეთ კომფორტში.

– მაშ, რაშია საქმე?

– შენ თვითონ მითხარი – ვინ ვარ თქვენთვის, სტუმარი თუ პატიმარი? – ჰკითხა იგორმა.

– შენ თვითონაც კარგად იცი, როგორც მოხვედი აქ. ლუკას ეს რომ არ გაეკეთებინა, ახლა ცოცხალი არ იქნებოდი, – უპასუხა ვასილიჩმა.

– მესმის... ამისთვის მადლობასაც კი გადავუხდი, მაგრამ, მას შემდეგ რაღაცეები შეიცვალა.

– რას გულისხმობ?

– მალიშევი ცოცხალი აღარ არის, კრილოვი სამსახურიდან გაათავისუფლეს, – თქვა იგორმა.

ვასილიჩმა გაოცებით შეხედა. მან არაფერი იცოდა რუსეთის გენპროკურატურის საგამოძიებო სამსახურის ხელმძღვანელის დათხოვნის შესახებ.

– შენ გაგაფრთხილეს, რომ მოსკოვს არ დაჰკავშირებოდი! – უკმაყოფილოდ თქვა ადვოკატმა.

– არც დავკავშირებივარ, – თავი იმართლა რიბკინმა.

– მაშ, საიდან შეიტყვე კრილოვის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ?

– ეს ინფორმაცია გენპროკურატურის საიტზე დევს, – უპასუხა იგორმა.

– მიზეზი?

– ოფიციალურად ის სამსახურებრივი მოვალეობის უგულებელყოფისთვის დაითხოვეს. ის ვალდებული იყო, დაეწყო მოკვლევა დოსიეების დაკარგვის ფაქტზე, მაგრამ ეს არ გააკეთა – ჩანს, მალიშევმა დაითანხმა მოკვლევის დროებით შეჩერებაზე. ეს ფაქტი გრომოვის მეგობარმა ჟურნალისტებმა გამოჩხრიკეს და სკანდალის თავიდან ასაცილებლად გენპროკურატურა, იძულებული გახდა, კრილოვი სამსახურიდან გაეთავისუფლებინა.

– და, შენ მიგაჩნია, რომ კრილოვის გათავისუფლება შენს შანსს ზრდის? – ჰკითხა ვასილიჩმა.

– რა თქმა უნდა, – სწრაფად უპასუხა რიბკინმა, – მე შევძლებ იმის დამტკიცებას, რომ არაფერი მაკავშირებს დოსიეების საქმესთან. ამაში გრომოვის მეგობარი ჟურნალისტები დამეხმარებიან. ვერასდროს წარმოვიდგენდი ამას, მაგრამ, მათ ფულადი ჯილდოც კი დააწესეს მისთვის, ვინც ჩემს შესახებ ღირებულ ინფორმაციას მიაწვდის!

– კარგად გქონია საქმე, – გაიცინა ვასილიჩმა, – ორი კაპიკის შოვნის შანსიც გაგიჩნდა!

– ვიფიქრებ ამაზე, – თავი დაუქნია რიბკინმა.

– მოდი, სერიოზულად მივუდგეთ ამ საკითხს, – განაგრძო ვასილიჩმა, – იმას თუ ხვდები, რომ გრომოვის დალუპვის შესახებ, უამრავ კითხვას დაგისვამენ? შენ ხომ მკვლელობის ერთადერთი თვითმხილველი ხარ!

– ვიცი და მეც ბევრი ვიფიქრე ამაზე.

– და, რა დასკვნამდე მიხვედი?

– სიმართლეს ვიტყვი. გრომოვი ხომ მალიშევის „ოპერებს“ შემოაკვდათ, – უპასუხა რიბკინმა.

– მერე კი მალიშევის „ოპერები“ სხვა ხალხს „შემოაკვდათ“! – დაამატა ვასილიჩმა, – მათ შესახებ რას ეტყვი გენპროკურატურის გამომძიებელს?

– არაფერს... მე არაფერი ვიცი ამის შესახებ. მალიშევი ძალზე ბუნდოვან საქმეებში იყო გახვეული. ვინ გამორიცხავს, რომ მისი დალუპვაც იმ საქმეებს არ უკავშირდება? – უპასუხა რიბკინმა.

– იგორ, მე მესმის, რომ შენ სახლში დაბრუნება და ჩვეული ცხოვრების გაგრძელება გსურს, მაგრამ, სურვილი ერთია და რეალობა – მეორე. საქმე „ეფესბეს“ პოლკოვნიკის მკვლელობას ეხება და ნებისმიერ შემთხვევაში უნდა გაიხსნას – ეს „ეფესბესთვის“ მუნდირის ღირსების საკითხია. შენ კი ძალიან ბევრი იცი ამ საქმის შესახებ. რა თქმა უნდა, შენ შეგიძლია, „ნეზნაიკას“ პოზიცია დაიჭირო – „არაფერი ვიცი, არაფერი მინახავს“... პირიქით, დაზარალებულად, მსხვერპლად გამოიყვანო თავი!.. შეიძლება, ამაში გენპროკურატურაც დაგეთანხმოს, მაგრამ, „ეფესბე“ არასდროს შეურიგდება ასეთ ვითარებას. შენგან სასურველი ჩვენება თუ ვერ მიიღეს, მკაცრად დაგსჯიან. ბოლომდე მიიყვანენ საქმეს, რომლის დამთავრებაც ვერ მოასწრო მალიშევმა... მოგკლავენ! – თქვა ბოლოს ვასილიჩმა.

– მე მაინც გავრისკავ! – მტკიცედ უპასუხა რიბკინმა.

– ჰო, მაგრამ, ეს მხოლოდ შენ არ გეხება. ვინ მოგვცემს გარანტიას, რომ შენ არ ალაპარაკდები?!

– არ მენდობით? – მოიღრუბლა იგორი, – მე კარგად ვიცი, რაც გააკეთეთ ჩემთვის და სიკეთეს, მხოლოდ სიკეთით ვუპასუხებ!

– აქ ძალიან იოლია ამაზე ლაპარაკი, მაგრამ, როგორ მოიქცევი, როდესაც რომელიმე უდაბურ ადგილას, მკვლელების პირისპირ აღმოჩნდები?!

რიბკინმა დუმილით უპასუხა.

– მეც არ ვიცი, – განაგრძო ვასილიჩმა – და ამიტომაც გპასუხობ: არა!.. ვიდრე ყველაფერი არ გაირკვევა, შენ აქ დარჩები!

– ესე იგი, მე მაინც პატიმარი ვარ? – ცივად ჰკითხა იგორმა.

– როგორც გინდა, ისე გაიგე.

– კარგი, დავრჩები, მაგრამ, როდემდე? აქ პატიმრად თუ არა, უკვე შინაურ ცხოველად ვგრძნობ თავს – ზაზუნად ან ზღვის გოჭად, რომლის ერთადერთი დანიშნულება ჭამა და პატრონის გართობაა!

– შემიძლია, გასართობი შემოგთავაზო.

– რას გულისხმობ? – ჰკითხა რიბკინმა.

– შენ კარგი იურისტი ხარ. მე კი ბოლო ხანებში მთლიანად მოვწყდი კომპანიის საქმეებს, – უპასუხა ვასილიჩმა, – ხომ არ დამეხმარები?

– დიდი სიამოვნებით, მაგრამ, ეს არაფერს შეცვლის. მე მაინც რუსეთში დაბრუნებაზე ვიფიქრებ და, თუ თქვენ ამის საშუალებას არ მომცემთ, ჩემით გავაკეთებ ამას!

– რა გინდა, იგორ, რატომ ეძებ თავგადასავლებს? კარგად დაფიქრდი. შეიძლება, ასეთი შანსი აღარასოდეს მოგეცეს. შენ გთავაზობენ ახალი ცხოვრების დაწყებას. მიაფურთხე გენპროკურატურასა და დაბღვერილ, მუდამ უკმაყოფილო ხელმძღვანელებს, გვამებს, სისხლს, უძილო ღამეებს, იმაზე ფიქრში გათენებულს, თუ ვინ ჩაიდინა ესა თუ ის დანაშაული, მოხსენებითი ბარათების უსასრულოდ წერასა და სისხლის სამართლის საქმეებს. შენ მიიღებ ახალ საბუთებს, უკრაინის მოქალაქეობასა და საინტერესო სამუშაოს. ამბობ, რომ არასდროს გიცხოვრია ასეთ კომფორტში – ესე იგი, მოგწონს ეს სახლი და მანქანა?

– მომწონს, – გულწრფელად უპასუხა იგორმა.

– ჩათვალე, რომ ისინი შენია, მაგრამ, ეს არაფერია იმასთან შედარებით, რისი მიღწევის საშუალებაც მოგეცემა. სამ-ოთხ წელიწადში ეს ქოხი აღარ მოგეწონება და სხვაზე, ბევრად უკეთესზე დაიწყებ ფიქრს და, მხოლოდ ფიქრს



კი არა, მისი შეძენის შესაძლებლობაც გექნება!

რიბკინი მცირე ხნით ჩაფიქრდა და შემდეგ უპასუხა:

– დიმიტრი გრომოვი ჩემი მეგობარი იყო და ის მაშინ დაიღუპა, როდესაც ჩემს დახმარებას ცდილობდა! მე შუა გზაზე ვერ გავჩერდები. ამ სახლს, მანქანას და მათზე უკეთესს, დიმიტრის მკვლელის გისოსებში ნახვა მირჩევნია!

– ამას ველარ მიაღწევ. მალიშევი დაიღუპა, მკვდრებს კი რუსეთშიც აღარ ასამართლებენ! – ირონიით შენიშნა ვასილიჩმა.

– ვიცი, მაგრამ თანამდებობებზე რჩებიან მისი ხელმძღვანელები და მარტო ამაშიც არ არის საქმე. რუსეთს ჰყავს ხელისუფლება, აქვს სასამართლო. მე ჩემს სიმართლეს დავამტკიცებ. დანარჩენი კი მათ გადაწყვიტონ!

– ამდენი წელია ვიცნობ ლუკას და ის მაინც მაოცებს, – ჩაილაპარაკა ვასილიჩმა.

რიბკინმა გაოცებით გახედა. ის ვერ ხვდებოდა, რისი თქმა სურდა ადვოკატს.

– რას მიყურებ? – გაღიაზიანდა ვასილიჩი, – ამ პრობლემის გადაწყვეტა სასხლეტზე თითის ერთი დაჭერით შეგვეძლო და ეს საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა – შენთან ერთად გაქრებოდა ყველა პრობლემაც, მაგრამ, ლუკამ ამაზე ფიქრიც კი აგვიკრძალა. არ ვიცი, რა დაინახა შენში – გამომძიებელში, რომელიც ორი წლის განმავლობაში ცდილობდა საკანში მის გამოკეტვას!

– რისთვის მეუბნები ამას? – ჰკითხა რიბკინმა.

– იმიტომ, რომ რეალურად შეაფასო მოვლენები. ყველაფერს აქვს საზღვარი და მათ შორის ლუკას მოთმინებასაც!

– მე უკვე გითხარი სათქმელი! – ჯიუტად თქვა რიბკინმა.

ვასილიჩმა ხელები თეატრალურად აღმართა ზემოთ და პათეტიკურად წარმოთქვა:

– ღმერთი ჭეშმარიტად სწყალობს სულელებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ასე არ გაამრავლებდა!... კარგი, დაველაპარაკები ლუკას. მან ჩამოგიყვანა მოსკოვიდან და მანვე გადაწყვიტოს შენი ბედი. ოღონდ, არ გაგიკვირდეს, რომ ხვალ ჩემს მაგივრად აქ სხვა ადამიანი მოვიდეს – ის, რომელიც ჩვენთვის უმტკივნეულოდ მოაგვარებს ამ პრობლემას!..

მანქანის ძრავას გუგუნმა რიბკინი ფიქრს მოსწყვიტა. ის სწრაფად მიუახლოვდა ფანჯარას და ეზოს გადახედა. აუზის გვერდით მანქანა იდგა, რომლიდანაც ვასილიჩი და ლუკა გადმოვიდნენ და სახლისკენ გამოემართნენ. ლუკას დანახვამ რიბკინი დაამშვიდა: მისი მოკვლა რომ ჰქონოდა გადაწყვეტილი, ლუკა ამას აგარაკზე მოუსვლელადაც მოახერხებდა. ამ აზრით გათამამებული, ის მაშინვე მოშორდა ფანჯარას, ოთახიდან გავიდა და სწრაფად დაეშვა პირველ სართულზე.

ლუკამ მცველები ოთახიდან დაითხოვა და იგორს ანიშნა, დაჯექიო.

– ვასილიჩმა შენი დანაბარები გადმომცა. ისევ არ შეგიცვლია აზრი? – განაგრძო ლუკამ, როგორც კი რიბკინი სავარძელზე დაჯდა.

– არა!

– ესე იგი, მოსკოვში დაბრუნება გადაწყვიტე... იმას თუ ხვდები, რომ იქ სრულიად მარტო იქნები?

– ვხვდები.

– კარგი, წადი... – უპასუხა ლუკამ.

– წავიდე?! – იგორი მართლაც არ ელოდა ასეთ პასუხს. ეგონა, ლუკა იმის მტკიცებას დაუწყებდა, რომ ის მარტო თავის გატანას ვერ შეძლებდა, – შენ ამბობ, რომ, შემიძლია, გავიდე ამ სახლიდან, პირდაპირ მოსკოვში გავემგზავრო და ამაში არავინ შემიშლის ხელს?!

– შეგიძლია, – მშვიდად უპასუხა ლუკამ, – მაგრამ, ასე ხელცარიელს არ გაგიშვებ. მე შენთვის გარკვეული გარანტიის მოცემა მინდა.

– რას გულისხმობ გარანტიაში? – ჰკითხა იგორმა.

პასუხად ლუკა ვასილიჩს მიუბრუნდა და რაღაც ანიშნა. მან იგორის წინ, მაგიდაზე, ჩანთა დადო. იგორმა ჩანთა გახსნა. მასში დიმიტრი გრომოვის ნოუთბუქი აღმოჩნდა.

– ეს რას ნიშნავს? – იგორმა გაოცებული მზერა მიაპყრო ლუკას.

– წაიღე... ეს ნოუთბუქი შენს მეგობარს სიცოცხლის ფასად დაუჯდა, – უპასუხა ლუკამ.

– რა ფასი აქვს ამ ნოუთბუქს? ეს მხოლოდ მოწყობილობაა, რომლიდანაც ნებისმიერი თინეიჯერი შეძლებდა იმ დოსიეების გადმოწერას, – ჩაილაპარაკა იგორმა.

– იმ დღის შემდეგ ეს ნოუთბუქი არავის ჩაურთავს, – უპასუხა ლუკამ.

რიბკინმა ეჭვით გახედა. მას არ სჯეროდა, რომ ლუკას არ აინტერესებდა იმ კრიმინალური ავტორიტეტების ვინაობა, რომლებიც რუს სამართალდამცველებთან თანამშრომლობდნენ.

– არ გჯერა? – ჰკითხა ლუკამ.

– არა! – თავი გაიქნია რიბკინმა.

– მე ეს შეგნებულად გავაკეთე. ვიცოდი, ადრე თუ გვიან მაინც დადგებოდა ეს დღე. კარგ სპეციალისტს არ გაუჭირდება იმის დადგენა, როდის ჩაირთო ბოლოს კომპიუტერი და ამოიღეს თუ არა ნოუთბუქიდან რაიმე ინფორმაცია.



– შენ გინდა, მითხრა, რომ დოსიეებში არ ჩაგიხედავს?! – გაოცებით ჰკითხა რიბკინმა.

– არ ჩამიხედავს, – უპასუხა ლუკამ.

– კი მაგრამ... – წამოიწყო იგორმა, მაგრამ ლუკამ არ დაამთავრებინა:

– ეს შენ არ გეხება და, რომც აგიხსნა, ვერაფერს გაიგებ. წასვლა თუ გინდა, ხელს არავინ შეგიშლის. ეს ნოუთბუქიც შენს განკარგულებაშია. წაიღე და, თუ შეძლებ, დაამტკიცე შენი უდანაშაულობა.

იგორი საკმაოდ დიდხანს ფიქრობდა. მერე თავი ასწია, ლუკას მზერა გაუსწორა და ჰკითხა:

– ვასილიჩმა მითხრა, რომ ჩემს საკითხს უფრო მარტივად მოაგვარებდით, მაგრამ, შენ ყველას აუკრძალე ჩემი ხელის ხლება. რატომ მოიქეცი ასე, რით დავიმსახურე შენი კეთილგანწყობა? თავის დროზე საშუალება რომ მომცემოდა, უყოყმანოდ გაგისტუმრებდი გისოსებს მიღმა!

– საკუთარ თავს ნუ მიაწერ ამას. უბრალოდ, პატივს ვცემ ადამიანს, რომელიც თავის საქმეს აკეთებს. შენ გამომძიებელი ხარ და შენს საქმეს აკეთებდი, მე კი პრისტუპნიკი ვარ და ჩემს საქმეს ვაკეთებდი. ამაში თანასწორნი ვიყავით. მალიშევი და კლიმი კი წესებს არღვევდნენ. პირველი „ეფესბეშინიკი“ იყო და ზღვარგადასული კრიმინალივით მოქმედებდა; მეორე პრისტუპნიკი იყო და „ძაღლივით“ ეჭირა თავი. მართალია, არც ერთ მათგანს არ შევხებივარ, ცოფიანი ძაღლებივით ამოხოცეს ერთმანეთი, მაგრამ, ცოცხლები რომ ყოფილიყვნენ, საკუთარი ხელით გავისტუმრებდი საიქიოს!.. – ამ სიტყვებთან ერთად, ლუკამ მაგიდაზე ასდ-

# ნოდარ პაპუკაშვილის გახსენება



ჩემო საყვარელო მამა, როგორ გვენატრები. რა ძნელი ყოფილა უშენობა. შენს მართალ და კეთილ გულს ებრძოდნენ. 23 წლის ასაკში, საინჟინრო-ფიზიკური ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტი შვილი – ბესო მოგიკლეს გარეწრებმა, მაგრამ, სულით და ხორცით ვერ გაგტეხეს, მაინც ვაჟკაცურად, მხნედ და შემართებით მიუყვებოდი ცხოვრების გზას. შრომის ფერხულში ჩაბმულს, გავიწყდებოდა ის უსაზღვრო დარდი, შვილმკვდარი მამის გულს რომ გასჩენია... მალე ორმოცი დღე გავა შენი გარდაცვალებიდან. გადასახლდი მარადიულ სასუფეველში და დაგვიტოვე საშინელი სიცარიელე... ყველას როგორ ჰყვარებიხარ... ვაჟკაცური, სამართლიანი, გულისხმიერი, პატიოსანი, სტუმართმოყვარე, უანგარო, კეთილშობილი, კარგი მამა, კარგი ბაბუა, კარგი ქმარი და მეგობარი...

*„ეცადნენ და ვერ გამხადეს ბოროტი,*
*ეცადნენ და ვერ გამხადეს ფლიდი.*
*წუთისოფელს კაცად შერჩე ბოლომდე,*
*თურმე, ესეც გმირობაა დიდი“*

**/ი. ნონეშვილი/**

შენმა თავდაუზოგავმა შრომამ უდიდესი კვალი დააჩნია სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეს. ყოველთვის წინა ხაზზე იყავი, როცა ეს ქვეყანას სჭირდებოდა. მსახურობდი ჯარში, გერმანიაში, იყავი ყამირ მიწებზე, დაიმსახურე სიგელები. იყავი პროფესიონალი მარქშეიდერ-ტოპოგრაფისტი, მუშაობდი პარაზიტოლოგიის ინსტიტუტში ინჟინრად, 1962 წლიდან „თბილგვირაბმშენში“ წამყვან ინჟინრად. შრომის ვეტერანი, იყავი თვითნასწავლი ბრწყინვალე აგრონომი. უაღრესად ნიჭიერს, რასაც კი ხელს მოჰკიდებდი, ყველაფერი საუცხოოდ გამოგდიოდა. შვილივით უვლიდი საკუთარ მამულში – მუხრანში ქართულ ვაზს.

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, მოვეფეროთ ზეცაში მოფარფატე შენს სულს. შენს საფლავთან მუხლმოდრეკილებმა წმიდა სანთლები დავანთოთ და ღმერთს შევევედროთ, ნათელში ამყოფოს შენი უკვდავი სული...

**ოჯახის სახელით – ია პაპუკაშვილი**



ოლარიანების შეკვრა დააგდო და დაამატა – ესეც აიღე, მოსკოვში დასაბრუნებლად გამოგადგება!

* * *

გუსმანი მანქანიდან გადმოვიდა და გაოცებული შედგა. შენობის შესასვლელთან ნაცნობი მანქანა იდგა. იქვე ტრიალებდნენ მცველები, რომლებსაც ასევე ნაცნობი სახეები ჰქონდათ. ყველა გაუგებრობა რომ გამოერიცხა, გუსმანმა ერთ-ერთი მცველი თავისთან მიიხმო და შენობასთან მყოფი ადამიანების ვინაობის გარკვევა უბრძანა. მცველმა ორიოდ წუთში შეასრულა განკარგულება და მოახსენა: ყველაფერი რიგზეა. ისინი კაცუბას პირადი მცველები არიანო.

– რას მიჩალიჩებს ნაბიჭვარი ზიბკო? – ავად ჩაილაპარაკა გუსმანმა და შენობაში შევიდა.

ზიბკო და კაცუბა მაგიდასთან ისხდნენ. ოთახში გუსმანის შესვლისას, ზიბკო, რომელსაც მასპინძლად მიაჩნდა თავი, ფეხზე წამოდგა და მიესალმა.

– გამარჯობა, – ცალყბად დაუბრუნა გუსმანმა და კაცუბას მიაპყრო მზერა, – ამას აქ რა უნდა?

– სერგეი მე მოვიწვიე, – უპასუხა ზიბკომ.

– წინასწარ რატომ არ მითხარი ამის შესახებ?

– შეხვედრის ჩაშლა არ მინდოდა. რომ გცოდნოდა, უარს მეტყოდი აქ მოსვლაზე, – თქვა კაცუბამ.

გუსმანს აღარაფერი უთქვამს. მაგიდას მიუჯდა და მასპინძელს მოლოდინით აღსავსე მზერა მიაპყრო.

– ასე ჯობია... ახლა ყველაფერი მშვიდად გავარკვიოთ, ისე, როგორც ზრდასრულ, გონიერ ადამიანებს შეჰფერით, – ზიბკო მაგიდას მიუჯდა და ლაპარაკი განაგრძო, – ეს შეხვედრა მხოლოდ ერთ რამეს ისახავს მიზნად: თქვენ შორის ყველაფერი უნდა გაირკვეს და დაპირისპირებაც უნდა შეწყდეს. პირდაპირ გეტყვით: ვიდრე არ შევთანხმდებით, ამ ოთახიდან ვერავინ გავა!

– ეს მე არ მეხება, – ხანმოკლე პაუზის შემდეგ თქვა კაცუბამ, – არ ვიცი, რას ფიქრობს სტეფანე. პირადად მე კი არაფერი გამიკეთებია მისი საწინააღმდეგო!

– შენ რას იტყვი? – გუსმანს გახედა ზიბკომ.

– იმავეს, – უპასუხა მან.

– იმავეს!.. – უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა კაცუბამ, – თუ ასე ფიქრობდი, რისთვის მომიგზავნე მკვლელები?!

– რისთვის მიეხირე იმ ტბაზე? – ავად დაუბრუნა გუსმანმა.

– არ ვიცოდი, რომ შენთვის ეს მკვლელობის მიზეზი გახდებოდა, – შენიშნა კაცუბამ.

– ორივემ ვიცით, რომ ჩემი ხალხი სხვა პიროვნებას ელოდა!

– დავუშვათ... მაგრამ, ის იდიოტები ჯერ უნდა დარწმუნებულიყვნენ, რომ შეხვედრაზე სხვა ვინმე მოვიდა! – ხმას აუწია კაცუბამ.

– ჯერ ის ამიხსენი, როგორ მოხვდი იმ ტბაზე? – ჰკითხა გუსმანმა.

– გეგეშიძემ მთხოვა შენთან შეხვედრა!

– და შენც არაფერში შეგპარვია ეჭვი?

– რაში უნდა შემპარვოდა ეჭვი? – მხრები აიჩეჩა კაცუბამ, – მე ადრეც შეგხვედრივარ მისი თხოვნით.

– ტელეფონით მაინც დამკავშირებოდი. მაშინ ეს ყველაფერი აღარ მოხდებოდა.

– იცი, როდის არ მოხდებოდა ეს ყველაფერი?! გეგეშიძისთვის მიცემული პირობა რომ შეგესრულებინა. მე თავიდანვე გაგაფრთხილე, რომ არ დაჰპირებოდი ისეთ რამეს, რასაც ვერ ან არ შეასრულებდი! – უპასუხა კაცუბამ, – შენ და მხოლოდ შენ ხარ ყველაფერში დამნაშავე და, მინდა იცოდე, რომ ჩუმად ყოფნას არ ვაპირებ!.. შენი ხალხი ჩემს მოკვლას ცდილობდა და ამისთვის პასუხს გაგებინებ!

– ჩემს ხალხს შენი მოკვლა რომ სდომოდა, ახლა საიქიოში იქნებოდი. ისინი დროზე მიხვდნენ, ვისთანაც ჰქონდათ საქმე და შენს საავადმყოფოში მიყვანას ცდილობდნენ. მაშინ დაესხათ თავს გეგეშიძე!..

– ლოგიკურია, – გაეცინა კაცუბას, – გეგეშიძემ შენი ხალხი ამოხოცა და შემდეგ საავადმყოფოში მიმიყვანა!.. ვერასოდეს დამაჯერებ, რომ შენი ხალხი ჩემს გადარჩენას ცდილობდა. მე პირიქით მგონია – შენი ხალხი საიმედო ადგილს ეძებდა, ისეთ ადგილს, სადაც ადვილად შეძლებდა ჩემი გვამის გადამალვას!

– ამით ასრულებ გეგეშიძის დავალებას?! – ბრაზით ჰკითხა გუსმანმა.

– რას გულისხმობ?! – ჰკითხა კაცუბამ.

– შენ ხომ ერთგული ძაღლივით ემსახურები მის ბანდას! ახლაც მან აგაგდო: ბოლომდე მიაწექი გუსმანს, რომ სამუდამოდ გავიდეს საქმიდანო! ტყუილად ცდილობთ. თქვენ მე კარგად არ მიცნობთ. ყველას გაგწვდებით და მთელ თქვენს სასტავს საფლავში ჩაგაწვენთ!

– სულელი ხარ! – დამცინავად მიუგდო კაცუბამ.

– შენი დედაც, ნაბიჭვარო! – შეიგინა გუსმანმა და ფეხზე წამოიჭრა.

კაცუბა თადარიგიანად გახტა უკან და კარის სიახლოვეს შედგა.

– მშვიდად, მშვიდად... – ზიბკო მხრებში ჩაფრინდა გუსმანს, სკამზე დააბრუნა და ლაპარაკი განაგრძო, – უკეთესი იქნება თუ ყველა დავწყნარდებით და ერთმანეთს ემოციების გარეშე მოვუსმენთ.

კაცუბამ დაძაბული მზერა მიაპყრო გუსმანს და, როგორც კი დარწმუნდა, მისგან საფრთხე არ ელოდა მაგიდასთან დაბრუნდა.

– ნუ მიწყენთ, მაგრამ, ამაში მეც ვარ დამნაშავე – დროზე არ შეგაჩერეთ. მინდოდა, თქვენთვის ორთქლის გამოშვების საშუალება მომეცა. ახლა უკვე ყველაფერი ნათელია ჩემთვის. ვიცი, რა დამოკიდებულებაც გაქვთ ერთმანეთის მიმართ და რაზე მომიწევს თქვენი დათანხმება... – ზიბკომ პაუზა გააკეთა და შემდეგ დაამატა – მგონი ხვდებით, რომ პირადად მე არ ვარ ამ საუბრის ინიციატორი!

– ვხვდები, – ყრუ ხმით ჩაილაპარაკა გუსმანმა.

– იმასაც ხომ ხვდებით, რომ გადაწყვეტილება უკვე მიღებულია და მე მხოლოდ მის შესახებ უნდა გაცნობოთ?

კაცუბამ და გუსმანმა უხმოდ დაუქნიეს თავი.

– გადაწყვეტილება კი ასეთია... – განაგრძო ზიბკომ, – სტეფანე, შენ თანამდებობიდან წასვლა მოგიწევს! ყველასთვის უკეთესი იქნება, თუ მშვიდად, საკუთარი განცხადების საფუძველზე გადადგები. მიზეზი თავად მოიფიქრე: ჯანმრთელობის მდგომარეობა, დაღლილობა, სამეცნიერო სამუშაო... – მოკლედ, არჩევანი შენთვის მომინდვია!

– თავდაცვის საშუალებასაც არ მიტოვებთ?! – ბრაზით იკითხა გუსმანმა.

– სასამართლოში ხომ არ აპირებ ჩივილს? – უკმაყოფილოდ გახედა ზიბკომ.

გუსმანმა დუმილით უპასუხა.

– ეს ყველაფერი არ არის. შენ სამუდამოდ უნდა დაივიწყო გეგეშიძის არსებობა!

– დავივიწყო და გულხელდაკრეფილი დაველოდო, როდის მომიღებს ბოლოს?! – იფეთქა გუსმანმა.

– გეგეშიძე არ შეგეხება – ამის გარანტიას გაძლევ! – უპასუხა ზიბკომ.

– და, შენ გჯერა, რომ გეგეშიძეს შენთვის




## ავტორიზებული თბილისის ტურიზმის აკადემია

**ამზადებს სხვადასხვა პროფილის კადრებს:**

1. ტურიზმი, გიდი (I, II, III, IV საფეხური); 2. ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი) (II, III, IV, V საფეხური); 3. კორესპონდენტი (III საფეხური); 4. მუსიკოს-რეპეტიტორი (V საფეხური).

**მიღების მოთხოვნები:**

ოთხივე სპეციალობისთვის აუცილებელია საბაზო, საშუალო ან არაფორმალური განათლების აღიარება, გასაუბრება უცხოურ ენაში; წინა საფეხურის დიპლომი; გიდისა და ინტერნეტტექნოლოგის IV და მუსიკოს-რეპეტიტორის V საფეხურზე ერთიანი ეროვნული გამოცდების სერტიფიკატი ზოგად უნარებში (2005 წლიდან დღემდე).

ყოველ საფეხურზე გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული დიპლომი.

სწავლა ახალი ნაკადისათვის დაიწყება ა/წ 4 თებერვალს.

**დირექტორი, პროფესორი ამირან მექვაბიშვილი**

საბუთების მიღება ყოველდღე 10.00-17.00 საათამდე.

**საჭირო საბუთები:**

1. ატესტატი (დედანი); 2. ოთხი ფოტოსურათი 3/4; 3. პირადობის მოწმობა.

## თბილისის დამოუკიდებელი სასწავლო უნივერსიტეტი

*აცხადებს ლიცენზირებულ დაწესებულებებში 2010 წლის 1 სექტემბრამდე ჩარიცხულ პირთათვის სასწავლო უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად მიღებას (მობილობის წესით), შემდეგ სპეციალობებზე:*

1. ფინანსები; 2. ტურიზმი; 3. ინგლისური ფილოლოგია; 4. სამართალმცოდნეობა; 5. ჟურნალისტიკა; 6. მასწავლებლის განათლება; 7. კომპიუტინგი (ინფორმატიკა).

**ორივე სასწავლებლის შესახებ ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა # 47. ტელ: 2-93-66-03; 599-18-89-24; 2-93-54-30; 2-99-96-26; 2-99-07-24.**



მოცემული პირობა შეაჩერებს?!

– ეს მისი ბოლო გამოხდომა იქნება. ამის შემდეგ მას ველარაფერი უშველის! – თქვა ზიბკომ.

– დიდი შეღავათია, – მწარედ გაეცინა გუსმანს, – მე თუ მომკლა, თქვენ გეგეშიძეს დასჯით, მაგრამ, ამით რა შეიცვლება ჩემთვის?!

– ნუ ღელავ, გეგეშიძე ამ ზღვარს არ დაარვევს. ამით ძალიან ბევრს, პრაქტიკულად, ყველაფერს დაკარგავს... იგივე პირობა ეხება სერგეისაც, – კაცუბას გახედა ზიბკომ, – მე გარანტია უნდა მქონდეს, რომ მას არაფერი დაუშავდება!.. შევთანხმდით?

– შევთანხმდით... როდის უნდა გავაკეთო განცხადება თანამდებობიდან გადადგომის შესახებ?

– ეს საჩქარო არ არის. ორი კვირა გეყოფა შენი საქმეების მოსაწესრიგებლად?

– მეყოფა, – დაუდასტურა გუსმანმა.

– კეთილი... – ზიბკო კაცუბას მიუბრუნდა, – თანამდებობაზე შენც ვერ დარჩები, სერგეი!

– რაა?! – თვალები გაუფართოვდა კაცუბას, – ჩემგან რაღა გინდათ?! აქეთ ვარ დაზარალებული. თქვენს საქმეებს ვაგვარებდი, ჩემსას ხომ არა და ამის გამო კინაღამ მომკლეს!

– ვერ დარჩები, – შეუვალი სახით გაიმეორა ზიბკომ, – შენ წლების განმავლობაში ასრულებდი გეგეშიძის დავალებებს, აწვდიდი ინფორმაციას, ლობირებდი „ვერშინას". ყველაზე მსუბუქი შეფასებით, ეს სრულიად შეუფერებელი საქმიანობაა შინაგან საქმეთა სამინისტროს კურატორისთვის. უბრალოდ რომ ვთქვა, შენ ნდობას არ იმსახურებ!

– საერთოდ მაძევებთ? – ყრუდ იკითხა კაცუბამ.

– არა... სხვა თანამდებობაზე გადახვალ... შესაძლოა, სოფლის მეურნეობის სამინისტროში ან განათლებაში. მოკლედ რომ ვთქვა, ისეთ თანამდებობას შეგირჩევთ, რომელზე ყოფნითაც გეგეშიძესა და „ვერშინას" ველარაფრით დაეხმარები, ანუ, ბიზნესიდან და სამართალდამცავი სისტემიდან შორს იქნები. ეს ყველაფერია, რისი შემოთავაზებაც შემიძლია. რა თქმა უნდა, შენ შეგიძლია, აჯანყდე და ხმაური ატეხო, მაგრამ, არ გირჩევ, სერგეი!

კაცუბამ დუმილით უპასუხა.

– ესე იგი, ყველაფერი გავარკვიეთ, – განაგრძო ზიბკომ, – ახლა კიდევ ერთი საკითხი დაგვრჩა მოსაგვარებელი. ამ საქმემ დიდი მითქმამოთქმა გამოიწვია. ჩვენი მცდელობის მიუხედავად, ინფორმაციამ მაინც გაჟონა. ჯერჯერობით ხმამაღლა ვერავინ ბედავს ამაზე საუბარს, მაგრამ, ვიღაც-ვიღაცეები მაინც ჩურჩულებენ: გუსმანმა მკვლელები მიუგზავნა კაცუბას. მან კი, თავის მხრივ, შური იძია და მისი პირადი დაცვის წევრები ამოხოცაო!.. ფანტაზიორების მიერ შექმნილ ვერსიებზე ხომ საერთოდ არ ღირს ლაპარაკი. ეს ჭორები სასწრაფოდ უნდა შევაჩეროთ: თქვენ თავად უნდა დაუმტკიცოთ ყველას, რომ თქვენ შორის კონფლიქტი არ მომხდარა და ძველებურად ახლო ურთიერთობა გაკავშირებთ.

– კი მაგრამ, როგორ? – ერთმანეთს გადახედეს გუსმანმა და კაცუბამ.

– დღეს საღამოს ახალდაფუძნებული ტელევიზია „ალფა ტვ" პრეზენტაციას მართავს. პრეზენტაციაზე მიწვეულები არიან ხელისუფლებისა და მედიის წარმომადგენლები. ბუნებრივია, ღონისძიებას დაესწრებიან ჟურნალისტებიც. თქვენ ერთად მოხვალთ პრეზენტაციაზე, ისაუბრებთ, დალევთ შამპანურს, ჟურნალისტებს თქვენთან გასაუბრების საშუალებას მისცემთ და მათ ყოველ კითხვას შესაბამის პასუხებს გასცემთ... ეს კი თქვენი მოსაწვევი ბარათებია, – დაასრულა ზიბკომ და მაგიდაზე ორი კონვერტი დადო.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# კალეიდოსკოპი

## დასახელდა 2013 წლის ყველაზე სექსუალური ქალების ასეული

მამაკაცების ჟურნალმა Men's Health-მა, რომელიც ყოველწლიურად აქვეყნებს 100 ყველაზე ლამაზი ქალის სიას, 2013 წლის რეიტინგში პირველ ადგილზე ამერიკელი პოპმომღერალი, კეტი პერი დაასახელა.



ჟურნალმა, გარეგნული მონაცემების გარდა, 28 წლის პერის მუსიკალური მიღწევებიც გაითვალისწინა, მათ შორის „გრემის" ნომინაციაზე წარდგენა, იუმორის გრძნობა, მიზანსწრაფულობა, ყოველივე ამის გათვალისწინებით კი შოუბიზნესის, მსახიობების, ტელეწამყვანებისა და ფოტომოდელების ამ ასეულის სათავეში დადგა.

სილამაზის ათეულში მოხვდნენ ისეთი ცნობილი მსახიობები, როგორებიც არიან ანჯელინა ჯოლი, სკარლეტ იოჰანსონი და ჯენიფერ ანისტონი. შოუბიზნესის ცნობილ ვარსკვლავებს შორის 30-ე ადგილზე აღმოჩნდა ყოფილი საბჭოელი ფრანგი მსახიობი და მოდელი ოლგა კურილენკო.

რეიტინგის პირველი ათეული ასეთია: 1. კეტი პერი, 2. მილა კიუნისი, 3. კრისტინა ჰენდრიქსი, 4. ჯენიფერ ლოურენსი, 5. ჯენიფერ ანისტონი, 6 სკარლეტ იოჰანსონი, 7. ანჯელინა ჯოლი, 8. ბიონსე, 9. ჟიზელ ბიუნდჰენი, 10. ამბერ ჰარდი.

Men's Health-ის ტოპ-ასეულში მოხვდნენ, ასევე, ცნობილი სახეები: შარლიზ ტერონი – 36-ე ადგილი, მომღერალი ჯენიფერ ლოპესი – 72-ე ადგილი, კემბრიჯის ჰერცოგინია კეტრინ (ქეით მიდლტონი) – 73-ე ადგილი, მსახიობი ნატალი პორტმანი – 83-ე, მსახიობი ემა უოტსონი – 88-ე, მომღერალი ლედი გაგა – 92-ე და სხვები. ასეულის ბოლო წარმომადგენელია ამერიკელი ტელემსახიობი მეგი გრეისი.

ჟურნალმა Men's Health-მა მსოფლიოს 44 ქვეყანაში 20 მილიონამდე ადამიანი გამოკითხა.

## იპოვეს მატისის 1987 წელს დაკარგული ნახატი

ანრი მატისის ტილო Le Jardin („ბაღი"), რომელიც დაახლოებით მილიონ დოლარადაა შეფასებული, სტოკჰოლმის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმს დაუბრუნდა, საიდანაც 1987 წლის 11 მაისს მოიპარეს. მძარცველებმა შესასვლელი კარი გატეხეს და შენობაში ისე შეიპარნენ.



დაცვა მხოლოდ 10 წუთის შემდეგ მივიდა. აღსანიშნავია, რომ მათ მუზეუმიდან მხოლოდ ეს სურათი წაიღეს. სხვათა შორის, ქურდები რამდენჯერმე დაუკავშირდნენ მუზეუმის ხელმძღვანელობას და შედევრის შესყიდვა შესთავაზეს. თუმცა, დასახელებული თანხა მათთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ მოპარულ სურათს რეალური ღირებულება არ აქვს – მატისი ძალიან ცნობილია და მისი ღია ბაზარზე გაყიდვა შეუძლებელია.

დიდი მხატვრის მიერ 1920 წელს შესრულებული ნახატი შობის წინა დღეებში დააბრუნეს. პოლონელმა კოლექციონერმა ის ინგლისში, ესექსის საგრაფოს არტდილერს შესთავაზა. კომპანია Charles Fine Art-ის დილერმა ჩარლზ რობერტსმა დაკარგული ხელოვნების ნაწარმოებების რეესტრში Art Loss Register (ARL) მოიძია და აღმოაჩინა, რომ მატისის „ბაღი" მოპარული იყო. მან ამის შესახებ რეესტრის დირექტორს, კრისტოფერ მარინელის აცნობა. როგორც მარინელიმ თქვა, კოლექციონერს მოელაპარაკნენ და „ყოველგვარი გადასახადისა და ხელების გადაგრეხის" გარეშე, მან სურათი დათმო. ის კი არა და ამაყად განაცხადა, რომ ეს მისი საშობაო საჩუქარია შვედებისთვის.

**მოამზადა**
**ლაშა გაბელიამ**

**„მე და გიგის ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს. ჯერ, ალბათ, არ არის აუცილებელი ქორწინებით დაგვირგვინდეს. თუმცა, შეიძლება, ახლო მომავალში დავქორწინდეთ კიდეც. ყველაფერს თავისი დრო აქვს. ოჯახებითაც ძალიან კარგად ვართ, შეზღუდვა არ გვაქვს არავისგან. როცა მოგვინდება, მაშინ მივიღებთ ამ გადაწყვეტილებას“, – ეს სიტყვები სალომე ჭაჭუას ეკუთვნის, რომელიც დღეს, თამამად შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გოგონაა და, ძალიან ბევრს სჯეროდა, რომ გიორგი ვარდოსანიძესთან ერთად, „ცეკვავენ ვარსკვლავების“ გამარჯვებული გახდებოდა.**

# როდის ჰქონდა „გაჭედვები“ გიორგი ვარდოსანიძეს და რატომ იყო მის გამო შოკში სალომე ჭაჭუა

**სალომე ჭაჭუა**: როდესაც მეორე სეზონში გადავწყვიტე მონაწილეობა, ძალიან მინდოდა ფინალში გასვლა. საბედნიეროდ, შემხვდა კარგი პარტნიორი და ორივე ბოლომდე ვიხარჯებოდით. ფინალში რომ გავედით, შოკში ვიყავით. ვფიქრობ, ფინალში ძალიან კარგად ვიცეკვეთ და მოგების ისეთივე რეალური შანსი გვქონდა, როგორიც რუსკასა და ოთოს. მაყურებლის გადასაწყვეტი იყო ყველაფერი. პირველ ადგილზე გასვლა, რა თქმა უნდა, ძალიან გაგვიხარდებოდა, მაგრამ, ვფიქრობ, გიორგისთვის მეორე ადგილი უფრო კარგი იყო – ისეთი მანქანა შეხვდა, მგონი, უფრო გაუხარდა. მაგრამ, ტიტული – „პირველი ადგილი“, მაინც სულ სხვაა.

– **ისე, პრიზების მხრივ, ამ კონკურსში მოცეკვავეები იჩაგრებიან.**

– არ იჩაგრებიან. ეს მოცეკვავის კონკურსი ხომ არ არის, ვარსკვლავის კონკურსია. ჩვენც არ მოგვცეს ცუდი პრიზები. მაგალითად, მე და ოთოს, თუ არ ვცდები, ყოველ წელს, ერთ-ერთ საუკეთესო ტურნირზე წასასვლელად „თიბისი ბანკი“ დაგვასპონსორებს და მონაწილეობასაც მივიღებთ. სულ რამდენიმე საუკეთესო ტურნირი არსებობს, ერთი არის მაიამიში, მეორე – ბლეკფული და მესამე – შტუდგარტის ტურნირი, სადაც მსოფლიოს საუკეთესო წყვილები ჩადიან. ეს არის ერთკვირიანი ტურნირი, მაგრამ, ამის გარდა, ტარდება სემინარები და, შესაბამისად, კარგ გამოცდილებას იღებ.



ხანდახან შეიძლება, შემომებუზღუნოს: რა არის, ამდენი ხანია, არ მინახავხარო, მაგრამ, იცის, რომ ცეკვის გარეშე არ შემიძლია

– **როგორც ვხვდები, გიორგით კმაყოფილი ხარ, რადგან ამ ყველაფერში ძალიან დიდი შრომა ჩადე.**

– გიორგი ბოლომდე მომყვა, მიუხედავად იმისა, რომ „გაჭედვები“ ჰქონდა: ჯერ მუხლი ასტკივდა ძალიან, მერე რაღაც იტკინა, სიცხე ჰქონდა. მაგრამ, მე ბოლომდე გვერდში ვედექი, გავიტანეთ ერთმანეთი და, რაც მთავარია, ამყვა. არ არის ზარმაცი ადამიანი, მსახიობია და ასეთი რაღაცეები არ ესწავლება. კინოტურში ერთ-ერთი ყველაზე რთული ცეკვა შევასრულეთ, თან, ჩემი ჟანრი არ იყო, რთული დადგმა გვქონდა; გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ გიორგის სიცხე ჰქონდა, ისე ცუდად იყო, გადასხმები გაუკეთეს. ამ დროს მიმესიჯებს – პარასკევამდე ვერ მოვალ, ვკვდებიო. შოკში ჩავვარდი. მივწერე: მაშინ, სხვა ფილმი აირჩიე-მეთქი. ძალიან გავბრაზდი. ბოლოს რეზო რობაქიძე და გიორგი გაჩეჩილაძე დამეხმარნენ, ერთად დავდგით და მერე შემოგვიერთდა გიორგი. ძალიან გამიმართლა ორივე სეზონში, ჯანიანი მეწყვილეები შემხვდნენ, ეხერხებათ „პადერჟკები“. ორივეს, განსაკუთრებით – გიორგის, ბოლომდე ვენდობოდი, არ მქონია შიშის მომენტი – ვერ დამიჭერს, ხელს გამიშვებს, დამაგდებს-მეთქი.

– **ძალიან დატვირთული ხარ, მთელ დღეს სტუდიაში ატარებ, თან, ეს პროექტიც ბევრ დროს გართმევდა. თუ გრჩებოდა თავისუფალი დრო თუნდაც იმისთვის, რომ გიგისთან ერთად გაგეტარებინა?**

– ერთადერთი, საკუთარი თავისთვის არ მრჩებოდა დრო – ძალიან მიყვარს საკუთარ თავზე მუშაობა. რაც შეეხება ჯგუფებთან მუშაობას, ვცდილობდი, არ გამეცდინა. დილის 11 საათიდან იწყებოდა ჩემი დღე და ღამის 12 საათზე მთავრდებოდა. რა თქმა უნდა, განვიცდიდი, გიგისთან ურთიერთობისთვის რომ არ მრჩებოდა დრო, მაგრამ, 12 საათის მერე მასთან ერთად ვიყავი და დილის 4 საათზე მივდიოდი სახლში. წელიწად-ნახევრის განმავლობაში საერთოდ არ დამისვენია და, ახლა, პროექტი რომ დამთავრდა, გადავწყვიტე, ხუთი დღით ბაკურიანში წავსულიყავი, რომ არ „გამერეკა“. მე, გიგი და ჩვენი მეგობრები წავედით და კარგად დავისვენეთ. თან, ძალიან მიყვარს თხილამურებით სრიალი, ბავშვობიდან ვდგავარ თხილამურებზე. შარშან გადავწყვიტე, სნოუბორდი მესწავლა და, მოკლედ, ვინც მასწავლა, იმასაც ვაჯობე. წელს გადავწყვიტე, სნოუბორდი უნდა დავამხეცო-მეთქი: ავიყვანე მწვრთნელი რამდენიმე საათით, რაღაც ფინტები დამამულამებინა და, მოკლედ, კარგად ვისრიალე. სხვათა შორის, ახტი და შემოტრიალდი მეორე მხარეს – ასეთ რაღაცეებს უკვე ვაკეთებ. სანამ ცეკვაზე შევიდოდი, მანამდე მამას სულ დავყავდი ბაკურიანში და მან დამაყენა თხილამურებზე. გიგიც კარგად დგას თხილამურებზე და ერთად ვთამაშობდით „გასწრობანას“. ზოგადად, მიყვარს ექსტრემი, პარაშუტითაც ბევრჯერ გადმოვმხტარვარ, მაგრამ, ახლა იმდენი რამ მოხდა აჭარაში, რომ ცოტა შემეშინდა. მშიშარა არ ვარ, ერთი, სიმაღლის შიში დამჩემდა ორი წელია და, კიდევ, კლაუსტროფობია მაქვს. ერთხელ, მახსოვს, დიდი თოვლი იყო, ეზოში ბავშვები ვსრიალებდით. ჩამოვსრიალდი და ძალიან ბევრი ხალხი დამეცა თავზე. თვალები რომ გავახილე, სიბნელე იყო, ზედ მეწვა ხალხი. მერე ორჯერ ლიფტში გავიჭედე და მორჩა, ახლა უკვე შოკში ვვარდები, ისე მეშინია.

– **ბოლოს რომ ვისაუბრეთ, პარტნიორი აღარ გყავდა, რადგან, ლევან ახვლედიანი თავის მეუღლესთან დაბრუნდა წყვილში. ახლა რა ხდება ამ მხრივ?**

– ამ წამს მე და რეზო რობაქიძე ვვარჯიშობთ, ფორმა რომ არ დავკარგოთ. თუ კარგად შევეთვისებით ერთმანეთს და კარგი წყვილი დადგება, მაშინ, დავრჩებით, თუ არა და, არ ვიცი, რა იქნება. მე და გიორგის რამდენიმე თვით ამერიკაში გვინდა წასვლა გოჩასთან, რომ ცეკვაში ავიმაღლოთ კვალიფიკაცია და მერე ისევ დავბრუნდეთ საქართველოში. ამ ყველაფრის მიტოვებას არ ვაპირებ, გიორგი ხომ საერთოდ არ მიატოვებს, რადგან, მისია ეს ყველაფერი. საბუთები შევავსეთ და ვნახოთ, თუ მოგვცემენ ვიზას.

– **გარდა კვალიფიკაციის ამაღლებისა, ამ დატვირთული რეჟიმის ფონზე, ძალიან კარგი იქნება, შენ და გიგი ცოტა ხნითაც რომ გახვიდეთ ქვეყნიდან, ერთად გაატაროთ გარკვეული დრო.**

– ეს ძალიან კარგი იქნება ურთიერთობისთვის. ბაკურიანში რომ ვიყავით ერთად, ძალიან კარგად დავისვენეთ, თან, ვხუმრობდით: უი, როგორ ხარ, რამდენი ხანია, არ მინახავხარო. გიორგიმ იცის, ეს ყველაფერი რამდენ შრომას მოითხოვს, როგორი გაფანატებული მაქვს ცეკვაზე და, ამიტომ არ აქვს პროტესტის გრძნობა. თან, მე ხომ ასე ვილლები მთელი დღის განმავლობაში, მაგრამ, როდესაც გიორგისთან ერთად ვარ, ვცდილობ, ეს დაღლა არ შევიმჩნიო, – არ ვამბობ, წავედი სახლში, დავიღალე-მეთქი. ხანდახან, შეიძლება, შემომებუზღუნოს: რა არის, ამდენი ხანია, არ მინახავხარო, მაგრამ, იცის, რომ ცეკვის გარეშე არ შემიძლია. ჩემზე დიდი ხანია, თვითონ ცეკვავს, რომ დაიბადა, „ჩა-ჩა-ჩათი“ გამოვიდა, მშობლებიც მოცეკვავეები ჰყავს? ამიტომ, კარგად ესმის ჩემი, პირიქით, ყველანაირად მეხმარება. კომპოზიიცის დადგმაშიც ძალიან მეხმარებოდა, რადგან, ძალიან კარგი ქორეოგრაფია. რაც მასთან წყვილში დავდექი, დღემდე სულ მამეცადინებს. ხანდახან მე ვუჭამ ხოლმე ტვინს და ბოლოს მეუბნება, გამანებე თავიო.

– **როდესაც გაიცანი, საკმაოდ პატარა იყავი. როგორ ცდილობდა შენთვის თავის მოწონებას?**

– 15 წლის ვიყავი, რომ გავიცანი. ამერიკიდან ახალი ჩამოსული იყო და სულ იქაურ ყაიდაზე იყო გადასული, თან, აქცენტი ჰქონდა – რაღაცნაირად ლაპარაკობდა. ყველაზე მეტად იმით მომეწონა, რომ სხვებს არ ჰგავდა, იცის, გოგოსთან როგორ მოიქცეს. გარდა ამისა, უზომოდ თბილია და, შეუძლია, ერთი დღის გაცნობილ ადამიანს ზედ გადაჰყვეს. სულ ამაზე მაქვს კამათი – არ იცნობს ადამიანს, გადაჰყოლია და მერე ცუდად დაჰბრუნებია უკან. რომ ჩამოვიდა, ჩვენი ურთიერთობა ძალიან კარგი მეგობრობით დაიწყო, რადგან, იმ დროს მასაც ბევრი შეყვარებული ჰყავდა, მეც ბევრი თაყვანისმცემელი მყავდა სტუდიაში. მერე მეუბნებოდა: კი მომეწონე, მაგრამ, იმდენს მოსწონდი და უყვარდი, დამეზარა მოსვლა და რამის გაკეთებაო. ბოლოს, კარგად რომ გავიცანით ერთმანეთი, დავმეგობრდით და უკვე მერე დაიწყო ყველაფერი.

– **დღეს არის ისეთი რამ, რაზეც გული გწყდება?**

– გული მწყდება იმაზე, რომ ორი წელი ცეკვაში მქონდა პაუზა აღებული, თუმცა, ეს ჩემი ნებით არ მომხდარა. მე რომ არ მევაჟკაცა, ალბათ, ახლა არ ვიცეკვებდი. აბიტურიენტი ვიყავი იმ დროს. მშობლებმა რომ დაინახეს, ცეკვაში კარგი შედეგები მქონდა და მალე მივაღწიე წარმატებას, გადაწყვიტეს, გამოვეყვანე, ისეთი ასაკი აქვს, გადაავიწყდება და სწავლას მიხედავსო. ტურნირზეც კი არ მიშვებდნენ საყურებლად, ამიკრძალეს ამ მხრივ ყველაფერი და, ამის გამო დეპრესია დამემართა და ჩავიკეტე. დღე არ გავიდოდა, კომპიუტერი არ ჩამერთო და სიახლეები არ მენახა, რადგან, იმედი მქონდა, რომ დავბრუნდებოდი და, მინდოდა, ფორმაში ვყოფილიყავი. ბოლოს, რომ ნახეს, ძალიან მქონდა „გაჭედილი“, მითხრეს – წადიო, თუმცა, უფრო მე დავიწყე: აღარ შემიძლია, 18 წლის გავხდი, სრულწლოვანი ვარ-მეთქი და დაბრუნების გადაწყვეტილება მივიღე. მიხარია, რომ მალევე აღვიდგინე ფორმა. ერთი ისაა, რომ წონაში ვიყავი მომატებული, დღე და ღამე ვვარჯიშობდი და თავი მოვიკალი, რომ ფორმაში ჩავმდგარიყავი.

**ნათია უტიაშვილი**

## ნოდიკო ტატიშვილი და სოფო გელოვანი „ევროვიზიაზე“ დუეტით წარდგებიან

14 მაისს ნოდიკო ტატიშვილი და სოფო გელოვანი საქართველოს სახელს ყველაზე მასშტაბურ კონკურსზე – „ევროვიზიაზე“ წარადგენენ.



მათ ამის შესახებ 31 დეკემბერს შეიტყვეს და ახალ წელს ორმაგად ბედნიერები შეხვდნენ. რაც მთავარია, ორივე მაქსიმალურად მზად არის, რომ, როგორც დუეტმა, 39 ქვეყანას შორის დიდ წარმატებას მიაღწიოს და საუკეთესო ადგილი დაიკავოს. მათ ჩაცმულობაზე კი ავთანდილი იზრუნებს.

***ნოდიკო:*** „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ გადაწყვიტა, რომ „ევროვიზიისთვის“ სოლისტები დაეწყვილებინათ. გოგონებიდან აარჩიეს სოფო გელოვანი, ბიჭებიდან – მე. ისე, „ევროვიზია“ საერთოდ არ შედიოდა ჩემს გეგმებში. შესაბამისად, ეს ჩემთვის და სოფოსთვის მოულოდნელი იყო და მიხარია, რომ სწორედ ჩვენ გვხვდა წილად ეს ბედნიერება. ჩვენთვის მთავარია, საქართველოს სახელი წამოვწიოთ წინ. სანამ იქ ჩავალთ, ძალიან რთული და ბევრი სამუშაო გვაქვს, მაგრამ, ძალებს არ დავიშურებთ. ეს არის ორივესთვის დიდი ტრამპლინი, კარგი შანსი და აუცილებლად გამოვიყენებთ.

***სოფო:*** „ევროვიზიაზე“ სრული კომფორტი გვექნება, რადგან, ძალიან კარგ და ძლიერ ჯგუფთან გვიწევს მუშაობა. რაც შეეხება სიმღერას, უკვე მიდის მოლაპარაკებები იმაზე, თუ ვინ დაწერს. გვინდა, რომ იყოს ძალიან კარგი და გემოვნებიანი. სიმღერის შესაბამისად, იქნება შოუს ელემენტებიც. მსმენელისა და უცხოეთში მცხოვრები ქართველების მხარდაჭერის იმედი გვაქვს.

***ნოდიკო:*** წელს „ევროვიზიაზე“ საქართველოს გარდა, კიდევ რამდენიმე ქვეყნიდან წარდგება დუეტი. პროგნოზს ვერ გავაკეთებ – სიმღერა მოიგებს, ჩაცმულობა თუ შოუს ელემენტები – ეს არავინ იცის. ჩვენი მთავარი ამოცანაა, მაყურებლის წინაშე წარვდგეთ მაქსიმალურად გემოვნებიანი პროდუქტით და საქართველოს სახელი კარგად, ღირსეულად წარმოვაჩინოთ.

## „ზეწრებში გახვეული“ ხელოვნება

11 იანვარს გალერეა „ვანდაში“ კიდევ ერთხელ შედგა ორი ნიჭიერი ხელოვანის – ლევან მინდიაშვილისა და უტა ბექაიას ტანდემი. ისინი დიდი ხანია, უცხოეთში ცხოვრობენ: ლევანი – ბუენოს-აირესში, ხოლო უტა – ნიუ-იორკში. რამდენიმე წლის წინ მათ ერთმანეთის ნამუშევრები ინტერნეტში ნახეს, მოეწონათ და მას შემდეგ არაერთი წარმატებული ჩვენება და პერფორმანსი გააკეთეს. ლევანი ამჟამად ნიუ-იორკში იმყოფება და კვლავ განაგრძობს მარტოც და უტასთან ერთადაც საინტერესო პროექტების განხორციელებას. ცოტა ხნის წინ „თბილისი ფეშენ-ვიქზე“ მათ მიერ გამართულმა პერფორმანსმა დიდი მოწონება დაიმსახურა, ისევე, როგორც 11 იანვარს გამართულმა ერთობლივმა პერფორმანსმა.




ლევან მინდიაშვილი: „ერთი წლის წინ გადავწყვიტე, რომ აღარ მეხატა აღარც ადამიანის სხეული და არც ადამიანები; თან, იმ პერიოდში დავიწყე პერფორმანსების გაკეთება, ანუ, თავად დავიწყე სხეულთან მუშაობა. ამიტომ, ნაკლებად აქტიური გახდა იმის დახატვა, რისი გაკეთებაც ფიზიკურად შემეძლო. ამ დროს გაჩნდა ახალი ურბანისტული სერია“. ამ სერიის გაგრძელებას წარმოადგენდა 11 იანვარს „ვანდაში“ გამართული გამოფენა, სახელწოდებით – „ზეწრებში გახვეული“, რომელიც 5 წლის შემდეგ საქართველოში ლევანის მიერ განხორციელებული პირველი გამოფენა იყო. შესაბამისად, საზოგადოების გარკვეული ნაწილი, მათ შორის მეც, ამ დღეს მოუთმენლად ველოდით. ზეწრებში გახვეული მხატვრის პირადი საგნები, ინტიმური დეტალები, ნამდვილი დიალოგი იყო ნამუშევრებსა და მაყურებელს შორის. როგორც ლევანს არაერთხელ უთქვამს, მას, როგორც ხელოვანს, ყველაზე მეტად აინტერესებს ადამიანის ქვეცნობიერში ჩამალული კონსტრუქციები, მათი გაშიშვლება, რადგან მისი ხელოვნების მთავარი თემა ადამიანის ინტიმურობა, მისი პირადი ცხოვრება და გრძნობებია.

## ნინი ბადურაშვილი ბავშვს რუსეთში გააჩენს... ვერა ქობალიას მეუღლე ბიზნესმენი დავით ყურცხალიაა...

თბილისი ჭორების ქალაქი რომ არის, ალბათ, ამაზე ორი აზრი აღარ არსებობს. აქ ადამიანების დიდ ნაწილს, პოლიტიკის შემდეგ, ყველაზე მეტად ის აინტერესებს, ვინ



გათხოვდა, სად გათხოვდა, როგორი ქორწილი ჰქონდა, რა ეცვა და ელოდება თუ არა ბავშვს. ჰოდა, ახლახან გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მომღერალი ნინი ბადურაშვილი ფეხმძიმედ არის. როგორც ცნობილია, ის რამდენიმე თვის წინ რუსეთში მცხოვრებ ქართველს, ირაკლი კუტალაძეს გაჰყვა. ცოტა ხნის წინ ნინი თბილისში ჩამოვიდა და საზოგადოების თავშეყრის ადგილებშიც არაერთხელ გამოჩნდა. როგორც ჩანს, ფხიზელ თვალს მისი ფეხმძიმობის ამბავი არ გამორჩენია. შევიტყვეთ, რომ ნინი ბავშვის გაჩენას რუსეთში აპირებს. ფეხმძიმობაზე გამახსენდა და, საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი, რომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ყოფილი მინისტრი, ვერა ქობალიაც ბავშვს ელოდება. ბევრს აინტერესებდა, ვინ არის მისი შვილის მამა. როგორც თავად ვერამ განაცხადა, მისი მეუღლე დავით კურცხალიაა და, შესაბამისად, მისი შვილიც კურცხალია იქნება. ყოფილმა მინისტრმა მეუღლე, რომელსაც კერძო ბიზნესი აქვს, ოფიციალურად გუდაურში, ახლობლების წრეში გაიცნო, თუმცა, მანამდე არაერთხელ შეხვედრიან ერთმანეთს, მაგრამ, მათ შორის სასიყვარულო ფლუიდები მხოლოდ რამდენიმე თვის წინ გაჩნდა. ვერა ქობალია ბავშვის გაჩენას საქართველოში აპირებს, რადგან სურს, რომ მისი შვილი საქართველოს მოქალაქე იყოს.



## კიბერუსაფრთხოებაზე საქართველოში პირველი წიგნი გამოიცა



უსაფრთხოების ექსპერტთა კავკასიის აკადემიამ 29 დეკემბერს სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“, კიბერუსაფრთხოებაზე პირველი წიგნის პრეზენტაცია გამართა – ესაა „კიბერკრიმინალი – ლეგალური და სადაზვერვო ასპექტები“. პრეზენტაციაზე განხილული იყო საქართველოში განვითარებული ბოლოდროინდელი მოვლენები, რომლებიც უკავშირდება სადაზვერვო ოპერაციებს, ეროვნულ უსაფრთხოებას, სამართლებრივ პრობლემებს და, ასევე, თანამედროვე ტენდენციებს გლობალური უსაფრთხოების სფეროში. პრეზენტაციაზე მოწვეულნი იყვნენ როგორც უსაფრთხოების სფეროს წამყვანი ფროფესიონალები, ისე უცხოური ბეჭდვითი და ტელემედიის წარმომადგენლები. წიგნის მიზანია, მკითხველს სრული ინფორმაცია მიაწოდოს კიბერუსაფრთხოებისა და კიბერკრიმინალის ლეგალურ ასპექტებზე; სადაზვერვო საქმიანობასა და თანამედროვე საფრთხეებს შორის პარალელებზე; აღჭურვოს მკითხველი ცოდნით ამ საფრთხეების ანალიზისთვის და სწორი სამართლებრივი ინტერპრეტაციისთვის. „ბოლო პერიოდში საქართველოში არაერთი საკანონმდებლო რეფორმა ჩატარდა, მიღებულ იქნა ახალი კანონმდებლობა კიბერკრიმინალთან მიმართებაში; სხვადასხვა სამართალდამცავ უწყებაში შეიქმნა ახალი ორგანიზაციული საშტატო ერთეულები; მოხდა პროკურორთა გადამზადება და დავდექით შემდეგი რეალობის წინაშე: ჩვენ გვაქვს კიბერკრიმინალის შემთხვევები, განახლებული კანონმდებლობა, რომელიც უშუალოდ მასზეა მიმართული და კარგად არის მომზადებული პროკურორებისთვის. ის, ვინც მოჰყვება კიბერკრიმინალთან დაკავშირებულ ინციდენტში, სამართლებრივი დავის პროცესში სრულიად უძლურია, რადგან, საქართველოში ძნელად მოიძებნება ადვოკატი, რომელიც ერკვევა კიბერდანაშაულებებსა და თანამედროვე ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ საკითხებში, რაც ერთ-ერთი მთავარი პრინციპის – მხარეთა თანასწორობის დარღვევას იწვევს. ეს არის პირველი პრაქტიკული სახელმძღვანელო საქართველოში, რომელიც კიბერუსაფრთხოებას ერთდროულად ლეგალურ, ტექნიკურ და სადაზვერვო კუთხით განიხილავს“, – აღნიშნავს წიგნის ავტორი ლაშა პატარაია.

წიგნი განკუთვნილია იურისტების, ჟურნალისტებისა და უსაფრთხოების სფეროში მოღვაწე პროფესიონალებისთვის და აძლევს მათ სრულიად ახალ პერსპექტივას, რომელიც დაეხმარება, უკეთ გამოიყენონ თანამედროვე ტექნოლოგიები ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს სფეროებში. წიგნი 1 იანვრიდან ხელმისაწვდომია თბილისის წიგნის მაღაზიებში. უსაფრთხოების ექსპერტთა კავკასიის აკადემიამ კიბერუსაფრთხოების სფეროში ადგილობრივი პუბლიცისტიკის განვითარებისთვის სპეციალური სერიაც შექმნა, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია არაერთი ღირებული სახელმძღვანელოს გამოცემა.

**მოამზადა ნათია უტიაშვილმა**

# როგორ უნდა მიიღოთ მეტი სარგებელი ნაკლები დანახარჯით და წლის რომელ პერიოდში გაგიმართლებთ



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*
კურტ ვონეგუტი

თუ გსურთ, უფრო მეტი სარგებელი მიიღოთ საქმიდან და ბიზნესიდან, დააბანდოთ სახსრები მიზნობრივად, მაშინ, სწორად უნდა დაგეგმოთ, როდის დაიწყოთ საქმიანობა და როდის უნდა გამოიჩინოთ მეტი სიფრთხილე და წინდახედულობა. წლის განმავლობაში არსებობს კონკრეტული დღეები და თვეები, როცა ვარსკვლავები თქვენ მიმართ კეთილგანწყობილნი არიან; როცა ამ დროს წამოწყებული საქმე სამომავლოდ სარფიანი გამოდგება თქვენთვის და კარგ მოგებასაც მოგიტანთ მინიმალური დანახარჯების ფონზე.

იმისთვის, რომ წარმატებას მიაღწიოთ ცხოვრებაში, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ ვარსკვლავების რჩევები; ყური უგდოთ, რას გიწინასწარმეტყველებენ ისინი, როდის არის სასიკეთო და იღბლიანი პერიოდი ასტროლოგიურად, როდის ჯობია ახალი საქმის დაწყება, სასიყვარულო კავშირების დამყარება თუ საცხოვრებლის შეცვლა. სარისკო საქმის დაგეგმვა, იქნება ეს მცირე ბიზნესი თუ ელემენტარული სამუშაო, იმ დროისთვის უნდა წამოიწყოთ, როცა თქვენთვის, ასტროლოგიური კუთხით, მომგებიანი დროა. ამის გარკვევა არც ისე ძნელია, სამაგიეროდ კი ბევრ პრობლემას, წინააღმდეგობასა და უიღბლობას აირიდებთ თავიდან.

რომ გაიგოთ, როდის დგება თქვენთვის სასიკეთო პერიოდი, უნდა შეგეძლოთ მისი გამოთვლა. ათვლა უნდა დაიწყოთ თქვენი დაბადების თვიდან. ასე რომ, განსაზღვრეთ თქვენთვის სასურველი პერიოდი საფინანსო და კარიერული კუთხით და თამამად გადადგით წინ ნაბიჯი. მაგალითად, თუ თქვენ დაიბადეთ აგვისტოში, თქვენთვის პირველ თვედ ითვლება სექტემბერი, თუ სექტემბერში – ოქტომბერი, თუ მარტში – აპრილი და ასე შემდეგ.

პირველ თვეს მაქსიმალურად უნდა გამოიჩინოთ სიფრთხილე. მეტი დაკვირვება გმართებთ, სანამ ნაბიჯს გადადგამთ. ყველაფერი კარგად უნდა აწონ-დაწონოთ, გამოამჟღავნოთ დიდი ძალისხმევა და კარგად დაფიქრდეთ, სანამ ახალ საქმეს წამოიწყებთ, რადგან, მომავალში დიდია დანაკარგების რისკი. ამ პერიოდში წამოწყებულ საქმეში მაღალია შეცდომების დაშვების ალბათობა. ასე რომ, კარიერულ და საფინანსო სფეროში ამ პერიოდში ცვლილებებისგან თავის შეკავება გირჩევთ.

მეორე თვეს საქმე გააზრებულად და აუჩქარებლად წამოიწყეთ, რასაკვირველია, თუ გინდათ, რომ მან ფინანსური კეთილდღეობა მოგიტანოთ. თუ ვარსკვლავების რჩევას გაითვალისწინებთ, არ გირჩევთ ამ პერიოდში საქმის ვალით დაწყებას. დიდია შეცდომების დაშვების ალბათობა და პარტნიორების მხრიდან ღალატი. ასე რომ, იყავით წინდახედული და, თუ დრო ითმენს, ახალი საქმე მომავალისთვის გადადეთ.

მესამე თვეს, შეგიძლიათ, თამამად გადადგათ ნაბიჯი საფინანსო სფეროში და წამოიწყოთ ნებისმიერი ახალი საქმიანობა. ამისთვის ბევრი შრომა მოგიწევთ, სამაგიეროდ, ეს აუცილებლად მოგიტანთ სამომავლოდ მოგებას.

მეოთხე თვე ის პერიოდია, როცა უფრო მეტი გონიერება გმართებთ, სწორად განსაზღვროთ ნებისმიერი საქმე. ვარსკვლავები გირჩევენ, ნუ დაიწყებთ ამ დროს ახალ საქმეს, რათა სამომავლოდ სანანებელი არ გაგიხდეთ.

მეხუთე თვეს თქვენთვის სარისკო პერიოდი დგას ახალი საქმისა და ბიზნესის წამოსაწყებად. მაღალია ფარული მტრების გააქტიურების ალბათობა, მოტყუების მცდელობა პარტნიორების მხრიდან და, ასევე, შეცდომების დაშვების ალბათობაც. ის საქმე, რისი განხორციელებაც სამომავლოდ გსურთ, წინასწარ დაგეგმეთ, შემდეგ კი კარგად გააზრებულმა დაიწყეთ მისი რეალიზება.

მეექვსე თვე ყველაზე ნაყოფიერი და სარფიანი პერიოდია საქმის წამოსაწყებად და ბიზნესში ფულის დასაბანდებლად. გამოავლინეთ მაქსიმალური ყურადღება მოვლენებისადმი, იყავით შრომისუნარიანი, იმოქმედეთ მიზანდასახულად, მოახდინეთ ძალების სწორად მობილიზება და ყველაფერი გამოგივათ – მომავალში ეს ყოველივე სასურველ შედეგს გამოიღებს. ასე რომ, ამ პერიოდში ნუ დაზოგავთ ძალებს.

მეშვიდე თვე საკმაოდ რთულია საქმესთან დაკავშირებული პრობლემების მოსაგვარებლად. არ წამოიწყოთ რამე საქმე დამოუკიდებლად და ნურც რამე ნაბიჯს გადადგამთ სხვების რჩევების გარეშე. ის პრობლემები, რაც შეეხება ბიზნესსა და საქმეს, ჯობია, ასევე სხვების დახმარებით გადაჭრათ.

მერვე თვეს ნუ გარისკავთ, რადგან, მაღალია მოტყუებისა და ცდუნებების ალბათობა. კარგად დაფიქრდით, სანამ რამე საქმეს დაგეგმავთ. ამ პერიოდში კოსმოსიდან ნეგატიური ენერგიები მოდის დედამიწაზე და ის მეტად უწყობს ხელს, შეცდომა დაუშვათ ბიზნესში ან საქმეში. ამიტომ, განსაკუთრებული ყურადღება და წინდახედულება გმართებთ, სანამ ნაბიჯს გადადგამთ.

მეცხრე თვეს შეგიძლიათ, თამამად მოაგვაროთ საქმესთან და ბიზნესთან დაკავშირებული პრობლემები; ასევე, დაგეგმოთ ახალი საქმე. იმოქმედეთ მიზანდასახულად და თქვენი ფინანსური კეთილდღეობა გარანტირებული იქნება ახლო მომავალში.

მეათე თვეს, ჯობია, ბევრი არ ილაპარაკოთ, რომ თქვენი ბიზნესგეგმებით სხვებმა არ ისარგებლონ. იმოქმედეთ დამოუკიდებლად და კარგად გაიაზრეთ თითოეული ნაბიჯი.

მეთერთმეტე თვე სასიამოვნო სიურპრიზებითა და ცვლილებებით იქნება სავსე. იყავით მეტად აქტიური, რადგან ეს ფინანსებსა და შემოსავლებს გაგიორმაგებთ. ეს ის პერიოდია, როცა სიზარმაცის გამო შანსი ხელიდან არ უნდა გაუშვათ.

ასტროლოგიურად, მეთორმეტე თვე ყველაზე რთულია თითოეული ჩვენგანისთვის საქმისა და ბიზნესის კუთხით. ამიტომ, ნუ აჰყვებით ცდუნებებს, ბრმად ნუ ენდობით ბიზნესში სხვებს და ნურც რაიმეს შეცვლას შეეცდებით საქმიან სფეროში.

## შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: დავიბადე 1978 წლის 14 ნოემბერს. მაინტერესებს, რომელ ქვეყნებში გამიმართლებს?**

**პასუხი:** თქვენთვის უცხოეთი საშუალოა, მაგრამ, აქვე იმასაც გეტყვით, რომ სიყვარულის პლანეტა „ვენერა“ სწორედ უცხოეთის კუთხით არის თქვენთვის წარმატებების მომტანი. ასე რომ, უცხოეთი სასიყვარულო ურთიერთობების კუთხით მისაღებია. ქვეყნებიდან კი წარმატებების მომტანია: იტალია, არგენტინა, ბირმა, ჩინეთის ჩრდილოეთი ნაწილი, სანმარინო, ესპანეთის კატალონიის მხარე, მონაკო, ლატვია, ეგვიპტე, ჰავაის კუნძულები, გვატემალა, ავსტრია. ეს ქვეყნები წამოსწიეთ წინა პლანზე. ასევე, არის ქვეყნები, სადაც წარმატებების შანსი იმ შემთხვევაში გელით, თუ გადალახავთ ბარიერებსა და წინააღმდეგობებს. ასეთებია: ინგლისი, დანია, შეერთებული შტატებიდან – ალასკა; კორეა, ავსტრალია, ვენესუელა, შვედეთი, მალაიზია, ჩინეთი.

**კითხვა: დავიბადე 1982 წლის 21 სექტემბერს, 12 საათზე. რა მელის ახლო მომავალში და გამიმართლებს თუ არა უცხოეთში?**

**პასუხი:** თქვენს ცხოვრებაში საკმაოდ კარგი და აქტიური პერიოდი დაიწყო. ამიტომ, მეტად იაქტიურეთ წლის ბოლომდე. რაც შეეხება უცხოეთს, გეტყვით, რომ გამარჯვების ძირითადი ფაქტორი თქვენთვის უკავშირდება სამშობლოს – აქ მეტი წარმატების შესაძლებლობებია. უცხოეთი კი არც ცუდია და არც კარგი, ის თქვენთვის საშუალოა.

**კითხვა: დავიბადე 1974 წლის 11 მაისს. მაინტერესებს, უცხოეთის რომელი ქვეყანაა ჩემთვის მეტად მისაღები სამუშაოდ და ბედის საძებნელად?**

**პასუხი:** უცხოეთი თქვენი კარმული მისია ნამდვილად არ არის, თუმცა, არც გეკრძალებათ. ნუ ელით დიდ წარმატებებს სამშობლოს გარეთ. ქვეყნებიდან კი შედარებით იღბლიანია: ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთი მხარე, ჰოლანდია, პარაგვაი, შოტლანდია, თურქეთი, იტალია, სამხრეთ აფრიკა, უკრაინა, ირლანდია, კვიპროსი, ბელგია, მოლდავეთი, ფინეთი, არგენტინა, ეგვიპტის ჩრდილოეთი ნაწილი, ბულგარეთი და ისრაელი.

**კითხვა: დავიბადე 1985 წლის 31 ივლისს. არის თუ არა წელს ჩემთვის დაოჯახება სასურველი და, კერძოდ, რომელ თვეში?**

**პასუხი:** თქვენი ქორწინებისთვის კარგი პერიოდია 23 სექტემბრის შემდგომ, 23 ოქტომბრამდე. ამიტომ, უმჯობესია, ცვლილებები პირად ცხოვრებაში სწორედ ამ პერიოდს დაამთხვიოთ.

### ვერძი



გარკვეული მოვლენები შეგიშლით ხელს წინსვლაში და არ მოგცემთ საშუალებას, აკეთოთ საქმეები. სამაგიეროდ, თავს კარგად იგრძნობთ ფინანსური კუთხით. საყვარელ ადამიანთან დაიცავით ზომიერება და ნუ აუხირდებით ელემენტარული მიზეზის გამო. უმჯობესია, მასთან ერთად დაგეგმოთ დასვენება და ამით გაანეიტრალოთ დაძაბული სიტუაცია.

### კურო



ეცადეთ, არ გარისკოთ. იყავით ყველასთან გულახდილი. შემოქმედებითი მუშაობა და მოლაპარაკებები მოგებას მოგიტანთ. პირად ცხოვრებაში დროულად გააკეთეთ არჩევანი, რათა თაყვანისმცემლებმა არ მიგატოვონ. მეტი ყურადღება დაუთმეთ ჯანმრთელობას.

### ტყუპები



მთელი ენერგია მიმართული იქნება შემოსავლის გაზრდისკენ. თავი შეიკავეთ რისკისგან და ეცადეთ, არ აჰყვეთ ცდუნებებს. კარგია ურთიერთობა უცხოელებთან. სასიყვარულო ურთიერთობებში კი მეტი სიფრთხილე გამოიჩინეთ, რომ რჩეულს თქვენგან რამე არ ეწყინოს და ეს არ გახდეს დაშორების მიზეზი.

### კირჩხიბი



ნუ იფიქრებთ წარსულზე, დასახეთ მომავლის გეგმები. შემოსავალს მიიღებთ ადრე შესრულებულ საქმიანობაში. მეგობრებს ხშირად გადაუშალეთ გული. საყვარელ ადამიანთან დაძაბული ურთიერთობა თქვენს ჯანმრთელობაზე უარყოფითად აისახება.

### ლომი



არ აჰყვეთ გარშემო მყოფებისგან შემოთავაზებულ ცდუნებებს და არ დაკარგოთ კარგი პერსპექტივები. იმოქმედეთ დამოუკიდებლად. კარგია გართობა მეგობრებთან ერთად, თუმცა, დასვენებისთვისაც გამონახეთ დრო. ეცადეთ, არ აღმოჩნდეთ გაურკვეველ სიტუაციებში.

### ქალწული



კარგია გავლენიან პირებთან კავშირის დამყარება. ჩანაფიქრების განხორციელებაში საყვარელი ადამიანი დაგეხმარებათ, ოღონდ არ დამალოთ მასთან თქვენი ოცნებები და ემოციები. ახალ სამსახურში გადასვლას ჯერ არ გირჩევთ. კარგია უცხოელებთან კონტაქტი. ფრთხილად მოეკიდეთ საბუთებს.

### სასწორი



მოიმატებს თქვენი ენერგეტიკული პოტენციალი, რისი მეშვეობითაც შეძლებთ ახალი კავშირების დამყარებასა და თავის უკეთ წარმოჩენას. ნუ ენდობით უცნობ ადამიანებს. ეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ სახლში და ხშირად დაისვენოთ. განსაკუთრებული სიფრთხილე გმართებთ პირად სასიყვარულო ურთიერთობებში, რადგან, მომავალში არ გექნებათ დანაკარგის დაბრუნების შანსი.

### მორიელი



ეცდებით, აღადგინოთ ძველი კავშირები და საზოგადოებაში ახალი ადგილი დაიმკვიდროთ. რთულ სიტუაციებში დახმარებისთვის მიმართეთ მეგობრებს და ნათესავებს. დამატებით ფინანსებს გპირდებათ არაოფიციალური სამუშაო. სიფრთხილე გამოიჩინეთ მგზავრობისას. საყვარელი ადამიანი ნებისმიერ სიტუაციაში გვერდით დაგიდგებათ.

### მშვილდოსანი



შესაძლოა, დაფიქრდეთ სამსახურის ან პროფესიის შეცვლაზე, თუმცა, უმჯობესია, ეს ჯერ გადადოთ. ადვილად შეძლებთ ძველი საქმეების დასრულებასა და ჩანაფიქრების განხორციელებას. მივლინება დიდ პერსპექტივას და მოგებას გპირდებათ.

### თხის რქა



ყურადღება გმართებთ ფინანსური საქმეების და საბუთების მიმართ, რათა არ დაუშვათ შეცდომები და არ მოგიხდეთ ვალების აღება. კარგია ახალი ნაცნობობა და გამოცდების ჩაბარება, მაგრამ, ნუ იქნებით ზედმეტად თავდაჯერებული. ერიდეთ მოგზაურობას. სასიყვარულო პარტნიორთან თავი შეიკავეთ ემოციებისგან და საკუთარი პოზიციები არგუმენტების დახმარებით გაამართლეთ.

### მერწყული



გარშემო მყოფთაგან ბევრი რამის დამალვა მოგიწევთ. მხოლოდ ოჯახში იგრძნობთ თავს მშვიდად და კომფორტულად. არ გირჩევთ ადგილსამყოფლის შეცვლას. ნუ დახარჯავთ თანხებს უმიზნოდ. ახალი ფარული სასიყვარულო კავშირი ბევრ სიამოვნებას მოგანიჭებთ და გიბიძგებთ ცვლილებებისკენ.

### თევზები



მიზნები დაუკავშირდება ახალ ჩანაფიქრებსა და განსხვავებულ საქმიანობას. მეგობრები დაგეხმარებიან ცხოვრების უკეთესად მოწყობასა და წარმატებების მიღწევაში. წარმატება გელით იურიდიულ საბუთებთან დაკავშირებით. სახლში ჰარმონიული სიტუაცია ენერგიას შეგმატებთ და ადვილად გაუმკლავდებით პერიოდულ სირთულეებს ცხოვრებაში. კარგია მოგზაურობა.

**ახალმთვარეობა – 10 თებერვალი, 7 სთ: 20 წთ.**

## კვირის დღეების ასტროპროგნოზი

### ორშაბათი

გაითვალისწინეთ ცხოვრებისეული გამოცდილება. ეს დაგეხმარებათ, შეცდომებს აარიდოთ თავი. მოიმატებს სენტიმენტალიზმი და ილუზიები. გართულდება გრძნობებში გარკვევა. კარგია ინტელექტუალური სამუშაოს შესრულება. დაეყრდნეთ ინტუიციას. დაიცავით ტრადიციები. ნუ მიიღებთ სულსწრაფ გადაწყვეტილებებს. ატარეთ ვარდისფერი, წითელი, ნაცრისფერი, იისფერი, მწვანე, ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი – აკვამარინი, საფირონი, ცირკონი, გიშერი, ამეთვისტო ან მარჯანი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. სუსტდება ნერვული სისტემა, მხედველობა, ლიმფური სისტემა, ტერფები.

***პოზიტიური დღეა: სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, თევზებისთვის.***

### სამშაბათი
### გეომაგნიტური დღეა

თუ წინასწარ კარგად მომზადებულ საქმეს წამოიწყებთ, მოგებას მიიღებთ. კარგია კონტაქტები და მოლაპარაკებები, ასევე, საოჯახო ურთიერთობები, ინტუიციაზე დაყრდნობა მოქმედებისას. ატარეთ ფირუზისფერი, მწვანე, ლურჯი, იისფერი ან ვერცხლისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ამეთვისტო, ალექსანდრიტი, გიაცინტი, მარჯანი ან მარგალიტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ საიდუმლო საქმეებსა და სიყვარულს. კარგია მოგზაურობა, იურიდიული საქმიანობა, კაპიტალდაბანდება, კონტაქტების დამყარება, შემოქმედებითი მუშაობა. სუსტდება ენდოკრინული და ნერვული სისტემა, ტერფები.

***პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, თევზებისთვის, მერწყულებისთვის.***

### ოთხშაბათი

ნუ დახარჯავთ დროს უქმად და გაუფრთხილდით ენერგიას. კოლეგების მხრიდან კრიტიკას გონივრულად მიუდექით. აპატიეთ სხვებს. ნუ გასცემთ ტყუილუბრალო დაპირებებს. ატარეთ იისფერი, მწვანე, ლურჯი, ფირუზისფერი, ვერცხლისფერი, წითელი ან ყვითელი სამოსი; ქვებიდან კი – მარგალიტი, ამეთვისტო, ალექსანდრიტი, მარჯანი ან გიაცინტი. ნუ მოუყვებით სხვებს სიზმარს. კარგია მოგზაურობა, იურიდიული საკითხების მოგვარება, კაპიტალდაბანდება. სუსტდება ყელი, ლიმფური და ნერვული სისტემები, თავი, თვალები.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის.***

### ხუთშაბათი

მაღალია დანაკარგების ალბათობა. მოერიდეთ კამათსა და ეჭვიანობას. ყურადღება მიაქციეთ სიტყვებს და აკონტროლეთ მოქმედებები. ატარეთ წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი, ცისფერი ან ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი – ლალი, წითელი იასპი, იაგუნდი, სერდოლიკი, ტოპაზი ან ფირუზი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარებას, საფინანსო ოპერაციებს, კაპიტალდაბანდებას, ხელშეკრულების დადებას. სუსტდება კბილები, თავი, თვალები, ყურები, გრძნობათა ორგანოები.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის.***

### პარასკევი
### გეომაგნიტური დღეა

აკონტროლეთ ემოციები და აზრები. იმოქმედეთ პრინციპით: „ასჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერი". ნუ იკამათებთ. მეტი დრო დაუთმეთ ახლობლებს. ატარეთ წითელი, შინდისფერი, ყვითელი, ნარინჯისფერი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ლალი, იაგუნდი, აკვამარინი, წითელი იასპი ან ფირუზი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. ნუ შეიჭრით თმას. მოერიდეთ სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარებას, საფინანსო ოპერაციებს, კაპიტალდაბანდებებს, ხელშეკრულებების დადებას. კარგია მოგზაურობა, სწრაფად შესასრულებელი საქმეები, ტექნიკასთან ურთიერთობა. სუსტდება თავი, სისხლძარღვები, თვალები, ყურები.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, თევზებისთვის.***

### შაბათი
### გეომაგნიტური დღეა

ყურადღება გადაიტანეთ ძალების აღდგენასა და ახლებურად მოქმედებაზე. გამახვილდება ინტუიცია. ატარეთ ყავისფერი, ლიმონისფერი, ცისფერი, ლურჯი ან მწვანე სამოსი, ქვებიდან კი – აქატი, მალაქიტი, ზურმუხტი, მარგალიტი ან ყვითელი იასპი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან, დიდია ახდენის ალბათობა. მოერიდეთ რისკს. კარგია სასიყვარულო კავშირები, ახალი ნაცნობობა, უძრავი ქონების შეძენა, გართობა, მოგზაურობა, ვაჭრობა. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი.

***პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, მერწყულებისთვის.***

### კვირა
### გეომაგნიტური დღეა

მეტი დრო დაუთმეთ ტრადიციებს, ახლობლებთან კონტაქტს. მოიმატებს ემოცია, აგრესია, იმპულსურობა, კონფლიქტები. ატარეთ ლიმონისფერი, ყავისფერი, ყვითელი, ლურჯი, ცისფერი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – აქატი, მალაქიტი, მწვანე იასპი, ზურმუხტი ან ამეთვისტო. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ სარისკო მოქმედებებსა და სულსწრაფ გადაწყვეტილებებს. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

**ძველმანების მოყვარულ ზურა შევარდნაძეს თბილისში ყველა იცნობს. მასთან სტუმრობა მართლაც დიდი ესთეტიკური სიამოვნებაა. სად ნახავთ სხვაგან იმდენ ძველ და ლამაზ ჭიქას, თეფშს, ქვაბს, ორიგინალურ კოვზებს, ჩანგლებს, სკამებსა და ათას ჭინჭილას, რამდენიც მას აქვს სახლში და „გარდენიაში". როგორც ჩვენი რესპონდენტი მებაღე-დიზაინერი ამბობს, ეს მისი გატაცება კი არა, მთელი ცხოვრებაა. ის ამით ცხოვრობს და დიდ სიამოვნებას იღებს. ბევრისთვის, ალბათ, გასაკვირია, საიდან აქვს ამ გურულ, ასკანელ კაცს ასეთი დახვეწილი გემოვნება. როგორ ცდილობს ის სხვებისთვის სიამოვნების მინიჭებას და როგორ გამოსდის ეს, ამას ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ, რომელიც საკმაოდ ხალისიანად ჩაიწერა.**

# რატომ გიჟდებიან ზურა შევარდნაძის სახლზე და რატომ დადიან მასთან სტუმრად ჩემოდნებით

**– ამ ყველაფერს, ალბათ, მშრალ ხიდსა და მაღაზიებში იძენ, რომლებიც ვორონცოვზე მრავლადაა და შენნაირი გამვლელ-გამომვლელის ყურადღებას იქცევს.**

– ბევრს ვყიდულობ, ამიტომ ფული არასდროს მაქვს. რაც მაქვს, სულ ვხარჯავ. ჩემი „წიკები" მაქვს. მშრალ ხიდზე სიარული ჩემთვის მთელი რიტუალია. ყველას ვიცნობ, ყველასთან მივდივარ. ვფიქრობ, მათთვის სასურველი სტუმარი ვარ.



**ჩემი გერმანელი მეგობარი ანდრეასი ჩემთვის აგროვებს ქართულ ფირფიტებს და მე აქ, გერმანულ ფირფიტებს მისთვის, ეს ჩვენი ტრადიციაა. გერმანიაში რომ არის ქართული ეს არის გასაკვირი, თორემ აქ რომ იყოს გერმანული – რა გასაკვირია**

**– სასურველი იქნები, აბა რა, ყველაფერს შენ ყიდულობ და...**

– აი, რას ხედავ აქ ძვირად ღირებულს? ყველაფერი იაფფასიანია. არც ერთი გრამი ოქრო და ბრილიანტი არ მაქვს, ჩემს ესთეტიკაში არ ჯდება ძვირფასეულობა. აი, ეს საანგარიშო „ჩოთქი," მაგალითად, ჩემმა მასწავლებელმა მაჩუქა. დედაჩემი ბუღალტერია, კოლმეურნეობაში მუშაობდა ბუღალტრად და ბავშვობაში რომ მივდიოდი მასთან სამსახურში მახსოვს, როგორ გამოდიოდა ყველა ოთახიდან საანგარიშო კოჭების ხმა. ამ ხმის ნოსტალგია მაქვს და რომ დავინახე, მომინდა. ძალიან ბევრ ნივთს მჩუქნიან, ყველამ იცის, რა გამიხარდება და... ჩემთან სტუმრები მოდიან ძველი ჩაიდნით, ჩემოდნით. ამას წინათ ერთმა ჩემმა ახლობელმა არაჩვეულებრივი ჩაიდანი მაჩუქა. შეიძლება, სხვისთვის ეს არაფერი იყოს, მაგრამ ჩემთვის ყველაფერია. ვიცი კოლექციონერები, რომლებისთვისაც ეს აზარტია, კოლექციონერი სულ უყურებს ის რა გამოშვებაა, ამ ქარხნის, იმ ქარხნის... ჩემთვის ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია ვიზუალურად მომეწონოს. ერთი აზერბაიჯანელი მეგობარი მყავდა – ელშა და თავის მეუღლესთან ერთად აქ ცხოვრობდა, როცა მე ზაფხულში იქით ვიყავი – „გარდენიაში". ჰოდა, გაგიჟებული წავიდა – „სქოლქო ბანქი უტებია, ზურაჯან!"... მაქვს აგრეთვე ძველი საბეჭდი მანქანა, ხელით დასატრიალებელი საანგარიშო, სალარო აპარატი.

**– ვა, მაშინაც იყო სალარო აპარატები? შენ მაშინდელი გადახდის ქვითრებიც გექნება. ძველი სკივრივით თუ შემნახველი საკანივით ხარ – ყველაფერს ინახავ.**

– „გარდენიაში" პატეფონი და ფირფიტების კარგი კოლექცია მაქვს. სტუმარი რომ მოდის, ზოგჯერ ჩავრთავ. ერთი არაჩვეულებრივი გერმანელი მეგობარი მყავს – ანდრეას გროგერი, მიუნჰენის ბოტანიკური ბაღის დირექტორია. ისიც ჩემსავით ძველმანებითაა გატაცებული და მიუნჰენში რომ ჩავდივარ, ერთად დავდივართ „ბარახოლკებზე". აბა, იქ არის თუ არის! ისეთი სიძველეები იყიდება, მართლა საოცრებაა. ანდრეასი ჩემთვის აგროვებს ქართულ ფირფიტებს და მე აქ – გერმანულს. ეს ჩვენი ტრადიციაა. გერმანიაში რომ არის ქართული ფირფიტები, ეს არის გასაკვირი, თორემ აქ რომ იყოს გერმანული – რა გასაკვირია.

**– „ალიხე, მამლიხე"... ეს რაღაა ზურა?**

– ესენი რევოლუციამდელი ჩაის ქილებია. ამ ფორმით იყიდებოდა ჩაი. სულ ვცვლი ყველაფერს. შენ გგონია, რაც აქ დევს სულ ასე აწყვია? „გარდენიადან" მომაქვს, მერე ისევ „გარდენიაში" მიმაქვს. სულ მოძრაობაშია – რაღაცას ვამატებ, რაღაცას გავაჩუქებ, გამიყიდია კიდეც, როცა მომბეზრებია და უკეთესი მომნდომებია, სხვათა შორის, ერთი რამე მასწავლა ამ საქმემ – თუ რაღაცეებს არ შეელიე, ისე ახალს ვერ იყიდი. ჩემთვის ამ ყველაფერს დადებითი ენერგია აქვს.



**– შეიძლება, ერთ დღეს ისეთ ხასიათზე გაიღვიძო, ძველი ახლით შეცვალო?**

– თანამედროვე ინტერიერშიც კარგად ვგრძნობ თავს. სხვასთან რომ მივდივარ, ძალიან ბედნიერი ვარ, როცა თანამედროვე სავარძელში მოხერხებულად ვზივარ, მაგრამ ჩემთვის თანამედროვე სავარძელი არ მომეწონებოდა. ხომ მაქვს უფლება, ისე ვიცხოვრო, როგორც მე მომწონს? გერმანიაში ახლობლების სახლში ვცხოვრობ, იქ ჩემი ოთახი მაქვს და რომ ჩავდივარ, მახვედრებენ გაახლებულს, გალამაზებულს, მაგრამ, სანამ ჩემს გარემოდ არ გადავაქცევ, ვერ ვისვენებ.

**– ძველი ფარდაგი არსად გიფენია, არ გიყვარს?**

– დიდი ფარდაგების შეგროვების არც სურ-

**– საქართველოში არ ვიცნობ მამაკაცს, რომელსაც ასეთი მისწრაფება და სიყვარული ჰქონდეს ძველი ნივთების მიმართ და შენ რამ გადაგრია?**

– მე ასე ვცხოვრობ, სხვანაირად ვერ წარმომიდგენია. ყოველთვის მაინტერესებდა ასეთი ნივთები, სახლის მოწყობა. საერთოდ, მიყვარს ადამიანებთან ურთიერთობა, კარგი ისტორიები, ღამის ქუჩებში სიარული, სხვის ფანჯარაში შეჭყიტინება – როგორ ცხოვრობენ, რა ნივთები აქვთ. ჩემს გარემოს ყველგან ვიქმნი და სადაც ვარ, იქ ყოველთვის განსაკუთრებული გარემოა. ბევრს ჩემს ასაკში თანამედროვე ნივთები მოსწონს, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ მე არ ვარ თანამედროვე, ინტერნეტშიც ვმუშაობ და ყველაფერი კარგად გამეგება.

**– თანამედროვე ტექნოლოგიები არა, მაგრამ ისე შეგიყოლია, ჩემო ზურიკო, ამ ძველმანებმა, მგონია, „ლეჟანკაზე" გძინავს.**

– ისეთი მოხერხებული ცხოვრება მიყვარს, „ლეჟანკაზე" ნაღდად ვერ დავწვები. ძალიან მიყვარს კომფორტი, ან ვინ გინახავს, ვისაც კომფორტი არ უყვარს?! მარტო რას ვერ ვიგებ იცი? ადამიანები მთელი ცხოვრება ცხოვრობენ, ტუალეტი აქვთ ბაღის ბოლოს და არ აქვთ ელემენტარული პირობები.

**– პატარა, მაგრამ ძალიან მყუდრო ბინა გაქვს. ყველას არ შეუძლია, ასე გემოვნებით მოაწყოს თავის ბინა, ინგლისური სტილი შეგირჩევია.**

– ჩემს ადგილას სხვა დიდ სახლს იყიდიდა, სადმე ქალაქგარეთ. „გარდენიაში", იმდენი შრომა მიწევს, აქ დასასვენებლად მოვდივარ. იქით ყოფნა გაზაფხულსა და ზაფხულშია კარგი.

**– თუმცა, ქალაქგარეთაც არ იქნებოდა ცუდი. წარმოიდგინე, სადმე, წყნარ ადგილას ტყეში ან ზღვის პირას, ხის პატარა სახლი, შიდა კიბით, თეთრი ინტერიერით... აი, ისეთი ფილმებში რომ არის. შენს ნივთებს ვუყურებ და ვხედავ ერთნაირი არაფერია, ყველაფერი თითო-თითო და სხვანაირია.**

– კი, ჩემს სახლში ერთნაირს ვერაფერს იპოვით. საშინლად არ მომწონს სერვიზები – ექვს- ექვსი ჭიქა, თეფში. სკამიც რომ დგას მაგიდის ირგვლივ ერთნაირი, ეგეც მაღიზიანებს. მირჩევნია, თითო ცალი იყოს. საერთოდ ინ-



ტერიერი კარგად მესმის და ათვისებული მაქვს. ხალხი იმაში ფულს მიხდის, რომ ვურჩიო – რა რას მოუხდება...

**– სამეულის ძალიან ლამაზი გადასაფარებელი და ფარდები გაქვს. ჩემი აზრით, ზუსტად ჯდება ამ ინტერიერში, ალბათ, შეაკერინე.**

– კი, შევაკერინე, მთელი თბილისის მკერავებს ვიცნობ. საერთოდ, რიტუალი უფრო მიყვარს, ვიდრე რაღაც კონკრეტული ნივთი. მაგალითად, ვგიჟდები ადამიანებთან ურთიერთობაზე. მომწონს როგორც თბილი, ისე უხეში ადამიანები. სულ ვსწავლობ რაღაცას. რომ გითხრა, ნავთლუღის ბაზარში ბევრ რამეს ვსწავლობ-მეთქი, დამიჯერებ? მოკლედ, ცხოვრება მიყვარს! ბევრ, ჩემი ასაკის ადამიანს ეს არ ესმის. ღმერთმა დამიფაროს, რომ ყველას ესმოდეს ჩემი, ასეც უნდა იყოს.

(მეთვრამეტე გვერდიდან)

*(იცინის).* ვიცი, რომ, თუ ოჯახი არ არის ძლიერი, ვერც ქვეყანა იქნება ძლიერი და წელში გამართული. ვიცი შრომის, ურთიერთობების, მოვალეობებისა და ტრადიციის ფასიც. ეს ყველაფერი ჩემს ოჯახში შეიგრძნობა. თუ ოჯახში პატივისცემა და სიყვარულის პოლიტიკა არ არის, იმას ოჯახი არ ჰქვია. თან, ჩემს ოჯახში ორი ანგელოზი ცხოვრობს – ნოდარიკო და ელენიკო და მათ მეტი უფლებები აქვთ, ვიდრე მე *(იცინის).* მიხარია ჩემს სახლში შემოსვლა და იმ იდილიის შეგრძნება, რაც აქ სუფევს.

**– ისე, რაც მეტი ანგელოზია სახლში, მით უკეთესი არ არის? მრავალშვილიან მამობაზე თუ გიფიქრიათ?**

– სულ ვამბობ, იმდენი შვილი მინდა, რამდენსაც ღმერთი მომცემს და არასდროს დავგეგმავ მათ რაოდენობას-მეთქი. რამდენად კარგი მამა ვარ, ვერ გეტყვით, მაგრამ, კარგი შვილები რომ მყავს, ეს ვიცი.

**– კაცები ცოტა ჯუჯღუნები არიან. თქვენ?**

– როცა კაცი ხარ, ხან ხმამაღალ სიტყვას იტყვი, ხან გაბრაზდები და ხანაც იჯუჯღუნებ, აბა, რა! *(იცინის)* თუმცა, მე მაშინ ვჯუჯღუნებ, როცა მშია.

**– კარგ თამადად და სუფრის გამძღოლად მოიაზრებით. ამ მხრივ თქვენმა თანამდებობამ ხომ არ შეგზღუდათ?**

– კარგი თამადა და სუფრის გამძღოლი ადრე ვიყავი, ახლა ისეთი სამუშაო მაქვს, სად მცალია ამისთვის? თამადამ უნდა დალიოს, ისე როგორ იქნება, მე კი ბოლო დროს დალევას ვერიდები. პატივს რომ დაგდებენ, სუფრაზე თამადად აგირჩევენ, შენ კი ყოველ წუთში ტელეფონი გირეკავს, დაძაბული ხარ, საქმე არ ითმენს და სულ გაქცევაზე გაქვს თვა-

# რატომ სთხოვდა დავით საგანელიძეს შვილი ახალ წელს „მწვანე ქალს" და რა დროს ავიწყდება მას რაჭველი კაცის ბუნება

ლი, ცოტა უხერხულია. ამიტომ, სუფრებს შეძლებისდაგვარად ვერიდები.

**– ბატონო დავით, პირადი ცხოვრება და კარიერა მოიწყვეთ. ახლა რა ოცნება დაგრჩათ ასახდენი?**

– ამაში ვერ დაგეთანხმებით. პირად ცხოვრებაში ნამდვილად გამიმართლა, კარიერისტი კი არასდროს ვყოფილვარ და ჯიბეში პარლამენტის მანდატი ნამდვილად არ ნიშნავს აწყობილ კარიერას. ჯერ ბევრი რამ დამრჩა მოსაგვარებელი – ქართველი ხალხის უკეთესი მომავლისთვის და ამას რომ მოვახერხებ, მერე ვიტყვი, კარიერაში გამიმართლა-მეთქი.

**– მე მაინც იღბლიან ადამიანად მიმაჩნიხართ.**

– რასაკვირველია, იღბლიანი კაცი ვარ, ამას მეც ვერ უარვყოფ და ამას ბავშვობიდან ვგრძნობდი. ხომ გახსოვთ, ვაკის პარკსა და მუშტაიდში სათამაშო აპარატები რომ იყო, ტირში სულ ვიგებდი და აღარ მათამაშებდნენ *(იცინის)*. იღბლიანი ვარ, მაგრამ, ბევრი ოცნება კიდევ ასახდენი მაქვს. მთავარი ოცნება კი ჩემი ქვეყნის სიმშვიდე და ხალხის კეთილდღეობაა – ამისთვის ნამდვილად თავგამოდებით ვიბრძოლებ.

**– ყველაზე მეტად ვისი შეფასების გეშინიათ და ვინ არის ის ადამიანი, ვის რჩევებსაც ითვალისწინებთ?**

– ადრე მამაჩემი იყო ის კაცი, ვის შეფასებასაც გულისყურით ველოდი და ვისი რჩევაც გასათვალისწინებელი იყო ჩემთვის. მამა პროფესორი იყო, ფილოსოფოსი, ყველაზე დიდი გულშემატკივარი და ოპონენტი ჩემთვის. სათვალიდან ამომხედავდა და დელიკატურად მაძლევდა შენიშვნას. დღეს, ძირითადად, დედაჩემის, ჩემი უფროსი ძმისა და ცოლის შეფასებაა ჩემთვის მთავარი. რომ გითხრათ, ვინმეს რჩევებს ვითვალისწინებ-მეთქი, მოგატყუებთ. მე ვუსმენ ყველას და მერე ისე ვმოქმედებ, როგორც სწორად მიმაჩნია. თუ რჩევა ან რეკომენდაცია შენთვის მიუღებელია, ნაკარნახევით არ უნდა იმოქმედო კაცმა.

**– ამბობენ, ლამაზი ცოლის პატრონს ცხენი მუდამ შეკაზმული უნდა ჰყავდესო. ქუთაისის პარლამენტის წინ თუ დგას შეკაზმული ცხენი?**

– *(იცინის)* ასეთი შეკაზმული ცხენი ნამდვილად არ მყავს დაბმული პარლამენტის წინ, თან, ცუდი მხედარი ვარ და ხერხემალიც მაწუხებს *(იცინის).* მე და სოფო ერთმანეთს ვენდობით. თუ ოჯახში ნდობა არ არის, არც ცხენი გიშველის კაცს, არც მობილური ტელეფონი და არც „ლამბორჯინი".

**– ბატონო დავით, ამბობენ, რომ ძალიან ბევრი ნათლული გყავთ.**

– 51 ნათლული მყავს და ეს დიდი ბედნიერებაა ჩემთვის. ამბობენ, ვისაც შვიდი ნათლული ჰყავს, ის სამოთხეში მოხვდებაო. ვხუმრობ ხოლმე: სხვებმა იფიქრონ, თორემ, მე სამოთხეში „ვიაიპი" ადგილი დაბრონილი და გარანტირებული მაქვს-მეთქი.

**ნონა დათეშიძე**

ვილი მაქვს და არც ადგილი, მაგრამ ძალიან მიზიდავს ქართული ფარდაგების პატარა ნაგლეჯები. მენანება გადაგდება და ზოგი სკამზე მიფენია, ზოგი – რაღაცაზე დევს. მებაღე ვარ და კარგად ვიცი, რა თამაშობს დიდ როლს ადამიანის გემოვნებაზე – თვალი. ჩემი მოვალეობაა, ვიზრუნო იმაზე, რომ ადამიანის თვალს სიამოვნება მივანიჭო. ამით იწყება ყველაფერი. ჩემი სახლი, კარგი გაგებით, ბევრს ეხარბება. ზოგს ჩემი სახლისხელა მარტო სააბაზანო ოთახი აქვს. ძალიან მდიდარ ადამიანებსაც უთქვამთ – ვაიმე, ზურა, რა ბედნიერებაა, რა მყუდროდ ცხოვრობ, რა სიმშვიდეა შენთან... მაღიზიანებს ისეთი სახლები, ოფისს რომ ჰგავს და სამზარეულო – ლაბორატორიას. თუმცა, არც ეგ მიმაჩნია კატასტროფად, ვფიქრობ, ყველამ ისე უნდა იცხოვროს, როგორც მოსწონს. როცა ეს ბინა ვიყიდე, საერთოდ არაფერი იყო – მხოლოდ კედლები. გადავაკეთე, გადმოვაკეთე და აი, ასეთი გამოვიდა. მაშინ სტუდენტი ვიყავი და სტუდენტისთვის ეს ფართი აბსოლუტურად საკმარისი იყო. ახლა მეპატარავება. მეგობრებისთვის ექვსი სკამი მაქვს და ყველამ იცის, რომ მხოლოდ ექვსი ადამიანის მიღება შემიძლია.

**– ეს შავ-თეთრი პეიზაჟი ვისი დახატულია?**

– ეს სურათი ძალიან საინტერესო ტუშითაა დახატული. ერთი საინტერესო მხატვარია, გვარად მახარაძე, ცალი თვალი არ აქვს და ნახე, ტუშით როგორი კომპოზიცია შექმნა. მიყვარს ძველი სუნები. მაგალითად, იმ კარადაში დევს ძველი სუნამოები „კრასნაია მოსკვა." რომ გამოვაღებ და ის სუნი მეცემა, ჩემი მასწავლებელი მახსენდება.

**– ამ ძველებურ სასწორს იყენებ?**

– როგორ არა, ყველაფერს ვიყენებ. მარტო ის არ არის, რომ დავდო და ასე იდოს. სხვათა შორის, ზუსტად წონის. ესენი დაღესტნური ქამრის ბალთებია ქალისა და მამაკაცის. ესეც ჩემმა მასწავლებელმა მაჩუქა, ქალბატონმა დარეჯანმა. ესენი დაღესტნური ცხენის მოკაზმულობებია – უნაგირი, ლაგამი. დაღესტანში ძალიან განვითარებულია ვერცხლის მჭედლობა, კარგად ამუშავებენ და იმ რეგიონში ცხენის მოსაკაზმი ნივთები ძალიან პოპულარულია და არა მხოლოდ ცხენის – ქალის არაჩვეულებრივი სამკაულები აქვთ. თბილისში ერთი დაღესტნელი ხელოვანი ქალბატონი მუშაობს – მანანა მაგაბედოვა და ვერცხლის საინტერესო ნივთებს ქმნის. ეს არის იტალიური საძმრე და სამარილე. იტალიაში რომ დაჯდები სადმე სავახშმოდ ან სადილად, შავ პილპილთან და მარილთან ერთად, რასაც დებენ მაგიდაზე – ძმარი და ზეთია.



**– ლოგინის თეთრეულს თუ ანიჭებ მნიშვნელობას? ახლა არ მითხრა, ისიც ძველი მაქვსო.**

– მე არ შემიძლია თურქულ თეთრეულში ძილი, მძინავს ჩვეულებრივ, კომუნისტების დროინდელ თეთრ, „გაკრახმალებულ" თეთრეულში. ჭრელაჭრული და ჟაკტი არ მიყვარს. რომ გითხარი, აზერბაიჯანელი მეგობარი მყავდა სტუმრად-მეთქი, აქედან „გარდენიაში" ამოვიდა. სულ გადაირია – „სქოლქო" ბარახლო, ზურაჯან, ნე გდე ვჟიზნი ნე ვიდელ! რა „ბარახლო", ბიჭო, შენ არ იცი როგორი ესთეტიკით ვუყურებ ამგენს-მეთქი. სხვათა შორის, საჩუქრად კარგი რაღაცეები ჩამომიტანა, სამოვარი მისახსოვრა. სულ მახსოვს ესა თუ ის ნივთი ვინ მაჩუქა, როდის მაჩუქა, რა გრძნობით მაჩუქა, მოსწონდა თუ არ მოსწონდა. ადამიანები უმეტეს შემთხვევაში, ნივთს იცილებენ თავიდან, აღარ მოსწონთ და შენ გჩუქნიან. ზოგიერთ შემთხვევაში – მასაც ძალიან მოსწონს, გული სწყდება, მაგრამ იმდენად ძვირფასი ხარ მისთვის, მოიკლო და გაჩუქა. ეს არის ნამდვილი საჩუქარი. მეც ვგრძნობ, რომ არ მოეწონათ ჩემი ნაჩუქარი ნივთი, მაგრამ ვცდილობ, ის გავაჩუქო, რაც ძალიან მომწონს. ნაძვის ხის სათამაშოებიც არ მაქვს ახალი, თუ ატყობ, ყველაფერი ძველია.

**– შენს სახლს, ალბათ, არასდროს გატეხავენ, ფული შენ არ გქონია და ოქრო – ძველი საანგარიშო „ჩოთქი", „აპტეჩკა" თუ კომუნისტების დროინდელი „გაკრახმალებული" თეთრეული ვის რად უნდა?! გახსოვს, 90-იან წლებში ოჯახებში „პოლიროვკიან" სერვანდებსა და პიანინოებზე ბროლის, ხილის ლარნაკები და საყვავილეები რომ ედგათ. ბევრმა აიღო, ზოგს დღესაც უდგას.**

– ბროლებსაც ვიყენებ. მოვა ისევ მოდაში, ბროლის ჭაღები. ცოტა დააგვიანდება, მაგრამ მოვა აუცილებლად.

**ეკა პატარაია**

# ბრძნული აზრები

**ჰორაციუსი**: დღე – პატარა სიცოცხლეა და ისე უნდა გაატარო, თითქოს ამ დღეს კვდებოდი, მაგრამ უეცრად რამდენიმე დღე გაჩუქეს.

**ვერგილიუსი**: განათლებული ადამიანი სხვებისგან იმით განსხვავდება, რომ უცხო საზოგადოებაშიც კი შინაურ ადამიანად აღიქმება.

**ლუმისი**: ნებისმიერი სულელი დაწერს წიგნს და უმეტესობა წერს კიდეც, მაგრამ სახლის აშენებას ჭკუა სჭირდება.

**ჰეგელი**: იდეები ცოცხლობენ მანამ, სანამ მისთვის ადამიანები კვდებიან.

**გოეთე**: ჭკვიანი ის ადამიანი კი არ არის, ვინც ბევრი იცის, არამედ ის, ვინც კარგად იცნობს საკუთარ თავს.

**კარლეილი**: როგორც კი კამათი სიშმაგეში გადაიზრდება, ჩვენ უკვე სიმართლისთვის კი არა, საკუთარი თავისთვის ვიბრძვით.

**კუშნერი**: დიდი მეცნიერება – ეს ხელოვნებაა, ხოლო დიდი ხელოვნება – მეცნიერება.

**კონფუცი**: ბრიყვი უკმაყოფილოა იმით, რომ მას ვერ გაუგო ხალხმა. ბრძენი უკმაყოფილოა იმით, რომ მან ვერ გაუგო ხალხს.

**უაილდი**: გრანდიოზული იდეები ყოველთვის საშიშია.

**ჰაბარდი**: მასწავლებელი არის ადამიანი, რომელსაც მინიმუმ ორი შესაძლებელი ვარიანტი აქვს იქ, სადაც მხოლოდ ერთი არსებობს.

**ჩერჩილი**: მე მზად ვარ, ყოველთვის ვისწავლო, მაგრამ არ მომწონს, როცა ყოველთვის მასწავლიან.

**შოუ**: ეჭვიანობა სულელის სიბრძნეა.

**დიზრაელი**: როდესაც წიგნის წაკითხვა მინდა, მე მას ვწერ.

**კანტი**: ადამიანი არასდროს ფიქრობს სინათლეში სიბნელეზე, ბედნიერებაში – უბედურებაზე. სიმდიდრის ჟამს – სიღარიბეზე და პირიქით, ყოველთვის ფიქრობს სიბნელეში – სინათლეზე, უბედურებაში – ბედნიერებაზე, სიღარიბეში – სიმდიდრეზე.

**ბეკონი**: ათეიზმი არის თხელი ყინული, რომელზეც მხოლოდ ერთი ადამიანი გაივლის, ალბათ, დანარჩენი ხალხი კი ჩაიძირება.

**მონტენი**: ვინც ხალხს თავგანწირვას ასწავლის, ის ასწავლის მათ ცხოვრებას.

**სენეკა**: თუ არ მოსწონხართ ცუდ ადამიანებს, ესე იგი, შექების ღირსი ხართ.

**სპინოზა**: ადამიანის ხასიათის გამოცნობა მისი მოთხოვნილებების მიხედვით შეიძლება.

**თეკერეი**: დათესეთ საქციელი და თქვენ მოიმკით ჩვევას, დათესეთ ჩვევა და თქვენ მოიმკით ხასიათს, დათესეთ ხასიათი და მოიმკით ბედს.

**ფეიერბახი**: ოფლს კი არა სულს შეუძლია ადამიანის გაკეთილშობილება.

**ფრანკლინი**: მოსწრებული სიტყვა-პასუხი უნდა გამოვიყენოთ, როგორც ფარი და არა როგორც ხმალი, რომ ჭრილობა მივაყენოთ სხვას.

**როულენდი**: სისულელეები, რომლებზეც მთელი ცხოვრება სწუხს მამაკაცი ის სისულელეებია, რომლებიც არ ჩაუდენია, როცა ამის შესაძლებლობა ჰქონდა.

**გოეცი**: შეიძლება, ენდო ქალს, ვინც ქმარს თავად ირჩევს?

# თუ გამოიცნობთ

1. ოკეანიის კუნძულების თვითნასწავლი ოსტატები ჩუქურთმებსა და გრავიურებს ფინიკით – ზღვის მოლუსკით ხატავენ. **როგორ?**

2. ისინი მრავალნაირი არიან: ნატურალური, სრულყოფილი, მარტივი, სამკუთხედი, შედგენილი... **რა?**

3. ამბობენ, რომ ის ამას შიშის გამო სჩადის, სინამდვილეში კი ჰიგიენური მოსაზრებებით აკეთებს, რათა თავი გაიწმინდოს პარაზიტი მწერებისგან. **დაასახელეთ ეს საქციელი, რომელიც ფრთიან ფრაზადაც კი იქცა.**

4. ეს პირველად ფანტასტიკურ ფილმში – „ქალები მთვარეზე“ გამოიყენეს, პრაქტიკაში კი – „ფაუ-2-ის“ გაშვების დროს. დღეს უამისოდ არ შედგება არც ერთი კოსმოსური სტარტი. **რა არის ეს?**

5. ნებისმიერი მარხილის – ცხენის, აქლემის, ვირის, ირმის აღჭურვილობაში შედის აღვირი. **დაასახელეთ, რომელი ცხოველების მარხილისთვის არ გამოიყენება ის?**

6. ლეონარდო და ვინჩი ურჩევდა მათ, ვინც შთაგონებას ეძიებს, დაეთვალიერებინათ ისინი. იმავე აზრის იყო ვიქტორ ჰიუგო. ის ამბობდა, რომ მათგან ბევრჯერ უსესხია იდეა თავისი ნაწარმოებებისთვის. **რისი დათვალიერება აძლევდა შთაგონებას ამ ორ დიდ ადამიანს?**

7. შვედეთი – რიქსდაგი, ისრაელი – ქნესეთი, ესტონეთი – რიიკუგუ... **საქართველო – ?**

8. ის ყველაზე მაღალია – 1 054 მეტრი სიმაღლის, თუმცა, მსოფლიომ ის მხოლოდ 1935 წელს გაიცნო. **რა ჰქვია მას?**

9. სიტყვა „მუვალდ“ არაბულში შერეული სისხლის არაბის აღმნიშვნელად გამოიყენებოდა. ეს სიტყვა არაბულიდან ესპანურში შევიდა, ხოლო შემდეგ ტრანსფორმირებული სახით, საყოველთაოდ გავრცელდა და დღეს დაახლოებით იმავე შინაარსის ცნებით გამოიყენება. **დაასახელეთ სიტყვა.**

10. არაბი ისტორიკოსები და ფილოლოგები მას „მისმარს“ უწოდებენ, სიტყვიდან „მისმარ“ – ლურსმანი. ის ჯერ კიდევ შუმერებმა გამოიგონეს, დღეს კი აღარავინ იყენებს. **რას?**

***პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე***

# მხოლოდ ფაქტები

* ამერიკული კომპანია Beoing 1916 წელს დაარსდა.

* დიდი საერთაშორისო პრემია დაწესდა იმისთვის, ვინც დაამტკიცებდა მეჩვიდმეტე საუკუნის ფრანგი იურისტის, ფერმას თეორემის ჭეშმარიტებას. პრემია 1918 წელს გაუქმდა, რადგან ეს ვერავინ შეძლო.

* 1990 წელს 115 წლის ფრანგი მსახიობი ჟანა-ლუიზა კალმონი გადაიღეს ფრანგულ-კანადური წარმოების ფილმში „ვინსენტი და მე“, რომლის მთავარი გმირიც თავად გახლდათ.

* 1572 წელს ცნობილი ექიმი ჰუგენოტი, ამბრუაზა პერე სასახლეში გამოიძახეს და დაჭრილი მეფისთვის ოპერაციის გაკეთება დაავალეს. ოპერაციის წინ მან მოითხოვა ოთხი სიკვდილმისჯილის დაუყოვნებლივ დასჯა, რათა მათზე ექსპერიმენტი ჩაეტარებინა.

* ესპანელმა მილიონერმა რუის მატსოსმა აღიარა, რომ თავის სიცოცხლეში ფინანსური ცნობარების, ბირჟების ბიულეტენებისა და ბიბლიის გარდა, არც ერთი წიგნი არ წაუკითხავს.

* მეჩვიდმეტე საუკუნეში საფრანგეთში ცხოვრობდა ბანქოს უბადლო მოთამაშე შევალიე დე მერე, რომელიც ყველას აოცებდა თავისი უნარით – ზუსტი ალბათობით გამოეთვალა ყველა შესაძლო კომბინაცია და ყოველთვის იგებდა. მისი კონსულტანტი კი ცნობილი მეცნიერი ბლეზ პასკალი იყო.

* ჩვენს წელთაღრიცხვამდე, დაახლოებით 500 წელს, ინდოეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, განგის დაბლობზე წარმოიშვა მადაგჰას შტატი. მმართველთა დინასტიის ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი იყო სიდჰარტა გაუტამა შაკიამუნი – ბუდა.

* 1886 წელს ამსტერდამის უნივერსიტეტის თანამშრომელმა, მედიცინისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დოქტორმა, ეჟენ დიუბუამ ადამიანის წინაპრის საძიებლად ნიდერლანდების ოსტ-ინდოეთში წასვლა გადაწყვიტა, თუმცა უნივერსიტეტმა უარი უთხრა ექსპედიციის დაფინანსებაზე. დიუბუა არმიაში ჩაეწერა და ამ გზით კუნძულ იავაზე მოხვდა, სადაც სახელმწიფო ხარჯით გათხრებიც აწარმოა.

* 1783 წელს ლუდოვიკო მეთექვსმეტემ პარიზში გამოიძახა ანონის მცხოვრებნი. მათ უბოძა აზნაურის ტიტული და გერბი დევიზით: „ასე ადიან ვარსკვლავებზე“. ანონის მცხოვრებნი ამის გაკეთებას საჰაერო ბუშტით გეგმავდნენ.

* მადრიდში წელიწადში მეტი მზიანი დღეა, ვიდრე ევროპის სხვა რომელიმე დედაქალაქში. 52 კილომეტრის მანძილზე კი გუადარამას ქედი მას ჩრდილოეთის ცივი ქარებისგან იცავს. მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეში ბევრი პრინცესა მემკვიდრის გასაჩენად სწორედ ამ ქალაქში მიჰყავდათ.

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. მხg8-h6!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**




ქალის სხეულზე ყველაზე უცნაური ძუძუბია: თუ ცოლს დიდი აქვს, ქმარს პატარებისკენ მიუწევს გული, თუ პატარები – პირიქით...

***

ჩვენმა გუნდმა ულამაზესი გოლი გაიტანა, რასაც მოწინააღმდეგე გუნდის მოთამაშეებმა შემთხვევითი სამი გოლით უპასუხეს.

***

პოლიციელი უყურებს გოგონას, რომელიც მდინარის პირას მივიდა, გაიხადა და, ის-ისაა,




წყალში უნდა შევიდეს, რომ პოლიციელი მისკენ გამოემართა და მკაცრად უთხრა:
– აქ ბანაობა არ შეიძლება!
– კი მაგრამ, სანამ გავიხდიდი, რატომ არ მითხარით...
– გახდა არ არის აკრძალული!..

***

ჩავიდა მოსკოველი ამერიკაში. ათვალიერებს. შევიდა ბარში.
– მომეცით ერთი ბოთლი მაგარი ვისკი... არა, ორი...
– ზედმეტი ხომ არ მოგივათ?
– არა, მე მოსკოველი ვარ...
დალია. მოწევა მოუნდა.
– მაგარი სიგარეტი მომეცით... ორი კოლოფი...
– ზედმეტი ხომ არ არის?
– არა, მე მოსკოველი ვარ...
მოწია.
– ახლა კარგი იქნებოდა გოგო... არა ორი გოგო...
მოუყვანეს.
ნახევარი საათის შემდეგ გამოფორთხდა ოთახიდან...
– ხომ გაფრთხილებდით?
– აბა, რა ვიცოდი, რომ მოსკოველები იქნებოდნენ...

***

მატარებელი გვირაბში შევიდა. სიბნელეში და სიჩუმეში ლოყაში სილის გარტყმის ხმა გაისმა. გამოვიდნენ გვირაბიდან – კუპეში ყველა გაუნძრევლად თავის ადგილზე ზის.
„კარგი გოგო მყავს... პატიოსანი... თავი როგორ დაიცვა,“ – ფიქრობს დედა....
„დედაჩემი ნახე, კიდევ ფორმაშია და ვიღაც უზრდელებს პასუხსაც კი სცემს“...
„ამ კახპას უყურე, ყველას კალთაში უგორდება, მე კი რისთვის მტკიცა სილა, კაცმა არ იცის“... – ფიქრობს ზემდეგი.
„ნეტავი კიდევ შევიდეთ გვირაბში, მეორე ყბაშიც მოვცხო“... – გაიფიქრა ჯარისკაცმა.

***

კლიენტს მიმტანმა ანგარიში მიუტანა. კლიენტმა ჩახედა და ითვლის:
– ხინკალი – 18 ლარი, მწვადი – 14, სალათა – 5 ლარი, ყველის ასორტი – 6, მწნილის ასორტი – 4, ღვინო – 23, ლიმონათი – 2 ლარი, სულ 72 ლარი. თქვენ 110 როგორ გამოგივიდათ?
– ესე იგი, არ გამომივიდა...

***

ზარია. კარი დიასახლისმა გააღო. ზღურბლზე ფეხებმოჭრილი კაცი დგას...
– თუ შეიძლება, თქვენი ტუალეტით ვისარგებლებ, ძალიან მიჭირს...
– როგორ არ გრცხვენიათ, უცხო ოჯახში შემოვარდით, თანაც ასეთი მოთხოვნით...




– კიდევ ერთხელ ბოდიშს გიხდით ქალბატონო, მართალი ბრძანდებით, მაშინ, სხვა გზა არ მაქვს და აქვე ვიზამ...

***

მილიციის აკადემიაში გამომცდელი ეკითხება კურსანტებს:
– თქვენ წინაშე დევს ეჭვმიტანილის პროფილი. რა დასკვნის გამოტანა შეგიძლიათ?
პირველი კურსანტი: ეჭვმიტანილს ერთი ყური აქვს.
– არ არის სწორი. აბა, თქვენ?
მეორე კურსანტი: ეჭვმიტანილს ერთი თვალი აქვს...
– არ არის სწორი. აბა, შემდეგი!
– ეჭვმიტანილს ლინზა აქვს...
– ყოჩაღ! აბა, აუხსენი შენს უტვინო მეგობრებს, როგორ გააკეთე ასეთი დასკვნა?
– ელემენტარულად: ცალ ყურზე სათვალე ხომ არ გაუჩერდებოდა?!.

***

ტიპი მივიდა სასტუმროში და ნომერი ითხოვა.
– არ გვაქვს ნომრები... მხოლოდ ერთი ადგილია თავისუფალი ორადგილიანში, ოღონდ, ვერავინ ძლებს – იქ დაბინავებული მამაკაცი ისე ხვრინავს, თვალს ვერ მოხუჭავ...
– არა უშავს...
დილით პორტიე ეკითხება, როგორ გეძინათ.
– ნორმალურად.
– არ ხვრინავდა?!
– ხვრინავდა კი არა, თვალი არ მოუხუჭავს... დაძინების წინ მივედი, ვაკოცე და ვუთხარი: ძილი ნებისა, საყვარელო-მეთქი...

***




მე ისევ ჩავხედე მას პირდაპირ თვალებში და დავიჩურჩულე: „შენ ყველაზე ძვირფასი ხარ, რაც მე გამაჩნია“... – და სარკეს მოვშორდი.

***

ქალმა ქმარი ქირურგთან მიიყვანა:
– რაც ავარიაში მოყვა, მას შემდეგ აღარ შეუძლია და ვინმესი გადაუნერგეთ...
ექიმმა შესანიშნავად გაუკეთა ოპერაცია...
გავიდა რამდენიმე თვე და ქალი ექიმს შემთხვევით შეხვდა.
– ექიმო, ეს რა მიქენით? ადრე ათასში ერთხელ მაინც ახერხებდა და ახლა საერთოდ აღარ მეკარება...
– მომიყვანეთ ქმარი და გავარკვევ.
მივიდა ქმარი ექიმთან.
– რა გჭირს, ვერ ახერხებ? – ეკითხება ექიმი.
– არა, რას ამბობთ, დღეში რამდენჯერმე: დილით – მდივანთან, შემდეგ – რამდენიმე თანამშრომელთან, საღამოს – მეზობელთან, მეგობრის ცოლთან...
– კი მაგრამ, ცოტა ენერგია ცოლისთვისაც შემოინახე!
– როგორ, ეს ხომ სხვისია და საკუთარ ცოლს ვაღალატებინო?!

***

– შენმა ცოლმა ჩააბარა გამოცდები მართვის მოწმობის ასაღებად?
– ნაწილობრივ.
– ეს როგორ?
– მხოლოდ ფული...

***

– ვაა, მერაბ, როგორ ხარ? შენზე მითხრეს ავარიაში მოყვაო...
– უკვე გამოვკეთდი.
– კი მაგრამ, მაგარი მძღოლი ხარ და ეს როგორ მოგივიდა?
– ეეჰ... მე და ჩემი ცოლი ახლობელთან მივდიოდით. ვხედავ, მაგარი გოგო დგას, ნახევრად შიშველი და ჩემმა შტერმა ცოლმა თვალებზე არ ამაფარა ხელი?!

# ორიგინალური საჩუქარი დირექტორისთვის და მზრუნველი მოწაფეები

კურორტ საირმის მისადგომებთან „ფუნქციონირებს“ პატარა და უსაყვარლესი სოფელი – ფერსათი.

ბიძაჩემი (მამის მხრიდან), ვალიკო მერკვილიშვილი ცხოვრობდა იმ სოფელში. 165 კილოგრამი გახლდათ წონით; სიმაღლე – 230 სანტიმეტრი.

მოკლედ, უზარმაზარი კაცი იყო სკოლის დირექტორი ვალიკო.

ვსარგებლობ შემთხვევით და ვიტყვი, რომ მისი აღზრდილი მოსწავლეები სულ დიდი პროკურორები გამოვიდნენ საქართველოს მასშტაბით.

ამ უზარმაზარ კაცს წლებიც რომ მოემატა და წონაც, მთავრობაც (მაშინ კომუნისტები მართავდნენ ქვეყანას) შევიდა მდგომარეობაში და ღვაწლიც დაუფასეს: ცოტა იქით, ცოტა აქეთ და – „მოსკვიჩი“ აჩუქეს 60 წლის იუბილეზე.

ვალიკო ამას არ ელოდა და გახარებულმა გვარიანი სუფრა გაშალა. დიდიან-პატარიანად მოიწვია ყველა და გრიალ-




გრიალით ჩაატარა იუბილე.

მეორე დილით, გახეულ „პახმელიაზე“ გამობანცალდა ეზოში და მზრუნველი მოწაფეების მიერ სახლში მოგელვებული მანქანა „მოსკვიჩი“ შეათვალიერა.

მერე მოკრძალებულად გამოაღო კარი საჭის მხარეს და უნდა ჩაჯდეს...

ვერ შეეტია:

შეყო თავი კაბინაში, მაგრამ ფეხების ადგილი აღარ დარჩა.

ისევ თავიდან დაიწყო – ახლა პირდაპირ ფეხებით „შეუტია“: შედგა მარჯვენა ფეხი, მერე მოიხარა, მაგრამ, არც ახლა გამოუვიდა არაფერი – თავი აღარ შედის.

გადმოვიდა ისევ და ახლა გვერდულად წავიდა...

არ გეტკინოთ არაფერი... ვერ შეეტია მანქანაში.

გასავათდა კაცი.

ბოლოს და ბოლოს, იფიქრა – ჯერ ხელს შევყოფ და მერე მივაწვებიო. შეყო მარჯვენა ხელი, მოეპორჭყიალა საჭეს, მაგრამ, ახლა უკანალი დარჩა გარეთ.

ამ წვალებასა და ტანჯვაშია და მეზობელმა გაალო მეორე სართულის ფანჯარა. უყურა, უყურა ამის უბედურებას და დინჯად ეუბნება:

– ვალიკო... გადააჯექი, ზემოდან გადააჯექი მაგ ჩემისას და შემოჰკარი წკეპლა...

**მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**

# ცნობარი

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 215-80-80; 236-40-11
2. ავტომანქანის გაქირავება, ტურები საქართველოში, სასტუმროს რეზერვაცია 218-22-44; 599 33-33-53
3. ავტოსადგური „ოკრიბა“ 234-26-92
4. ადამიანის უფლებათა ცენტრი 237-69-50; 245-45-33
5. ავტომანქანების გაქირავება 595 33-21-00
6. აღსრულების ეროვნული ბიუროს საინფორმაციო სამსახური 274-96-49
7. გარემოს ეროვნული სააგენტო 243-95-32
8. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 231-04-21
9. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 599 11-57-44
10. გაზი გამოძახებით 292-32-46; 292-10-08
11. შპს აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 253-06-32
12. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 240-52-22
13. გაზის საავარიო (ქალაქის) 14; 238-40-65, 237-79-91(საავარიო); 238-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო)
14. განათლების სამინისტროს კომუტატორი 231-89-40; ცხელი ხაზი: 240-40-45; 220-02-20
15. გზებზე ტექნიკური დახმარება 599 25-42-54
16. ჯანდაცვის სამინისტრო (ცხელი ხაზი) 251-00-33
17. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 220-62-32
18. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი“ 221-21-84; 221-25-84
19. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ტელეფონით 250-60-06
20. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 299-10-58; 299-11-21
21. „თელასის“ საინფორმაციო ცენტრი 225-52; 225-52-11; 277-99-77
22. „თელასის“ ცხელი ხაზი 277-99-99
23. შპს იმუნიზაციის ცენტრი 231-22-78
24. იუსტიციის სამინისტრო 240-52-02
25. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება სტაციონარებიდან 231-13-20; 231-13-21; 595 33-18-03; 0 790 50-10-50
26. საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია 238-61-40 (პრესსამსახური); 231-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი)
27. კონტროლის პალატა 243-81-81 (ცხელი ხაზი); 243-81-78 (კანცელარია)
28. კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 293-11-11
29. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 243-11-00 (ცხელი ხაზი)
30. მერიის ცხელი ხაზი 272-22-22
31. ნავთლუღის ავტოსადგური 274-83-03; 274-63-23 599 39-35-35
32. სახალხო დამცველი 291-38-14(15)
33. ვაგზლის ცნობათა ბიურო: 219-90-10
34. სახანძრო-სამაშველო ოპერატიული სამსახური 11, 111, 275-20-85, 241-17-71, 241-17-72
35. საპატრულო პოლიცია 122
36. „სასწრაფო სამედიცინო დახმარება 133“ 13; 254-70-04; 254-70-03
37. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 247-87-78; 571 478-778
38. საქართველოს მთავრობის კანცელარია 298-92-73 (ფაქსი), 228-22-88 (მისალები)
39. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 294-50-00 შიდა 24-01 (02, 03)
40. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკონსულტაციო ცენტრი, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაციები 177
41. სადღეღამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 222-67-22; 210-30-50; 599 57-64-12
42. სოფლის მეურნეობის სამინისტროს შიდა აუდიტის სამსახური 237-80-50
43. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 261-30-90; 261-30-21
44. საყოფაცხოვრებო და საამშენებლო ნარჩენების გატანა 245-20-23
45. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 225-22-33 (საინფორმაციო); 225-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანა)
46. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ვეტერინარიის მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 291-91-67 (68)
47. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქ-პატენტი 292-31-66; 291-71-80 (ცხელი ხაზი)
48. საქართველოს მომხმარებელთა ფედერაცია 299-85-71
49. ტაქსი გამოძახებით 293-91-00
50. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი – 210-02-29; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, ცხელი ხაზი – 230-99-03.
51. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 251-70-34; 241-10-68 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილება)
52. ფინანსთა სამინისტრო 226-14-12; 226-14-10 (კანცელარია); 226-24-09
53. ქორწინების რეგისტრაცია სიღნაღში 595 24-77-77
54. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 225-01-45; 222-54-17
55. „ყაზტრანსგაზი“ 220-04-04 (გაზიფიცირების სამსახური)
56. „ყაზტრანსგაზის“ სადისპეტჩერო 231-04-04
57. „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის“ 599 37-40-20
58. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი 298-39-43; 299-53-50
59. შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს სამორიგეო 241-42-63
60. შინაგან საქმეთა სამინისტროს მორიგე 274-62-67
61. სააქციო საზოგადოება „ცენტრალური ავტოვაგზალი“ 275-34-33
62. ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ნარკოლოგიურ-ამბულატორიული დაწესებულება 239-95-08 (რეგისტრატურა)
63. წყალკანალის ცხელი ხაზი 293-11-11



როდის
ჰქონდა
„გაჭედვები“
გიორგი
ვარდოსანიძეს
და რატომ იყო
მის გამო შოკში
სალომე ჭაჭუა

გვ. 70

ISSN 1987-569X